PRIME Time
N1 (251) ოთხშაბათი, 13 იანვარი 2014 წ.
ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge



# რა ჯგუფი დგას საპატრიარქოს სკანდალის უკან

**დავით სერგეენკო:** „ან მთლიანობაში ვერ ხედავს საზოგადოება პრობლემების არსს, ან რაღაც კონკრეტული ინტერესია, რომ სწორედ ეს საკითხი დადგეს ლუპის ქვეშ და მოხდეს მისი ხელოვნური ანგაჟირება“



# სახალხო დამცველი ლაფანყურის საქმის დეტალებს ერთ თვეში გაახმაურებს

**უჩა ნანუაშვილი:** „მალე საზოგადოებისთვის ძალიან ბევრი საინტერესო დეტალი გახდება ცნობილი... საუბარია იმაზე, რომ ამ ყველაფრის ორგანიზება ხდებოდა საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან“

# პირველად „პრაიმტაიმში“

# ოთარ ფარცხალაძის პირველი ექსკლუზიური ინტერვიუ



„ჩემ დანიშვნას მოჰყვა დავით ჩხატარაშვილის დაკავება, რომელიც, როგორც გაირკვა, სანამ მე პროკურორი გავხდებოდი, მანამდე კომფორტულად გრძნობდა თავს პროკურატურაში. თავისუფლად მიდი-მოდიოდა, კონსულტაციებს აძლევდა მაშინდელი პროკურატურის თანამშრომლებს. ჩხატარაშვილი მიღებულ კონსულტანტად ჰყავდა პროკურატურას, ამაზე მე მაქვს ინფორმაცია“ EXCLUSIVE

**ოთარ ფარცხალაძე:** „ახლა „ნაცები“ აპირებენ ჩემზე ააგორონ ათასი უბედურებები, თითქოს ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი ვიყავი და ბიშკეკში ვარ ნამკურნალევი. მინდა წინასწარ გითხრათ, რომ არათუ ბიშკეკში, ზოგადად, შუა აზიაშიც არ ვარ ნამყოფი“...



## რა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა დაკარგული 19 წლის გოგონა თურქეთის სასტუმროში?



EXCLUSIVE

## რატომ მიმართავენ უკიდურეს ზომებს ეტლით მოსარგებლეები?



## რაზე გარიგდნენ კუბლაშვილი, ხატიაშვილი და უსუფაშვილი?

EXCLUSIVE

მონმეთა დაკითხვის წესი შესაძლოა, კიდევ ერთი სკანდალის მიზეზი გახდეს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოთარ ფარცხალაძის პირვე

**„უგულავა არის ჩვეულებრივი ბრალდებული, რომელმაც მოიპარა თბილისელების ფული. უსინდისოდ იძახის, რომ ეს საქმე საპნის ბუშტივით გასკდება. არაფერი არ გასკდება, უგულავა აუცილებლად მიეცემა პასუხისგებაში და დადგება განაჩენი“**

ნანა შონია

**ოთარ ფარცხალაძის ნასამართლეობის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან გაჟღერებულ ინფორმაციას მთავარი პროკურორის გადადგომა მოჰყვა. როგორც ყოფილი პროკურორი აცხადებს, გადადგომასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო. ფარცხალაძე ამბობს, რომ ამ ცილისმწამებლური კამპანიის უკან ის საფრთხე დგას, რომელიც „ნაციონალებმა“ მის პიროვნებაში დაინახეს. ფარცხალაძის მთავარ პროკურორად დანიშვნიდან ერთ თვეში, ქალაქ თბილისის მერი, გიგი უგულავა თანამდებობიდან გადააყენეს, ხოლო იუსტიციის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი, დავით ჩხატარაშვილი, დააკავეს.**

რა მოხდა სინამდვილეში წლების წინ გერმანიაში, რა კამპანია მიმდინარეობს ფარცხალაძის წინააღმდეგ და რა მორიგ სკანდალს ელოდება „ნაციონალური მოძრაობისგან“, რას ამბობს გახმაურებულ საქმეებზე და ვანო მერაბიშვილის ბრალდებებზე - პირველად „პრაიმტაიმში“ გადამდგარი პროკურორის ექსკლუზიური ინტერვიუ.

**- ბატონო ოთარ, მინდა ქრონოლოგიურად მივყვეთ მოვლენებს - თქვენი დანიშვნისთანავე დაიწყო ხმაური დიპლომთან დაკავშირებით, რასაც შემდეგ გერმანიაში ნასამართლეობის საკითხის წამოწევა მოჰყვა, ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა... რა მოხდა სინამდვილეში?**

- ხმაური იმიტომ ატყდა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰქონდა შიში, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებებიდან გამომდინარე. რაც შეეხება ნასამართლეობას, მართალია იყო, მაგრამ არა ის, რასაც ისინი აცხადებენ - ქურდობა და ყაჩაღობა, მსგავსი არაფერი ყოფილა. წლების წინ, გერმანიაში, გაუგებრობა მოხდა გერმანელ სამართალდამცავებთან, ეს იყო 2000 წელი, მაშინ 24 წლის ვიყავი. მე იქ შემთხვევით აღმოვჩნდი, რა დროსაც შეურაცხყოფა მომაყენა პოლიციელმა, მე კი ხელი გავარტყი, კავკასიელი კაცის ხასიათი ხომ იცით... ის აღმოჩნდა კრიმინალური პოლიციის ინსპექტორი და ეს არ მაპატიეს. შეიარაღებულ ყაჩაღობაზე 15-წლიანი ციხეა, მსგავს რამეს კი ადგილი არ ჰქონია, გამამართლეს და გამომიშვეს. დეპორტიც კი არ მქონია ამის გამო, ის პასპორტი დღემდე შენახული მაქვს. ჩემი დაკავების არანაირი საფუძველი არ არსებობდა.

**- როგორ მოხდა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმირებული არ იყო ხელისუფლება, პრემიერმაც გააკეთა განცხადება, რომ მას ამაზე ინფორმაცია არ ჰქონია.**

- ამ ყველაფერს კუდი მოაბეს „ნაციონალებმა“, თორემ ეს იყო უსუსური ფაქტი. ღმერთმა დამიფაროს სერიოზული დანაშაულისგან. ეს რომ ყოფილიყო სერიოზული საქმე, ეცოდინებოდათ კიდეც და მეც ვიტყოდი უარს, არა მხოლოდ მთავარ პროკურორობაზე, არამედ ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელობაზეც. ვინაიდან ეს იყო გაუგებრობა და უბრალოდ, სასაცილო რამ, არ ჩავთვალე მიზანშეწონილად ამაზე საუბარი, ისევ და ისევ ფაქტის უსუსურობის გამო, თორემ ამ თემაზე ნებისმიერს გავცემდი პასუხს. ეს იყო მიზეზი რის გამოც მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია.

აქვე მინდა გითხრათ, რომ, ზოგადად, ეს კამპანია მიმართულია პროკურატურის, როგორც ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტის წინააღმდეგ, მისი დისკრედიტაციისა და დასუსტებისთვის, რასაც ამ ხელისუფლების პირობებში ვერავინ შეძლებს. დღევანდელი მთავრობა ხალხის სამსახურშია და სამართლიანობის აღდგენისა და დამკვიდრების პროცესს ვერავინ შეაჩერებს.

**- თქვენ ირგვლივ პირველი ხმაური დიპლომის გამო ატყდა, ამ შემთხვევაზე რას იტყვით?**

- მე გავავრცელე კიდეც განცხადება და ახლაც გეტყვით - სკოლაში ჩემ დროს იყო 0 - კლასი, თავის ქება არ მიყვარს, მაგრამ, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, აუცილებლობა არსებობს, რომ ამაზე ვილაპარაკო, ვიყავი საკმაოდ ნიჭიერი ბავშვი და სკოლაში რომ მივედი, პირველი და მეორე კლასის პროგრამას უკვე ვფლობდი ქართულ და რუსულ ენებზე. ჩვეულებრივ შედგა გასაუბრება კომისიასთან, ჩამიტარეს გამოცდა და გადამიყვანეს შემდეგ კლასში, როგორც ნიჭიერი ბავშვი. 1991 წელს, როდესაც დამოუკიდებელი სასწავლებლები გაიხსნა, ერთ-ერთი პირველი იყო „ღია ჰუმანიტარული უნივერსიტეტი“. იქ იყო იმის შესაძლებლობა, რომ მე-11 კლასელი გამხდარიყო პირველკურსელი. ამიტომაც მე-11 კლასში მე იქ მოვხვდი ჩვეულებრივ, პირველ კურსზე. სასწავლებელი ოთხწლიანი იყო და რომ დავამთავრე 20 წლისაც არ ვიყავი, ერთი წელი ხომ სკოლამ მაჩუქა და ერთი წელიც სასწავლებელმა, ეს იყო და ეს... 18 წლის ასაკში უკვე პოლიციელი გავხდი და 19 წლისას მომიწია უნივერსიტეტის დამთავრება. ყველაფერი დანარჩენი სრული სიცრუეა, რაზეც „ნაციონალები“ საუბრობდნენ. ბატონი ჯაფარიძე აცხადებდა, რომ დიპლომის ნომერი ცდება და ა.შ. ეს ყველაფერი იყო სრული სისულელე. მე არ ვაპირებ თავის მართლების რეჟიმში ყოფნას, მოვიდნენ, კურსელებიც მყავს, ჯგუფელებიც და კიდევ ბევრს აქვს ეს სასწავლებელი დამთავრებული, ისეთებს ახლაც რომ მაღალ თანამდებობებზე არიან. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს აქვს დამთავრებული, ესეც ვიცი და ამასთან დაკავშირებით პრობლემა არ არსებობს.

**„ჩემით მივიღე ეს გადაწყვეტილება, რადგანაც შევატყვე, რომ ამ სიცრუით უნდოდათ თავიანთი წარსული დანაშაულების გადაფარვა“**

**- მას შემდეგ რაც გავრცელდა განცხადება პოსტიდან თქვენი წასვლის შესახებ, საუბარი დაიწყო იმაზე, რომ ექსპრემიერ ივანიშვილის მითითებით გადადექით. ამაზე რას გვეტყვით?**

- ეს არის „ნაციონალების“ მორიგი ტყუილი, სიცრუე, რაზეც ზოგადად, არიან აგებული. მე პირველ დღესვე, როგორც კი დაიწყო ამაზე საუბარი (ერთადერთი, რაც რეალური და სწორია, ეს არის გერმანიის ნასამართლეობა, რაც ნამდვილად იყო, თუმცა არა იმ ფაქტზე რაზეც ისინი საუბრობენ), ვნახე ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი და ვუთხარი, რომ არ მინდოდა ჩემი გულისთვის პრობლემა შექმნოდა. მე ვიყავი ბატონი ბიძინას და ვარ ირაკლის გუნდის წევრი, ამიტომაც ვუთხარი, რომ გადავდგებოდი... ჩემით მივიღე ეს გადაწყვეტილება, რადგანაც შევატყვე, რომ ამ სიცრუით უნდოდათ თავიანთი წარსული დანაშაულების გადაფარვა. შეთხზეს ზღაპრები და გერმანიის შემთხვევა უნდა ექციათ კენედის მკვლელობად. მაშინვე კატეგორიულად დავუყენე ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს საკითხი - უნდა გადავმდგარიყავი. ბატონ ბიძინასთან არანაირი შეხება არ მქონია.

**- ექსპერტები თავიდანვე გირჩევდნენ გადადგომას, მაგალითად, სოსო ცისკარიშვილმა არ გამორიცხა, რომ ეს პროცესები შესაძლოა, გაგრძელებულიყო თქვენი ოპონენტების მხრიდან. რატომ დაიწყო „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თქვენ წინააღმდეგ ეს პროცესი?**

- მე პროკურატურაში ყოფნამდე ფინანსურ პოლიციაში ვმუშაობდი, სადაც თუნდაც კეზერაშვილის და გიგი უგულავას ჩადენილ დანაშაულებზე არა ერთი საქმე ყოფილა. როგორც კი მთავარი პროკურორი გავხდი, მათ მიერ ჩადენილი ძველი დანაშაულებების თემამ წამოიწია და ავტომატურად ალაპარაკდნენ. ჩემს დანიშვნას მოჰყვა დავით ჩხატარაშვილის დაკავება, რომელიც, როგორც გაირკვა, სანამ მე პროკურორი გავხდებოდი, მანამდე კომფორტულად გრძნობდა თავს პროკურატურაში. თავისუფლად მიდი-მოდიოდა, კონსულტაციებს აძლევდა მაშინდელი პროკურატურის თანამშრომლებს. ჩხატარაშვილი მიღებულ კონსულტანტად ჰყავდა პროკურატურას, ამაზე მე მაქვს ინფორმაცია. ასევე იყო უგულავას 47 მილიონის საქმე. უგულავა არის ჩვეულებრივი ბრალდებული, რომელმაც მოიპარა თბილისელების ფული. უსინდისოდ იძახის, რომ ეს საქმე საპნის ბუშტივით გასკდება. არაფერი არ გასკდება, უგულავა აუცილებლად მიეცემა პასუხისგებაში და დადგება განაჩენი. გამოძიებით დადგენილია, რომ მას, თავის თანამზრახველებთან ერთად, მითვისებული აქვს ბიუჯეტის თანხა. ეს თანამზრახველები არიან მერიის მაღალჩინოსნები, ეს საქმე მიმდინარეობს და მე დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ მრავალი მიეცემა პასუხისგებაში. „ნაციონალები“ თავიდან ჯერ თვალ-ყურს მადევნებდნენ. შემდეგ, მათ რეალურად იგრძნეს საფრთხე, რომ 9 წლის განმავლობაში ჩადენილი მძიმე, სისტემური დანაშაულები გამოაშკარავდებოდა. ეს არის სააკაშვილის მმართველობის დროს ჩადენილი მძიმე დანაშაულები - ადამიანების გატაცებები, მკვლ-



**„ახლა „ნაცები“ აპირებენ ჩემზე ააგორონ ათასი უბედურებები, თითქოს ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი ვიყავი და ბიშკეკში ვარ ნამკურნალევი. მინდა წინასწარ გითხრათ, რომ არათუ ბიშკეკში, ზოგადად, შუა აზიაშიც არ ვარ ნამყოფი“...**

**„მე მომიწია ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა - დიახ, ნასამართლევი ვარ, მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო და რადგანაც ამოწიეს ეს თემა, ჩემთვის პრობლემა არ არის პასუხის გაცემა, არც თანამდებობას აქვს მნიშვნელობა“**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ვანო მერაბიშვილი არის ჩვეულებრივი დამნაშავე, მე მასთან არანაირი საერთო არ მქონია და არ ვაპირებ რომ მქონდეს...“



EXCLUSIVE

## „ჩემ დანიშვნას მოჰყვა დავით ჩხატარაშვილის დაკავება, რომელიც, როგორც გაირკვა, სანამ მე პროკურორი გავხდებოდი, მანამდე კომფორტულად გრძნობდა თავს პროკურატურაში. თავისუფლად მიდი-მოდიოდა, კონსულტაციებს აძლევდა მაშინდელი პროკურატურის თანამშრომლებს. ჩხატარაშვილი მილებულ კონსულტანტად ჰყავდა პროკურატურას, ამაზე მე მაქვს ინფორმაცია“

ელობები, სასტიკი წამება ციხეებში, რომელსაც ბევრი ადამიანის გარდაცვალება მოჰყვა. სულ რამდენიმე დღის წინ იყო ქობალიას საქმე. რატომღაც, ამ ერთი წლის განმავლობაში, ამაზე საუბარი არ მიმდინარეობდა. რა იყო ამის მიზეზი, ამით თუ ოდესმე დაინტერესდება ახალი ხელმძღვანელობა, ალბათ, გაარკვევს. ეს საქმეები იდო პროკურატურაში და ჩვენ გავხსენით, აქტიურად დავიწყეთ მუშაობა. „ნაცებმა“ საფრთხე იგრძნეს, რომ სისტემური დანაშაულები, ადამიანების წამებები, ჩემ ხელში შესაძლებელი იქნებოდა გახსნილიყო და წინ წამოწეულიყო. მათ ჰქონდათ ერთადერთი გზა, რომ ჩემ მიმართ პიროვნულად დაეწყოთ შეტევა. როგორც მე მაქვს ინფორმაცია, ახლა „ნაცები“ აპირებენ ჩემზე ააგორონ ათასი უბედურებები, თითქოს ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი ვიყავი და ბიშკეკში ვარ ნამკურნალევი. მინდა გითხრათ, არა თუ ბიშკეკში, ზოგადად, შუა აზიაში ნამყოფი არ ვარ, თუ ვინმეს ეს აზრად მოუვა, სასამართლოში მოუწევს პასუხის გაცემა.

**- ვანო მერაბიშვილზე რას გვეტყვით, რა მოხდა რეალურად, თუ გქონდათ მასთან შეხვედრა და მოხდა თუ არა მისი გამოყვანა ციხიდან ფარულად?**

- ვანო მერაბიშვილი არის ჩვეულებრივი რიგითი დამნაშავე, საქართველოს ჩვეულებრივი მოქალაქე, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული და მის მიმართ მიმდინარეობს გამოძიება. ის სისტემური დანაშაულის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი იყო, თანამონაწილე და თანაავტორი. მისნაირი ბრალდებულები ათასობით არიან საქართველოს ციხეებში. მე მასთან არანაირი საერთო არ მქონია და არ ვაპირებ, რომ მქონდეს. თუ პატიმარ მერაბიშვილისგან რაიმე დამჭირდებოდა ამისთვის არსებობენ გამომძიებლები. მე ვერ მექნებოდა მასთან ურთიერთობა. თუ კი მისი დაკითხვა გახდებოდა საჭირო ამას გამომძიებელი გააკეთებდა, პროცედურების დაცვით. შესაბამისად, ის, რაზეც ის საუბრობდა, სისულელეა. პრემიერმა მაშინ თქვა და მეც ვეთანხმები, ჩემი აზრითაც, ამით მან საააკაშვილს შეახსენა თავი, რომ ციხეში ვზივარ და მიშველეთ!!!

**- ამბობთ, რომ ბევრი რამ შეცვალეთ პროკურატურაში. თქვენი მისვლისთანავე თანამდებობა დატოვა ისეთმა ოდიოზურმა ფიგურამ, როგორიც არის ლაშა ნაცვლიშვილი. რეალურად რა პროცესები იყო. ბევრი საუბარია საზოგადოებაში ლაშა ნაცვლიშვილთან დაკავშირებითაც, ხედავთ თუ არა მისი მხრიდან რაიმე კავშირს თქვენს საქმესთან?**

- მე მივედი მთავარ პროკურატურაში და მივიყვანე ჩემი გუნდი, ის იყო პირველი მოადგილე. მანამდე ლაშასთან არ მიმუშავია, ასე რომ, თვითონ გამოთქვა სურვილი და ჩემი მისვლისთანავე დატოვა თანამდებობა. არანაირი სხვა მიზეზი აქ არ არის. ეს იყო და მე მას არაფერთან ვაკავშირებ, რა სისულელეა.

**- გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით გკითხავთ, ჟვანიასა და გირგვლიანის საქმეებზე; საუბარია იმაზე, რომ უამრავი ახალი გარემოებაა და ეს საქმეები ძალიან მალე გაიხსნება. რას გვეტყვით, რა ეტაპზეა გამოძიება?**

- გამოძიება ყველაფერს გააკეთებს ჟვანიას და გირგვლიანის საქმეებზე, რომ ბოლომდე იყოს გამოძიებული. დანარჩენზე არ მინდა საუბარი.

**- ვინ შეიძლება გახდეს მთავარი პროკურორი?**

- ამას გადაწყვეტს პრემიერ-მინისტრი. ვინც არ უნდა გახდეს მთავარი პროკურორი, ის კურსი აუცილებლად გაგრძელდება, აუცილებლად მივა ბოლომდე, გახმაურებული და გაუხმაურებელი საქმეებიც. ის დანაშაული, რომელიც ჩადენილია 9 წლის განმავლობაში, ყველას ფარდა აეხდება და დაუსჯელი არავინ დარჩება, ვინც არ უნდა იყოს, მიუხედავად იმისა იმუნიტეტი იცავს თუ არ იცავს, ვის რა თანამდებობა ეკავა. მე გადავდექი, აღარ ვარ თანამდებობაზე, მაგრამ ის კურსი, რაც ბატონ ღარიბაშვილს აქვს, აუცილებლად გაგრძელდება. სამართლიანობა აუცილებლად იქნება აღდგენილი და ეს იაფფასიანი პროვოკაციები, რასაც ადგილი ჰქონდა 9 წლის განმავლობაში, ხალხისთვის თვალების ახვევა და პროვოკაციული თემების წამოწევა, აუცილებლად გამოაშკარავდება. გამოძიება მიდის და ყველა დანაშაულს მოეფინება ნათელი. არ ვიცი ვინ იქნება დანიშნული მთავარი პროკურორის პოსტზე, ამას პრემიერ-მინისტრი გადაწყვეტს. რაც შეეხება მათ პროვოკაციებს, მე საზოგადოების აზრი გავითვალისწინე, რადგან პროკურორის თანამდებობა მეკავა. პროკურორი ბრალმდებელია, სამართლებრივად შემეძლო ვყოფილიყავი თანამდებობაზე და „ნაცმოძრაობა“ რას იტყოდა, არავის აინტერესებს, განსაკუთრებით საზოგადოებას... მე მომიწია ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა - დიახ, ნასამართლევი ვარ, მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო და რადგან ამოწიეს ეს თემა, ჩემთვის პრობლემა არ არის პასუხი გავცე, არც თანამდებობას აქვს მნიშვნელობა. ჩემთვის მთავარია ის პრინციპები, რასაც ბატონი ბიძინა ხალხს დაჰპირდა და რაც აუცილებლად უნდა გავატაროთ.

**- სად გააგრძელებთ საქმიანობას?**

- ჯერჯერობით არასად ვმუშაობ. შევხედავ, დაველოდები მოვლენებს. პროკურატურაში არსებობს გუნდი, რომელიც დაკომპლექტებულია კვალიფიციური პროფესიონალებით, მათ არაერთი სერიოზული საქმის გახსნა შეუძლიათ და ეს მათ დაამტკიცეს. ახლა, სამწუხაროდ, ამ გუნდის მისამართითაც გორდება ბინძური პიარი. ხალხი, რომელიც არაკვალიფიციურობის გამო გაათავისუფლეს თანამდებობიდან, დღეს ათას სისულელეზე საუბრობენ. ამ პროკურორებს ელემენტარული ცოდნის დონე არ ჰქონდათ. მაგალითად, ერთ-ერთი პროკურორი, თუ არ ვცდები ნოზაძე, ამბობდა, რომ ერთ-ერთი სერიოზული საქმე მებარა და იმ საქმისთვის რომ ჩამოვეცილებინე იმიტომ გამიშვეს. მე რომ მივედი, იმ საღამოს ფიზიკური დაპირისპირება მოხდა მთავარ პროკურატურაში. ამ ნოზაძემ ერთ-ერთი პროკურორი დახატა ფოტოშოპში შიშველი, უხერხულ სიტუაციაში, თითქოს ცხენი მასთან სექსუალურ ურთიერთობას ამყარებდა. ეს რომ იმ პროკურორმა ნახა, ვინც სურათზე იყო დახატული, გაგიჟდა, ასაკოვანი კაცია... დღეს, ასეთი ადამიანი რომ დიდ საქმეებს აკეთებდა და მის გათავისუფლებაში საბოტაჟის ნიშნებს ხედავს, უბრალოდ, სასაცილოა. ეს ერთ-ერთი მცირედი ფაქტია. ჩემ დროს 12 მაღალჩინოსანი გავუშვით პროკურატურის რიგებიდან, პირდაპირ ვაცხადებ და ამას ყოველთვის გავიმეორებ, ამ ადამიანების ადგილი არა თუ პროკურატურაში, არანაირ სახელმწიფო სამსახურში, რიგით თანამდებობებზეც კი არ შეიძლება არსებობდეს. სამწუხაროდ, დღეს, ამ უინტერესო და უშინაარსო ხალხს ტელევიზიებით ატრიალებდნენ. მე ვიცი, რომ პროკურატურაში არიან პროფესიონალი კადრები, მათ შესწევთ გამოძიების უნარი და დაამტკიცეს კიდეც თავიანთი პროფესიონალიზმი. ამიტომაც, ვფიქრობ, რომ ყველა საქმე აუცილებლად მაღალკვალიფიციურ დონეზე იქნება გამოძიებული.

> „ვინც არ უნდა გახდეს მთავარი პროკურორი კურსი აუცილებლად გაგრძელდება, აუცილებლად მივა ბოლომდე ყველა გახმაურებული და გაუხმაურებელი საქმე. ყველა იმ დანაშაულს, რომელიც ჩადენილია 9 წლის განმავლობაში, ფარდა აეხდება. დაუსჯელი არავინ დარჩება...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სახალხო დამცველი ლაფანყურის საქმ



„ის, რომ სამი ქართველია გარდაცვლილი და ოჯახის წევრებს დღემდე არ აქვთ მიღებული გარდაცვალების მოწმობა, არა აქვთ ინფორმაცია რეალურად რას შეეწირნენ ეს ადამიანები, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია“

EXCLUSIVE

## უჩა ნანუაშვილი: „შესაძლოა, იმდენად მძიმე სურათი დაიდოს გამოძიების შედეგად, რომ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე დადგეს არჩევანი - ღირს თუ არა ამ ყველაფრის გამოქვეყნება“



### my View
**მირიან ბოქოლიშვილი**

სახალხო დამცველთან არსებული საზოგადოებრივი საბჭო ლაფანყურის მოვლენებზე დასკვნას უახლოეს ერთ თვეში გამოაქვეყნებს. „პრაიმტაიმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, უჩა ნანუაშვილი ამბობს, რომ საზოგადოებისთვის ძალიან ბევრი საინტერესო დეტალი გახდება ცნობილი. ომბუდსმენი სამართალდამცველების მხრიდან გამოძიების გაჭიანურების მიზეზებზეც მიანიშნებს და ამას უსაფრთხოების საკითხებს უკავშირებს. სანამ ნანუაშვილი ლაფანყურის სპეცოპერაციის თემაზე მუშაობს, მისი აპარატი სასამართლო გადაწყვეტილებების გადახედვის გარკვეული მექანიზმის შექმნაზე ფიქრობს. ომბუდსმენის თქმით, ამასთან დაკავშირებით კანონპროექტი უკვე მუშავდება, რომლის წარდგენაც პარლამენტისთვის საგაზაფხულო სესიაზე იგეგმება.

„დიახ, რამდენიმე სასულიერო პირი მონაწილეობდა ძალადობრივ აქციებში, ვნახეთ ისიც, რომ დადგა კონკრეტული პირების სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობის საკითხიც. ზოგადად, ვერ ვიტყვი, რომ ეს პროცესები ეკლესიისგან იმართება. ამისთვის უფრო მეტი მტკიცებულება უნდა მქონდეს“

**უჩა ნანუაშვილი, სახალხო დამცველი:**

- გასულ წელს, დეკემბრის თვეში სახალხო დამცველის აპარატის ისტორიაში განცხადებების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა. 727 განცხადება იყო შემოსული, მათ შორის, რამდენიმე კოლექტიური განცხადება. ეს არის უპრეცედენტო რაოდენობა. დიდი ნაწილი მოიცავს მოთხოვნებს ხარვეზის დამდგენი კომისიის შექმნასთან დაკავშირებით. თავისთავად ის ფაქტი, რომ არ ყოფილა ამდენი განცხადება, ერთი თვის განმავლობაში, ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ სპეციალური კანონპროექტი მზადდება ჩვენი ოფისის მხრიდან, რომელიც რამდენიმე კვირაში იქნება მზად და წარედგინება პარლამენტს, რაც ითვალისწინებს გარკვეული მექანიზმის შექმნას იმისთვის, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვა მოხდეს. საუბარია ალტერნატიულ პროექტზე. ჩვენ გვინდა, რომ არ იყოს ქვეყანაში რაიმე პარალელური სტრუქტურა, რომელიც სასამართლოს საქმეებს განიხილავს ან გადახედავს. გვინდა, რომ ეს პროცესი მთლიანად კონსტიტუციურ ჩარჩოში მოექცეს. უფრო მეტად საკონსტიტუციო სასამართლოს როლი გაიზარდოს. დღეის მონაცემებით, საკონსტიტუციო სასამართლოს როლი და ფუნქცია არის ძალიან შემჭიდროებული. გარკვეული საქმეების განხილვა შესაძლებელია მოხდეს საკონსტიტუციო სასამართლოში. ჩვენი პროექტი არსებული სასამართლოების უფრო ეფექტურ გამოყენებაზეა მიმართული“, - ამბობს სახალხო დამცველი.

გარდა ამ თემებისა „პრაიმტაიმი“ დაინტერესდა თუ რას ფიქრობს ქვეყნის მთავარი უფლებადამცველი პატრიარქის გახმაურებულ ეპისტოლეზე, რომელსაც საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა.

**- ბატონო უჩა, მინდა გკითხოთ პატრიარქის ეპისტოლესთან დაკავშირებით, რომელსაც დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა... პირადად თქვენვის რა იყო პრობლემატური?**

- პრობლემატური საკითხები ნამდვილად იყო ამ ეპისტოლეში. მაგალითად, იყო ფრაზა, როგორ შეიძლება ბედნიერი იყოს ოჯახი, სადაც სუროგაციის და ხელოვნური განაყოფიერების გზით იბადება ბავშვი. ასეთი განცხადების გაკეთებისას უფრო მეტი სიფრთხილეა საჭირო, მით უმეტეს, როდესაც საუბარია ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურაზე და გავლენიან ინსტიტუტზე. როგორც ჩემთვის ცნობილია, სუროგაციის გზით 3 ათასზე მეტი ბავშვია მოვლენილი და როდესაც ასეთი განცხადება კეთდება, ეს მათი სტიგმატიზაციის რისკს აჩენს. ის განმარტება, რომელიც გაკეთდა შემდეგში, რომ ეკლესიამ უნდა იზრუნოს და უფრო მეტი სიყვარული გამოავლინოს ამ ბავშვების მიმართ, კარგი იქნებოდა მანამდე გაკეთებულიყო, ან ეპისტოლეში ყოფილიყო ამაზე საუბარი. სამწუხაროდ, ის შინაარსი, რომელიც წარმოდგენილი იყო ეპისტოლეში, იძლეოდა ფართო ინტერპრეტირების საშუალებას. ეს იყო ყველაზე მთავარი, გარდა ამისა იყო სხვა პრობლემატური საკითხებიც, იგივე უმცირესობებთან დაკავშირებით, ქალთა უფლებების კუთხით და ა.შ. ამის მიუხედავად, სახალხო დამცველის კომპეტენცია არაა ამ თემებზე განმარტებების გაკეთება. ყველა რელიგიურ ჯგუფს აქვს თავისი პოზიცია და მათი უმეტესობა საკმაოდ კონსერვატიულია. ცხადია, მათ აქვთ გამოხატვის უფლება, რაშიც ვერ ჩავერევით.

„იგივე ჩეჩნური დიასპორა, ქისტები უფრო თავისუფლები არიან ჩვენთან კომუნიკაციის დროს ვიდრე შსს-თან. ვფიქრობ, ეს მონენტი იქნება გადამწყვეტი საბოლოო შედეგის მისაღებად“

**- საზოგადოების ნაწილმა ეპისტოლეში მოყვანილი მოსაზრებების გაპროტესტება საპატრიარქოსთან სცადა, რასაც შეხლა-შემოხლაც მოჰყვა, თუმცა ეს არ ყოფილა ერთადერთი შემთხვევა... რამდენად მართლებულია მოსაზრება, რომ უმცირესობების წინააღმდეგ ამ ძალადობრივ ქმედებებს ეკლესია ახალისებს და არაჰუმანური იდეებით გამოდის?**

- მე ამას ზოგადად ეკლესიაზე ვერ ვიტყვი. დიახ, რამდენიმე სასულიერო პირი მონაწილეობდა ძალადობრივ აქციებში, ვნახეთ ისიც, რომ დადგა კონკრეტული პირების სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობის საკითხიც. ზოგადად, ვერ ვიტყვი, რომ ეს პროცესები ეკლესიისგან იმართება. ამისთვის უფრო მეტი მტკიცებულება უნდა მქონდეს.

**- გასაგებია... რაც შეეხება ლაფანყურის სპეცოპერაციის საქმეს... როგორც ცნობილია, სახალხო დამცველის არსებული საბჭო იკვლევს ამ საქმის დეტალებს.. რა ეტაპზეა თქვენი მუშაობა ამ მიმართულებით?**

- საზოგადოებრივი საბჭო აგრძელებს მუშაობას. ორიოდე დღის წინაც გვქონდა ერთ-ერთ მოწმესთან გასაუბრება. მიმდინარეობს ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა, გარკვეული მტკიცებულებების მოძიება. ეს საუბრები და ზოგადად სამუშაო პროცესი ძალიან ინტე-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ის დეტალებს ერთ თვეში გაახმაურებს








ნსიურად მიდის წინ და ვფიქრობ, მალე დავასრულებთ მუშაობას. სადღაც ერთ თვეში უკვე შესაძლებელი იქნება დასკვნების გაკეთება.

**- წინასწარ შეგიძლიათ გაგვიმხილოთ, თუ რა ვერსია შეიძლება გამოკვეთოს თქვენმა მუშაობამ?**

- მე საბჭოსთან შეთანხმების გარეშე არ მაქვს უფლება დეტალები გავამჟღავნო. შემიძლია გითხრათ, რომ მალე საზოგადოებისთვის ძალიან ბევრი საინტერსო დეტალი გახდება ცნობილი. მათ შორის ისეთი, რომელზეც აქამდე არც ყოფილა საუბარი. ეს დეტალები კიდევ უფრო ამყარებს იმ პირვანდელ პოზიციას, რაც ჩვენს ანგარიშში იყო ასახული. საუბარია იმაზე, რომ ამ ყველაფრის ორგანიზება ხდებოდა საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან. ეს არ ყოფილა შემთხვევითობა, ეს იყო საკმაოდ კარგად და მაღალ დონეზე დაგეგმილი ქმედება.

**- რა მიზნით?**

- როდესაც დავდებთ ყველა ფაქტს, გაცილებით ადვილი იქნება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ამ ეტაპზე გამიჭირდება ვისაუბრო კონკრეტულ მიზნებზე. ჩვენი მთავარი მიზანი არის სწორედ ის, რომ გამოძიებას დავეხმაროთ რაღაც საკითხების გარკვევაში. ვიცი, რომ სამართალდამცველი უწყებები ძიებას აგრძელებენ, თუმცა შედეგი კვლავ არ ჩანს. ამავე დროს არსებობენ მოწმეები, არსებობს ძალიან ბევრი გარემოება, რასთან დაკავშირებითაც ჩვენ უფრო მოქნილები ვართ. ადამიანები ჩვენთან გაცილებით გახსნილად საუბრობენ, ვიდრე საგამოძიებო ორგანოებთან. ამ ჯგუფის ეფექტურობაც სწორედ ამაზეა დამოკიდებული. იგივე ჩეჩნური დიასპორა, ქისტები უფრო თავისუფლები არიან ჩვენთან კომუნიკაციის დროს ვიდრე შსსთან. ვფიქრობ, ეს მონენტი იქნება გადამწყვეტი საბოლოო შედეგის მისაღებად.

**- ერთია რას აცხადებენ მოწმეები, მაგრამ მეორეა - მტკიცებულები... რა მტკიცებულებებზე მიუწვდება თქვენს კომისიას ხელი? თუ გაქვთ დაშვება რაიმე სახის მსგავს მასალებზე?**

- გამოძიების მტკიცებულებებზე ჩვენ ინფორმაცია არ გვაქვს. რა თქმა უნდა, რაღაც მასალები გამოვითხოვეთ, მაგრამ რა მიმართულებით და მტკიცებულებებზე მუშაობს გამოძიება ამის შესახებ მე ვერაფერს გეტყვით.

**- რა სახის იურიდიული ძალა ექნება თქვენს დასკვნას? თუ ეს იქნება მხოლოდ შეფასება?**

- შეიძლება ითქვას, რომ ეს იქნება გარკვეულწილად სარეკომენდაციო ტიპის დასკვნა. არანაირი სავალდებულო ძალა მას გამოძიებისთვის არ ექნება. შედარებისთვის რომ ვთქვათ, ეს იქნება ერთგვარად ჟურნალისტური გამოძიების მსგავსი. მოგეხსენებათ, ჩვენს ჯგუფში ჩართულია ყველა ის ექსპერტი, რომელიც ამა თუ იმ დოზით კომპეტენტურია და ჰქონია შეხება ამ თემატიკასთან. აქედან გამომდინარე, იმედი მაქვს, რომ ეს დასკვნები იქნება საინტერესო როგორც გამოძიებისთვის, ისე საზოგადოებისთვის.

**- არის მოსაზრება, რომ მთელი ეს პროცესი და საუბრები იმაზე, რომ სპეცოპერაცია დაგეგმილი იყო ქართული მხარის მიერ, სერიოზულ დარტყმას აყენებს სახელმწიფო ინტერესებს... რამდენად იქნება ეს მომენტი გათვალიწინებული თქვენს საბოლოო დასკვნაში?**

- მე ვარ უფლებადამცველი და ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებები. ის, რომ სამი ქართველია გარდაცვლილი და ოჯახის წევრებს დღემდე არ აქვთ მიღებული გარდაცვალების მოწმობა, არა აქვთ ინფორმაცია რეალურად რას შეეწირნენ ეს ადამიანები, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. იგივე შემიძლია გითხრათ დანარჩენებზეც. თავიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ გარდაცვლილია 8 პიროვნება, შემდეგ 11-ზე იყო საუბარი. სინამდვილეში დღესაც არავინ იცის რეალურად რამდენი ადამიანი დაიღუპა მეორე მხრიდან. ოფიციალური ციფრებიც კი, რომელსაც აქვეყნებდა შსს ერთმანეთისგან განსხვავდება. არ არის გაცემული პასუხი კითხვაზე რამდენად იყო საჭირო ძალის გამოყენება. სიცოცხლის უფლება არის ყველაზე ფუნდამენტური უფლება და არ მესმის რატომ არ უნდა იყოს დაცული ეს უფლება. ეს არის ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. თუ მოხდება სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლების ხელყოფა, უნდა იყოს ახსნილი საზოგადოებისთვის. უნდა გაირკვეს, ხომ არ იყო გადამეტებული ძალა გამოყენებული. როდესაც არსებობს კითხვები, მას პასუხი უნდა გაეცეს. ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი. მესმის, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებობს რაღაც რისკები, მაგრამ ჩემთვის უმთავრესია ამ ადამიანების უფლებები. დღემდე ოჯახებს არ მიუღიათ პასუხი თუ რატომ დახოცეს მათი შვილები.

**„პრობლემატური საკითხები ნამდვილად იყო ამ ეპისტოლეში. მაგალითად, იყო ფრაზა, როგორ შეიძლება ბედნიერი იყოს ოჯახი, სადაც სუროგაციის და ხელოვნური განაყოფიერების გზით იბადება ბავშვი. ასეთი განცხადების გაკეთებისას უფრო მეტი სიფრთხილეა საჭირო, მით უმეტეს, როდესაც საუბარია ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურაზე და გავლენიან ინსტიტუტზე. როგორც ჩემთვის ცნობილია, სუროგაციის გზით 3 ათასზე მეტი ბავშვია მოვლენილი და როდესაც ასეთი განცხადება კეთდება, ეს მათი სტიგმატიზაციის რისკს აჩენს“**

**- როგორ ფიქრობთ, რატომ ჭიანურდება გამოძიება?**

- არ გამოვრიცხავ და შესაძლოა იმდენად მძიმე სურათი დაიდოს გამოძიების შედეგად, რომ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე დადგეს არჩევანი - ღირს თუ არა ამ ყველაფრის გამოქვეყნება. როგორც ჩანს, საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ამ საკითხის გათვალისწინებაც ხდება. მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩემთვის მთავარი და უმნიშვნელოვანესია კონკრეტული ადამიანი, ინდივიდი და მისი უფლებები. მე მიმაჩნია, რომ დაუსჯელობა არის ყველაზე დიდი დანაშაული. თუკი ვიღაც მოკლეს და უკანონოდ იქნა სიცოცხლის უფლება ხელყოფილი, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დადგეს დამნაშავის პასუხისმგებლობის საკითხი. რაც არ უნდა მწვავე თემა იყოს და როგორც არ უნდა უკავშირდებოდეს ის უსაფრთხოებას, ადამიანი უნდა იყოს ნომერ პირველი პრიორიტეტი. უსაფრთხოების თემაზე უფლებადამცველები არ საუბრობენ, ეს სხვა სტრუქტურების პრეროგატივაა. ჩემი პოზიციაა, რომ რაც არ უნდა მძიმე იყოს რელობა, მას თვალი უნდა გავუსწოროთ.

**- რაც შეეხება პენიტენციალურ სისტემას... ამჟამად რა პრობლემები არსებობს ქართულ ციხეებში?**

- ძირითადი პრობლემა მაინც სამედიცინო მომსახურებას უკავშირდება. ძალიან ბევრი ცვლილება მოხდა უკეთესობისკენ, მაგრამ კვლავაც ბევრი რამ არის ამ მიმართულებით გასაკეთებელი. დაფიქსირდა რამდენიმე ფაქტი ადმინისტრაციის მხრიდან გადაცდომის თუ დანაშაულის შემცველი ქმედების, იყო რამდენიმე ფაქტზე რეაგირებაც. გასულ წელს, ასევე ჩანდა მაყურებელთა ინსტიტუტის ნიშნები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, თუმცა ეს არ მიმაჩნია რაიმე განსაკუთრებულ პრობლემად. მთავარი ის არის, რომ სისტემური პრობლემა, რომელიც გამოიხატებოდა არაადამიანურ მოპყრობასა და წამებაში, აღმოფხვრილია. ასევე მოხსნილია გადატვირთულობის პრობლემა, რომელიც წლების განმავლობაში საკმაოდ აქტუალური გახლდათ.

**- გასული ერთი წლის განმავლობაში თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რომელი უწყებაა ყველაზე პრობლემატური და რომელ სამინისტროს გაუგზავნეთ ყველაზე მეტი რეკომენდაცია?**

- სხვათა შორის, სწორედ ახლა ვაწარმოებთ შესწავლას იმის გასარკვევად, თუ რომელი რეკომენდაციები იქნა შესრულებული ამა თუ იმ უწყების მიერ. უახლოეს დღეებში გავაცნობთ ამას საზოგადოებას. გასულ წელს 111 რეკომენდაცია იქნა მომზადებული, სამწუხაროდ, ჩვენ მიერ, მათი ნახევარი არ შესრულებულა. ზოგადად, ყველაზე მეტი წილი მაინც სამართალდამცველ სტრუქტურებზე მოდის.

**- აქვე მინდა გკითხოთ გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით... როგორც ცნობილია, თქვენ აწარმოებთ მონიტორინგს სასამართლო პროცესებზე...**

- დიახ, ჩვენ თვალყურს ვადევნებთ ყველა სასამართლო პროცესს და შესაბამისად ყველა ის დარღვევა, რომელიც გამოვლინდა, ან გამოვლინდება, აისახება ჩვენს ანგარიშში. საპარლამენტო ანგარიში მარტის ბოლოს იქნება პარლამენტში წარდგენილი და იქ იქნება დეტალურად ყველაფერზე საუბარი.

**- ვანო მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის თემას რაც შეეხება, როგორც ცნობილია, თქვენ პირადად ესაუბრეთ მერაბიშვილს ამ თემაზე... თუ აგრძელებთ მუშაობას ამ მიმართულებით?**

- ჩვენ ველოდებით რა შედეგებს აჩვენებს მოკვლევა. იმედი მაქვს, უახლოეს დღეებში იქნება კონკრეტული დასკვნა. ცხადია, ჩვენ ვაგრძელებთ ამ საქმეზე მონიტორინგს. ჩვენიც და საზოგადოების ინტერესიც საკმაოდ მაღალი ამ საქმესთან მიმართებაში.

**- ახალი ხელისუფლების პირობებში რამდენად ხშირია პოლიტიკური ნიშნით ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები?**

- სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები ნამდვილად ფიქსირდებოდა, თუმცა გამიჭირდება ამას დავარქვა პოლიტიკური დევნა. გათავისუფლებები განსაკუთრებით ხშირი იყო ადგილობრივ თვითმმართველობებში, რაც აისახება კიდეც ჩვენს ანგარიშში და სპეციალური თავი დაეთმობა.

**„შემიძლია გითხრათ, რომ მალე საზოგადოებისთვის ძალიან ბევრი საინტერსო დეტალი გახდება ცნობილი. მათ შორის ისეთი, რომელზეც აქამდე არც ყოფილა საუბარი. ეს დეტალები კიდევ უფრო ამყარებს იმ პირვანდელ პოზიციას, რაც ჩვენს ანგარიშში იყო ასახული. საუბარია იმაზე, რომ ამ ყველაფრის ორგანიზება ხდებოდა საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან“**

**„ის, რომ სამი ქართველია გარდაცვლილი და ოჯახის წევრებს დღემდე არ აქვთ მიღებული გარდაცვალების მოწმობა, არა აქვთ ინფორმაცია რეალურად რას შეეწირნენ ეს ადამიანები, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.“**

**„ოფიციალური ციფრებიც კი, რომელსაც აქვეყნებდა შსს ერთმანეთისგან განსხვავდება“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვინ შეადგინა პატრიარქის საშობაო ეპისტოლე?

**საპატრიარქო კიდევ ერთხელ ჩადგა თავდაცვის პოზიციაში. პატრიარქის საშობაო ეპისტოლეს დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა.**

საზოგადოების ერთი ნაწილი პატრიარქის ქადაგებას ხმამაღალი კრიტიკით შეხვდა, პოზიცია არც მეორე მხარემ დათმო და დაპირისპირებამ საპატრიარქოსთან გადაინაცვლა. მოხდა ფიზიკური შეხლა-შემოხლა, ვითარების განმუხტვა ძალოვანებს მოუწიათ.

მთელი ამ ხმაურის და აჟიოტაჟის მიზეზი, ხელოვნურ განაყოფიერებასა და სუროგაციაზე, ეპისტოლეში მოყვანილი პასაჟი გახდა, რომელმაც ერთი პასუხგაუცემელი კითხვა გააჩინა - ვინ შეადგინა პატრიარქის საშობაო ეპისტოლე და ხომ არ ემსახურებოდა ეს სკანდალი საპატრიარქოსა და უწმინდესის როლის დისკრედიტაციას. გაზეთმა „ალიამ“ ინკოგნიტო წყაროზე დაყრდნობით ხელი პატრიარქის მდივან-რეფერენტისკენ, შორენა თეთრუაშვილისკენ გაიშვირა, რომლის უკანაც, როგორც „ალიას“ წყარო იუწყება, რუსული სპეცსამსახურების ინტერესი დგას. აი, რას წერს გაზეთი „ალია“ - „შორენა თეთრუაშვილს ეპისტოლეს შედგენასა და რუსეთის „კგბ“-სთან კავშირში ამხელენ“.





## „ეს იცის მხოლოდ პატრიარქმა და თავად შორენა თეთრუაშვილმა“

„კგბ“-ს მიერ შორენა თეთრუაშვილის ,,დავერბოვკება“ მოხდა 70-იანი წლების ბოლოს, თუმცა 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თეთრუაშვილის საქმე მოსკოვში გაიტანეს“. ვინ არის პატრიარქის მდივან-რეფერენტი და რატომ ადანაშაულებენ მას რუსეთის მითითებით, უწმინდესის დისკრედიტაციაში?

რისი მიღწევა სურდათ ამ თემის წამოწევით და მართლაც იკვეთება თუ არა რუსული კვალი ეპისტოლეში - კითხვის ავტორი ბევრია, თუმცა პასუხისგამცემი ცოტა. თუ რუსული სპეცსამსახურების მეთოდიკით ვიმსჯელებთ, მათთან კავშირში წარსულს თუ გადავხედავთ, არაერთი სასულიერო პირი უმხელიათ. ერთ-ერთ ინტერვიუში მამა თეოდორე ამბობს: „საბჭოთა კავშირის პერიოდში სპეციალური განყოფილება იყო, რომელიც სასულიერო სემინარიას აკონტროლებდა. მაშინ ძალიან ბევრი აგენტი დანერგეს სამღვდელო პირებს შორის. მათ მიერ დანერგილი აგენტები მოწოდებით მღვდლები და ეკლესიის მსახურნი ვერ იქნებოდნენ. ამ ხალხის მცირე ნაწილი კიდევ შემორჩენილია...“

ვინ არის შემორჩენილი აგენტი და არის თუ არა ეს იმ ბრძოლის გაგრძელება, რომელიც ქვეყანაში არეულობის შემოტანას ემსახურება, რისთვისაც ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურას და საზოგადოების ნდობით აღჭურვილ ინსტიტუციას იყენებენ.



კითხვაზე ვის შეეძლო პატრიარქის ეპისტოლეში სკანდალური პასაჟის ჩასმა, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ გამგეობის წევრი გიორგი მშვენიერაძე ამბობს, რომ რეალურად „ვინ შეადგინა ეპისტოლე ეს იცის მხოლოდ პატრიარქმა და თავად შორენა თეთრუაშვილმა, სხვას ვერაფერს ვიტყვი“.



თეოლოგი ბექა მინდიაშვილი კი აცხადებს, რომ „ეს არის პატრიარქის ეპისტოლე და მნიშვნელობა არ აქვს ვინ შეადგინა ის, მთავარია, რომ საზოგადოების რეაქცია იყო სწორი“.







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა ჯგუფი დგას საპატრიარქოს სკანდალის უკან

**my View**
თამარ გორთამაშვილი

საშობაო ეპისტოლეში, „ინ-ვიტრო“ განაყოფიერებისა და სუროგაციის თემის ირგვლივ ხმაური არ წყდება. სამოქალაქო სექტორის ერთ ნაწილს ეპისტოლეს ეს პასაჟი მიუღებლად მიაჩნია, გარკვეული ჯგუფი კი გამოთქმულ მოსაზრებას ეთანხმება. საკითხის ირგვლივ დაპირისპირებამ პიკს საპატრიარქოსთან გამართულ საპროტესტო აქციაზე მიაღწია, სადაც საქმე ფიზიკურ დაპირისპირებამდეც მივიდა. როგორ მოხვდა ეს თემები პატრიარქის საშობაო ეპისტოლეში, არის თუ არა რეალური საფრთხე ინ-ვიტრო განაყოფიერებით დაბადებული ბავშვების სტიგმატიზაციის, ვინ გაუწია არაკვალიფიციური რეკომენდაცია პატრიარქს და იყო თუ არა საზოგადოების ერთი ნაწილის რეაქცია ხელოვნურად შექმნილი სკანდალის შედეგი, რაც მიზნად ისახავდა ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ინსტიტუტის – საპატრიარქოს დისკრედიტაციას? პირველი განცხადება მთავრობიდან ამ თემაზე ჯანდაცვის მინისტრმა გააკეთა. დავით სერგეენკომ განაცხადა, რომ ინ-ვიტრო განაყოფიერების თემა ძალიან სპეციფიკურ და ფაქიზ მიდგომას საჭიროებს, ამიტომ ექსპერტებს, რომლებმაც ილია მეორეს კონსულტაცია გაუწიეს, უფრო ღრმა ანალიზი უნდა გაეკეთებინათ.



# ვინ არიან ის ექსპერტები, ვინც პატრიარქს ინ-ვიტრო განაყოფიერებისა და სუროგაციის თემაზე სკანდალური რეკომენდაცია გაუწიეს

**EXCLUSIVE**

**დავით სერგეენკო: „ან მთლიანობაში ვერ ხედავს საზოგადოება პრობლემების არსს, ან რალაც კონკრეტული ინტერესია, რომ სწორედ ეს საკითხი დადგეს ლუპის ქვეშ და მოხდეს მისი ხელოვნური ანგაჟირება“**

# ხმაური საშობაო ეპისტოლესთან დაკავშირებით არ ცხრება

მინისტრი ამბობს, რომ ხელოვნურ განაყოფიერებასთან დაკავშირებით სამეცნიერო წრეებში დისკუსია დღემდე გრძელდება, რადგან რამდენიმე განაყოფიერებული კვერცხუჯრედიდან ერთი კვერცხუჯრედის განვითარებით სხვა კვერცხუჯრედები ილუპება, რაც ეთიკური დილემის წინაშე აყენებს ბიოლოგებს. სერგეენკო იმ ექსპერტების არასაკმარის ანალიზზე საუბრობს, ვისი რჩევითაც ეპისტოლეში საკითხი არასწორი ფორმულირებით მოხვდა.

რა ჯგუფი დგას საპატრიარქოს სკანდალის უკან, ვინ არიან ის ექსპერტები, ვინც პატრიარქს ინ-ვიტრო განაყოფიერებისა და სუროგაციის თემაზე სკანდალური რეკომენდაცია გაუწიეს და რა რეალური პრობლემა დგას საზოგადოების წინაშე? ჯანდაცვის მინისტრი „პრაიმტაიმს“ ექსკლუზიურ ინტერვიუს აძლევს.

**დავით სერგეენკო:**

„ვვარაუდობ, თუმცა არ ვიცი, რომელი ექსპერტები მონაწილეობდნენ ამაში... ისინი, ვინც ეს რეკომენდაცია, ეს ანალიზი მიაწოდეს პატრიარქს, ალბათ, ვალდებულნი იყვნენ, უფრო ღრმად ჩაეხედათ ამ საკითხში. უფრო ყოვლისმომცველი და დახვეწილი ანალიზი გაეკეთებინათ ასეთი ფაქიზი თემის. ეს ძალიან სპეციფიკური სამეცნიერო ტექნოლოგიაა. ადამიანების რეაქცია ამ თემაზე ერთგვარად მარგინალურია. თან ადამიანების იმ ჯგუფისგან, ვინც, ჩემი აზრით, საკითხის სპეციფიკაში ჩახედული არ არიან. ხელოვნური განაყოფიერება უკვე 36-ე წელია დანერგილია მედიცინაში. ეს ტექნოლოგია 1978 წლიდან მუშაობს და ახლაც უამრავი დისკუსიაა სამეცნიერო წრეებში ამ საკითხზე. ინ-ვიტროს ავტორი რობერტ ედუარდსი 2010 წელს ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა, მაგრამ მიუხედავად ასეთი მასშტაბური ტექნოლოგიისა და მეცნიერებაში უმაღლესი რანგის ჯილდოს მოპოვებისა, უშუალოდ ტექნოლოგიის ავტორიც კი სიცოცხლის ბოლო წლებამდე ტოვებდა უამრავ კითხვას აღნიშნულ ტექნოლოგიასთან დაკავშირებით. დღესაც ინტენსიური დისკუსია მიმდინარეობს საფრთხეებზე, ხანგრძლივ შედეგებზე და საფრთხე არსებობს არა მარტო რელიგიური, არამედ ბიოეთიკური თვალსაზრისითაც. ეს არის თემა, რომელიც პრობლემურად შეიძლება ჩაითვალოს და მას ღრმა და ექსპერტული ანალიზი სჭირდება.

2010 წლის მდგომარეობით, მსოფლიო მასშტაბით 4 მილიონზე მეტი ადამიანი იყო დაბადებული ამ გზით. სამწუხაროდ, საქართველოში ასეთი სტატისტიკა არ იწარმოება, შესაბამისად, კონკრეტულ ციფრებს ვერ დაგისახელებთ“.

დავით სერგეენკოს განცხადებით, პატრიარქის საშობაო ეპისტოლეში, სუროგაციის თემის გარდა, რეალურად უმნიშვნელოვანესი საკითხები იყო წამოწეული. მისი შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი შერჩევითი აბორტის თემა იყო, რომელსაც საზოგადოების მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია, მაშინ როდესაც ხელოვნური განაყოფიერებისა და სუროგაციის თემაზე ხმაური ატყდა. მინისტრი ეჭვს გამოთქვამს, რომ საკითხი ხელოვნურად იყო ანგაჟირებული.

**დავით სერგეენკო:** „მე ვერიდები შეთქმულების თეორიებზე საუბარს, თანაც აბსოლუტურად უცნობია ჩემთვის, თუ საპატრიარქოში ასეთი რამ ხდება. ამიტომ ჩემი შეხედულება უფრო რაციონალური და პრაგმატულია – აქ ექსპერტული ანალიზის დეფიციტი იყო, ვიდრე შეთქმულების თეორია.

როდესაც ვამბობ, რომ ეს არის ძალიან სპეციფიკური თემა, რომელიც ფაქიზ მიდგომას საჭიროებს, სწორედ ამას ვგულისხმობ. საკითხები რომ განვაზოგადოთ, გეტყვით, რომ არსებობს დიქოტომური პასუხები, რომელსაც შეიძლება გაეცეს პასუხი – კი ან არა. ასევე, არსებობს არადიქოტომური საკითხებიც, რომლებზეც, უბრალოდ, ვერ იტყვი, თეთრია თუ შავი, რადგან მასში გარდამავალი გრადაციებია. ეს საკითხი – სუროგაცია და ხელოვნური განაყოფიერება არ მიეკუთვნება დიქოტომურ საკითხებს, იმიტომ რომ ახლაც კი სამეცნიერო სფეროებში მიდის მსჯელობა. შესაბამისად, მე მოდელირებას ვერ გავაკეთებ, ექსპერტთა ჯგუფს რომ უკეთესი ანალიზი ჩაეტარებინა, საერთოდ გაქრებოდა თუ არა ეპისტოლედან ეს წინადადება.

**– რა გავლენას მოახდენს ეს მოწოდება საზოგადოებაზე?**

– პატრიარქის საშობაო ეპისტოლე იყო დიდი მოცულობის გზავნილი, მასში მოყვანილი ათეულობით აქტუალური და სწორად გაშუქებული საკითხით. მე ძალიან გამიჭირდება, რომ ერთი მხრიდან შევხედო მას. მე ამას უფრო სისტემურად ვუყურებ, ვხედავ, როგორც ერთ მთლიანს და გამოვხატე კიდეც ჩემი გულისტკივილი, რატომ იყო საზოგადოების ყურადღება ასეთი მარგინალური მხოლოდ ამ ერთი საკითხის მიმართ, მაშინ როდესაც იქ უამრავი არანაკლებ და კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანი საკითხი იყო, იგივე აბორტის თემა... სამწუხაროდ, ამაზე არავინ ამოიღო ხმა. ეს არის ჩემთვის ყველაზე დიდი კითხვა, რომელზეც ამ წუთში პასუხი არ მაქვს.

**– საზოგადოების ერთი ნაწილის მხრიდან გამოითქვა შეშფოთება, რომ მოხდება ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებული ადამიანების სტიგმატიზაცია, თქვენ ხედავთ ამ საფრთხეს?**

– ესეც მარგინალური დამოკიდებულებაა, იმიტომ რომ უამრავი ნაშვილები ბავშვია და საზოგადოებაში მათი სტიგმატიზაცია არ ხდება, რადგან ამ საკითხს ოჯახი ძალიან სათუთად და ფაქიზად ეპყრობა. ვფიქრობ, რომ ამ ერთი წინადადების გამო არავინ გამოვა ქუჩაში და თითს არ გაიშვერს ბავშვებისკენ, რომ „შენ ხარ დაბადებული ხელოვნური განაყოფიერებით“. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს მარგინალიზებული დამოკიდებულებაა... ისევ და ისევ, არ მინდა შეთქმულების თეორიებზე საუბარი, მაგრამ ალოგიკურია ჩემთვის, როდესაც აქ მართლაც სკანდალური თემა დევს – არჩევითი აბორტები, რომელიც ქვეყანას ანგრევს, ამაზე ხმას არავინ იღებს და არის დიქოტომური და მარგინალური მსჯელობა სუროგაციაზე. ან მთლიანობაში ვერ ხედავს საზოგადოების ნაწილი პრობლემების არსს ან რაღაც კონკრეტული ინტერესია, რომ სწორედ ეს საკითხი დადგეს ლუპის ქვეშ და მოხდეს მისი ხელოვნური ანგაჟირება“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვინ და რატომ აწი

ქეთი ხატიაშვილი

**„კანონიერი ქურდების“ თემა, როგორც ჩანს, აქტუალური მანამ იქნება, სანამ საქართველოში რუსეთის გავლენის ქვეშ არსებული ძალები, ან ფინანსებით დაინტერესებული ცალკეული ფიგურები (შეიძლება ერთიც და მეორეც) ამ საკითხს ხან ღიად და ხანაც დაფარულად ლობირებენ.**

**„კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტი არის სწორედ ის სისტემა და მექანიზმი, რითაც საბჭოთა კავშირი ვითარებას აკონტროლებდა. პუტინი არ არის პოლიტიკოსი, ის „კაგებეშნიკია“ და შესაბამისად, დემოკრატიული მმართველობა მისთვის მიუღებელია. ამიტომაც „კანონიერი ქურდების“ თემა დღის წესრიგში მუდმივად დგას.**

**ეს თემა უკვე იმდენად გაშიფრულია, რომ ქურდების ლობირებას ღიად ნანა კაკაბაძეც კი ვერ ბედავს. ის დიდხანს ამტკიცებდა, რომ ციხეებში პატიმრების შიმშილობა და კანცელარიის წინ პოლიტპატიმრების აქციების დაწყება არანაირად არ იყო დაკავშირებული 223-ე პირველ პრიმა მუხლთან.**



თუმცა, როცა საქმეში, სრულიად მოულოდნელად, ვახტანგ ხმალაძე ჩაერთო, ეს უკვე სერიოზული სიგნალი იყო ხელისუფლებისთვის. ყოველ შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრი პირველი მიხვდა, რომ თემამ ქუჩიდან ხელისუფლებაში გადაინაცვლა.

**ეს განცხადება კი ვახტანგ ხმალაძემ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გააკეთა. რამდენიმე დღის წინ მან პირდაპირ თქვა:**

– სისხლის სამართლის კოდექსის 223/1-ე მუხლში, კანონში ჩადებული ნორმა ე.წ. განსაზღვრულობის პრინციპს ვერ აკმაყოფილებს. კანონის ეს ნორმა არ მომწონს და თავის დროზე, როცა შემოიღეს, ძალიან კრიტიკულად ვუდგებოდი. ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება უნდა იყოს შეფასებითი, თუ რა არის ეს. კანონში ჩადებული ნორმა ვერ აკმაყოფილებს ე.წ. განსაზღვრულობის პრინციპს და ჩემთვის ეს არის მნიშვნელოვანი და პრობლემური. ზუსტად უნდა განისაზღვროს, რა არის „კანონიერი ქურდობა“ და ქურდული მენტალიტეტი და უშუალოდ დაკავშირებული უნდა იყოს კონკრეტულ მოქმედებასთან, რომლის გამოც შეიძლება პირი გასამართლდეს. უტრირებას გავაკეთებ და ვიტყვი, რომ იმის გამო, რომ, ვთქვათ, მე მომწონს ქურდები და მომწონს ქურდული ურთიერთობები, არ შეიძლება, ციხეში ჩამსვან, – **ეს განცხადება ხმალაძემ 8 იანვარს „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გააკეთა.**

– მე მსგავსი არაფერი მითქვამს, კარგად წაიკითხეთ ჩემი კომენტარი... ნუ ახდენთ სიტყვების ინტერპრეტაციას... მე არ მითქვამს, რომ კანონი აუცილებლად უნდა შეიცვალოს... – **ეს ფრაზა კი ვახტანგ ხმალაძემ 10 იანვარს თქვა.**

უკვე ორი დღის შემდეგ ხმალაძემ არათუ შეცვალა საკუთარი ნათქვამი, არამედ იმის გამბედაობაც ეყო, ვითარებიდან მშრალად გამოსასვლელად ყველაფერი ჟურნალისტებისთვის დაებრალებინა. **ვახტანგ ხმალაძემ „პრაიმტაიმთან“ საუბარში თქვა:**

– იმიტომ, რომ ჩემ მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, როცა ჟურნალისტები აკეთებენ უპასუხისმგებლო, არასწორ კომენტარებს და ასე აწვდიან საზოგადოებას, მერე ვიღაცები არასწორ კომენტარებზე აკეთებენ შესაბამისად არასწორ რეაქციას. მე არ მინდა, რომ ასეთივე მდგომარეობაში აღმოვჩნდე. ჩემი პასუხი კითხვაზე, რომელიც დამისვა ჟურნალისტმა პრესკონფერენციის დროს, იყო გაშუქებული არასწორად ზოგიერთის მიერ, ყველას მიერ არა. ზოგმა სწორად გააკეთა, ზოგმა არასწორად გააკეთა, ამან გამოიწვია ქარიშხალი ჭიქაში...

ვახტანგ ხმალაძე ახლა ჩვეულებრივი პოლიტიკური ფიგურა არ არის, ის არც უბრალო დეპუტატია. „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი იურიდიულ საკითხთა კომიტეტს თავმჯდომარეობს და შესაბამისად, ყოველი მისი სიტყვა და ფრაზა სხვაგვარ დატვირთვას იძენს.

მაგრამ საინტერესოა, თუკი ჟურნალისტებმა მისი ფრაზა არასწორად გაიგეს და მთელი მედია ამ სკანდალურ ფრაზას ატრიალებდა, რატომ არ გააპროტესტა დეპუტატმა ის მაშინვე? რატომ გაბრაზდა ვახტანგ ხმალაძე მაშინ, როცა ორ დღის შემდეგ 2014 წლის მთავრობის პირველივე სხდომაზე „კანონიერი ქურდების“ თემას პრემიერი გამოეხმაურა? ეგრეთწოდებული ქარიშხალიც ჭიქაში მხოლოდ მაშინ ატყდა.

**ირაკლი ღარიბაშვილი** ამ კანონის მიმართ საკმაოდ პრინციპული იყო. მან თქვა, რომ „კანონიერ ქურდობასთან“ დაკავშირებული სისხლის სამართლის კოდექსი არ გადაიხედება

– „კანონიერი ქურდების“ თემა ვინ აწია? – ამ კითხვით პრემიერმა თათბირზე სოზარ სუბარს მიმართა და დასძინა,

– გაუგებარია, რატომ კეთდება მსგავსი უპასუხისმგებლო განცხადებები... ქურდულ სამყაროსთან მიდგომა არ გადაიხედება.

სოზარმა თათბირზე ზოგადი განცხადება გააკეთა, თუმცა მოგვიანებით დააზუსტა, რომ თემა ნაციონალებმა წამოსწიეს და რომ ისინი ყოველთვის იყვნენ „კანონიერ ქურდებთან“ შეკრულები. მინისტრმა ისიც თქვა, რომ მას ამ მიმართულებით ფაქტებიც აქვს. ფაქტებზე ყურადღება არ გაუმახვილებია, თუმცა, თავის მხრივ, დასძინა, რომ ახალი ხელისუფლება გაასწორებს იმას, რაც ნაციონალებს არასწორად ესმოდათ.

– პრაქტიკა, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ იყენებდა, არ იყო სწორი, მაგრამ მიდგომა არ გადაიხედება არანაირად. ეს არის არა ჩემი, არამედ ხელისუფლების დამოკიდებულება. ის, რომ არასწორი პრაქტიკა იყო, არ იძლევა გადახედვის საფუძველს. თუ რაიმეს დახვეწა იქნება კანონით შესაძლებელი, კანონმდებლობა ყოველთვის იხვეწება...

ირაკლი ღარიბაშვილი „კანონიერი ქურდების“ მიმართ თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას, შეიძლება ითქვას, არასოდეს მალავდა. მაშინაც კი, როცა დავით უსუფაშვილმა ფართო ამნისტიას ისტორიული უწოდა, ღარიბაშვილმა ეს სია გააპროტესტა. მოგვიანებით, ისიც გახდა ცნობილი, რომ ამნისტირებულთაგან ყველას, ვისი რეპუტაციაც ამ მხრივ საეჭვო იყო, საქართველო დაატოვებინეს. სკანდალი მაშინაც აგორდა, როცა „დედ ჰასანი“ გარდაიცვალა და მის ცხედარს თბილისისკენ „კანონიერი ქურდები“ მოაცილებდნენ. თბილისის აეროპორტმა თვითმფრინავი არ მიიღო.

**„რუსთავი 2“-ის გადაცემა „პოზიციაში“ სტუმრობისას კი ღარიბაშვილმა განაცხადა:**

– არც ერთი „კანონიერი ქურდი“ საქართველოში არ იმყოფება. მათ იციან, რომ აქ არ დაედგომებათ. ჩვენ ვერ ვგრძნობთ თავს კომფორტულად კრიმინალებთან. ისინი ან ციხეში უნდა იყვნენ, ან არ უნდა იყვნენ ჩვენს ქვეყანაში.

კანონში ცვლილების შეტანა და „კანონიერი ქურდის“ ამოღება, სულ მცირე, ამ ინსტიტუტის ლეგიტიმაციას ნიშნავს. ახლა სამართალდამცავებს მოეთხოვებათ, ასეთ შემთხვევებზე რეაგირება მოახდინონ. თუკი კანონი შეიცვლება და სისხლის სამართლის კოდექსში შესწორება შევა, მაშინ „კანონიერი ქურდობა“ დანაშაული აღარ იქნება და ისინი ძველი გავლენებისთვის ბრძოლას გააგრძელებენ, იმისთვის, რომ ხელისუფლებაზეც კონტროლი დააწესონ. როგორც ეს ცალკეულ შემთხვევებში შევარდნაძის დროს იყო, კიდევ უფრო შორს რომ არ წავიდეთ. მაშინ ხშირად იწერებოდა, როგორ ეგებებოდნენ შსს-ს მაღალჩინოსნები „კანონიერ



**გაზეთ „პრაიმტაიმის“ 250-ე ნომერში დაიბეჭდა სტატია, სათაურით: „ყველაზე ხმაურიანი მინისტრები“. სტატიაში საუბარია ერაყში დაღუპულ ჯარისკაცზე. ერაყის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს ავღანეთში მომხდარი შემთხვევა. დაკარგული ქართველი ჯარისკაცი რამდენიმე დღის შემდეგ გარდაცვლილი იპოვეს**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ა ქურდების თემა?




შეიძლება ითქვას, რომ ახლა აგორებულ კამპანიას ირაკლი ღარიბაშვილმა წერტილი დაუსვა. მთავრობაც და უმრავლესობაც მანამდე დუმდა, სანამ თემას რეაქცია პრემიერმა არ მისცა. როგორც ჩანს, მათ ან სულ არ აინტერესებთ, რა კომენტარები კეთდება კოალიციაში ან, უბრალოდ, არ იციან, ვახტანგ ხმალაძის უკან ვინმე მნიშვნელოვანი ფიგურა დგას თუ არა.

სხვათა შორის, რესპუბლიკელებში ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებები ხშირად კეთდება ხოლმე. ადრეც ასე იყო. მაშინ, როცა ვახტანგ ხმალაძე პრემიერისთვის უფლებების შეზღუდვის ინიციატივით გამოვიდა, კონსტიტუციაში ახალი შესწორებების შეტანის გზით, თინა ხიდაშელი ამ ინიციატივას გაემიჯნა – ეს საკითხი ხმალაძემ წამოწია და მას ჰკითხეთო. თუმცა, მეორედ ეს თემა აღარ გაჟღერებულა.

ახლა ძნელია იმაზე მსჯელობა, ვინ გაახმოვანა ვახტანგ ხმალაძემ. თუ ეს მხოლოდ მისი ინიციატივა იყო და ამ განცხადებით ის „რესპუბლიკური პარტიისა“ და მთლიანად კოალიციის პოლიტიკას დაუპირისპირდა? ძნელია რამის თქმა, თუნდაც იმიტომ რომ ხმალაძემ საკუთარ ნათქვამზე უკვე უარი თქვა.

**და მერვე საოცრება იქნებოდა, ამ თემას ნანა კაკაბაძე რომ არ გამოხმაურებოდა. ყველა, ვინც ნანას გაგებით ქურდულ სამყაროს ავიწროებს და ხელს უშლის, კაკაბაძისთვის მიუღებელი ხდება.**

– პრობლემა გაცილებით სერიოზულია, ვიდრე ერთი კონკრეტული მუხლი, რადგან აღმასრულებელი ხელისუფლება ბედავს, ასე ღიად და დაუფარავად ჩაერიოს საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციებში. ეს არ არის დამახასიათებელი დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, ეს არის ტოტალიტარული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი, რომ ყველაფერი უნდა იყოს ერთი ადამიანის ხელში. რა უფლება აქვს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს, ჩაერიოს საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაში? ირაკლი ღარიბაშვილი არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. ის არ არის საქართველოს დირექტორი. მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში აქვს ჩარევის უფლება. ჩვენ სააკაშვილის დროს ვამბობდით, რომ პარლამენტი იყო ნოტარიული, დღეს უკვე საჯარო რეესტრიც კი აღარ არის. რასაც ხელისუფლება ეტყვის, იმას არეგისტრირებს. გაოცებული ვარ, როცა ასე ღიად მიმდინარეობს ძალადობა პარლამენტზე, რას ჰგავს ეს, ეს არის დემოკრატია?

ისე, ვის ვის და ნანა კაკაბაძეს კი უნდა ახსოვდეს „კანონიერი ქურდის“ აფორიზმად ქცეული ფრაზა: დემოკრატია ლობიოობა არ არისო...

## ● ნანა კაკაბაძე ირაკლი ღარიბაშვილს დაუპირისპირდა

## ● ვახტანგ ხმალაძე კი ყველაფერში ჟურნალისტებს ადანაშაულებს

ქურდებს“ აეროპორტში ტრაპთან.

სოზარ სუბარის პოზიცია მაინც უცნაური იყო. მან თქვა, რომ ვახტანგ ხმალაძემ კი არ წამოწია თემა, არამედ ნაციონალებმა.

**ინფორმაციისთვის:** კანონი ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ, რომელიც ქურდულ სამყაროსთან ბრძოლასა და რეკეტის გზით შეძენილი ქონების ჩამორთმევას ითვალისწინებს, პარლამენტმა 2005 წელს მიიღო, სააკაშვილმა მას 2005 წლის 29 დეკემბერს მოაწერა ხელი. კანონი განსაზღვრავს ტერმინს „ქურდული სამყარო“. კერძოდ, ქურდული სამყარო არის იმ პირთა ერთობა, რომელიც სპეციალური წესების შესაბამისად მოქმედებს და მიზანია დაშინებით, მუქარით, ქურდული გარჩევების, დანაშაულის ჩადენისა ან წაქეზების გზით სარგებლის მიღება. ქურდული სამყაროს წევრებს ორგანიზებას „კანონიერი ქურდი“ უწევს.

ხელის მოწერის შემდეგ სააკაშვილმა თქვა: ვიღებთ ძალიან მკაცრ კანონს, რომელიც საშუალებას იძლევა, დადგინდეს, ვინ არის ეს (ე.წ კანონიერი ქურდები) ხალხი, მათ ჩამოერთვათ ქონება და ეს ქონება გადაეცეს სახელმწიფოს; საშუალებას იძლევა, ორგანიზებულ დანაშაულთა ჯგუფები დავშალოთ და დაისაჯოს ეს ხალხი... შეიძლება ისინი თავად არ კლავდნენ, არავის არ ძარცვავდნენ, მაგრამ მათი ხელმძღვანელობით ხდება მკვლელობები, საქმეების გარჩევა და ბიზნესში ჩარევა. ჩვენი მიზანია, რომ მათ ფინანსური ბაზა მოვუშალოთ.

ნაციონალებს ყველაზე მეტად სწორედ სოზარ სუბარის კომენტარი გაუკვირდათ. სოციალურ ქსელებში მას განსაკუთრებული კომენტარები მოჰყვა. ყველაფრის დაბრალება შეიძლება, მაგრამ „კანონიერი ქურდებისადმი“ ლოიალობაში ისინი ჯერ არ დაუდანაშაულებიათ.

**გიორგი ვაშაძე, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

– ხანდახან იურისტებს ავიწყდებათ და მარტო სამართლებრივი და იურიდიული თვალსაზრისით უყურებენ და არ უყურებენ პრაქტიკულ, პრაგმატული თვალსაზრისით, კანონპროექტსა და ცვლილებას. რეალურად, მოდით ვთქვათ, რა შედეგი მოგვიტანა ამ კანონის მიღებამ – დღეს საქართველო არის ერთ-ერთი უსაფრთხო ქვეყანა ევროპაში, საქართველოში არის ერთ-ერთი დაბალი კრიმინოგენური სიტუაცია, დღეს ქურდული გარჩევები არ ხდება საქართველოში, ფულსა და „ობშიაკებს“ არავინ აგროვებს. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ყველაფერი ეს იყო დანაშაული და ყველამ კარგად გაიგო ეს ყველაფერი... ამ ფონზე, ჩვენ თუ ამ კანონს გადავხედავთ, შეიძლება მივიღოთ ქუჩაში ზუსტად იგივე მდგომარეობა, რაც იყო 2003-2005 წლებამდე, როდესაც მანქანას გპარავდნენ და შემდეგ ქურდებთან გეუბნებოდნენ, იჩალიჩე „ვაზვრატზეო... არ მესმის ამ ადამიანების პოზიციის, ეს არის ძალიან პრაგმატული კანონი, ძალიან პრაგმატული მუხლებით, რომელიც ადასტურებს, რომ ჩვენ, ყველანი, ვცხოვრობთ უსაფრთხო გარემოში. თუ ამაზე ვიტყვით უარს, ეს ნიშნავს, რომ უსაფრთხოებაზე ვამბობთ უარს. ქურდი უნდა იჯდეს ციხეში, თქვას უარი ქურდობაზე და იქნება გარეთ, არანაირი პრობლემა არაა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რაზე გარიგდნენ კუბლაშვილი, ხატიაშვილი და უსუფაშვილი?



# მოწმეთა დაკითხვის წესი შესაძლოა, კიდევ ერთი სკანდალის მიზეზი გახდეს



EXCLUSIVE

მირიან ბოქოლიშვილი

**ქართულ პოლიტიკას კულუარული გარიგებები არასდროს აკლდა და როგორც ჩანს, არც მომავალში მოაკლდება. ამჯერად პოლიტიკურ კულუარებში მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის ირგვლივ არსებულ ფარულ გარიგებებზე საუბრობენ. როგორც ცნობილია, გასული წლის დეკემბერში პარლამენტმა 71 ხმით 25-ის წინააღმდეგ მიიღო გადაწყვეტილება მოწმის დაკითხვის ახალი წესის ამოქმედების ორი წლით, 2015 წლის 31 დეკემბრამდე გადავადების თაობაზე იმ ფონზე, როცა ამგვარი გადაწყვეტილების მიღებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ „ნაციონალური მოძრაობა“ და უფლებადამცველი ორგანიზაციები, მათ შორის ადვოკატთა ასოციაცია.**

მოწმის დაკითხვის ახალი წესი, რომელიც 2009 წელს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განისაზღვრა, თუმცა მისი ამოქმედება რამდენჯერმე გადაიდო, მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც, ითვალისწინებს გამოძიების პროცესში მოწმეთა მხოლოდ მოსამართლის წინაშე დაკითხვას ბრალდებისა და დაცვის მხარეთა თანდასწრებით. ამ წესის ამოქმედება 2013 წლის 31 დეკემბრიდან იგეგმებოდა. თუმცა კიდევ ორი წლით ძალაში დარჩა ამჟამად მოქმედი წესი, რომლის მიხედვითაც მოწმეები ვალდებულნი არიან, მისცენ ჩვენება ბრალდების მხარეს გამოძიების ეტაპზე, ხოლო მათ გამოუცხადებლობას შესაძლოა, მოჰყვეს სამართალდამცველ ორგანოებში იძულებით მიყვანა ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის, შესაძლოა, მათი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც დადგეს.

მმართველი გუნდის ერთ-ერთი წარმომადგენელი „პრაიმტაიმს“ უყვება იმ ფარული კონსულტაციების შესახებ, რომელიც ამ ინიციატივის ირგვლივ ამჟამადაც მიმდინარეობს „ნაციონალურ მოძრაობასა“ და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის. ჩვენი წყარო ყვება, რომ უახლოეს ხანში ნაციონალები, კერძოდ კი პალიკო კუბლაშვილი გეგმავს, პარლამენტს მოწმეთა დაკითხვის ახალი მოდელი შესთავაზოს, რომელიც 2009 წელს მიღებული ნორმისგან არსებითად არ განსხვავდება, თუმცა გათვალისწინებული იქნება რესპუბლიკელთა ინტერესები. ნაციონალების ინიციატივას, ცხადია, მთავრობისა და შესაბამისად, უმრავლესობის მხარდაჭერა არ ექნება. საჯაროდ ნეიტრალურ პოზიციას დაიჭერენ რესპუბლიკელებიც, თუმცა აქ უკვე პროცესებში აქტიურად ერთვება ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი, რომელიც ადვოკატთა კორპუსს მასობრივი პროტესტისკენ მოუწოდებს. ასეთია სქემა, რომელსაც მმართველი გუნდის წარმომადგენელი ანონიმურობის დაცვის პირობით გვიყვება.

გაურიგდა თუ არა დავით უსუფაშვილი „ნაციონალურ მოძრაობას“ და ზაზა ხატიაშვილს მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის შემოღებასთან დაკავშირებით, ამის დადასტურება, ალბათ, გაგვიჭირდება მაშინ, როდესაც ღიად არც ერთი მხარე არ საუბრობს, თუმცა უსუფაშვილის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე არ მალავს, რომ თავდაპირველად ახალი წესის გადავადებაზე მთავრობის წინადადების მიმართ მისი განწყობაც უარყოფითი იყო, თუმცა ამ ინიციატივას საბოლოოდ დასთანხმდა. ხმალაძემ განაცხადა, რომ „მას მოწმეთა დაკითხვის არც ახალი და არც მოქმედი წესი არ მოსწონს“. საბოლოოდ მან გადავადებას მხარი მაინც დაუჭირა, მიზეზად კი სასამართლოს მოუმზადებლობა დაასახელა, თუმცა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ცვლილებებისთვის სასამართლო მზად არის. წარადგენენ თუ არა ნაციონალები პარლამენტში მოწმეთა დაკითხვის ახალ მოდელს, ეს, ალბათ, მალე გაირკვევა. პარალელურად ვახტანგ ხმალაძის კომიტეტმა მთავრობას მიმართა რეკომენდაციით, რომ „მაქსიმალურად მოკლე ვადაში“ მომზადდეს მოწმეთა დაკითხვის სრულიად ახალი მოდელი, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს რაიმე სახის ზეწოლისგან მოწმეთა დაცვას და, მეორე მხრივ, არ დააზიანებს საგამოძიებო პროცესს.

ღარიბაშვილის მთავრობის პოზიცია ჯერჯერობით უცვლელია – ამ წესის კიდევ ორი წლით შენარჩუნება განპირობებულია იმით, რომ სასამართლო სისტემა არ არის მზად ახალი პროცედურების განხორციელებისთვის და ეს ხელს შეუშლის გამოძიების ეფექტურად წარმართვას. მთავრობაში ვარაუდობენ, რომ ამ წესის მოუმზადებლად ამოქმედებამ შესაძლოა, მთელი საგამოძიებო ორგანოების პარალიზება გამოიწვიოს, მათ შორის შსს-ს, პროკურატურისა და ფინანსური პოლიციის. „ნაციონალური მოძრაობა“ კი კანონის ამოქმედების გადავადებას პოლიტიკურ რეპრესიებს უკავშირებს და აცხადებს, რომ ეს გადაწყვეტილება „სრულ კარტბლანშს აძლევს“ პროკურატურას.

„ამით ხდება მომართვა რეპრესიული მანქანისა, რომ განადგურდეს პოლიტიკური ოპონენტი „ნაციონალური მოძრაობის“ სახით“, – ამბობს საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი გოკა გაბაშვილი.

გახდება თუ არა კიდევ ერთხელ სკანდალის მიზეზი მოწმეთა დაკითხვის ახალი წესი? აპირებს თუ არა უმცირესობა ახალი ინიციატივის წარდგენას და რეალურად მოხდა თუ არა გარიგება კუბლაშვილს, უსუფაშვილსა და ხატიაშვილს შორის? ამ თემებზე ჯერ მხოლოდ კულუარულად საუბრობენ. უმცირესობაშიც და უმრავლესობაშიც რაიმე ფარულ შეთანხმებას არ ადასტურებენ. კომენტარი არ გააკეთა არც ზაზა ხატიაშვილმა, რომელიც ერთ-ერთი აქტიური მოწინააღმდეგეა კანონის ამოქმედების გადავადების. როგორც ჩვენი ინფორმაციის წყარო ირწმუნება, რეალურად ზაზა ხატიაშვილი მისი ძველი მეგობრის, დავით უსუფაშვილის პოზიციებს ახმოვანებს და მთელი ეს პროცესი ღარიბაშვილის წინააღმდეგაა მიმართული.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება









Ⓐ





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



## my View

ხათუნა მგალობლიშვილი

**დავით ზურაბიშვილი არ არის ერთადერთი, ვისაც პატრიარქის ეპისტოლის მიმართ კითხვები გაუჩნდა. უფრო სწორად, განცდა, რომ ეპისტოლეში გაჟღერებული მოსაზრებები პირადად პატრიარქს არ ეკუთვნოდა. თავის მხრივ, ასეთმა ეჭვებმა საზოგადოების მეორე ნაწილი გაალიზიანა და საპატრიარქოსთან შეკრებილ „მოწინაალმდეგეებს“ მართლმადიდებლები ადგილზე დახვდნენ. სამართალდამცველების მიზანი და მოვალეობა იმ კონკრეტულ შემთხვევაში ერთადერთი იყო – პარალელურ რეჟიმში გამართული ორი აქცია მშვიდობიანად დასრულებულიყო.**

სუროგაციითა და ხელოვნური განაყოფიერებით გაჩენილი ბავშვების მოწინაალმდეგეები მედიის წარმომადგენლებსაც მტრებად მიიჩნევდნენ და ყველაზე სახიფათო პარალელებს ავლებდნენ. მაგალითად, ერთ-ერთი მომიტინგე ჟურნალისტს სუროგაციასა და ხელოვნურ განაყოფიერებას ასე უხსნიდა: ეს იგივეა, საკუთარი შვილისგან რომ გააჩინო შვილი...

ეპისტოლეში გაჟღერებულ მოსაზრებას ბევრად დიდხნიანი ისტორია აქვს. ის დაახლოებით 25 წლის წინათ დაიწყო და დღევანდელი ვერსიისგან რადიკალურად განსხვავდება. გიორგი კავკასიძე შვეიცარიაში მოღვაწე ექიმია. 25 წლის წინათ სწორედ ის შეესწრო პატრიარქის და რობერტ ედვარდსის შეხვედრას თბილისში, საპატრიარქოში. ედვარდსი ხელოვნური განაყოფიერების მეთოდის განმხორციელებელი, ბრიტანელი ექიმი და ნობელის პრემიის ლაურეატი იყო. საქართველოში პატრიარქთან შეხვედრა ედვარდსმა პირადად მოითხოვა და ოცწუთიანი შეხვედრა საბოლოოდ ერთ საათს გაგრძელდა. შეხვედრა 1988 წლის 6 დეკემბერს მოხდა. ბრიტანელი ექიმი მაშინ საქართველოში ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე დასასწრებად იყო ჩამოსული. ბუნებრივია, თემა რეპროდუქციას ეხებოდა და როგორც ჩანს, ექიმს ქვეყნის პატრიარქის მოსაზრებაც ამიტომ აინტერესებდა. გიორგი კავკასიძის განცხადებით, ედვარდსმა საპატრიარქო მაშინ აღფრთოვანებულმა დატოვა...

**გიორგი კავკასიძე:** „პატრიარქმა დიდი პატივით მიგვიღო და იკითხა, რა გაინტერესებთო. ბობმა მოუყვა თავისი ისტორია, შემდეგ უშვილობის პრობლემებზე გადავიდა და ბოლოს დეტალებში აუხსნა ინ-ვიტრო განაყოფიერების აზრი და მეთოდიკა (მე ვთარგმნიდი). ბოლოს კი ჰკითხა: „თქვენ რა აზრის ხართ მკურნალობის ამ მეთოდზეო“. პატრიარქმა მიღწევები მოუწონა და უპასუხა: „თუ თქვენი მოგონილი მეთოდი ჯვარდაწერილ ცოლ-ქმარს მოეხმარება უშვილობის პრობლემის გადაწყვეტაში, დამილოცნიაო“. საპატრიარქოდან რომ გამოვედით, ბობმა მითხრა: „ძალიან გაგიმართლათ, ასეთი ადამიანი რომ გყავთ ეკლესიის წინამძღოლადო“. ამ შეხვედრის შემდეგ 25 წელი გავიდა. დღეს წავიკითხე საშობაო ქადაგების ნაწილი და ცუდად გავხდი – რა მოხდა ასეთი 25 წელიწადში?“

ეს არის კითხვა, რომელიც ბევრს უჩნდება, ბევრს საკუთარი მოსაზრებაც აქვს ამასთან დაკავშირებით, თუმცა პასუხის ხმამაღლა გაჟღერებისგან თავს იკავებენ. მათ შორის არის პოლიტიკოსი დავით ზურაბიშვილიც. რესპუბლიკელების ერთ-ერთი ლიდერი ღიად მხოლოდ იმას აცხადებს, რომ ეპისტოლეს ზოგიერთ დეტალზე საზოგადოებას საკმაოდ ჯანსაღი რეაქცია ჰქონდა...

**დავით ზურაბიშვილი, რესპუბლიკელების ერთ-ერთი ლიდერი:**

– ვიცი, რომ საზოგადოების ნაწილის აღშფოთება გამოიწვია პატრიარქის ეპისტოლემ, სადაც ის სუროგატ დედებსა და ხელოვნურად განაყოფიერებულ ბავშვებზე საუბრობს. პირდაპირ რომ ვთქვა, ეპისტოლეში ნამდვილად იყო უხერხული გამონათქვამები. არ ვიცი, ვინც ეს ტექსტი შეადგინა, ან ვინც მის შედგენაში მოეხმარა, ისე გამოუვიდა, რომ ბავშვებს აშკარად მიაყენა შეურაცხყოფა. დარწმუნებული ვარ, ასეთი განზრახვა პატრიარქს ნამდვილად არ ჰქონია, თუმცა ასე რომ გამოვიდა, ფაქტია. მიმაჩნია, რომ პოლიტიკური კომენტარისა და შეფასების გაკეთება პატრიარქის ეპისტოლეზე სწორი არ იქნება და ეს არც შეიძლება. პატრიარქს აქვს უფლება, თავისი მოსაზრება გამოთქვას, ეს არ არის სახელმძღვანელო. სახელმწიფოს თავისი მიზნები აქვს, თუმცა იმ გავლენიდან და იმ ავტორიტეტიდან გამომდინარე, რაც პატრიარქსა და ქართულ ეკლესიას გააჩნია, გასაგებია, რომ ინტერესი დიდია. მის მიერ გავრცელებულ მოსაზრებებს ზოგი დაეთანხმება და ზოგიც არ დაეთანხმება, ეს ბუნებრივიცაა. თუმცა გავიმეორებ, რომ, რაც სუროგატ დედებსა და ხელოვნური განაყოფიერებით მოვლენილ ბავშვებზე ითქვა, ამაზე საზოგადოებას საკმაოდ სამართლიანი რეაქცია ჰქონდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემები აბორტებთან დაკავშირებით ნამდვილად არსებობს, ეს საკითხი დასარეგულირებელი ნამდვილად არის, მაგრამ იმ ფორმით და იმ სახით, როგორც ითქვა, რა თქმა უნდა – არა. მე მაინც იმ აზრისკენ ვიხრები, რომ, ვინც ეპისტოლის შედგენაში ეხმარებოდა, რადგან ვიცით, რომ ამას ერთი ადამიანი არ აკეთებს... რაღაც ნამდვილად ვერ გაითვალისწინეს ისე, როგორც ეს საჭირო იყო.




# დავით ზურაბიშვილი: „მე რომ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ვიყო, უფრო ბევრს ვილაპარაკებდი საეკლესიო თემებზე“




**– თქვენც და ბევრ სხვა ადამიანსაც გაუჩნდა კითხვა, რამდენად ზუსტად იყო ფორმულირებული პატრიარქის ტექსტში არსებული მოსაზრება. ფიქრობთ, რომ უწმინდესი შეიძლება ბოლომდე არ იყო ინფორმირებული?**

– რანაირად ხდება, არ ვიცი. ეს არ არის პოლიტიკური თემა. უბრალოდ, რადგან პატრიარქის ავტორიტეტი ძალიან დიდია, მისი იდეა ბუნებრივად იწვევს ძალიან დიდ ინტერესს. ვინ შეადგინა, ან ვინ იყო კონსულტანტი, ნამდვილად არ ვიცი, თუმცა ისეთი ფორმით იყო მოწოდებული მოსაზრება, რომ ეს ბავშვები გამოცხადდნენ ძალიან ცუდ კონტექსტში.

**– ამ დღეებში, ასევე, ითქვა, რომ მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი დიდი დანაშაული ისიცაა, რომ მისი პრეზიდენტობის დროს არ გატარდა საეკლესიო რეფორმა. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

– სახელმწიფო ვერანაირად ვერ ჩაატარებდა ეკლესიაში რეფორმას. ეს თავად ეკლესიამ უნდა გააკეთოს. სახელმწიფო არ უნდა ითავსებდეს საეკლესიო საქმეებს და ასევე, არც ეკლესია უნდა ერეოდეს პოლიტიკურ საკითხებში. ეს ჩვენი ქვეყნის ჩვეულებრივი კონსტიტუციური ნორმაა. ეკლესიას თავისი საკანონმდებლო ბაზა აქვს, იქ ხელისუფლება ვერანაირად ვერ ჩაერევა. საეკლესიო და სახელმწიფო ურთიერთობა განისაზღვრება საკონსტიტუციო შეთანხმებით და ეს ძალიან კარგად არის განმარტებული. თუ ეკლესია ჩათვლის საჭიროდ რეფორმის აუცილებლობას და მრევლი ამას დაეთანხმება, ეს სხვა საკითხია. ეს ეკლესიის გადასაწყვეტია, სტრუქტურულად უნდა შეიცვალოს თუ არა რამე.

**– თქვენი აზრით, რეფორმა საჭიროა?**

– მსოფლიო საეკლესიო კრებები, მცირე ჯვრის კანონი, დიდი ჯვრის კანონი და კიდევ ბევრი თავისი წესი აქვთ. ბუნებრივია, მე მაქვს ჩემი შეხედულებები, თუმცა ამ შემთხვევაში მე წარმოვადგენ სახელმწიფოს, ვმუშაობ პარლამენტში, მივეკუთვნები პოლიტიკურ პარტიას და გეტყვით, რომ არ გვაქვს უფლება, ჩავერიოთ ეკლესიის საქმეებში. იგივეს ვიტყვი საეკლესიო პირებზეც. თუ რომელიმე მათგანი გადავა საეკლესიო წესების ფარგლებიდან და შემოვა პოლიტიკის სფეროში, ასეთ შემთხვევაში ჩვენც გვექნება სრული უფლება, მივუთითოთ მათ ამის შესახებ. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის საქმიანობაში და პირიქით, ჩაურევლობის პრინციპია ჩემთვის მთავარი. მე ვერ დავიწყებ იქ იმის გარჩევას, რა არის კარგი და რა – ცუდი. მე რომ სამოქალაქო საზოგადოების, ან არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ვიყო და არ წარმოვადგენდე პარტიას, პოლიტიკურ სპექტრს, უფრო ბევრს ვილაპარაკებდი ამ თემებზე. ამ შემთხვევაში მე მაინც თავს ავარიდებ, რადგან ეს არ არის ჩემი საქმე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მეიდან ჯგუფი

MEIDAN GROUP

# გილოცავთ ახალ წელს!

Ⓐ

















**ტელ.: +995 (322) 509 901**

**ელ.ფოსტა: Info@meidan.ge**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ახალი სკანდალი გოგა ძველაიას საქმის გარშემო

# რატომ უჩივიან პატიმრები პატიმარს?



**„იქნებ ვიღაცას სწორედ სასჯელაღსრულების სისტემის მიმართ აქვს ინტერესი და არა გოგა ძველაიას საქმის გახსნის მიმართ?“**



გოგა ძველაია

მარიამ ნადირაძე

**რამდენიმე თვის წინ ქუთაისის #2 საპყრობილეში მომხდარი სკანდალური შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვანმა პატიმარმა, გოგა ძველაიამ თავი ჩამოიხრჩო (ასეთია გამოძიების ამ დრომდე არსებული მუშა ვერსია. – მ.ნ.), ბევრჯერ გამოიყენეს პოლიტიკური მიზნით. პრეზიდენტი სააკაშვილიც კი ჩავიდა გარდაცვლილის ჭირისუფლებთან და მის ერთგულ თენგიზ გუნავას ოჯახის დახმარება დაავალა. დახმარება კი იმაში გამოიხატებოდა, რომ გოგას მამას არწმუნებდნენ, რომ მისი შვილი მოკლული იყო. ამ შეტევას სასჯელაღსრულების სისტემამ ფირების გასაჯაროება დაუპირისპირა. იყო სხვა შემთხვევებიც... ამის შესახებ ჩვენი მკითხველი უკვე ინფორმირებულია.**

თუმცა, როგორც ჩანს, არასრულწლოვანის გარდაცვალება ჯერ კიდევ ყველაზე მძლავრ იარაღად რჩება მინისტრი სუბარის ოპონენტებისთვის. უკანასკნელ ხანს კი მედიით ახალი შეტევა დაიწყო: მეექვსე საპყრობილის პატიმარმა, ერეკლე გურაბანიძემ პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართა იმ მოთხოვნით, რომ გამოძიებას ის ძველაიას საქმის გარშემო დაეკითხა. მისი მონათხრობი, რომელიც პრესაში გაჟღერდა, მართლაც სკანდალური იყო: „მეოთხე „ცე“ კორპუსში, სადაც ადმინისტრაციამ გოგა ძველაია მოათავსა, იმყოფებოდნენ პედოფილები, საკუთარი ოჯახის წევრების გაუპატიურებისთვის გასამართლებულები... „მაყურებლები“ ეძახდნენ გოგა ძველაიას, ხომ დაგვიბრუნდი უკან, აბა, რა გეგონა? აი, მოვდივართ ახლა შენკენ და ნახავ, რაც მოგივაო...“

„პრაიმტაიმმა“ კონფიდენციალური წყაროსგან გურაბანიძის წარსულის შესახებ ცოტა რამ შეიტყო: როგორც გაირკვა, ის არაერთხელ იყო ნასამართლევი, მათ შორის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისთვის, რომლის დროსაც მცირეწლოვანი ბავშვიც გარდაიცვალა. მეტიც, წყაროს მონაცემებით, ის ნასამართლევია ადამიანის წამებისთვისაც, რომელსაც თან ვიდეოს უღებდა. მიუხედავად ასეთი დანაშაულებისა, მან არაერთხელ იგემა თავისუფლება, რის საშუალებასაც მაშინდელ სამართალდამცველებთან თანამშრომლობა-ურთიერთობას უნდა უმადლოდეს.

**გურაბანიძის გულწრფელობას ეჭვქვეშ აყენებს გოგა ძველაიას ოჯახის ადვოკატი ლედი ტუკვაძეც. „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში ის ეჭვს გამოთქვამს, რომ შესაძლოა, მას ეს სკანდალური განცხადება საკუთარი მიზნების განხორციელებისთვის სჭირდებოდა. გთავაზობთ ხსენებულ ინტერვიუს:**

– გურაბანიძის საჯარო განცხადების შემდეგ, ბუნებრივია, სურვილი გამიჩნდა, პატიმარს გავსაუბრებოდი. გამოძიებას ვთხოვე, მეც დავსწრებოდი მის დაკითხვას, მაგრამ უარი მივიღე. მოგვიანებით სოციალური მუშაკი დამიკავშირდა და მითხრა, რომ ერეკლე გურაბანიძეს სურდა, მისი ინტერესები დამეცვა.

**– თქვენ ფლობდით ინფორმაციას, რის გამო იყო ეს ადამიანი არაერთხელ ნასამართლევი?**

– რა თქმა უნდა, მაგრამ იმისთვის, რომ გამეგო, რეალურად რა მოხდა გოგა ძველაიას თავს, მზად ვიყავი, ეშმაკის ადვოკატადაც დავმდგარიყავი. შესაბამისად, დავესწარი მის დაკითხვასაც.

**– მანამდე გურაბანიძეს პრესაში უკვე ჰქონდა გაკეთებული ცნობილი სკანდალური განცხადება?**

– დიახ. ამიტომაც წასვლამდე მოვითხოვე ინფორმაცია იმ პატიმრებზე, რომლებიც მისგან ნახსენებ კორპუსში იყვნენ განთავსებულები. სულ 10 პატიმარი იყო, რომელთაგან არც ერთი არ გახლდათ მსგავს დანაშაულზე ნასამართლევი. ისინი სასჯელს ყაჩაღობისთვის, ქურდობისთვის, მკვლელობის მცდელობისთვის და ა.შ. იხდიან. ამ განცხადებამ, ბუნებრივია, ამ პატიმრების პროტესტი გამოიწვია.

**– გურაბანიძემ გამოძიებასთან იგივე გაიმეორა, რაც პრესასთან განაცხადა?**

– დიახ. თუმცა, შეცვალა ერთი ნაწილი... თუ მანამდე ამბობდა, რომ „მაყურებლები“ ეძახდნენ გოგას და ემუქრებოდნენ, დაკითხვის დროს თქვა, „ახლა ზუსტად ალვიდგინე, რაც ხდებოდა – გოგას ეძახდნენ, შენი დედა... რატომ არ გადაეცი, რაც დაგაბარეთო... რატომ არ ჩაჯექი არასრულწლოვნებში, გეგონა, ვერ მოგაგნებდითო?

**– და ეს ყველაფერი საიდან ესმოდა? თვითონ სად იყო ამ დროს?**

– საქმეც სწორედ ეს არის. მაგრამ ამაზე მოგვიანებით გეტყვით. გავეცანი რამდენიმე განცხადებას, რომელიც მას მანამდე ჰქონდა დაწერილი ციხის უფროსის მისამართით. ძალიან აგრესიული ტონი იგრძნობოდა ამ განცხადებებში. ირკვევა, რომ მას უნდოდა, მისი საქმე გასულიყო ე.წ. უდოს კომისიაში და ადმინისტრაციას კატეგორიულად სთხოვდა კარგი დახასიათების წარდგენას მასზე. იყო მუქარის შემცველი ტექსტებიც, – ჩაასწორეთ ჩემი დახასიათება, თორემ მე გაჩვენებთ, ვინ ვარ, თქვენ არ იცით, რის გაკეთებაზე ვარ მზადო.

**„მას უნდოდა, მისი საქმე გასულიყო ე.წ. უდოს კომისიაში და ადმინისტრაციას კატეგორიულად სთხოვდა კარგი დახასიათების წარდგენას მასზე. იყო მუქარის შემცველი ტექსტებიც, – ჩაასწორეთ ჩემი დახასიათება, თორემ მე გაჩვენებთ, ვინ ვარ, თქვენ არ იცით, რის გაკეთებაზე ვარ მზადო“**

**„იმისთვის, რომ გამეგო, რეალურად რა მოხდა გოგა ძველაიას თავს, მზად ვიყავი, ეშმაკის ადვოკატადაც დავმდგარიყავი“**

**„ახლა ზუსტად ალვიდგინე, რაც ხდებოდა – გოგას ეძახდნენ, შენი დედა... რატომ არ გადაეცი, რაც დაგაბარეთო... რატომ არ ჩაჯექი არასრულწლოვნებში, გეგონა, ვერ მოგაგნებდითო?“**

**– მიგვანიშნებთ იმაზე, რომ პატიმარი ციხის დირექტორს აშანტაჟებდა?**

– ასე კატეგორიულად ვერ გეტყვით. იმას კი დავადასტურებ, რომ მას შიში არ ჰქონდა ადმინისტრაციის. შესაბამისად, საინტერესოა, რა აიძულებდა მას, გაჩუმებულიყო ამდენი ხნის განმავლობაში, თუ ის ნამდვილად ფლობდა რეალურ ინფორმაციას გოგა ძველაიას საქმის გარშემო. მე ვკითხე კიდეც, ამ სამი თვის მანძილზე კომუნიკაციის პრობლემა გქონდათ-მეთქი? მან დამიდასტურა, რომ ის უპრობლემოდ ხვდებოდა ადვოკატს, ჰქონდა მასთან კომუნიკაცია.

**– რით ხსნის ეს პატიმარი, რომ მაინცდამაინც ახლა, სამი თვის შემდეგ მოუნდა გოგა ძველაიაზე ალაპარაკება?**

– ამბობს, აქამდე არ მქონდა მყარი მტკიცებულებებიო.

**– ახლა აქვს?**

– რა თქმა უნდა, არა. ეს ადამიანი იმ დროს, როდესაც გოგა ძველაია გარდაიცვალა, იმყოფებოდა „ბე“ კორპუსში და იყო გადაკეტილი. გოგა ძველაია კი, როგორც მოგახსენეთ, მოთავსებული იყო „ცე“ კორპუსის მეოთხე სართულზე. ეს ორი ადგილი ერთმანეთისგან, სულ მცირე, 170 მეტრით არის დაშორებული.

**– მაგრამ იმისთვის, რომ მას ეს გადაძახილები გაეგო, გოგა ძველაიასთან კი არა, იმ ადამიანებთან უნდა ყოფილიყო ახლოს, ვინც გოგას ეძახდა... რეალურად შეძლებდა თუ არა ის ამ გადაძახილების გაგებას?**

– არ არის ახლოს. ვერ გაიგონებდა...

**– ამაზე ექსპერიმენტი ჩატარდა?**

– დაყენებულია შუამდგომლობა და ეს ექსპერიმენტი აუცილებლად ჩატარდება. ყველაზე მთავარი ეჭვის საფუძველი ჩნდება იმის გამო, რომ ამ ადამიანს 3 თვის განმავლობაში არ გახსენებია გოგა ძველაია, როდესაც ამ ხნის მანძილზე უამრავ ადამიანს შეხვდა, ვისაც, სულ ცოტა, ინფორმაციის გამოტანა შეეძლო. ხომ არ არის ის ვინმეზე განაწყენებული? საეჭვოა ისიც, რომ რატომღაც ადამიანებს, რომლებსაც გზადაგზა ახსენდებათ გოგას ოჯახი, სამიზნედ ციხე აქვთ ამოღებული, რომელსაც უკვე აქვს სერიოზული არგუმენტი გასაჯაროებული ფირების სახით და ამ დროს არავის ახსენდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გოგა ძველაია ციხეში გადაყვანამდე წინასწარი დაკავების იზოლატორში სცემეს. გამოძიებაც არ დაინტერესებულა ამ ფაქტით. იქნებ ვიღაცას სწორედ სასჯელაღსრულების სისტემის მიმართ აქვს ინტერესი და არა გოგა ძველაიას საქმის გახსნის მიმართ?

„პრაიმტაიმს“ ერთ-ერთი პატიმარიც დაუკავშირდა. ის იმ ათ პატიმარს შორის არის, ვისაც გურაბანიძემ პედოფილები უწოდა:

**კობა კვაბზირიძე:** „ძალიან შეურაცხყოფილები ვართ. წლების განმავლობაში ისედაც გვაწამებდნენ და გვამცირებდნენ. ისედაც ჩვენი გაგვჭირვებია, ჩვენს უკან ოჯახები დგას, გვიგზავნიან ამანათებს. რა პასუხი გავცეთ ამ ყველაფრის შემდეგ იმ ადამიანებს, ვინც გვიცნობს? წარმოგიდგენიათ, ეს როგორი ბინძური ბრალდებაა? მე რამდენიმე პატიმრის სახელით გესაუბრებით. ნებისმიერი შემოვიდეს და შეგვხვდეს, გვნახოს, ვინ ვართ...

**– რას აპირებთ? რა ზომებს მიმართავთ?**

– აუცილებლად დავიწყებთ საქმის წარმოებას გურაბანიძის მიმართ და მას მოუწევს, დაამტკიცოს თავისი ნათქვამი ყველა სიტყვა. როგორ შეიძლება, შევარჩინოთ ჩვენი და ჩვენი ოჯახების შეურაცხყოფა? თუ ამაზე გამოძიება არ დაიწყება, არ დაინტერესდება სახალხო დამცველი, რა ხდება სინამდვილეში, უკიდურეს ზომებს მივმართავთ და შიმშილობას გამოვაცხადებთ. თუ ვინმეს რამე თავისი ინტერესები აქვს, ჩვენ ნუ გვრევს ამ სიბინძურეში“.

ერთი სიტყვით, ბრძოლა გარდაცვლილი არასრულწლოვანის სახელით კვლავაც გრძელდება და თანაც წესების გარეშე. ამ ბრძოლაში კი ერთადერთი დაზარალებული ისევ დაზარალებული ოჯახია.



ლედი ტუკვაძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ მიმართავენ უკიდურეს ზომებს ეტლით მოსარგებლეები?

## და რა პრეტენზიები აქვთ მათ სახალხო დამცველთან?



## ვინ ახდენს შშმ პირების დისკრიმინაციას?

## EXCLUSIVE

მარიამ ნადირაძე

**საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის გარშემო თავსატეხი კვლავაც ძალაშია, თუმცა ამ სტატიაში მისი პოლიტიკური შტრიხებისა და სიბნელე-სინათლეების განხილვას არ შევუდგებით.**

ამ შემთხვევაში საუბარი გვექნება 68 კანდიდატიდან გასაუბრებით შერჩეულ 27 კანდიდატთაგან ერთ-ერთზე. ეს ერთ-ერთი კი ერთადერთია, ვინც მიიჩნევს, რომ მის მიმართ მიზანმიმართულ დისკრიმინაციას ახორციელებენ.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ, როდესაც აჭარის კვოტით შეთავაზებული კანდიდატი, გენადი გელაძე პარლამენტმა ჩააგდო, აჭარის უმაღლესი საბჭოდან გოგა კოხრეიძეს დაუკავშირდნენ: „მითხრეს, რომ ჩემი „სივი“ მათ აკმაყოფილებდათ. თუმცა, მალევე დაიწყო შემოტევა. აჭარის ტელევიზიით გავიდა სიუჟეტი, რომელიც ცალსახად ისევ გელაძის კანდიდატურას უჭერდა მხარს. მე კი პრემიერის მრჩევლად ვიყავი მოხსენიებული. როდესაც მიზანმიმართულ დისკრიმინაციაზე ვსაუბრობ, ამის თქმის საფუძველიც მაქვს, ვინაიდან, ჩემი „სივი“ საჯაროა და სურვილის შემთხვევაში ნებისმიერს შეეძლო მას გასცნობოდა. ამ ცრუ ინფორმაციამ გარკვეულ ძალებს საშუალება მისცა, არარსებულ პოლიტიკურ დაინტერესებაზე ალაპარაკებულიყვნენ“.

თუმცა, საქმე მხოლოდ ამით არ შემოფარგლულა. გელაძის მიერ შეკრებილმა თორმეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ კატეგორიულად მოითხოვა, უმაღლესი საბჭოს პარლამენტის მიერ ერთხელ უკვე ჩაგდებული კანდიდატი კიდევ ერთხელ შეეთავაზებინა. შესაბამისად, უმაღლეს საბჭოში გელაძემ 12 ხმა მიიღო, კოხრეიძემ – 7. როგორც ირკვევა, ასე აპირებენ ისინი, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, განსაზღვრონ, რა ადგილი უჭირავს აჭარას ქართულ პოლიტიკურ ორბიტაზე.

ამ ეტაპზე, ალბათ, არ ღირს ამ არცთუ უხიფათო განცხადების სიღრმეებში ვიქექოთ, მით უმეტეს, რომ ამ სტატიის მიზანი, ამ შემთხვევაში, სულ სხვა პრობლემებთან შეხება და მათი გაცნობაა.

გოგა კოხრეიძე ეტლით ბავშვობიდან სარგებლობს და ის თითქმის მთელი ცხოვრებაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებს იცავს. ბორდის არჩევნებში მის არათანაბარ პირობებში ყოფნას დღეს 100 არასამთავრობო ორგანიზაცია ადასტურებს.

**ხატია გავაშელი, საგანმანათლებლო ცენტრ „გელათის“ ხელმძღვანელი:**

– გენადი გელაძე ამ სიუჟეტს რომ ნახავდა, თუ მართლა უნდა, რომ ბორდის წევრი გახდეს, თუ უნდა, რომ აპოლიტიკური ტელევიზია გვქონდეს, ამისთვის იქაჩება და იბრძვის და რეგიონს წარმოადგენს, მინიმუმ ის მაინც უნდა სცოდნოდა, რომ პრემიერ-მინისტრის მრჩეველი იქ მონაწილეობას ვერ მიიღებდა და თუ მიიღებდა, ვერ გავიდოდა... ის უნდა გამოსულიყო და დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია, რომ ეს სიუჟეტი იყო ცალმხრივი, მის სასარგებლოდ გაკეთებული, რომელსაც ის არ მიესალმება და იმ შემთხვევაში, თუ ბორდში მოხვდება, მსგავსი ტიპის გადაცემები და სიუჟეტები არ უნდა მომზადდეს...



**– არ ფიქრობდით, რომ თქვენი კანდიდატურა უფრო სახალხო დამცველის კვოტით უნდა ყოფილიყო?**

**გოგა კოხრეიძე:**

– ჩემი ყველა მესიჯი აქეთ იყო მიმართული, რომელიც უნდა დაეჭირა ზუსტად სახალხო დამცველს. შშმ პირები ყველა სფეროში უმცირესობაში არიან წარმოდგენილი, სულ ირღვევა მათი უფლებები, განათლების სფეროდან დაწყებული, ხელმისაწვდომი გარემოთი დამთავრებული. საუბარი მქონდა სახალხო დამცველის წარმომადგენელთან, რომელიც შშმ პირების საკითხებზე მუშაობს. მითხრა, ამ თემებზე ჩვენ საქმის კურსში არავინ გვაყენებსო. საქმეც სწორედ ეს არის, სახალხო დამცველს, უბრალოდ, ჰყავს ეს ადამიანი იქ გაფორმებული იმისთვის, რომ ეს საჭიროა, თორემ რეალურად მას არავითარი დატვირთვა არ აქვს.

**რატი იონათამიშვილი, უფლებადამცველი:**

– ერთი რამ მინდა გითხრათ, რაც ბოლო დროს ფარისევლური ტოლერანტობის გამოხატულებად იქცა, რომ გყავდეს ასეთი ეტლით მოსარგებლე მეგობარი, ძალიან მაგარია, რაღაცნაირად მოდური გახდა. სხვანაირი ტენდენციაა, რომ შენ გამოდიხარ მსხვერპლი, მაგრამ ის, რომ შენ ჩვეულებრივი ადამიანი ხარ... სამწუხაროდ, ასე არავინ გიყურებს.

**ხატია გავაშელი:** „სახალხო დამცველს გავუგზავნეთ პეტიცია ასი ორგანიზაციისა და უამრავი ცნობილი ადამიანის ხელმოწერით. პეტიციაში წერია, რატომ აირჩია შშმ პირთა თემმა გოგა კოხრეიძე, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ სახალხო დამცველმა დაასახელოს გოგა კოხრეიძის კანდიდატურა. საერთოდ, ხმა არ ამოუღია, სიტყვაც არ დასცდენია, მაშინაც კი, როდესაც ისედაც უფლებაშელახულ ადამიანს აშკარად დისკრედიტაციას უწევდნენ“.

**ნინო მეუნარგია, ჟურნალისტი:** „მე 5 წლის შვილი მყავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. როგორც მშობელს, მე იმ ადამიანების იმედი მაქვს, რომ ჩემი შვილის ადაპტირებული გარემოსთვის იზრუნებენ, რომლებსაც ეს სირთულეები საკუთარ თავზე აქვთ გამოცდილი. მეც იმიტომ ვუერთდები ამ მოთხოვნას, რომ ამ ხალხმა ყველაზე კარგად იცის, რა სჭირდებათ თავად მათ. ამისთვის აუცილებელია, რომ ამ ადამიანებმა შეძლონ საზოგადოების მასობრივი ინფორმირება“.

**ხატია გავაშელი:** „კანდიდატების უმრავლესობას, რომლებსაც პრეტენზია ჰქონდათ, რომ ბორდის წევრები გახდებოდნენ, ტერმინშიც კი შეცდომა ჰქონდათ. შეზღუდული შესაძლებლობის პირებზე ეწერათ „უნარშეზღუდული“. როცა ქაშუეთთან 17-მეტრიან პანდუსს ვაკეთებდით, ერთ-ერთ მოძღვარს გაუჩნდა პროტესტის გრძნობა, რა საჭიროაო, როცა შეიძლება ადამიანებმა ეს ეტლით მოსარგებლეები ამხელა კიბეებზე ჩამოათრიონ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, და მერე აათრიონ კიდევ ზემოთ, ეს თურმე მამაოსთვის პრობლემა არ ყოფილა, იმიტომ რომ ის მის ტყავში ვერ ჩაჯდა. და იცით, რატომ? იმიტომ რომ ინფორმაციის ნაკლებობა აქვს და ამის წამალი არის საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელსაც ევალება, მოამზადოს და გაავრცელოს ინფორმაცია შშმ პირების შესახებ. გოგა კოხრეიძე ერთადერთი კანდიდატია, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელში მისვლისთანავე მას თავის ხელს დაატყობს. პირველ რიგში, გახდის ადაპტირებულს, თუნდაც ეს საკუთარი, ან მისი მეგობრების ხარჯით მოხდეს, როგორც ეს ეკლესიების ადაპტირების დროს გავაკეთეთ. ნებისმიერ ადამიანს ექნება იქ მუშაობის შესაძლებლობა. რატომაც არა? როგორც დღეს ეტლით მოსარგებლეებს ლოცვის საშუალება აქვთ ეკლესიებში.

**გოგა კოხრეიძე:** „ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ხართ ეტლით მოსარგებლე და ქორწინების სახლსა და ეკლესიას არ აქვს პანდუსი. როგორია, მითხარით, როცა საკუთარ ქორწილში ხელში აგიყვანენ და ისე შეგიყვანენ? იქ ხომ დამთავრდა ყველაფერი, სიყვარულიც და იმედიც... არ არის აუცილებელი, რომ ეს ყველაფერი ჯერ გამოსცადო და მერე მიხვდე ყველაფერს. ჩვენ თუ დღეს საკუთარი უფლებებისთვის და თანაბარი გარემოსთვის ვიბრძვით, ამას საკუთარი თვისთვის ნაკლებად ვაკეთებთ, რადგან ჩვენი ფეხზე დადგომის შანსი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სხვისი შანსი ეტლში ჩაჯდომის. როდესაც სამებას აშენებდნენ, რა თქმა უნდა, ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ის ასეთი სრულყოფილი ყოფილიყო, მაგრამ როცა პანდუსი მიედგა, უფრო სრულყოფილი გახდა. თუ ხატებთან იქნება ბრაილის შრიფტით დაწერილი ლოცვა, ის კიდევ უფრო სრულყოფილი გახდება. ეს ჩართულობა მოიცავს იმას, რომ საზოგადოება უფრო სრულყოფილი გახდეს და თუ მას ამის სურვილი აქვს, მაშინ ამ გზით წავა.

**ხატია გავაშელი:** „გარემოს ადაპტირება ნიშნავს იმასაც, რომ ევროპულ სტანდარტებთანაც მივიდეთ ახლოს. ძალიან კარგია, რომ მალე უკვე სკოლების ადაპტირება დაიწყება. მაგრამ ადაპტირება მოიცავს სველი წერტილების ადაპტირებასაც, რომ ადამიანებმა შეაღწიონ იმ ადგილას თავისი საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ყველაფერი არის გათვლილი, ეს არის ნორმები, რომელიც უნდა იცოდნენ მშენებლებმა. ბუნებრივია, რომ ამ ყველაფრის ინფორმაციის წყარო არის საზოგადოებრივი მაუწყებელი... ამ ქვეყანაში, ხელი უკვე მოეწერა გაეროს კონვენციას, რომელსაც ამდენი წელია ველოდებოდით. წინა ხელისუფლებასა და პრეზიდენტს რომელიღაც თაროზე ჰქონდათ შემოდებული და ამისთვის სახელმწიფო მზად არ იყო. დღეს ირკვევა, რომ ამ კონვენციას ხელი მოაწერეს 2013 წლის ბოლოს, იმ წლის ბოლოს, რომელიც შშმ პირების უფლებების დაცვის წლად გამოაცხადეს, იმ დროს, როდესაც გამოვიდა პრემიერის სპეციალური ნორმატიული აქტი, რომ 5 წლის განმავლობაში მოხდება ყველა საჯარო დაწესებულების ადაპტირება, აღარ აშენდება შენობა და არ გაიცემა მასზე ნებართვა, სადაც გათვალისწინებული არ იქნება ადაპტაცია. ეს ყველაფერი ძალიან დიდ იმედს გვაძლევს, რომ ჩვენ უფლებების რაღაც გარკვეულ ნაწილს ფურცელზე მაინც მივაღწიეთ. ახლა მთავარია, ფურცლიდან განხორციელებამდე მივიდეთ. ამისთვის საჭიროა ამ ადამიანების აზრების, საჭიროებების გათვალისწინება, რადგან ეს პრობლემები ყველაზე კარგად მათ იციან. თუ ვინმე არ გაითვალისწინებს ამას, ვგულისხმობ უფლებადამცველებს, რომლებიც ამბობენ, უფლებადამცველები ვართო, და რეალურად ხმას არ იღებენ, ამ დროს და ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში, ყველას გონზე მოვიყვანთ. თუ დაგვჭირდება, 20 წლის უკანაც დავბრუნდებით, როდესაც ეს ადამიანები გამოდიოდნენ, შიმშილობდნენ, მოითხოვდნენ და ყველაფერს ჯანმრთელობის რისკის ფასად აღწევდნენ, მაგრამ მომავლის საკეთილდღეოდ ამას მეც შევუერთდები, შშმ ბავშვების მშობლებიც, ეტლით მოსარგებლეებიც, სმენადაქვეითებულებიც... აბსოლუტურად ყველა მზად არის იმისთვის, რომ, თუ ჩვენ ისევ ამ უსამართლობაში, დისკრიმინაციულ პირობებში ვიქნებით, ყველანაირ რადიკალურ ზომებზე წავალთ. სიცოცხლის ფასად ჩვენ ამას გავაკეთებთ და ყველას ვასწავლით იმას, ვის რა პასუხისმგებლობა აქვს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნოდარ ხადური ირაკლი ქადაგიძის წინააღმდეგ

# ლარის კურსი

## დაპირისპირების საგანი ხდება

ქეთი ხატიაშვილი

**ლარის გაუფასურება, პოლიტიკური დივერსია თუ ცუდი ეკონომიკური გუნდი და მართვაში დაშვებული შეცდომები? რას უკავშირდება ლარის კურსის ვარდნა და როგორია მოლოდინი, სადამდე შეიძლება ეროვნული ვალუტა დაეცეს. თუ დივერსიაა, პასუხი ირაკლი ქადაგიძემ უნდა აგოს, თუ ცუდი მართვაა – ნოდარ ხადურმა. ვინ აიღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას? არგუმენტები ორივე მხარის სასარგებლოდ გაისმა. ხადურმა ბანკის პრეზიდენტს მის ხელთ არსებული რესურსები შეახსენა, ირაკლი ქადაგიძემ მინისტრს კი – ეკონომიკის მდგომარეობა. „პრაიმტამმა“ ამ თემაზე კომენტარი ექსპერტ ვაჟა ბერიძეს სთხოვა. მისი განმარტებით: მთავრობამ ლარის კურსზე ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყვიტა.**

**ლარის კურსის ვარდნის პროცესს ფინანსთა სამინისტრომ თავდაპირველად ისეთივე გულგრილობით უპასუხა, როგორც ბიუჯეტში თითქმის ერთმილიარდიან გარღვევას. ფინანსთა მინისტრი ლარის კურსის ვარდნაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავდა, ისევე როგორც დარწმუნებული იყო, რომ ბიუჯეტი არ გაირღვეოდა:**

– ლარის კურსს საფრთხე არ ემუქრება, ეროვნულ ბანკს აქვს შესაბამისი რესურსი ამისთვის. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში შეგიძლიათ იხილოთ, როგორ ხდება კურსის უმნიშვნელო ცვალებადობა, ეს ნორმალურია.

ეს განცხადება ნოდარ ხადურმა მაშინ გააკეთა, როცა ლარის კურსი ჯერ მხოლოდ 1.7123 ნიშნულზე იყო დაცემული.

მაშინ ფინანსთა მინისტრმა ხელი პირდაპირ ეროვნული ბანკისკენ გაიშვირა: ლარის კურსის მიმართ ჩვენი მოლოდინია, რომ ის სტაბილური იქნება. საქართველოს ეროვნულ ბანკს საშუალება აქვს, არ დაუშვას ლარის მნიშვნელოვანი გაუფასურება ან გამყარება.

ნოდარ ხადურის გაშვერილ ხელს ირაკლი ქადაგიძეც გამოეხმაურა. მისი განმარტებით: ლარის კურსი საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს ასახავს... კლასიკური ეკონომიკური თეორიის მიხედვით, ლარის კურსის გამყარების ტენდენცია საშუალო და გრძელვადიან პერიოდში იქნება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს ეკონომიკა უფრო მაღალი ტემპით გაიზრდება, ვიდრე მისი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკა...

თუმცა, ლარის კურსის ვარდნა ახალი წლის შემდეგაც გაგრძელდა და როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ის შესაძლოა, 1.82 ან 1.85 ნიშნულამდეც კი დაეცეს.

**ინფორმაციისთვის:** ლარი მიმოქცევაში 1995 წლის ოქტომბერში შემოვიდა და მისი კურსი 1,29-1,30 ფარგლებში მერყეობდა. 2003 წლის ნოემბერში მისი კურსი 2.22-ს ასცდა. ლარის კურსმა აშშ დოლართან მიმართებაში 1,70 ნიშნულს 2011 წლის აპრილში გადააჭარბა.

ხადურმა თუ ლარის კურსის ცვლილებაში დივერსია შენიშნა და ეროვნული ბანკის მისამართით განცხადებები გააკეთა, ხელისუფლებასთან დაახლოებული ექსპერტების განმარტებით, კურსის ცვლილებაზე გავლენა ახალი წლის დადგომამ იქონია. ერთი შეხედვით, დაუჯერებელი არგუმენტია. თუმცა, როგორც ითქვა, საახალწლო ვაჭრობამ გაზარდა მოთხოვნა დოლარზე, რაც პირდაპირ აისახა ლარის კურსზე. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, მაგალითად, თუ სავაჭრო ცენტრებმა „კარფურმა“ და „გუდვილმა“ საახალწლოდ 50 მილიონი ლარი ივაჭრეს, მათ ამ თანხის დოლარზე კონვერტაცია განახორციელეს, შესაბამისად, დოლარზე მოთხოვნა გაიზარდა.

სოციალურ ქსელებში მომხრეები ეროვნულ ბანკსაც გამოუჩნდნენ. რა თქმა უნდა, ხადურის წინააღმდეგ. ანუ იმ ექსპერტების წინააღმდეგ, ვინც დარწმუნებულია, რომ ლარის კურსის დაჭერასა თუ გაშვებაზე გადაწყვეტილებას მხოლოდ ეროვნული ბანკი იღებს და რომ ის ხელოვნურად ახდენს ლარზე ზემოქმედებას.

„ჯერ ერთი, ეროვნული ბანკი ლარის კი არა, დოლარის ინტერვენციას ეწევა. აბა, დააკვირდი – დილით რომ ბანკებს სესხს აძლევს ლარში, საღამოს უკან ყიდულობს დოლარით. ე. ი. მიმოქცევაში რეალურად რჩება დოლარი.

მეორე – სახაზინო ვალდებულებებს ყიდისო. შეიძლება ძალიანაც არ უნდა, მაგრამ ხადურს უარს ვერ ეუბნება. ბიუჯეტი რომ გაირღვა, ხადურმა როგორ უნდა შეავსოს? როგორ და მიუტანს ეროვნულ ბანკს ქაღალდებს (სახაზინო ვალდებულებებს. ხაზინა ხომ იცი, სახელმწიფოსია) და ეტყვის, გამიყიდეო. ჰოდა, ეგ ქაღალდები იყიდება ლარში და ეგაა ლარის ზედმეტი მასა, ლარის კურსს რომ აუფასურებს. არა, ბანკები რომ თავისი ლარებით ყიდულობდნენ მაგ ქაღალდებს, მაშინ კი არაფერი მოხდება, მაგრამ მეტი საქმე არ აქვთ, მაგაში საკუთარი ფული ჩადონ. ისევ ეროვნულისგან სესხულობენ.

**„პრაიმტაიმმა“ ამ თემაზე კომენტარი ექსპერტ ვაჟა ბერიძეს სთხოვა:**

– ვფიქრობ, ლარის კურსის ცვალებადობა არ არის განსაკუთრებული შეთქმულების შედეგი... ახალმა მთავრობამ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, ლარზე ექსპერიმენტი ჩაატაროს, ლარის კურსზე თავისუფალი კურსის დადგენით. მთავრობას, ალბათ, აინტერესებს, დააკვირდეს, რა ზემოქმედება ექნება ამას ეკონომიკაზე...

**ვაჟა ბერიძის განმარტებით, სააკაშვილის დროს ლარის კურსი მეტ-ნაკლებად სტაბილური იყო:** „ძირითადად სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, რომ პენსიონერებისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო ფასები და მათ შეძლებოდათ პენსიის გამოყენება. ამ ხელისუფლებას კი აქვს ცდუნება, სოციალური ვალდებულებები იოლად გაისტუმროს, დევალვირებული ლარით... თუმცა, ამ ცდუნების მიუხედავად, ძნელია თქმა, რომ სპეციალურად აუფასურებს ლარს მთავრობა, რომ საბიუჯეტო პრობლემები მოხსნას. ისევე, როგორც არ ვიზიარებ მოსაზრებას წინა ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ დივერსიებზე. რადგანაც დღეს არც ერთი მხარე არ არის მზად ხელისუფლებისთვის ბრძოლისთვის. ჩემი აზრით, ეს პროცესი თვითდინებაზეა მიშვებული. ვფიქრობ, მთავრობა ექსპერიმენტზე მიდის და თანდათან უშვებს ლარის კურსს. რას მოგვიტანს ეს, რთული სათქმელია“.

ექსპერტების განმარტებით, ლარის კურსის გაშვება საფრთხის შემცველი იქნება იმ შემთხვევაში, თუკი ინფლაცია ორნიშნა ციფრს გადასცდება. ეს საფრთხე ჯერ არ არსებობს.

**ლარის კურსთან დაკავშირებულ საფრთხეებზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კიდევ ერთი განცხადება გააკეთა:**

– ჩვენ გვაქვს მცურავი გაცვლითი კურსი, რაც ნიშნავს, რომ კურსი არის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ე.წ. ავტომატური სტაბილიზატორი.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განმარტებით, თუკი ლარის კურსის მერყეობა ინფლაციურ პროცესებში გადაიზრდება, ბანკი პოლიტიკას გაამკაცრებს.

ასე რომ, ჯერჯერობით ბევრი რამ მაინც გაუგებარი რჩება. ექსპერტები ვერ ამბობენ, სადამდე მიიყვანს ლარის თავისუფლად გაშვება ეკონომიკას, ფასებს, ან როგორ აისახება ის სოციალურ ფონზე. სააკაშვილს, როგორც ამბობენ, ლარის კურსი ხელოვნურად ეჭირა და ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტებით ქმნიდა ეკონომიკის ზრდის ტენდენციას. როგორ ტაქტიკას აირჩევს ახალი ხელისუფლება, მით უფრო, რომ ეკონომიკურ გუნდს მართვის გამოცდილება არ გააჩნია. **ვაჟა ბერიძის** განმარტებით, ყველას, ვინც ეკონომიკური პოლიტიკის მართვაში მონაწილეობს, გამოცდილება არ აქვს:

– მაგალითად, ხადური და კვირიკაშვილი თუ ეკონომიკაში გარკვეულები არიან, ის არ ესმით და შესაბამისი გამოცდილებაც არ აქვთ კალაძესა და ფიფიას, ისინი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობენ, თუმცა შესაბამისი გამოცდილება არ გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, იმ ბერკეტებს, რომელსაც სუსტი ქვეყანა უნდა ფლობდეს ვითარების დასარეგულირებლად, ისინი ვერ ფლობენ. ლარის მიმართ კი გაუგებარი განცხადებები ისმის. ხელისუფლებას უფრო ნათელი პოზიცია უნდა ჰქონდეს...



**„ლარის კურსს საფრთხე არ ემუქრება, ეროვნულ ბანკს აქვს შესაბამისი რესურსი ამისთვის“**



**„ამ ხელისუფლებას კი აქვს ცდუნება, სოციალური ვალდებულებები იოლად გაისტუმროს, დევალვირებული ლარით“**



**ვაჟა ბერიძე: „ლარის კურსის ცვალებადობა არ არის განსაკუთრებული შეთქმულების შედეგი“**

**„ვფიქრობ, მთავრობა ექსპერიმენტზე მიდის და თანდათან უშვებს ლარის კურსს. რას მოგვიტანს ეს, რთული სათქმელია“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „საკითხის ორი წლით გადადება ფორმალურია, მოვა დრო და ისევ გადადებენ“

## ჯემალ გახოკიძე: „თუ ჩვენ გამოძიებას მოწმის დაკითხვის უფლებას ჩამოვართმევთ, ამ ინსტიტუტს საერთოდ აზრი ეკარგება“



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**მოწმის დაკითხვის წესის შეცვლაზე კანონპროექტის მიღება პარლამენტმა 2009 წლიდან მოყოლებული ხუთჯერ გადადო. უმრავლესობის წევრების განცხადებით, ამდენჯერ გადადების ფაქტი თავისთავად ცუდია, თუმცა ნაჩქარევად მის მიღებას მორიგი ორწლიანი „ტაიმაუტი“ ამჯობინეს. მიუხედავად ხანგრძლივი დროისა, მსჯელობა დღესაც აქტიურად მიმდინარეობს. სად უნდა მოხდეს მოწმის დაკითხვა – წინასწარი გამოძიების პროცესში თუ პირდაპირ სასამართლო პროცესზე?.. ბუნებრივია, ორივე მხარეს საკუთარი მხარდამჭერები ჰყავს. სახალხო დამცველი პარლამენტს დიდი ხნის განმავლობაში მოუწოდებდა, რომ ცვლილების გადადება ტრადიციად არ ქცეულიყო, მით უფრო, რომ, ნანუაშვილის განცხადებით, დაკითხვის პროცესი ძირითადად ადამიანების უფლებების დარღვევის ფონზე მიმდინარეობდა. სასამართლო პროცესზე მოწმის დაკითხვის წინააღმდეგ გამოდის სამართლის ექსპერტი და უშიშროების ყოფილი მინისტრი ჯემალ გახოკიძე. მისი განცხადებით, კონკრეტული ფაქტის გამოძიება სწორედ სასამართლო პროცესამდე უნდა მოხდეს და შესაბამისი მტკიცებულებებიც მანამდე უნდა შეგროვდეს.**

# EXCLUSIVE

**ჯემალ გახოკიძე, სამართლის ექსპერტი:**

– ამ ცვლილების შეტანა უნდოდათ ჯერ 2011 წელს, შემდეგ 2012-შიც, მაგრამ ყოველ ჯერზე ხდებოდა მისი გადადება. თუ ჩვენ გამოძიების ინსტიტუტს ვაღიარებთ, მაშინ ჯერ საქმის გამოძიება უნდა მოხდეს და შემდეგ სასამართლოში წავიდეს ეს საქმე. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გამოძიებას მოწმის დაკითხვის უფლებას ჩამოვართმევთ, ამ ინსტიტუტს საერთოდ აზრი ეკარგება. თუ გამომძიებელმა მოწმე არ დაკითხა, მტკიცებულებები არ მოიპოვა, მხედველობაში არ მიიღო მოწმის ჩვენება შემდგომში გამოძიების განვითარებისთვის, რომ საბოლოოდ დამნაშავე იპოვოს, მაშინ უნდა შევეგუოთ იმას, რომ სისტემა გადავა სასამართლო გამოძიებაზე. ანუ გამოძიება დაიწყება სასამართლოში და იქვე უნდა დასრულდეს მთელი პროცესი. ჩვენ ასეთი პროცესისთვის ჯერ მზად არ ვართ. ეს ჯერ ძალიანნაადრევია. ვფიქრობ, გადაწყვეტილებაც ძალიან ნაჩქარევი იყო. ეს ვისი იდეაც იყო, იმ ადამიანებმა ძალიან დემოკრატიულობანა ითამაშეს. ამით უნდოდათ ეთქვათ, რომ აი, ჩვენ იქამდე მივიყვანეთ გამოძიების დონე, რომ მოწმის დაკითხვაც აღარ გვინდა წინასწარ, პირდაპირ სასამართლოში გადაწყდება ყველაფერიო. მე მხარს ვუჭერ იმ მოსაზრებას, რომ მოწმის დაკითხვის გაუქმება გამოძიების სტადიაზე მიზანშეწონილი არ არის. ზოგადად, დღევანდელი მდგომარეობით გამოძიება, გამომძიებელი და მთელი ეს პროცესი ძალიან დაკნინებულია. გამოძიება არ არსებობს. ეს პროცესი ფორმალურია. გამომძიებელს ისედაც არ აქვს არანაირი საპროცესო გადაწყვეტილების უფლება, პრაქტიკულად უუფლებო პიროვნებაა, რომელიც პროკურორის თანაშემწედ ითვლება და ასრულებს მხოლოდ მის დავალებას. გამომძიებელი სხვა რამეს ნიშნავს. გამომძიებელმა უნდა გამოიძიოს და ამის შესაბამისი უფლებები უნდა ჰქონდეს. თუ მას არავითარი საპროცესო გადაწყვეტილების უფლება არ აქვს, არც დევნის შეწყვეტის, არც დევნის დაწყების, არც საპროცესო შეთანხმებაში მონაწილეობის, არც საქმის შეჩერების, არც საქმეების გაერთიანების, არც ერთი საქმიდან მეორის გამოყოფის, მაშინ რაღატომ ჰქვია მას გამომძიებელი?

**„მოწმის დაკითხვის გაუქმება გამოძიების სტადიაზე მიზანშეწონილი არ არის“**

**– ფიქრობთ, რომ ჯერ ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს?**

– უნდა გავერკვიოთ, თუ გამომძიებელს გამოძიების უფლებას მივცემთ, ვფიქრობ, ვითარება ბევრად შეიცვლება. გამომძიებელი გამოიძიებს საქმეს, პროკურორი განახორციელებს მასზე საპროცესო ხელმძღვანელობას. მის მიერ გამოძიებულ საქმეს წარადგენს სასამართლოში, სადაც ის ვალდებული იქნება, ბრალდებას დაუჭიროს მხარი. ანუ პროკურორი გამოთავისუფლდება კისერზე ჩამოკიდებული გამოძიების ფუნქციებით და დაკავდება მხოლოდ გამომძიებლის საქმიანობის შემოწმებით. ასეთ შემთხვევაში, პროკურორი თუ ჩათვლის, რომ საკმარისი მტკიცებულებები არსებობს, მაშინ სასამართლოში იბრძოლებს იმისთვის, რომ დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი. დღეს ეს პროცესი რადიკალურად განსხვავებულია. აბსოლუტურად ყველაფერს პროკურორი აკეთებს – გამოძიების პროცესშიც და შემდეგ უკვე სასამართლოშიც. პროკურატურა ასეთ დიდ დატვირთვას ვერ გაუძლებს. გამომძიებელმა უნდა დაიბრუნოს თავისი ფუნქციები, რასაც ჰქვია წინასწარი გამოძიება. ჯერ ეს პროცესი დაწყებულიც არ არის, ყველაფერს პროკურატურა უძღვება და ეს სწორი არ არის. გამომძიებელი უნდა გახდეს ფიგურა, რომელსაც ექნება უფლებები და პასუხისმგებლობა მის მიერ გამოძიებულ საქმეებზე.

**– როგორც ცნობილია, მოწმის სასამართლოში დაკითხვის მეთოდმა სხვა ქვეყნებშიც არ გაამართლა...**

– ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის საფრანგეთში, იტალიაშიც იყო მცდელობები, მოწმის დაკითხვა სასამართლოში მომხდარიყო, მაგრამ ყველგან ჩავარდა.

**– რატომ ჩავარდა?**

– იმიტომ რომ გამოძიებამ ფუნქცია დაკარგა, გამომძიებელი აღარაფერს წარმოადგენდა. მოწმე იმიტომ არსებობს, რომ ის უნდა დაიკითხოს გამოძიების სტადიაზე, მისი ჩვენების საფუძველზე შეიძლება სხვა გარემოებებიც გამოიკვეთოს და კიდევ რამდენიმე მოწმე იყოს დასაკითხი. მტკიცებულებათა შეგროვების შანსი მოწმეების დაკითხვის გარეშე ნაკლებად წარმომიდგენია. ვერავინ შეაგროვებს მტკიცებულებებს, თუ მოწმეები არ დაიკითხებიან. წარმოიდგინეთ, რომ მოხდეს ავტოავარია, შემთხვევის ადგილას იდგეს ხალხი, ანუ თვითმხილველები და ისინი არავინ დაკითხოს, ეს ხომ აბსურდია?

**– ითქვა, რომ, მოწმეზე ზეწოლა რომ არ განხორციელებულიყო, სწორედ ამიტომ შედიოდა ცვლილება...**

– კი, ბატონო, მაგრამ მაშინ ამიხსენით, როგორ უნდა შეაგროვოს გამომძიებელმა და პროკურორმა მტკიცებულებები იმისთვის, რომ თქვან, დამნაშავეა თუ არა ეჭვმიტანილი. მე არ ვიცი, ვის მოუვიდა თავში იდეა, რომ ჩვენ ისე ვართ წინ წასულები, რომ არც მოწმის დაკითხვა გვჭირდება და არც საქმის წინასწარ გამოძიება. არ გამოვა ასე, საქმეს უნდა გამოძიება, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ უნდა გახსნან დანაშაული, არ მესმის. საკითხის ორი წლით გადადება ფორმალურია, მოვა დრო და ისევ გადადებენ. ჩემი გადმოსახედიდან ეს საკითხი განუხორციელებადია.



**„მტკიცებულებათა შეგროვების შანსი მოწმეების დაკითხვის გარეშე ნაკლებად წარმომიდგენია“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# რის გამო გაუსწორდნენ ფიზიკურად ზაქარია ქუცნაშვილს?

POLIT BAZ

როგორც ამბობენ, ზაქარია ქუცნაშვილისთვის 2014 წელი საკმაოდ მძიმედ დაიწყო. თიანეთის მაჟორიტარი დეპუტატის გადაწყვეტილებით, ახალ წელს ის საკუთარ ამომრჩეველთან ერთად შეხვდა. თიანეთის ცენტრში კონცერტი იყო დაგეგმილი, რომელსაც ქუცნაშვილი ადგილობრივებთან ერთად ესწრებოდა. კონცერტის დასრულების შემდეგ, სწორედ იმ დროს, როცა დეპუტატი საზეიმო განწყობით ტერიტორიის დატოვებას აპირებდა, მასთან სატყეო მეურნეობის ყოფილი ხელმძღვანელი მისულა. ოღონდ ახალი წლის მისალოცად არა, ემზარ ჯამაგიძეს ქუცნაშვილთან პირადი ანგარიშსწორება ჰქონდა. საქმის გარჩევაც სწორედ იქვე, სახალხოდ დაუწყია. როგორც ირკვევა, ყოფილი უფროსი ქუცნაშვილს თანამდებობის დაკარგვაში ადანაშაულებდა და კონკრეტულ პასუხს ითხოვდა, რატომ ვერ მოახერხა დეპუტატმა მისთვის სამსახურის შენარჩუნება, რატომ არ დამიცავი, როცა ჩემს კანდიდატურას ხსნიდნენ სატყეო-სამეურნეო ხელმძღვანელის პოსტიდანო... დიალოგი დეპუტატსა და ყოფილ ხელმძღვანელს შორის ირგვლივმყოფებსაც ესმოდათ. ქუცნაშვილი, როგორც ამბობენ, თავის დაცვას ცდილობდა და ჯამაგიძეს უხსნიდა, რომ მასზე არ იყო დამოკიდებული პოსტის შენარჩუნება-არშენარჩუნება, რამაც ჯამაგიძე კიდევ უფრო გააღიზიანა და ლაპარაკიც ჩხუბში გადაზრდილა. ჯამაგიძისგან თავის დაღწევა ქუცნაშვილმა საკუთარი მეგობრების დახმარებით შეძლო და ტერიტორიაც მშვიდობიანად დატოვა. თუმცა თავად დეპუტატი ყოველგვარ დაპირისპირებას უარყოფს და აცხადებს, რომ მსგავს ფაქტს ადგილი საერთოდ არ ჰქონია. საპარლამენტო უმრავლესობის პიარმენეჯერის განცხადებით, ზაქარია ქუცნაშვილი საქართველოში არ იმყოფებოდა და, შესაბამისად, ვერც დაპირისპირება მოუვიდოდა ვერავისთან.

# რატომ მოხვდა საავადმყოფოში მარგველაშვილის სიძე



POLIT BAZ

**პრეზიდენტის სიძე რესპუბლიკურ საავადმყოფოში „პერედოზიროვკით“ მოხვდა. ინფორმაციას საავადმყოფოს თანამშრომლები ადასტურებენ, თუმცა საკუთარ ვინაობას საიდუმლოდ ტოვებენ. როგორც ამბობენ, მინდია გოგოჭური საავადმყოფოში მეგობართან ერთად მოხვდა, კაჭარავა და გოგოჭური საავადმყოფოში იმდენად მძიმე ვითარებაში შეიყვანეს, რომ მორიგე ექიმმა დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება, ფაქტი პოლიციისთვის შეეტყობინებინა.**

**რესპუბლიკური საავადმყოფოს თანამშრომელი:** „მინდია გოგოჭური მეგობართან ერთად, რომლის გვარიც კაჭარავაა, დილის საათებში შემოიყვანეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ორივე მათგანი ნარკოტიკული თრობის ქვეშ იმყოფებოდა. გოგოჭურს პულსიც კი არ ესინჯებოდა, იმდენად მძიმე მდგომარეობაში იყო. რესპუბლიკური საავადმყოფოს მორიგე ექიმმა ფაქტის შესახებ პოლიციას აცნობა, მოგვიანებით ორივე მათგანი რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს. მათი ვინაობა მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი, როცა საავადმყოფოში გიორგი მარგველაშვილის დაცვა და მაკა ჩიჩუა მოცვივდნენ. გოგოჭურსა და კაჭარავას გადაუდებელი დახმარება ჩაუტარდათ, დიაგნოზიც დასმულია – კოკაინის გადაჭარბებული დოზით მიღება“.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა, ინფორმაცია პრეზიდენტის პრესსამსახურში გადაემოწმებინა, თუმცა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადეს. მათი განცხადებით, საინფორმაციო სააგენტოების მიერ ბევრი არასწორი და გამოგონილი ჭორი ვრცელდება.

# დაპირისპირება „პროსპექტში“



POLIT BAZ

**ლევან გაჩეჩილაძის შვილი მორიგ სკანდალში გაეხვია. თემა იგივეა. „გრეჩიხას“ შვილები, როგორც წესი, საინფორმაციოებში ძირითადად საქმეების გარჩევის თემით ან სხვადასხვა კაფეებში ჩხუბების გამო ხვდებიან. ამჯერად კოტიკო გაჩეჩილაძემ იხმაურა ვაკეში. უფრო კონკრეტულად კი რესტორან „პროსპექტში“. იქ გაჩეჩილაძე მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა. მათ შორის იყო ყოფილი პრემიერის, ზურაბ ჟვანიას შვილი, ბუსა ჟვანია და ნიკა ივანიშვილის შვილი რატი ივანიშვილი. სამივენი მეგობრები არიან. შესაბამისად, გაურკვეველია, რამ გამოიწვია დაპირისპირება მათ შორის. თუმცა რესტორნის თანამშრომლები აცხადებენ, რომ არც ერთი მათგანი არ დაზიანებულა და ჩხუბიც მას შემდეგ დაიწყო, როცა ახალგაზრდებმა „პროსპექტი“ დატოვეს. გავრცელებული ინფორმაციით, რატი ივანიშვილი ყველაზე მეტად დაზიანდა. მას დანით მსუბუქი დაზიანება ჰქონდა მიყენებული, თუმცა ის უკვე სახლშია და თავსაც კარგად გრძნობს. იგივეს აცხადებს ბუსა ჟვანიას დედა, ნინო ქადაგიძე-ჟვანია:**

– ჩემი შვილი კარგად არის. კოტე ჩემი შვილის ყოფილი კლასელია, რატის მამა კი ჩემი მეგობარია, ჩვენი ოჯახის მეგობრები არიან. ვერაფერს ვერ გეტყვით სხვას.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# შეცვლიან თუ არა პარლამენტის თავმჯდომარეს



POLIT BAZ

**ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში რამდენჯერმე გავრცელდა ინფორმაცია დავით უსუფაშვილის ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ. თავად ბატონი დავითი, ბუნებრივია, ინფორმაციაზე არანაირ კომენტარს არ აკეთებს, თუმცა ყოველ „ნიუსს“ საკმაოდ ემოციურად ხვდება მისი მეუღლე, თინათინ ხიდაშელი. დეპუტატის განცხადებით, მსგავსი ჭორების გავრცელება მხოლოდ არაპროფესიონალიზმით შეიძლება აიხსნას, თუმცა მიუხედავად ამისა, ხიდაშელმა მედიის წარმომადგენლებს საკუთარი „facebook“-ის მეშვეობით მაინც მიმართა.**

**თინათინ ხიდაშელი, დეპუტატი:**

– ორი წლის წინათ საარჩევნო კამპანიის დროს რაღაც მომენტში დათო ნამდვილად იყო საავადმყოფოში, მაგრამ არანაირი კავშირი არ აქვს ამას არც ხვედელიძესთან, არც გულის წასვლასთან და არც უგონო მდგომარეობაში გვიპოვია და არაფერი. ჩვეულებრივ, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი, დავდივართ ხოლმე ექიმთან, რომ გავერკვიოთ, რამე ხომ არ გვჭირს...

გავრცელებული ინფორმაციით, უსუფაშვილმა გონება ბოლო პერიოდში ორჯერ დაკარგა. ერთხელ პარლამენტში ყოფნის დროს და მეორედ ცოტა ადრე, წინასაარჩევნო პერიოდში. როგორც ამბობენ, მაშინ უსუფაშვილი უგონო მდგომარეობაში შემთხვევით აღმოაჩინა გელა ხვედელიძემ და სწორედ მან გადაარჩინა. ბუნებრივია, ინფორმაცია არ დასტურდება, თუმცა თავად ხიდაშელიც აღიარებს, რომ პოლიტიკური ჭორების უკან კონკრეტული მიზანი დგას...

**თინათინ ხიდაშელი:**

– ვერ გავახარებ, ვისაც ასეთი სურვილები აქვს, ტყუილია. თავად ინფოც შესაფერისი ქაჯობისა და არაპროფესიონალიზმის დადასტურებაა. ესე იგი, თუ ტყუილი გინდა, ისე მაინც დაწერე, რომ დაგიჯერონ... ათასჯერ მითქვამს, იჭორავეთ რამდენიც გინდათ, გაგვლანძღეთ, რქიანი და კუდიანები გვეძახეთ, რა ვიცი, კიდევ რა, მაგრამ ასეთ თემებს ნუ ეხებით. ძალიან სამარცხვინოა ეს ყველაფერი.

რამდენად შეიძლება გარკვეულმა პოლიტიკურმა ჯგუფმა სწორედ პარლამენტის თავმჯდომარის ჯანმრთელობის მიზეზით მისივე შეცვლა მოითხოვოს და რა შანსები აქვს ასეთ გეგმას?.. იურისტების განცხადებით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოყენება პირის თანამდებობიდან გადასაყენებლად ყველაზე სუსტი გზაა, თუმცა შესაძლებელია მისი დროებით ჩამოშორება...

ლევან ალაფიშვილი, იურისტი:

– ამ შემთხვევაში ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად მძიმე უნდა იყოს, რომ არ მისცეს პირს საკუთარი მოვალეობების შესრულების საშუალება თანაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ეს ხანგრძლივი პერიოდი სხვადასხვა თანამდებობის პირისთვის სხვადასხვა დროს მოიცავს. შეიძლება იყოს ორთვიანი ვადა, ან ოთხთვიანი. მაგალითად, მსუბუქი ვირუსული დაავადება, გრიპი ან თუნდაც მოტეხილობა სულაც არ შეუზღუდავს კონკრეტულ თანამდებობის პირს მუშაობას. მით უფრო, პარლამენტის რეგლამენტი იძლევა საშუალებას, რომ სხდომას, თავმჯდომარის გარდა, გაუძღვეს მისი მოადგილე, თავმჯდომარის დავალებითვე. ასე რომ, პარლამენტის თავმჯდომარესთან მიმართებაში ეს საფუძველი ყველაზე სუსტი იქნება.



# გიგი უგულავამ საქართველო დატოვა



POLIT BAZ

**დედაქალაქის ყოფილმა მერმა საქართ-**
**ველო დატოვა. ბუნებრივია, მის წასვლას**
**პოლიტიკური შეფასებებიც მოჰყვა. ოპონ-**
**ენტებს ეჭვი აქვთ, რომ უგულავამ შესაძლ-**
**ოა, მიმალვაც სცადოს. დაახლოებით იგივე**
**რეაქცია გამოიწვია უგულავას ქვეყნიდან**
**გასვლამ საპრეზიდენტო არჩევნების შემდ-**
**ეგ, როდესაც ქალაქის ჯერ კიდევ მოქმედმა**
**მერმა ქვეყანა მიხეილ სააკაშვილთან ერ-**
**თად დატოვა. მაშინ სააკაშვილი და უგულ-**
**ავა ბრიუსელში ოფიციალური ვიზით გაემ-**
**გზავრნენ დაგეგმილ შეხვედრებზე. თუმცა**
**ამჯერად უცნობია უგულავას ვიზიტის დე-**
**ტალები. ინფორმაციას არც მერიაში და არც**
**პარტიაში არ ფლობენ. ყოველ შემთხვევაში**
**დეტალებზე ხმამაღლა არ საუბრობენ. ყო-**
**ფილი მერის პირადი ადვოკატი ირწმუნება,**
**რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი 15 იანვარს**
**უკვე თბილისში იქნება და საკუთარ პროც-**
**ესსაც დაესწრება.**

**გიზო უგულავა, ადვოკატი:**

– ის აუცილებლად დაბრუნდება. ქვეყნიდან
პირადი საქმის გამო გავიდა 9 იანვარს, სალა-
მოს, რაზეც ინფორმირებული იყო როგორც
სასამართლო, ასევე პროკურატურა. გიგი უგ-
ულავას ქვეყნის დატოვების შეზღუდვა დაწე-
სებული არ აქვს და მიუხედავად ამისა, მან 9
იანვარს სასამართლოზე განაცხადა, რომ აპ-
ირებდა ქვეყნის დატოვებას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატი ამაღლობელი გურამ ოდიშარიას ჩაანაცვლებს



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**რატი ამაღლობელი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი კოალიციის შექმნის პირველივე დღეებიდან გახდა. სწორედ ის იყო კოალიციის პირველი ყრილობის წამყვანი და ბოლოს რამდენიმე დღის წინ პრემიერ-მინისტრთან ერთად მესტიაში სეზონის გახსნაზე გამოჩნდა. პოეტმა, ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად, მუზეუმი დაათვალიერა. ამაღლობელის სიმამრის, ექსპერტ სოსო ცისკარიშვილის განცხადებით, სწორედ ამ საერთო გამოჩენამ შეუწყო ხელი პოლიტიკური ჭორების გავრცელებას. თუმცა ინფორმაცია რატის გამინისტრების შესახებ მესტიის შემთხვევამდეც განიხილებოდა.**

გურამ ოდიშარიას შეცვლაზე უკვე დიდი ხანია საუბრობენ. გასული წლის ბოლოს სამინისტროში მოწყობილ შემაჯამებელ შეხვედრაზე მინისტრმა თითოეულ თანამშრომელს მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისთვის. შეხვედრა წლის განმავლობაში გაკეთებული საქმეების განხილვას ისახავდა მიზნად, თუმცა ის უფრო გამოსამშვიდობებელ ღონისძიებას ჰგავდა... საკუთარ გამოსვლაში კულტურის მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამინისტროს 2014 წელსაც ძალიან ბევრი გეგმა აქვს განსახორციელებელი. მთავარია, ყველაფერი გაკეთდეს და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ და ვისი ხელმძღვანელობით მიაღწევს მიზანს. საკუთარი სიტყვის დასრულების შემდეგ კითხვები მისი წასვლის შესახებ ლოგიკურად გაჩნდა. „პრაიმტაიმმა“ ცვლილებებთან დაკავშირებით მაშინ პასუხიც მიიღო მინისტრისგან...

**გურამ ოდიშარია, კულტურის მინისტრი:**

– მთავარია, საქმე გაკეთდეს და ყველა ის პროექტი გაგრძელდეს, რომელიც ჩვენმა სამინისტრომ აქამდე განახორციელა, ბევრად მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის წინ გადაიდგას ნაბიჯები. მე უკვე აღვნიშნე, რომ მნიშვნელოვანია ის, რა გაკეთდება და არა ის, კონკრეტულად ვინ გააკეთებს ამას.

**– ანუ თქვენ შეიძლება აღარ იყოთ მინისტრთა ახალ კაბინეტში?**

– ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

ასეთი განწყობის მიუხედავად, ოდიშარიამ თანამდებობა 2014 წლის დასაწყისამდეც შეინარჩუნა, თუმცა, როგორც ახლა ამბობენ, რეალური კანდიდატი სწორედ რატი ამაღლობელია. პოლიტიკოსები მასზე,

**„მთავარია, საქმე გაკეთდეს და ყველა ის პროექტი გაგრძელდეს, რომელიც ჩვენმა სამინისტრომ აქამდე განახორციელა“**



## „მე უკვე აღვნიშნე, რომ მნიშვნელოვანია ის, რა გაკეთდება და არა ის, კონკრეტულად ვინ გააკეთებს ამას“



როგორც მომავალ მინისტრზე, უკვე ღიად საუბრობენ და მის პლუსებსა და მინუსებსაც განიხილავენ. ოდიშარიასგან განსხვავებით, მთავარ პლუსად ამაღლობელს უცხო ენების ცოდნას უთვლიან. გარდა ენებისა, მის მორიგ დადებით თვისებად უცხო ქვეყნების კულტურის, ტრადიციების ცოდნას ასახელებენ და როგორც ამბობენ, მას კულტურის განვითარების მკაფიო ხედვაც აქვს...

კულტურის სამინისტროში ცვლილებებს არ ელოდებიან. სამინისტროს პიარმენეჯერის, ირმა ცქიტიშვილის განცხადებით, მინისტრი ჩვეულ რეჟიმში მუშაობს და არანაირ ინფორმაციას სამსახურის შეცვლასთან დაკავშირებით არ ფლობს.

**ირმა ცქიტიშვილი, კულტურის სამინისტროს პიარმენეჯერი:**

– მსგავსი ინფორმაცია არ გამიგია. პირიქით, ახლაც, ამ წუთას მინისტრთან ერთად ვიმყოფები და ჩვეულ სამუშაო რეჟიმში ვართ.

დაახლოებით იგივე პასუხი მივიღეთ პარლამენტიდანაც. კულტურის კომიტეტის ხელმძღვანელის, ივანე კიღურაძის განცხადებით, მისთვის კონსულტაციებით არავის მიუმართავს...

**ივანე კიღურაძე, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე:**

– არაფერი მსგავსი არ გამიგია, არავის ჰქონია ჩემთან ამ საკითხზე მსჯელობა. ვფიქრობ, უბრალოდ, ჭორებია.

რაც შეეხება თავად რატი ამაღლობელს, ის აღნიშნულ საკითხზე საერთოდ არ საუბრობს. მისი ოჯახის წევრები კი ინფორმაციას უარყოფენ და აცხადებენ, რომ ჭორები სწორედ მესტიაში პრემიერთან ერთად გამოჩენამ გამოიწვია.

**სოსო ცისკარიშვილი, ექსპერტი, რატი ამაღლობელის სიმამრი:**

– ნამდვილად ვერ დავადასტურებ ამ ინფორმაციას, რადგან არასერიოზული ინფორმაციაა და მას რეალური საფუძველი არ გააჩნია. ყოველ შემთხვევაში, რატისთვის ამ თემაზე საუბარი მიუღებელია, რადგან სინამდვილეს არ შეეფერება. როგორც იტყვიან, ასეთი ჭორის წყარო შეიძლება იყოს მესტიაში შემთხვევითი თანხვედრა რატისა და მთავრობის მაღალჩინოსნების. საკითხის განხილვა და მით უფრო შეთავაზება ბუნებაში არ არსებობს.

ლოგიკურიც არის, რომ გადაწყვეტილება წინასწარ არ ხმაურდება. ასე იყო ნებისმიერი ცვლილების წინ, რომელიც ხელისუფლებამ განახორციელა. შესაბამისად, ოდიშარიას ამაღლობელით ჩანაცვლებაზე ჯერჯერობით ხმამაღლა არავინ საუბრობს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# შსს ერთი წლის სტატისტიკ






**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**ამნისტიის შედეგად 2013 წელს საპყრობილე დაახლოებით 16 ათასამდე მსჯავრდადებულმა დატოვა. ზოგიერთები ასეთ ფართო ამნისტიას ეჭვის თვალით უყურებდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ შს სამინისტრო ვერ შეძლებდა კრიმინოგენური ვითარების გაკონტროლებას. თუმცა, სკეპტიციზმის მიუხედავად, დანაშაულის რაოდენობამ იმავე წელსვე საგრძნობლად იკლო.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის თანახმად, 2013 წელს საქართველოში სულ 28970 დანაშაული მოხდა, მათგან 17 339, ანუ ჩადენილი დანაშაულის 59,9%, უკვე გახსნილია. წინა წელთან მიმართებაში 2013 წელს ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა 25,7%-ით არის შემცირებული და 40,9%-ითაა გაზრდილი გახსნის მაჩვენებელი.

სამინისტროს სტატისტიკა დეტალურია და ის მთელი საქართველოს მასშტაბით არსებულ მდგომარეობას მოიცავს. ბუნებრივია, ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს დედაქალაქი. თბილისში 2012 წელს სულ 14 033 დანაშაული დაფიქსირდა. აქედან 6494 დანაშაული, ანუ 46,3% გაიხსნა. 2013 წელს თბილისში დანაშაულმა 15,2%-ით იკლო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ სტატისტიკაში რეგიონების მდგომარეობაცაა ასახული. დანაშაულის კლება მთელი საქართველოს მასშტაბით თითქმის გამონაკლისის გარეშე ფიქსირდება, თუმცა ყველაზე დიდი სხვაობა, 2012 წელთან შედარებით, ქვემო ქართლში იყო. აქ დანაშაულმა 57,1%-ით იკლო, თუმცა გახსნილი საქმეების რაოდენობით იმერეთი ლიდერობს. აქ გახსნა 63,5%-ით გაიზარდა და აღნიშნულმა რეგიონმა ასევე რეკორდი მოხსნა 2013 წელს ჩადენილი დანაშაულების გახსნის რაოდენობითაც. დაფიქსირებული 2811 დანაშაულიდან ადგილობრივმა სამართალდამცველებმა 2288 გახსენეს, რაც 81,4%-ს შეადგენს.

რაც შეეხება დანარჩენ რეგიონებს, იქ პროცენტები შემდეგნაირად გადანაწილდა:

სამეგრელო-ზემო სვანეთში 2013 წელს სულ 1521 დანაშაული მოხდა. გახსნილია 1102, ანუ ჩადენილი დანაშაულის 72,5%. წინა წელთან შედარებით სამეგრელო-ზემო სვანეთში დანაშაულის რაოდენობამ, ჯამში, 45,1%-ით იკლო.

**აჭარა** – ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა – 2947, გახსნილია დანაშაულის 66,5%. წინა წელთან შედარებით დანაშაულის რაოდენობა 15,4%-ით შემცირდა.

**შიდა ქართლი** – 1395 დანაშაული მოხდა, რომელთაგან 997 გაიხსნა. 2012 წელთან შედარებით დანაშაულის რიცხვმა შიდა ქართლშიც იკლო. ეს, პრინციპში, შეიძლება ითქვას, ტრადიციად იქცა გასულ წელს.

**კახეთი** – გასულ წელს 2012 დანაშაული მოხდა, საიდანაც 1704 გაიხსნა. 2013 წელს დანაშაულის რაოდენობამ კახეთში 6,5%-ით იკლო, ხოლო გახსნის მაჩვენებელმა 52,6%-ით იმატა.

**მცხეთა-მთიანეთი** – მიმდინარე წელს 844 დანაშაული მოხდა, რომლის 70,6% გახსნილია. გასულ წელთან შედარებით დანაშაულმა 8,2%-ით იკლო, გახსნის მაჩვენებელი კი 53,5%-ით გაიზარდა.




**სამცხე-ჯავახეთი** – სულ დაფიქსირდა 796 დანაშაული, გახსნის მაჩვენებელმა კი 79,9% შეადგინა.

დანაშაულის ჩადენის თვალსაზრისით, ყველაზე ნაკლებად **გურიამ** იხმაურა. 2013 წელს აქ მთელი წლის განმავლობაში 619 დანაშაული მოხდა, საიდანაც 353, ანუ 57% გაიხსნა.

უმრავლესობის წევრებს მიაჩნიათ, რომ ასეთი წარმატებული შედეგი შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპოლიტიზებითაა განპირობებული და თვლიან, რომ წინა ხელისუფლების მიერ უსამართლოდ დაჭერილი პატიმრების განთავისუფლებამ დადებითად იმოქმედა.

პარლამენტის თავდაცვის კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელების განცხადებით, დანაშაულის შემცირება ძირითადად ორმა ფაქტორმა განაპირობა: პატიმრების რაოდენობის ხელოვნური ზრდის შეჩერებამ და შინაგან საქმეთა სამინისტროს პროფესიონალურმა მუშაობამ. სესიაშვილისა და ბესელიას განცხადებით, პატიმრების რაოდენობის ხელოვნურ ზრდაში ისინი წინა ხელისუფლების დროს ნარკოტიკებისა და იარაღის ჩადების ფაქტებს გულისხმობენ, ხოლო სამართალდამცავების პროფესიონალიზმის გაზრდაში – პირდაპირი მოვალეობების შესრულებას, რაც, მათივე განცხადებით, სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს პოლიტიკური დავალებებისა და მითითებების შესრულებით იყო ჩანაცვლებული.

**ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა 25,7%-ით არის შემცირებული და 40,9%-ითაა გაზრდილი გახსნის მაჩვენებელი**

**ირაკლი სესიაშვილი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე:**

– დანაშაულის შემცირებისა და გახსნის ასეთი მაღალი პროცენტულობა გამოიწვია სისტემის დეპოლიტიზებამ. ადრე ძირითადი სპეცსამსახურები და პოლიციის ნაწილი პოლიტიკურ დავალებებს ასრულებდა. მე მგონი, არ გასულა დიდი ხანი და ჯერ კიდევ კარგად გვახსოვს, როცა უბნის ინსპექტორი დავალებას იღებდა, გაერკვია და შეესწავლა, ვინ იყო უბანში ხელისუფლების მომხრე, ვინ – მოწინააღმდეგე და ვინ – ვისი ნათესავი. გაგახსენებთ იმასაც, რომ იგივე სოდ-ი და კუდ-ი დაკავებულები იყვნენ ოპოზიციის მოსმენით, დევნით, დაშინებით და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი შეიცვალა, როგორც კი ხელისუფლების ცვლილება მოხდა და ამას ავტომატურად მოჰყვა სისტემის დეპოლიტიზება. ახალმა ხელისუფლება პირდაპირ და მკაფიოდ განაცხადა, რომ პოლიცია და, საერთოდ, ნებისმიერი სახელმწიფო სამსახური მაქსიმალურად უნდა იყოს დისტანცირებული ვიწრო პოლიტიკური ინტერესებისგან. შესაბამისად, როგორც კი პოლიცია პოლიტიკური ვალდებულებებისგან განთავისუფლდა, ის გადავიდა თავისი ფუნქციური ვალდებულებების შესრულებაზე. მარტივად რომ ავხსნათ, დღეს პოლიცია დაკავებულია იმით, რაც რეალურად მისი საქმეა. შესაბამისად, იმატა პროფესიონალიზმმა. თითოეული პოლიციელი, უსაფრთხოების სამსახურის თითოეული წარმომადგენელი დაკავებულია არა ვინმეს დევნით, დაშინებით ან წამებით, არამედ საქმეების გამოძიებითა და გახსნით. პოლიციამაც ამოისუნთქა, ქვეყანაში მართლწესრიგის დონე ამაღლდა, უსაფრთხოების მეტი პირობები არსებობს და მეტსაც გეტყვით: წინა ხელისუფლებას ქვეყანაში რაიმე სახით შენარჩუნებული თუ





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





ჰქონდა უსაფრთხოება და წესრიგი, ეს მხოლოდ შიშით იყო გამოწვეული. მაგალითად, მანქანას თუ არ იპარავდნენ, ამას აკეთებდნენ იმიტომ, რომ ეშინოდათ ციხეში მოხვედრის, იმიტომ რომ იქ აუცილებლად აწამებდნენ, შეურაცხყოფას მიაყენებდნენ. დღეს ეს შიში ჩვენ სისტემური მუშაობით შევცვალეთ. მე მგონი, საზოგადოება ატყობს, რომ სამართალდამრღვევებს ეშინიათ არა იმის, რომ ციხეში მოხვედრის შემდეგ მათ ვიღაც აწამებთ, არამედ ეშინიათ კანონის. ჩვენ უკვე გადავედით სისტემურ მუშაობაზე. პოლიციაში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ თანამშრომელთა მხოლოდ 13% შეიცვალა. შესაბამისად, შეიძლება გაჩნდეს კითხვა, როგორ მუშაობდნენ იგივე თანამშრომლები, როცა პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებდნენ და როგორ მუშაობენ ახლა ასე კარგად. ადრე ამ პროცესს რამდენიმე ლიდერი ჰყავდა, რომელიც ბოროტად სარგებლობდა საკუთარი ძალაუფლებით. ეს ადამიანები ყველა თანამშრომელს აიძულებდნენ, პოლიტიკური ინსპექტორები გამხდარიყვნენ. თავისუფლად შემიძლია გითხრათ, რომ თანამშრომლებმა ამოისუნთქეს. მე მაქვს ხოლმე საუბარი კუდ-ისა და სოდ-ის ყოფილ თანამშრომლებთან, რომლებიც პირად საუბრებში ამბობენ, რა კარგია თავისუფლად მუშაობაო. ყველაზე მადლიერი დღეს ახალი ხელისუფლების სწორედ სისტემის თანამშრომლები არიან, ისინი გავათავისუფლეთ პოლიტიკური წნეხისგან. რაც მთავარია, პროფესიონალიზმმა იმატა. ყველამ იცის, რომ, თუ კარგად იმუშავებს, წარმატებას მიაღწევს და წინ წავა. ძალიან მარტივი წესებია, ისეთივე როგორიც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში.

**– შეიძლება ითქვას, რომ ამან განაპირობა დანაშაულის გახსნის ასეთი მაღალი მაჩვენებელი?**

– საქმეების გახსნის მატება – ეს ფანტასტიკური შედეგია. თუმცა მომავალში ასეთი დიდი ნახტომი აღარ იქნება. ახლა ასეთი სხვაობა იმიტომ არის, რომ ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, როგორ არანორმალურ რეჟიმში ვცხოვრობდით. ასეთი დიდი ნახტომი არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში არ არის ხოლმე. შემდგომში არც ჩვენთან აღარ იქნება, იმიტომ რომ ყველაფერი თავის რეჟიმში დგება.

**ეკა ბესელია, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი:**

– თავისთავად ეს შედეგი უკვე მეტყველებს მნიშვნელოვან ტენდენციებზე, რომელიც იკვეთება. ის, რომ ათი ათასი ერთეულით შემცირდა დანაშაული ერთი წლის თავზე, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ამნისტიით რამდენიმე ათასი



პატიმარი განთავისუფლდა, მომხდარი დანაშაულის გახსნის კოეფიციენტი არის 60%, ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეს მეტყველებს უწყების ძალიან წარმატებულ მუშაობაზე. ბუნებრივია, ეს არის შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპოლიტიზებით გამოწვეული. ამ უწყების პრევენციის ფუნქციებით დატვირთვამ განაპირობა ის, რომ ჩვენ მივიღეთ რეალური სურათი, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს მიდრეკილება არ აქვს კრიმინალისკენ, პატიმრობიდან განთავისუფლებული ადამიანები აცნობიერებენ, რა გაიარეს წარსულში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სახით. არ ხდება ხელოვნური მეთოდებით პატიმრების რაოდენობის გაზრდა, რაც წინა ხელისუფლების სტრატეგია იყო. „ნაციონალური მოძრაობა“ არის ის ერთადერთი ძალა, ვინც ამ ციფრების საწინააღმდეგო ინფორმაციას ავრცელებს. ფაქტი მაინც ერთია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო და სამართალდამცავები ძალიან კარგად მუშაობენ. ყველაზე მეტად მახარებს ის, რომ ამნისტია, რომელიც ჩვენ გამოვაცხადეთ, იყო გამართლებული, აუცილებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი.

**– რით შეიძლება აიხსნას, რომ მიუხედავად ასეთი მრავალრიცხოვანი ამნისტიისა, დანაშაულის რიცხვი შემცირებისკენ მიდის?**

– პირველი იმით, რომ ამნისტიის კანონი ჩვენ სწორად შევიმუშავეთ. მუხლების შედგენის დროს გავითვალისწინეთ დანაშაულები, რომლებსაც ახასიათებდა განმეორებითობა და მზარდი რეციდივი, ანუ ყველაზე ხშირად რა დანაშაულებიც იკვეთებოდა, ის მუხლები ამნისტიის ქვეშ არ მოგვიქცევია. ამნისტია დავალაგეთ სწორედ იმ პრიორიტეტებით, რომ პრევენცია განგვეხორციელებინა და შესაბამისად, საფრთხეების გათვალისწინებით მოხდა მუხლების ჩადება. ამ პროცესში მუშაობდა სხვადასხვა უწყება, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტრო. ვფიქრობ, ეს იყო ძალიან სწორად მიღებული გადაწყვეტილება. ასევე, ძალიან ბევრი პატიმარი იყო უკანონოდ დაპატიმრებული. საზოგადოებაში ამ

**მამუკა არეშიძე: „ასეთი მაჩვენებლები განპირობებულია იმით, რომ ფსევდოდანაშაულები, ანუ დანაშაულის შეთითხნა აღარ ხდება“**

ადამიანების დაბრუნებამ კრიმინალი კი არ გაზარდა, არამედ პირიქით, შეამცირა, რადგან მათი, ვინც შინაგანად არ არიან მიდრეკილები კრიმინალისკენ, უკან, საზოგადოებაში დაბრუნება ნეგატიურად ვერანაირად ვერ აისახებოდა. მესამე მიზეზი გახლავთ ის, რომ ხელოვნურად არ ხდება ადამიანების დაკავება და დღეს ძნელად წარმოსადგენია, ვინმე ტყუილად დააკავონ. ყოველ შემთხვევაში, შეცდომები შეიძლება იყოს, თუმცა დარწმუნებული ვარ, მათი რაოდენობა მინიმუმამდეა დაყვანილი. არ ხდება იარაღის, ნარკოტიკების ჩადება... მთლიანობაში ეს არის გუნდის ძალიან კარგი მუშაობის შედეგი. ყველაფერმა, რაზეც ახლა ვისაუბრე, სწორედ ეს შედეგი გამოიღო.

**მამუკა არეშიძე, ექსპერტი:**

– ასეთი მაჩვენებლები განპირობებულია იმით, რომ ფსევდოდანაშაულები, ანუ დანაშაულის შეთითხნა აღარ ხდება. ბუნებრივია, ეს სტატისტიკაზე მოქმედებს. ძველ სტატისტიკებში, ასევე, გათვალისწინებული იყო დანაშაულები, რომლებიც თითიდან იყო გამოწოვილი. აქ ფინანსურ დანაშაულებს ვგულისხმობ და სხვა ტიპის ვითომდანაშაულებსაც. დღევანდელი სტატისტიკიდან ეს ყველაფერი ჩამოშორებულია და სურათიც აბსოლუტურად სხვაა. უნდა აღინიშნოს, რომ საბოტაჟის ერთგვარი ნიშნები ნამდვილად იყო გასულ წელს.

**– ვისი მხრიდან?**

– სამართალდამცავ სტრუქტურებში თანამშრომლების მხრიდან. ეს ნიშნები ახლაც არის, ყოველ შემთხვევაში მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ადამიანები შარშან უფრო აქტიურობდნენ, ვიდრე წელს. თუ გახსოვთ, 2012 წელს მოქმედებდა ასეთი სამთავრობო ლოზუნგი – ნულოვანი ტოლერანტობა. მას შემდეგ ვითარება შეიცვალა, რადგან ადამიანების დიდი რაოდენობა აღარ ხვდება ციხეებში და შედარებით შემსუბუქებულია სასჯელების რაოდენობაც. საინტერესოა, შეყვანილია თუ არა ამ სტატისტიკაში ადმინისტრაციული წესით დასჯილი ადამიანების საქმეები. ვფიქრობ, ეს სტატისტიკა სისხლის სამართლის დანაშაულების მონაცემები უფროა. შემცირება გამოიწვია, ალბათ, იმანაც, რომ ის დანაშაულები, რომლებსაც ახლა ადმინისტრაციული წესით აფასებენ, ადრე სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა, ვგულისხმობ წვრილმან ხულიგნობას.

## ირაკლი სესიაშვილი: „ყველაზე მადლიერი დღეს ახალი ხელისუფლების სწორედ სისტემის თანამშრომლები არიან, ისინი გავათავისუფლეთ პოლიტიკური წნეხისგან“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ ჩაიშალა შაშკინის დაჭერა?



## „დაიკითხა 60 ადამიანზე მეტი, რომლებსაც პირდაპირ სთხოვდნენ ჩვენების მიცემას ჩემს წინააღმდეგ“

**უახლოეს დღეებში სასჯელაღსრულების, განათლებისა და თავდაცვის ყოფილ მინისტრს დიმიტრი შაშკინს ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესზე დაკითხავენ. საუბარია 26 მაისის საქმეზე... სასამართლოში გამოცხადებამდე ის ამ თემაზე პროკურატურაში დაიბარეს და ჩვენება ჩამოართვეს. რა შეკითხვები დაუსვეს საგამოძიებო ორგანოში? რის თქმას აპირებს სასამართლოში 2011 წლის 26 მაისს განვითარებულ მოვლენებზე და რატომ ფიქრობს, რომ ვანო მერაბიშვილმა ქვეყანა მეორე 9 აპრილისგან იხსნა? ამ თემებზე „პრაიმტაიმი“ დიმიტრი შაშკინს ესაუბრა.**

EXCLUSIVE

**„ვინც პოლიციელს გადაუარა და მანქანით ათეულობით მეტრი ათრია, ის ადამიანი დღეს თავისუფალია და ასამართლებენ იმას, ვინც მეორე 9 აპრილი არ დაუშვა ჩვენს ქვეყანაში“**

my View

მირიან ბოქოლიშვილი

– ეს იყო ძალიან უცნაური დაკითხვა. ეს მოხდა იმ ფონზე, როდესაც პროკურატურაში იბარებდნენ ათობით თანამშრომელს იმ უწყებებიდან, რომლებსაც მე ვხელმძღვანელობდი, იქნება ეს განათლების სამინისტრო თუ თავდაცვა. ამ ხალხისგან პირდაპირ ითხოვდნენ ჩვენების მიცემას ჩემს წინააღმდეგ. ეს არის ერთ-ერთი ნიმუში პოლიტიკური დევნისა. მოდით, შევხედოთ, რა განსხვავებაა პოლიტიკურ დევნასა და საქმის რეალურ გამოძიებას შორის? გამოძიების საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს, მაგრამ ძიება იწყება კონკრეტულ ფაქტზე და თუ იქ ვინმეს დანაშაული გამოიკვეთა, შემდეგ დგება მისი პასუხისმგებლობა. მაგრამ იმას, რაც ახლა ხდება, გამოძიებასთან არაფერი აკავშირებს. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს კონკრეტული პიროვნების მიზანში ამოღებას და შემდეგ მის გარშემო ჩვენებების მოპოვებას. დაკითხვები, რომელიც განათლებისა და თავდაცვის სამინისტროებში ჩატარდა, მიუთითებს იმაზე, რომ ცდილობენ, როგორმე ჩემს კვალზე გამოსვლას. რიგით თანამშრომლებს, იქნება ეს სპეციალისტი, თუ მრჩეველი, პირდაპირ ეუბნებიან, შაშკინის წინააღმდეგ უნდა მისცე ჩვენებაო.

**– და კონკრეტულად რა საქმეზე?**

– სხვადასხვა საქმეებია და რომელიც მათთვის ყველაზე ოპტიმალური იქნება, არჩევანიც იმის მიხედვით გაკეთდება, ალბათ. მხოლოდ ჩემ გარშემო 60 ადამიანზე მეტი დაიკითხა, რომლებსაც პირდაპირ სთხოვდნენ ჩვენების მიცემას ჩემს წინააღმდეგ. ეს დაკითხვები განსაკუთრებით დეკემბერში გააქტიურდა. თუ ადრე ამ ხალხის პროკურატურაში ჩვენების ჩამორთმევა გარკვეულ მორალურ ჩარჩოებში მაინც ჯდებოდა, ახლა პირდაპირი პრესი და ფსიქოლოგიური ზეწოლაა. განიხილებოდა „ბრძნული“ იდეები, რომ თითქოს მე მქონდა ჩემი კომპანიები, რომლებიც იგებდნენ ტენდერებს და ა.შ. ცალსახად შემიძლია გითხრა, რომ რა ქონებითაც მივედი მთავრობაში, ზუსტად იგივე ქონებით წამოვედი, არაფერი უკეთესობისკენ არ შეცვლილა ჩემს ფინანსურ მდგომარეობაში, განსხვავებით იმ ადამიანებისგან, რომლებიც ახლა მოვიდნენ ხელისუფლებაში და უკვე შეიძინეს სხვადასხვა სახის ძვირადღირებული ქონება. სასჯელაღსრულებასა და თავდაცვაში დიდხანს არ ვყოფილვარ, რამდენიმე თვე დავყავი თითოეულ ამ უწყებაში, ამიტომ ძნელია იქ რამის ამოქქვა. აქედან გამომდინარე, წავიდნენ უფრო მარტივი გზით და დაიწყეს მუშაობა იმაზე, რა შეიძლება იპოვონ განათლების სამინისტროში, სადაც მე გაცილებით დიდხანს მომიწია მუშაობა. ერთ-ერთი საქმე, რომლის ჩემთან მობმასაც ცდილობდნენ, უკავშირდებოდა იმას, რომ თითქოს მე ვიყავი მეწილე იმ კომპანიისა, რომელიც განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობდა. საუბარია ცნობილ ბრიტანულ კომპანია „მაკმილანზე“, რომელიც სახელმძღვანელოების ბაზარზე იგივეა, რაც საავტომობილო ბაზარზე „მერსედესი“. საგამოძიებო ორგანოების მთელი ჰიპოთეზა ემყარებოდა იმას, რომ ამ კომპანიის ერთ-ერთმა მეწილემ არჩევნების შემდეგ გაიტანა საკუთარი წილი და დატოვა ეს კომპანია. ეს იყო ინგლისის მოქალაქე. განათლების სამინისტროს თანამშრომლებს აიძულებდნენ, ეთქვათ, რომ რეალურად ეს პიროვნება ინგლისელი კი არა, შაშკინი იყო. საბოლოოდ საქმეში ჩაერია დიდი ბრიტანეთის ელჩი და მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის მთავრობამ ჩაუკაკუნათ თავში, ეს ასე არ ხდებაო, პროცესიც შეფერხდა. ახლა სხვა მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა. ვნახოთ, რით დასრულდება ეს ყველაფერი.

**„საბოლოოდ საქმეში ჩაერია დიდი ბრიტანეთის ელჩი და ბრიტანეთის მთავრობამ ჩაუკაკუნათ თავში“...**

**– მით უმეტეს, საინტერესოა, რატომ დაგიბარეს 26 მაისის თემაზე და არა თუნდაც იმ საქმეებზე, რომლებზეც ახლა საუბრობთ?**

– ჩემთვისაც გაუგებარი იყო პროკურატურაში 26 მაისის საქმეზე დაბარება. გაუგებარი და უცნაური იყო, რადგან უკვე გითხარი, რა ფონზეც ხდება ეს და მეორეც – 26 მაისის საქმეზე მე ვარ დაცვის მხარის მოწმე. მაგალითად, მე არ მაქვს უფლება, დავესწრო ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესს, როდესაც მიდის არსებითი განხილვა. რადგანაც ვარ დაცვის მოწმე, ბრალდებას არ ჰქონდა უფლება ჩემი დაკითხვის, ამის უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს. მიუხედავად ამისა, პროკურატურაში დაკითხვა შედგა.

**– იყო მოსაზრება, რომ 26 მაისის თემაზე სხვა ეპიზოდთან დაკავშირებით მოხდა თქვენი დაკითხვა და არა უშუალოდ ვანო მერაბიშვილის ეპიზოდზე...**

– ჩემი დაკითხვის დროს შეკითხვები ეხებოდა მხოლოდ და მხოლოდ ვანო მერაბიშვილს. სხვა შეკითხვები ჩემ მიმართ ვერც იქნებოდა, რადგან არ გახლდით შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი და შესაბამისად, სხვა ეპიზოდებზე შეკითხვებს, ბუნებრივია, ვერ ვუპასუხებდი. მაშინ ჩვენ, ყველანი, ვიყავით მიხეილ სააკაშვილის გუნდის წევრები, თუმცა არასოდეს დამიმალავს, რომ ვმეგობრობდი ვანო მერაბიშვილთან, ისევე როგორც ზურა ადეიშვილთან და იმ ხალხთან, ვისთან ერთადაც ვაკეთებდი საქმეს. არავისთვის დასამალი არ არის, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაში იყო ორი გამორჩეული მინისტრი თავისი ინტელექტუალური რესურსით. ესენი იყვნენ ზურა ადეიშვილი და ვანო მერაბიშვილი. მაგრამ ჩვენ ვიყავით მიხეილ სააკაშვილის გუნდი, ჩემი დანიშვნაც უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით მოხდა, რომელსაც 1997 წლიდან ვიცნობ.

**– ამბობენ, რომ არა კავშირები ამერიკისა და დასავლეთის პოლიტიკურ წრეებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, შაშკინს აქამდე დააპატიმრებდნენ... რამდენად რეალურია ეს ხმები?**

– არანაირი გარანტია არ არსებობს. საუბარი შეიძლება იყოს იმაზე, რომ ჩვენი საერთაშორისო მეგობრები და პარტნიორები სრულიად ღია ტექსტით ეუბნებიან ახალ მთავრობას, რომ პოლიტიკური დევნა ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს. მოგიყვები ერთ მაგალითს: 2009 წელს ვიყავი აშშ-ში, იმ პერიოდში გახლდით სასჯელაღსრულების მინისტრი და პარალელურად ვკურირებდი დემოკრატიული რეფორმების მე-2 ტალღას. შეხვედრა მქონდა ქალბატონ თინა ქეიდენაუსთან, რომელმაც მკითხა ნინო ბურჯანაძის წყნეთის აგარაკთან დაკავშირებით. ეს ის პერიოდია, როდესაც ბურჯანაძეს ეს აგარაკი ჩამოერთვა. მე ავუხსენი იურიდიული კაზუსი, რომ აგარაკის ჩამორთმევა მოხდა იმიტომ, რომ ბურჯანაძემ არ გადაიხადა კანონით გათვალისწინებული გადასახადი. ამერიკელმა მაღალჩინოსანმა მაშინვე შემაწყვეტინა სიტყვა და თქვა, ბურჯანაძე არის ოპოზიციური პარტიის ლიდერი და ამიტომაც არსებობს კითხვები ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებითო. ეს ხდებოდა ერთი კონკრეტული ფაქტის შემთხვევაში და თქვენ წარმოიდგინეთ, რა დამოკიდებულება აქვს დასავლეთს, როდესაც მთავარი ოპოზიციური ძალის გენერალური მდივანი, სხვა ყოფილი მაღალჩინოსნები და პარტიის წევრები დაკითხვაზე დაჰყავთ და აპატიმრებენ.

**– რაკიღა ბურჯანაძე ახსენეთ, მინდა კვლავ დავუბრუნდეთ 26 მაისის თემას. რის თქმას აპირებთ სასამართლოში?**

– 26 მაისს მე მქონდა სამუშაო შეხვედრა ვანო მერაბიშვილთან შინაგან საქმეთა სამინისტროში უცხოელი მასწავლებლების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ამ თემაზე ვსაუბრობდით, როდესაც ვანოს მოადგილე, გია ლორთქიფანიძე შემოვიდა მის კაბინეტში და უთხრა, რომ რუსთაველზე მიტინგისთვის სანქციის ვადის ამოწურვის მოახლოებასთან ერთად მომიტინგეებმა ჯაჭვებით დაიწყეს პერიმეტრის შემოსაზღვრა. გავიხსენოთ, რა მოხდა 1989 წლის 9 აპრილს. მაშინ ძალიან ბევრი ადამიანი დაიღუპა ჭყლეტაში, როდესაც საბჭოთა ჯარმა გასასვლელი არ დაუტოვა ხალხს. იგივე თუ არა, უარესი მოხდებოდა 26 მაისს, რომ არა ვანო მერაბიშვილი. როდესაც სპეცრაზმმა „თბილისი მარიოტის“ მხარეს დაიწყო მობილიზება, მიტინგის ორგანიზატორებმა დაიწყეს გარშემო პერიმეტრის ჩახერგვა. როგორც კი სპეცრაზმი წამოვიდოდა „მარიოტის“ მხრიდან, ხალხს გასაქცევი აღარ ექნებოდა და გაიჭყლიტებოდა ისე, როგორც ეს 9 აპრილს მოხდა. ვანო მერაბიშვილმა პირდაპირ მიუთითა თავის მოადგილეს, ჩემი თანდასწრებით, რომ პირველი, რაც უნდა გაეკეთებინათ, უნდა გაეთავისუფლებინათ პერიმეტრი და ჩაეხსნათ რკინის ბარიკადები. სატელევიზიო კადრებშიც კარგად ჩანს, როგორ მიდის ხალხი თავისუფლების მოედნისკენ, რომელიც სწორედ პოლიციამ გაათავისუფლა. ბურჯანაძის კორტეჟიც, რომელმაც პოლიციელს გადაუარა, სწორედ ამ მიმართულებით მოძრაობს. ვინც პოლიციელს გადაუარა და მანქანით ათეულობით მეტრი ათრია, ის ადამიანი დღეს თავისუფალია და ასამართლებენ იმას, ვინც მეორე 9 აპრილი არ დაუშვა ჩვენს ქვეყანაში.

**– მაშინ რატომ არ მოხდა ბურჯანაძის პასუხისგებაში მიცემა?**

– როგორც გუნდის წევრმა, შემიძლია გითხრათ, რომ იყო ამაზე საუბარი, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა ჩვენს ქვეყანას, გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული. ვფიქრობ, მაშინ ხელისუფლება სწორად მოიქცა. ვანო მერაბიშვილმა კი არ დაუშვა ქვეყანაში დესტაბილიზაცია, 9 აპრილის გამეორება და „გრუ“-ს სპეცპროექტის განხორციელება.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა ბედი ელის „არქიმედეს“ 380 ათასამდე ბენეფიციარს და რა ხდება ქართულ სადაზღვევო ბაზარზე?




## სახელმწიფო ახალ ვალდებულებებს იღებს

ნატა დვალიშვილი

**ქალბატონი ეთერი, თბილისელი, 63 წლის პენსიონერია, რომელიც არ მუშაობს და პენსიის გარდა, სხვა შემოსავალი არ გააჩნია. რამდენიმე თვის წინ მას ონკოლოგიური დაავადება აღმოაჩნდა და, როგორც ასაკით პენსიონერმა, სადაზღვევო კომპანიას „არქიმედე გლობალ ჯორჯიას“ მიმართა. ლაბორატორიული გამოკვლევის შემდეგ გაირკვა, რომ ოპერაცია სჭირდებოდა. გასული წლის ოქტომბერში ეს ოპერაციაც ჩაუტარდა, რომლის ღირებულების 90% სწორედ „არქიმედეს გლობალ ჯორჯიამ“ დააფინანსა. ონკოდაავადებების თვისებრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე, ქალბატონ ეთერს ქიმიური თერაპიის კურსიც დასჭირდა, სულ მცირე, 6 პროცედურის სახით, რისთვისაც კლინიკიდან იღებდა ჩასატარებელი პროცედურის კალკულაციას, მიჰქონდა სადაზღვევო კომპანიაში, იღებდა საგარანტიო მიმართვას და იტარებდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საჭირო პროცედურას. აღნიშნული პროცედურა კი, მკაცრი განრიგით, ყოველ 21 დღეში ერთხელ უნდა ჩატარდეს.**

ბოლო საგარანტიო წერილი „არქიმედეს გლობალ ჯორჯიადან“ დეკემბრის შუა რიცხვებში წამოიღო, რადგან მომდევნო, რიგით მესამე პროცედურა 3 იანვარს უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ... კლინიკაში მისული უკან გამოაბრუნეს: „საახალწლო დღეები იყო, როცა შევიტყვე, ჩემი სადაზღვევო კომპანია გაკოტრდა, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, უკვე გაცემული გარანტიით მომსახურებაზე უარს თუ მეტყოდნენ. სანამ გავარკვევდი, სად მივსულიყავი, ვისთვის მიმემართა, დრო გავიდა... სხვათა შორის, გამორიცხული იყო ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე დარეკვა, ამასობაში კი, 6 იანვარი მოვიდა, კურსი, რომელიც არ უნდა ჩამეგდო და არც ერთი დღით არ უნდა გადამეცილებინა, უკვე დაგვიანებული იყო. სოციალური მომსახურების სააგენტოს ერთ-ერთ სერვისცენტრს მივაკითხე, ყველა დოკუმენტი ჩავაბარე, პასუხი კი _ დამიფინანსებენ თუ არა ქიმიოთერაპიის კურსს _ სამი კვირის შემდეგ მექნება. ნამდვილად არ ვიცი, ეს როგორ აისახება ჩემს მდგომარეობაზე... წარმომიდგენია, რა დღეშია არიან ის ონკოპაციენტები, ვისაც ჩემზე მძიმე მდგომარეობა აქვს _ შეიძლება ეს ჩვენთვის ფატალურად დასრულდეს ან, საუკეთესო შემთხვევაში, წყალში ჩაიყაროს ჩატარებული მკურნალობა. ვიცი, ჩემს მდგომარეობაში ბევრი იქნება, „არქიმედეში“ ყოველთვის რიგი იყო, უმრავლესობა კი ონკოპაციენტი გახლდათ“, _ წუხს ქალბატონი ეთერი, რომ გარემოებათა მსხვერპლი გახდა, რადგან გადადებული მკურნალობის ყოველი წუთი მას და მისნაირ უამრავ ადამიანს, შესაძლოა, სიცოცხლის ფასად დაუჯდეს.

რატომ უნდა აგოს პასუხი ამ ხალხმა იმაზე, რომ სადაზღვევო კომპანიას კლინიკების მიმართ მილიონობით დავალიანება დაუგროვდა? ან რატომ დატრიალდა დედამიწა ამ ერთი კონკრეტული სადაზღვევოს ირგვლივ მაშინ, როდესაც რეალურად, სახელმწიფო სოციალურ პროგრამაში 7 სადაზღვევო კომპანია მონაწილეობდა, რომელთაგან სამი ამ პროგრამას უკვე გამოეთიშა. „ალფამ“ თავად თქვა უარი პროგრამის ნაწილის განხორციელებაზე, რადგან წამგებიანად მიიჩნია, „ქართუმ“ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, უარი განაცხადა სოციალური პროგრამების მომსახურებაზე, „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ კი გაკოტრდა, ხოლო ათასობით ადამიანი, რომელიც ამ სოციალურ პროგრამებში მასთან ერთად იყო ჩართული, განსაკუთრებით დაუცველი ფენა _ პენსიონერები, სიღარიბის ზღვარსმიღმა მყოფი ადამიანები, ნულიდან 5 წლამდე ბავშვები და სტუდენტები _ ჰაერშია გამოკიდებული.



რუსუდან გოგოლაშვილი

საყოველთაო ჯანდაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსის, რუსუდან გოგოლაშვილის თქმით, პირველი იანვრიდან ამ ადამიანებზე ჯანდაცვის სამინისტრო იზრუნებს, რათა მათ შეფერხების გარეშე მიიღონ ისეთივე სამედიცინო მომსახურეობა, როგორსაც „არქიმედე“ სთავაზობდა: „ამ ადამიანებს სანერვიულო არაფერი აქვთ. ისინი გადმოერთვნენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებში და ზუსტად ისეთივე მომსახურებას მიიღებენ _ თბილისსა და რეგიონებში ჩვენი სერვისცენტრები მოემსახურება, სადაც უნდა ჩააბარონ სამედიცინო დოკუმენტაცია, ჩვენ კი მაქსიმალურად მცირე ვადებში, მით უმეტეს, ონკოლოგიური პაციენტებისთვის გავცემთ მიმართვებს.

ამ ხალხს მიეცა საშუალება, თვითონ აირჩიონ სასურველი პოლიკლინიკა, რისი საშუალებაც ადრე არ ჰქონდათ, რადგან „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ შეზღუდული ჰქონდა ასეთი პროვაიდერი დაწესებულებების რაოდენობა. ახლა კი ეს 380 ათასი ადამიანი პოლიკლინიკას მდებარეობის ან მომსახურების ხარისხის მიხედვით აირჩევს _ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში 250-მდე პირველადი სამედიცინო ამბულატორიული დაწესებულებაა. რაც შეეხება კლინიკებსა და გეგმიურ ქირურგიულ მომსახურებას, უწინ სადაზღვევო კომპანია მათ მხოლოდ რამდენიმე პროვაიდერს სთავაზობდა, ახლა აქაც გაეზარდათ არჩევანი: საყოველთაო დაზღვევაში არსებობს ცნება „სატარიფო არეალები“, იმ კლინიკებში, რომლებიც სატარიფო არეალში ხვდება და თითოეულ არეალში მინიმუმ 20 კლინიკაა, ადამიანებს შეუძლიათ საკუთარი თანადაფინანსებითაც მიიღონ სამედიცინო მომსახურება. ჩვენ სატარიფო არეალიდან ამ თანხას გავატანთ, პაციენტი დაამატებს თანხას და ძვირადღირებულ კლინიკაშიც მიიღებს სასურველ სამედიცინო მომსახურებას. ესეც მოხდება 80-90%-იანი დაფინანსებით.

ამ ადამიანებს არაფრის გაუქმება და ახლის დარეგისტრირება არ მოუწევთ, აირჩიონ სასურველი პოლიკლინიკები თუ კლინიკები და სამედიცინო დოკუმენტაცია კლინიკიდან, სადაზღვევოს ნაცვლად, სოციალური მომსახურების სააგენტოში მოიტანონ. არ იქნება რიგები, არ ამოქმედდება მოლოდინის 5-6-თვიანი პერიოდები, პასუხები, მიმართვები, გარანტიები გაიცემა სწრაფად, მაქსიმუმ 2-3 კვირაში, მთავარია, დოკუმენტაცია სწორად იყოს მოწოდებული. ამ ეტაპზე, თბილისში მათ მოემსახურება 4 სერვისცენტრი და წლის ბოლომდე ამ ცენტრების რაოდენობა გაიზრდება“.

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, ამ ეტაპზე, მეოთხე სადაზღვევო კომპანიის შემოწმებას ასრულებს, იმ შვიდი კომპანიიდან, რომელიც სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობდა. „არქიმედეს“ შემთხვევაში შემოწმების საფუძვლად ფინანსური სიმყარის არარსებობა სახელდება, დანარჩენი კომპანიებიდან კი მსგავსი პრობლემის მოლოდინი არაა, _ აცხადებს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ლაშა ნიკოლაძე და დასძენს: „წლის ბოლომდე ყველა სადაზღვევო კომპანიას შევამოწმებთ და დავდებთ ინფორმაციას, რა ხდება ქართულ სადაზღვევო ბაზარზე. გარწმუნებთ, არ შევუშლით ხელს მუშაობაში, პირიქით, რეკომენდაციას გავუწევთ, როგორ გამოასწორონ შექმნილი მდგომარეობა. რაც შეეხება „არქიმედეს“ დარღვევებს და მის გაკოტრებას, ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, სადაზღვევო კომპანიის აქტივი, მინიმუმ, მილიონნახევარი ლარით მეტი უნდა იყოს, ვიდრე აღებული ვალდებულებები იმისთვის, რომ სადაზღვევო ლიცენზიის ფლობის უფლება ჰქონდეს. „არქიმედე“ პირველი იანვრიდან გაკოტრების რეჟიმში გადავიდა. რამდენიმე თვეში ზუსტად დადგინდება, როგორც ვალების, ისე აქტივების ნაწილის მონაცემები. აღწერის დასრულების შემდეგ დაიწყება აქტივების რეალიზება და ყველა მევალე ერთნაირი პროპორციით მიიღებს თანხას, მაგრამ დარწმუნებით ვიტყვი, რომ ვალის გარკვეულ ნაწილს „არქიმედე“ ვერ გადაიხდის _ ყველა მევალე თანხის მხოლოდ ნაწილს მიიღებს. ახლა მნიშვნელოვანი და რთული სწორედ პროცენტის გამოყვანაა _ რა პროპორციით გადანაწილდება კომპანიის რეალიზებული აქტივი მევალეებზე, ასეთი კი, დაახლოებით, 400-მდე მიმწოდებელი კომპანიაა. თვე-ნახევრის შემდეგ უკვე შესაძლებელი იქნება იმ დროითი ჩარჩოს დასახელება, როდის დასრულდება ეს ყველაფერი. ამწუთას იმის თქმაც რთულია, ჯამში, რამდენ მილიონს შეადგენს კომპანიის დავალიანება. ჩვენ ბოლო მონაცემები პირველი აგვისტოს მიხედვით გვქონდა, ამის შემდეგ დინამიკაში რა მოაკლდა და რა დაემატა, ან რომელი კომპანიისა თუ კლინიკის დავალიანებაა ყველაზე დიდი, ამას გაკოტრების მენეჯერი გარკვეული პერიოდის შემდეგ იტყვის. ამ ეტაპზე მუშაობს „არქიმედეს“ ცხელი ხაზი, რომ ბენეფიციარების გადამისამართება მოხდეს ღირსეულად და ასევე ფინანსური განყოფილების ნაწილი, რომ ძველი ვალები გაიარონ და წინა წლის ბალანსი დახურონ. როცა მოხდება კომპანიის აქტივების რეალიზება, ყველა დადგენილი პროპორციით მიიღებს დავალიანების თანხას.

ჯანდაცვის სამინისტრო უახლოეს ხანებში სერვისის კონტროლის მექანიზმს აამოქმედებს, რამაც კლინიკების სერვისის ხარისხის გაუმჯობესება უნდა გამოიწვიოს. მათი მომსახურებაც უნდა იყოს ადეკვატური“, - აცხადებს ლაშა ნიკოლაძე.

გასაგებია, რომ მედალს ყოველთვის ორი მხარე აქვს, რომ სახელმწიფო დაწესებულებებიც მიღებული დადგენილების საფუძველზე მოქმედებენ და მის გადახვევას კანონი უკრძალავთ, მაგრამ ამ დადგენილებებსაც ჩვეულებრივი ადამიანები იღებენ, ადამიანები, რომელთაგანაც არავინაა დაზღვეული მძიმე დაავადებებისგან ქალბატონი ეთერის მსგავსად, რომელიც იძულებულია შეწყვეტილი ქიმიური თერაპიის შედეგები მიიღოს. მისნაირი კი ასობით ადამიანია, რომელსაც თითოეული გადადებული მკურნალობა სიკვდილთან აახლოებს. ასე რომ, სახელმწიფოს, რეგულაციების თვალსაზრისით, უსერიოზულესი პრობლემები აქვს მოსაგვარებელი, მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე ადამიანების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს ეხება, სიცოცხლეს, რომელიც ჩვენნაირი ადამიანების მიერვე დაწერილ და ათასგზის ჩასწორებულ კონსტიტუციაში, ადამიანის უპირველესი უფლებაა.



ლაშა ნიკოლაძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა ბრალდებებს უყენებენ დეპუტატ ფეიქრიშვილს



## ეკა ბესელია: „ამ საკითხზე დამატებითი დოკუმენტებია შემოსული და კომიტეტი სწავლობს“





ნინო დათაშვილი

**სკანდალმა, რომელიც მალე გახმაურდება, შეიძლება რამდენიმე თანამდებობის პირი და დეპუტატიც კი ჩაითრიოს. როგორც ამბობენ, გარდაბანში მიწების მასიურ მიტაცებას აქვს ადგილი. დაზარალებულებმა ადვოკატი აიყვანეს, ადვოკატმა პრობლემას იურიდიული ფორმა მისცა, საგანგებო წერილი შეადგინა და ის სხვადასხვა სტრუქტურებში გადააგზავნა. მათ შორის პროკურატურასა და პარლამენტში.**

დაზარალებულები საკურორტო ზონაში (კოჯორი, წავკისი, ტაბახმელა და შინდისი) მიწებთან დაკავშირებულ უკანონობაზე საუბრობენ.

ადვოკატების მიერ შედგენილი წერილის მიხედვით, დაზარალებულები გარდაბნის რაიონის ყოფილ გამგებელს უჩივიან. გიორგი ფეიქრიშვილი ამჟამად დეპუტატია.

„საკუთრების უფლების ხელყოფასთან დაკავშირებით, ჩვენ, მათი უფლებების დამცველი ადვოკატები, ვახდენთ ათეულობით დაზარალებულ მოქალაქეთა იდენტიფიცირებას, მათი პრობლემების შესწავლას, მტკიცებულებათა მოძიებასა და დამუშავებას, სამართლებრივი პროცედურის დასრულების შემდგომ სახალხო დაცვის აპარატს წარმოგიდგენთ საქმის მასალებს, მათი შემდგომი შესწავლისა და რეაგირებისთვის“, – ვკითხულობთ წერილში.

ადვოკატებს ბრალდება ფაქტებით აქვთ გამყარებული. წერილში მოყვანილია სოფელ წავკისში მცხოვრებ მოქალაქეთა – გულნარა და მალხაზ გვარაძეების შემთხვევა.

ადვოკატების მტკიცებით, საჯარო მოხელეებმა თანამდებობის უფლების ბოროტად გამოყენებით, თაღლითური გზით მათზე საკუთრების უფლების ხელყოფა განახორციელეს. სწორედ ამ საქმეში ფიგურირებს ახლა უკვე დეპუტატი ფეიქრიშვილი და ვინმე სოსო ქოროღლიშვილი...

წერილს მტკიცებულებებიც ერთვის. ადვოკატების განმარტებით, ზემოაღნიშნულმა პირებმა მოტყუებით ოჯახის კუთვნილი მიწის ნაკვეთი ჩაიგდეს ხელში:

„გულნარა და მალხაზ გვარაძეების თქმით, ფეიქრიშვილი ნდობაში შესვლის მიზნით პერიოდულად იჩენდა მათზე მზრუნველობას, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირი მალხაზ გვარაძე არის პირველი ჯგუფის ინვალიდი, უჭირს დამოუკიდებლად გადაადგილება და სოციალურად დაუცველის სტატუსით სარგებლობდა ზემოაღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მომენტამდე. აღნიშნული ქმედებით, მოტყუებითა და ნდობის ბოროტად გამოყენებით სოსო ქოროღლიშვილი, რომელიც გიორგი ფეიქრიშვილის სახელით მოქმედებდა, თაღლითურად დაეუფლა მალხაზ გვარაძის კუთვნილ უძრავ ქონებას, რითაც მას მიადგა 40 000 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. თემურ ფეიქრიშვილის თაღლითურმა მოქმედებამ კი გულნარა გვარაძეს მიაყენა 20 000 დოლარის მატერიალური ზიანი. რითაც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებმა გულნარა გვარაძემ და მალხაზ გვარაძემ დაკარგეს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება“.

დაზარალებულები ამბობენ, რომ მათ პროკურატურას 2013 წელს მიმართეს და ვითარებაში გარკვევა სთხოვეს. პროკურატურამ ძიება დაიწყო, დაიკითხნენ კონკრეტული პირები, თუმცა ამის შემდეგ საქმე წინ აღარ წასულა. საინტერესოა, რომ პროკურატურამ მხოლოდ სოსო ქოროღლიშვილი დაკითხა. ადვოკატების განმარტებით, დაკითხვის დროს „სოსო ქოროღლიშვილმა აღიარა და პირდაპირ მიუთითა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის გასხვისებასთან დაკავშირებით იყო მოჩვენებითი და არ მოიცავდა მალხაზ გვარაძის ნებას, გაესხვისებინა მიწის ნაკვეთი, ასევე, აღიარა, რომ მალხაზ გვარაძისთვის ხელშეკრულებაში მითითებული თანხა – 40000 ლარი არ გადაუცია. რაც შეეხება სოსო ქოროღლიშვილის განმარტებას, თითქოსდა მალხაზ გვარაძეზე სესხის სახით მიეცა 60000 დოლარი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია“.



ადვოკატების წერილი, რომელიც ადამიანთა ჯგუფის უფლებების დაცვას ითვალისწინებს, პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის გარდა, სხვა კომიტეტებმაც მიიღეს. საკურორტო ზონაში მცხოვრები მოსახლეობა ხშირად განიცდის საჯარო მოხელეების მხრიდან ზეწოლას სარფიანი მიწების ხელში ჩაგდების მიზნით. ამჯერად, ადვოკატების მტკიცებით, აფიორის მსხვერპლი გახდა შინდისში მცხოვრები ოჯახი. ოჯახი დახმარებას ეკა ბესელიას სთხოვს. ისინი იმედოვნებენ, რომ მათი საქმე რეაგირების გარეშე არ დარჩება.

„პრაიმტაიმი“ ეკა ბესელიას დაუკავშირდა. კომიტეტის თავმჯდომარის განმარტებით, ის საქმის კურსშია, კომიტეტმა დამატებითი დოკუმენტები უკვე მიიღო და საქმის შესწავლაც დაიწყო. ეკა ბესელია: ამ ეტაპზე მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ დამატებითი დოკუმენტები მივიღეთ და ამ საქმეს ვსწავლობთ.

როგორც მიანიშნებენ, აფიორა ჯერ კიდევ სააკაშვილის მმართველობის დროს დაიწყო და ამ პროცესს სათავეში შს სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი – ვაჟა ლელუაშვილი ედგა. ის ფეიქრიშვილის კლასელი და ახლო მეგობარია და არსებობს დოკუმენტაციაც, რომ მათ ორივემ გარიგებით ფეიქრიშვილის მძახალს გადასცეს მიწა.

## ვინ ადანაშაულებს დეპუტატს კორუფციულ გარიგებაში? რა შინაარსის წერილი მიიღო ეკა ბესელიამ და რა სკანდალი შეიძლება გასკდეს





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დავით-დეფი გოგიბედაშვილი: „სიცოცხლე არ შეიძლება იყოს ცოდვა. მე ასე მწამს“



## „ადამიანს აქვს უფლება, თქვას ის, რაც უნდა, როგორც უნდა და სადაც უნდა. სხვა საკითხია, მის ნათქვამს ვინ მიიღებს და ვინ – არა“

**„საერთოდ, საქართველოში არის ტოტალური სიბნელე და აზროვნების კრიზისი“**



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ არსებობს ტაბუდადებული თემები, რომლის განსჯა, განხილვა ან მასზე საკუთარი აზრის გამოთქმა, უბრალოდ, არ შეიძლება. საზოგადოების ეს ნაწილი მზად არის, ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ამ დაუწერელ წესს არ დაემორჩილება, ანათემას გადასცეს. ასე ხდებოდა აქამდე და, სავარაუდოდ, ასე მოხდება კიდევ დიდხანს.**

აზრთა სხვადასხვაობას ძირითადად რელიგიური თემები იწვევს. მაგალითად, ლაშა ბუღაძე ბოლოს მხოლოდ იმიტომ გაასწორეს მიწასთან, რომ მან საკუთარი აზრი დააფიქსირა პატრიარქის იუბილესთან დაკავშირებით. **ლაშა ბუღაძე:** „უკვე თვლა ამერია, წელიწადში რამდენი იუბილე აქვს ჩვენს კათოლიკოს-პატრიარქს! მგონი, საერთოდ უნდა შევეშვათ იულიუს კეისრისა და პაპ გრიგორიუსის კალენდრებზე დავას და მისი უწმინდესობის იუბილეების მიხედვით ავითვალოთ ჩვენი დღეები“... ბუღაძისთვის ეს არ ყოფილა პირველი რელიგიური სკანდალი. მანამდე „პირველი რუსის“ ამბავი იყო. აქ ბუღაძე თამარ მეფის პირად ცხოვრებას შეეხო და წინასწარვე მოემზადა შემოტევისთვის. „ნიჭიერი კაცის უნიჭო ნაწარმოები“ – ეს იყო ყველაზე „კეთილი“ შეფასება, რომელიც მაშინ ბუღაძემ მიიღო. დანარჩენის გახსენებაც კი არ ღირს.

დღეს ლაშა ბუღაძეს საზოგადოების რეაქციებზე კომენტარის გაკეთების სურვილი აღარ აქვს. ამაზე, უბრალოდ, საუბარიც აღარ სურს. არა იმიტომ, რომ კრიტიკის მოსასმენად არ არის მზად, უბრალოდ, მიიჩნევს, რომ საზოგადოება ჯერ მზად არ არის თავისუფალი აზრის მოსასმენად...

ყველაზე დიდი ხმაური კი სწორედ საშობაო ეპისტოლეს მოჰყვა. აზრები აქაც ბევრი მიმართულებით გაიყო... ბევრი ორსული, რომელიც დღეს სწორედ ხელოვნურად განაყოფიერებულ ნაყოფს ატარებს, გულნატკენია... თუმცა ისევ შიშისა და საკუთარი ნაყოფის დაცვის გამო მზად არიან, ტკივილი ჩუმად აიტანონ და მხოლოდ სხვის შეფასებებს მოუსმინონ, იმ იმედით, რომ იქნებ სხვებმა მაინც დაიცვან ჯერ არდაბადებული პატარები... თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც საკუთარ კრიტიკულ მოსაზრებას ხმამაღლა გამოთქვამენ.

**დეფი გოგიბედაშვილი, პოეტი:**

– პირველივე, რაც თავში მომივიდა, როცა ეპისტოლე წავიკითხე, იყო იესოს სიტყვები სახარებიდან, – მოუშვით ბავშვები ჩემთან, ვინაიდან მაგათნაირების არის ცათა სასუფეველი. თუ ჩვენ ამ კუთხით შევხედავთ საკითხს, მაშინ მე კედელს ვაწყდები პატრიარქსა და ჩემს შორის ურთიერთობაში. როდესაც პატრიარქი შობა დღეს ამბობს, როგორ იქნება ბედნიერი ის ოჯახი, სადაც ხელოვნური განაყოფიერებით ბავშვი იბადებაო, მსგავსი მოსაზრებები ჩემთვის კიდევ უფრო დიდ კედელს აშენებს. ეს არის სერიოზული პრობლემა. შემდეგ უკვე დავინახე და გავიგე, რომ ძალიან ბევრი ადამიანია გულნატკენი ამ სიტყვების გამო. თუკი ჩვენ ისევ რელიგიურ საწყისს შევხედავთ, მაშინ მსგავსი კითხვა არც უნდა გვიჩნდებოდეს, რადგან თუკი ღმერთი უშვებს, რომ ბავშვი გაჩნდეს, არა მგონია, ეს იყოს ადამიანის ცოდვა... სიცოცხლე არ შეიძლება იყოს ცოდვა. მე ასე მწამს. საერთოდ, საქართველოში არის ტოტალური სიბნელე და აზროვნების კრიზისი. ადამიანებს სჯერათ კერპთაყვანისცემლობის და სიბნელის და არა ნამდვილი ღმერთის, რომელიც ნამდვილ სიყვარულში ვლინდება. რაც შეეხება კრიტიკას, ბუნებრივია, ყველას თავისი აზრი აქვს. ჩემთვის ამპარტავნობაა იმის თქმა, რომ არ შეიძლება, განსაჯო ეპისტოლე. ეკლესიის მხრიდან ისმის, რომ არ უნდა განსაჯო და ეს კარგად დაიხვიეს. ეკლესიას აქვს განსჯის სურვილი და ადამიანს, რომელსაც უნდა, რომ შვილი ჰყავდეს, ხმის ამოღების უფლებასაც არ უტოვებენ, ის უნდა იყოს ჩუმად, გულნატკენი. სხვათა შორის, ისიც მნიშვნელოვანია, რაც ეპისტოლეზე გავიგეთ, რომ თურმე ეს ყოფილა ვიღაც შორენას დაწერილი. შემდეგ გავიგეთ, რომ თურმე პატრიარქს არც ჰქონია წაკითხული, ეს არის თვალებში ნაცრის შეყრა. არ შეიძლება 21-ე საუკუნის მიღწევები არ აღიაროს ადამიანმა. მაშინ 21-ე საუკუნის ყველა იმ ტექნიკურ მიღწევაზე, სიმაღლეზე, რომელსაც ამავე საუკუნის ადამიანის ტვინი აღწევს, უარი უნდა ვთქვათ.

**– ფიქრობთ, რომ მსგავსი თემები არ უნდა იყოს ტაბუდადებული?**

– რა თქმა უნდა, არა. საკითხისადმი ასე მიდგომა, სწორედ აზროვნების კრიზისია, თურმე არის რაღაც ტაბუდადებული თემები, რომლის შეფასებისა და მასზე ხმის ამოღების უფლება ადამიანებს არ აქვთ. ამაზე ამბობს სწორედ ქრისტე, მე რომ დავდუმდე, სხვები დაიწყებენ ჩემს მაგივრად ღაღადსო. თუ ჩვენ გვინდა, ქრისტეს მივემსგავსოთ, სწორედ ამაზე უნდა ამოვიღოთ ხმა და კიდევ ბევრ სხვა რამეზეც. მაგრამ ამ დროს ისევ იმ დიდ კედელს ვაწყდებით, რომელიც დღითი დღე უფრო და უფრო მაღლდება ადამიანსა და სასულიერო სამყაროს შორის. ადამიანს აქვს უფლება, თქვას ის, რაც უნდა, როგორც უნდა და სადაც უნდა. სხვა საკითხია, მის ნათქვამს ვინ მიიღებს და ვინ – არა. როცა გვეუბნებიან, რომ ჩვენ არ გვაქვს უფლება, ვაკრიტიკოთ პატრიარქი, არა მგონია, ეს იყოს საღად მოაზროვნე ადამიანის ნათქვამი 21-ე საუკუნეში, სამყაროში, როცა ყველაფერი ღიაა და ადამიანები ხედავენ, რა არის ტყუილი და რა – მართალი. მე იმ ადამიანებს ვეტყვი, ვინც ამბობს, რომ არ გვაქვს უფლება, აზრი გამოვთქვათ, ჯერ საკუთარ თავში ჩაიხედონ და დაფიქრდნენ, თავად აქვთ ასეთი რამის თქმის უფლება? სანამ საკუთარი თვალიდან დირეს არ ამოიღებ, სხვის თვალში ბეწვს ნუ ეძებ – ეს არის ციტატა სახარებიდან და ამაზე დაფიქრდნენ, სჯობია.





## „მე იმ ადამიანებს ვეტყვი, ვინც ამბობს, რომ არ გვაქვს უფლება, აზრი გამოვთქვათ, ჯერ საკუთარ თავში ჩაიხედონ და დაფიქრდნენ, თავად აქვთ ასეთი რამის თქმის უფლება?“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნადირობა პ



**არჩილ გამზარდია**
**საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი**

**სიმართლეს ორი მხარე აქვსო - გამიგია. ჩვენებური სიმართლე კი ან ზედმეტად მრავალწახნაგოვანია, ან ზედმეტად ცალმხრივი. სადაც საზოგადოება არსებობს მხოლოდ ყოფითი ადამიანების სახით, იქ მას არც საზოგადოება ჰქვია, მარტივად მართვადია და მხოლოდ გავლენის სფეროებისთვის იბრძვიან მასზე, შესაბამისად, იქ სიმართლე საერთოდაც შეიძლება არ იყოს.**

როგორც წესი, სიმართლეც და ადამიანიც საქართველოში ნაკლებად საინტერესოა, როგორც პოლიტიკოსებისთვის, ასევე ხშირ შემთხვევაში მათი სატელიტი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვისაც „ადამიანის უფლების" ცნებაში. ერთი შეხედვით, თითქოსდა პროგრესული პრომოუშენით ჩვენი მოქალაქეების ნაწილი ფსევდოდონკიხოტური თვითტკბობის რეჟიმშია, ზოგს კი მეტი გამჭრიახობა და „გონიერება" აქვს და ამ საჭიროებებს მშვენიერი კომერციალიზაციის საშუალებად იყენებს.

ასე, მაგალითად, კომერციალიზაციის შედარებით თანამედროვე სახეობა უფლებადამცველობითი ბიზნესსაქმიანობაა, ესენი შეგვიძლია ჩვენ განვიხილოთ, როგორც ჯგუფები, რომლებიც შესაბამის სლოგანებს, როგორც საზოგადოებაში გასაყიდ პროდუქტებს, ისე ქმნიან... ინსტრუმენტები საკომუნიკაციო საშუალებებია, სამომხმარებლო ბაზარი - ადამიანური სისუსტეები და სერვისები - თემები. უფრო გავშალოთ - სისტემა შემდეგნაირია: აი, რომელიმე ე.წ. უფლებადამცველი ორგანიზაცია გვევლინება როგორც კომერციული იდეის რეალიზატორი, ის იკვლევს იმ სისუსტეებს, რაზე რეაგირებაც კარგად გაიყიდება, პოტენციურ პროდუქტებად წარმოადგენენ ქალებს, ბავშვებს, სუსტ სოციალურ ჯგუფებსა და მოწყვლად სივრცეებს და მათი გამოყენებით მოიძიებენ გაყიდვების პროცესში დამხმარე მოხალისეებს. ეს მოხალისეები წარმოსდგებიან, როგორც შემსრულებლები, ასევე შესანიშნავი ფარი და შირმა. ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავში ბოლომდე ვერ გარკვეულები, ძიების პროცესში მყოფები, მაგრამ იდეალისტები არიან და არაიდეალურ გარემოებებს აპროტესტებენ. ასეთი ადამიანები არც გაყიდულები არიან, არც უარყოფითი პერსონაჟები, მათ, უბრალოდ, სურთ სამყარო იდეალური იყოს. ასეთ ადამიანებზე ზემოქმედებითა და შეიძლება ითქვას, გარკვეულ წილად ჰიპნოზირებით, მათში ქმნიან შეხედულებათა მთელ რიგ დოგმებს შეხედულებათა სისტემების სახით. ნიცშესეული მიდგომით უკლავენ ღმერთს და შინაგანი ფსევდოთავისუფლების იდეალიზაციის შეფუთვით ახალ ღმერთებს უქმნიან. შემდგომში ამ ადამიანებს იყენებენ ყველგან, სადაც თავად არ უნდათ გამოჩენა ან სადაც იმიჯის სისუსტეები აიძულებენ „სავიტრინე თოჯინასავით" საუკეთესო დადონ საგამოფენო ნაწილში. ამით ორი რამ უკვე გაკეთებულია. მოხალისე ადამიანები ანუ გულშემატკივრები, რომლებიც ხან აქციებზე დადიან, ჰგონიათ რა, რომ საქმეს აკეთებენ და რაღაც დიდებულს ქმნიან, ხან ფარადაც იყენებენ... მოხალისეებს ემატება თავად პროდუქტი, რომელსაც როგორც დახლზე დადებულ პროდუქტს, ისე ყიდიან, ასეთ პროდუქტებს ადვილად ამოიცნობთ, თუ მოცემული ორგანიზაციების წესდებაში ჩაიხედავთ: ბავშვთა უფლებების დაცვის ნიღბით წარმოებული გაყიდვები, სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვის ნიღბით წარმოებული გაყიდვები, სოციალურად დაუცველი ადამიანების უფლებების დაცვის ნიღბით წარმოებული გაყიდვები, რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის ნიღბით წარმოებული გაყიდვები და ა.შ. ანუ, ე.წ. სამიზნე ჯგუფები სინამდვილეში წარმოდგებიან არა როგორც თვისობრივად სამიზნე ჯგუფები, არამედ მხოლოდ როგორც კომუნიკაციური რგოლები გასაყიდი პროდუქტების სახით. გაყიდვების ბაზრის ძირითადი საპრეზენტაციო სივრცე საპროტესტო საქმიანობაზე გადის, პროტესტი, როგორც ბიზნესსაქმიანობა, საკმაოდ იყიდება პერიოდულად ჩვენს საზოგადოებაში. მთელ ციკლს თანამდევ პროცესად ერთვის სხვა ადამიანების სისუსტეები, „აგდების" საშუალებები, რომლითაც საზოგადოებაში ქმნიან ე.წ. ელიტურ სივრცეს, რომელშიც ისინი შედიან და მარგინალიზაციას უწევენ ოპონენტურს - ე.წ. ბნელების სტატუსის სახით.




## „ცხადია, ეკლესია ვერ იქნება და არც უნდა იყოს ბიძგის მიმცემი და პატრიარქი არ უნდა საუბრობდეს კონტრაცეფციის მიმზიდველობაზე, თუმცა, ვფიქრობ, ძალიან ფრთხილი და პირობითი დამოკიდებულება უნდა იყოს დაჭერილი და არა შედარებით კატეგორიული"

შესაბამისად, საზოგადოებას წარედგინება, როგორც „ბნელი", ისე „ნათელი" ნაწილები. „ბნელში" შედიან ძირითადად ეკლესია, მრევლი, ე.წ. ეროვნული ინსტიტუტები, ტრადიციულ-რელიგიური ფასეულობები და ა.შ. ხოლო „ნათელში" კი თავად, ყველა ამ დასახელებულის საწინააღმდეგო მახასიათებლებით.

ადამიანი, არის რა, შინაგანი ქაოსისა და უწესრიგობების, საკუთარ თავთან მებრძოლი, თითქმის განიარაღებული რჩება ამგვარი „არჩევანის" მიმართ. ის, ვინც ლოკუსის ანუ შინაგანი რწმენის, თავდაჯერებულობის ნაკლებობას განიცდის, ადვილად ვარდება მსხვერპლად შემოჩეჩებულ იდეოლოგიურ ხახაში.

ასე იქმნება ბრძოლის ერთგვარი ველი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბრძოლის მწარმოებელი ორგანიზაციები, ე.წ. არასამთავრობოები უფლებადამცველობითი კუთხით, თავად კი არ გამოდიან ბრძოლაში, არამედ მოცემულ მოხალისეებსა და „სამეურვეო" სივრცეებს უშვებენ, რომელთაც როგორც ვთქვით, რეალურად პროდუქტის სახე უფრო აქვს, ხოლო მთელი პროცესი ბიზნესსაქმიანობაა, რომლითაც კონკრეტული პირები არიან დაინტერესებულები. საქმიანობის ეფექტურობისათვის ისინი ან ნერგავენ „მოწინააღმდეგე ბანაკებში" საკუთარ წარმომადგენლებს ან პოულობენ ისეთებს, რომელთა ყიდვაც ეფექტური იქნება საქმიანობის შესაფუთად და ეფექტური გაყიდვებისათვის.

მუდმივი და მძაფრი „თვალში გაჩხერილი" წინააღმდეგობა არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილისათვის საქართველოს პატრიარქია. პატრიარქზე ნადირობა ახალი არაა, ეს მუდმივი კამპანიაა, როგორც ვიცი, პატრიარქის დისკრედიტაცია მისი აღსაყდრების დღიდან მიმდინარეობს, ჩემს ბავშვობაში დადიოდა ზოგან ჭორი, რომ პატრიარქი მკვლელობაზე იყო ნაციხარი, გაუპატიურებაზე ნასამართლევი და ა.შ. როგორც წესი, ამ ჭორებს რუსული სპეცსამსახურები ავრცელებდნენ, გრძნობდნენ რა, რომ პატრიარქის დიპლომატიას ძალიან ბევრი ვერ სჯობნიდა. პატრიარქის დისკრედიტაციის დამფინანსებლები და წყაროები დღესაც რუსულ სპეცსამსახურებში უნდა ვეძებოთ და არა პირიქით, როგორც ცდილობენ შექმნან თვალსაზრისი, რომ პატრიარქი რუსული ინტერესების გამტარებელია. სადაც კი სახელმწიფოებრივ საკითხებში პატრიარქი იყო ჩართული, რუსეთის ხელმძღვანელობას ყოველთვის უკან დახევა უწევდა. გავიხსენოთ თუნდაც საქართველოს ეკლესიის აფხაზეთსა და სამაჩაბლოს რეგიონში გავრცელების აღიარება, ასევე აგვისტოს ომში ეკლესიის წყალობით როგორც მიცვალებულების გადმოსვენება, დაჭრილებისაც და ა.შ. ძალიან ბევრი ფაქტი შეიძლება მოვიყვანოთ, რომელშიც, ასე ვთქვათ, „რუსეთსა" და „საქართველოს ეკლესიას" შორის ჭიდილი რუსეთის დათმობით მთავრდებოდა. დავსვათ შეკითხვა, რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეგიონის დამოუკიდებლობა და ვინმეს ასე ადვილად აპატიებს, როდესაც მასთან მჯდომი საქართველოს ერთიანობაზე ესაუბრება? ცნობილი ეპიზოდებია, პატრიარქი როდესაც პუტინის წინ იჯდა და ლაპარაკობდა, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოს ნაწილია და საქართველო თავის ტერიტორიების დაკარგვას არ შეეგუება, ამას პუტინი გაჩუმებული და თავდახრილი უსმენდა, ასევე იძულებული გახდა პუტინი, რომ საქართველოს პატრიარქის იურისდიქცია ეცნო აფხაზეთის ტერიტორიაზე და იქ მიმდინარე სასულიერო პირები საეკლესიო კანონის გარეშე გამოეცხადებინა... შეგახსენებთ, ერთადერთი მაჩვენებელი, რითიც რუსეთი იძულებულია აღიაროს ამ მხარეების ქართულობა, საეკლესიო საზღვრებია და ა.შ. როგორ ფიქრობთ, ამას პუტინი მართლა ასე თავჩაღუნულად აპატიებს საქართველოს პატრიარქს? ცხადია, ის მსხვილ კამპანიას აწარმოებს საქართველოს პატრიარქის წინააღმდეგ, რადგან გონიერებაში ვერ ჯობნის, განსხვავებით საერო ხელისუფლებებისგან, რომელთა სისუსტეები პუტინმა სათავისოდ გამოიყენა წლების განმავლობაში.

აქვე ვიტყვი, რომ რუსეთს საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში მრავალი დასაყრდენი აქვს და არ გამოვრიცხავ, მათი დაფინანსებული იყოს ის პოლიტიკური, მედია თუ არასამთავრობო სივრცე, რომელიც ოფიციალურად რუსეთს აგინებს, მაგრამ მოღვაწეობრივად ევროპული ფასეულობების წინააღმდეგ უფრო ამხედრებს ქართულ საზოგადოებას. პროცესის მოტივაცია შედეგში იცნობა ხშირად, ეს მაჩვენებელი კი შეგვიძლია ინდიკატორად გამოვიყენოთ.

## „უპირველესი მაჩვენებელი ის არის ჩემთვის, რომ მათ შორის ქრისტიანულ ოჯახში როლის გადანაწილება შეთანხმებისა და არჩევანის საგანი იყოს და არა ოჯახური ქცევის ფორმულის"

ამ ორგანიზაციების მიზანი, როგორც წესი, ის კი არ არის, რომ კრიტიკის შედეგად საპატრიარქომ უფრო დახვეწოს თავისი თავი ან საქმიანობა, არამედ ის, რომ საზოგადოების თვალში წარმოჩნდეს, როგორც აგრესიული, რეგრესული ძალა, გარკვეული ძალები ამას შეგნებულად და სისტემურად აკეთებენ. ე.წ. არასამთავრობო სექტორის ნაწილთან ერთიან ჯაჭვში, დისკრედიტაციული კამპანიის საინფორმაციო მხარდაჭერას ისეთი მედიასაშუალებები ახორციელებს, როგორებიც არიან, მაგალითად, „ლიბერალი", „ტაბულა", „ნეტგაზეთი", „ექსპრესნიუსი" და ა.შ. ნეგატიური საინფორმაციო კამპანიის ადმინისტრირებას კი ჟურნალისტური ეთიკის ქარტია ახდენს. სხვათა შორის, სწორედ ეს ძალები ცდილობენ დღეს საზოგადოებრივ მაუწყებელზე გავლენის მოპოვებას.



პატრიარქის თითქმის ყოველი გამოსვლა გახდა ამ წრეების ჩასაფრების წინაპირობა. ტექსტებში ხშირად ხდება მიზნობრივად არასწორი აღქმა, ინტერპრეტირება, დისკურსშეცვლილი წარმოდგენა და ა.შ. ამას, ჩვენ ლამის არის „შევეჩვიეთ" კიდეც... პრობლემა გვაქვს უფრო იმ ნაწილში, როდესაც ესა თუ ის სიტყვა ჩვენთვის რთულად მისაღებია ან მიზეზი ამავე სიტყვებში მოდის. სასულიერო პირები განმარტავენ, რომ მხოლოდ იმას ამბობენ, რასაც დედა ეკლესია ასწავლის, ისინი იხსენებენ მაგალითად, შემთხვევას, როდესაც წმინდა სახარებაში მართალი აბრაამი ჯოჯოხეთში მოხვედრილ მდიდარს ეუბნება: ჰყავანან მათ წინასწარმეტყველი და მოსე, მათი ისმინონ". ამიტომაც, პატრიარქის სიტყვაში თუ ეპისტოლეებში, პირადი აზრი კი არ არის წარმოდგენილი არამედ ეკლესიური სწავლება.

აქვე უნდა შეინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის, მრევლის და პირადად, პატრიარქის წინააღმდეგ მიზანმიმართული დისკრედიტაციული კამპანია მიმდინარეობს, ისიც ფაქტია, რომ საჭიროა „თითზე დასახვევი" მიზეზები ეკლესიის წიაღიდანვე ჩნდება.

ეს უკანასკნელი კი საკმაოდ რთული საკითხია და ძალიან ფაქიზიც. მართლაც არსებობს გარკვეული გარემოებები, რომლებიც ამგვარი თვალსაზრისის მიზეზს ქმნიან. ჩვენ პატრიარქს ვუსმენთ მის ქადაგებებში, სადაც ის თითქმის არასდროს გამოხატავს ნეგატივს, ხოლო ცოდვაზე საუბრისას, პატრიარქი სოლიდარულია ცოდვილის მიმართაც. ამდენად, ჩნდება ეჭვი, რომ ზოგჯერ გარკვეული არათანხვედრა ხდება პატრიარქის პირად და დეკლარირებულ გამოხატულებებს შორის. ბევრი ადამიანი საუბრობს ვინმე შორენა თეთრუაშვილის შესახებ, რომელიც პატრიარქის მდივნად ითვლება. საუბრობენ მის მოჭარბებულ ჩართულობაზეც. ოფიციალური გარემოებები არ არსებობს, რომ ვამტკიცოთ ამ პირის შესაძლო გავლენებზე ან დაუგეგმავ ჩართვებზე, თუმცა, ვერ გამოვრიცხავთ, მას გარკვეული სფიჩრაიტერის ფუნქციაც ჰქონდეს, რაც, ცხადია მისასალმებელი არ არის. უფრო დადებითი იქნებოდა, თუ იმ ადამიანის შესახებ, რომელზედაც ბევრს საუბრობენ „რუხი კარდინალის" მეტ-ნაკლები შესაძლებლობებით, მეტი ნათელი მოეფინოს, რადგან, ვშიშობ, ეს ადამიანი, შესაძლოა გახდეს მიზეზი ეკლესიის წევრებისა და ეკლესიის შევიწროებისაც კი. წლებია ქალბატონ შორენას



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ატრიარქზე



# „პროტესტი, როგორც ბიზნესსაქმიანობა საკმაოდ იყიდება პერიოდულად ჩვენს საზოგადოებაში“

EXCLUSIVE

როლზე ხშირი საუბრები მიდის და მათ შორის, არც ისე დადებით კონტექსტში.

ერთ-ერთი უკანასკნელი თემა საზოგადოებრივ აქტივობებისა პატრიარქის ეპისტოლე გახდა. ეპისტოლე, თავის არსით, წარმოადგენს მრევლის საზოგადოებრივი პროცესების, ასე ვთქვათ, წლის პროგრამულ ხედვას. ეს არის რჩევები საკუთარი მრევლისადმი. მთლიანობაშიც, ეკლესიისა და მრევლის ურთიერთობა, ეს არის შეთანხმებისა და პიროვნული თავისუფლების - არჩევანის საკითხი. ეკლესია ვალდებულებას იღებს მიანიშნოს ის, რაც მას მიაჩნია ცოდვად, თუმცა, ცხადია, არ ავალდებულებს და ვერც დაავალდებულებს თუნდაც მრევლმა, ის კანონად გაიხადოს, თუ ეს ადამიანის არჩევანი არ არის. თავად მე გარკვეულ საკითხებზე ჩემი პროფესიული და ადამიანური შეხედულებები მაქვს, ზოგიერთ შემთხვევაში კრიტიკულიც, რაც სავსებით ჯანსაღ და ნორმალურ პროცესს წარმოადგენს. რაც შეეხება უფლებას, რაზე უნდა ილაპარაკოს პატრიარქმა და რაზე - არა, ვფიქრობ, პატრიარქმა უნდა ისაუბროს ყველაფერზე, რაც მიაჩნია, რომ ერს, ადამიანს სულიერებაში უშლის ხელს, ამას გარდა, მისი მსჯელობა რეკომენდაციული ხასიათისაა, მას არც კანონის სახე აქვს და არც სავალდებულო ქცევის. ამდენად, სრულიად მისაღებია პატრიარქის მხრიდან მსჯელობა, ასევე ამ მსჯელობის განსჯა-კრიტიკაც, მაგრამ არა დესტრუქციული აქციებითა და დისკრედიტაციული კამპანიებით. მეორე მხრივ, ჩემს სურვილად რჩება, ფაქიზი თემების ასევე ფრთხილად და ფაქიზად გაშლა საზოგადოებაში, რისი მიღების უნარიც მრევლს უნდა ჰქონდეს, ხოლო ჩასაფრებულ ანტაგონისტებს ნაკლები საფუძველი ნათქვამის თითზე დასახვევად.

ვფიქრობ, ეკლესიამ უნდა გადახედოს საკუთარ დამოკიდებულებებსაც ზოგიერთ საკითხთან მიმართებაში, ბუნებრივია, მე არ მიმაჩნია, რომ ეკლესიამ უნდა გამოხატოს პოზიტივი და გზა გაუხსნას თავისუფლების არასწორ აღქმას ან იმას, რასაც საეკლესიო სწავლება ეწინააღმდეგება, მაგრამ ასევე არ მიმაჩნია სწორად, ეკლესიამ რადიკალური ნეგატივი გამოხატოს ზოგიერთ საკითხთან მიმართებაში, მიუხედავად მისი საფუძვლიანობისა.

მტკივნეულ თემად აღიქმება ხელოვნური განაყოფიერების თემა. ხელოვნური განაყოფიერება რეპროდუქტიულობის შესაძლებლობის მქონე წყვილებში აუცილებელი და მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა. რამდენადაც მთავარ ამოსავალ წერტილად ბუნებრივ განაყოფიერებაში უფლის ნება იგულისხმება, მორწმუნისათვის უნდა შეინიშნოს, რომ უფლის ნების გარეშე შეუძლებელია ნაყოფი მიიღოს მშობელმა ხელოვნური განაყოფიერების გზითაც, არაერთი შემთხვევა სახელდება, სადაც მრავალი მოწადინების შემთხვევაშიც, ვერ მოხდა ნაყოფის მიღება მსურველთაგან. ცალკე საკითხია ამ თემით ბიზნესწარმოების ინტერესები, რაც სრულიად სხვა გარემოება და მსჯელობის საგანია. შეიძლება მოითვალოს ზოგიერთი საკითხი, რომელიც ცდება მამების წარმოდგენას რეპროდუქციული და ურთიერთობრივი საკითხების შესახებ. შეგვიძლია გარკვეული დამოკიდებულება ჩამოვაყალიბოთ, რომ რეპროდუქტიულ საკითხებში ეკლესიის შესაბამისი შეხედულებათა სისტემა მივიღოთ, როგორც კონცეფცია და არა როგორც სამოქმედო სტანდარტი.

თუმცა ცხადია, სრულიად გამართლებულად მიმაჩნია დამოკიდებულება შვილად აყვანასთან დაკავშირებით, ასევე ოჯახის ცნების საკითხი, სადაც პარტნიორული დამოკიდებულება არ უნდა იყოს ოჯახის ტოლფარდი. შესაბამისად, ეკლესიის მოსაზრება რომ უმცირესობების წყვილებს არ ჰქონდეთ სუროგაციით შვილად აყვანის უფლება, სრულიად ადეკვატური და რაციონალური მიდგომაა. სუროგაცია კი, როგორც საკითხი, გამიჯნული უნდა იყოს ინ ვიტრო განაყოფიერებისგან, რადგან სუროგაცია ბევრად რთული თემაა.

ასევე გადასახედი შეიძლება იყოს ეკლესიის ზოგიერთი თვალსაზრისი წყვილების სქესობრივი ცხოვრების წესისა და ოჯახის დაგეგმვის შესახებ. მიმაჩნია რა, რომ თანამედროვე ადამიანს, სუსტი ფიზიკური და ბიოლოგიური შესაძლებლობების გამო არ აქვს ფუფუნება, დაუგეგმავად ჰყავდეს შვილები. ამის გამომწვევი მიზეზიც ბევრია, მათ შორის, ქორწინების დაბალი ასაკი, რის გამოც, ხშირად სასურველი ხდება, შთამომავლობის საკითხი მოგვიანებით გადაწყდეს; სამედიცინო ჩვენებები, მაგალითად, საკეისრო კვეთის შემდეგ რამდენიმე წელი არ შეიძლება ქალისათვის ორსულობა და ა.შ. სპეციალისტები ამ საკითხშიც მრავალ მიზეზს დაასახელებენ; ამას გარდა, იმის გათვალისწინება, რომ ცოლ-ქმრის ცხოვრების წესისათვის სექსუალური ცხოვრება პირადი სივრცეა და მათ შორის, მოძღვრებსაც არ აქვთ თუნდაც იდეოლოგიურად ჩართვის უფლება ან მხოლოდ ძალიან მოზომილი და ფრთხილი ფორმით, ისე, რომ წყვილების ურთიერთობაში ზედმეტად არ აღმოჩნდნენ; სამწუხაროდ, ირგვლივ არაერთს შეგვიძლია შევამჩნიოთ შემთხვევები, სადაც, მაგალითად, მოძღვარმა დაუფიქრებლად აუკრძალა წყვილს დაცვის საშუალებები, რასაც რამდენიმე თავისთავადი აბორტი მოჰყვა. ამით წყვილის როგორც მორალური და ფიზიკური, ასევე რეპროდუქციული შესაძლებლობები დაბლა დაიწია.

ცხადია, ეკლესია ვერ იქნება და არც უნდა იყოს ბიძგის მიმცემი და პატრიარქი არ უნდა საუბრობდეს კონტრაცეფციის მიმზიდველობაზე, თუმცა, ვფიქრობ, ძალიან ფრთხილი და პირობითი დამოკიდებულება უნდა იყოს დაჭერილი და არა შედარებით კატეგორიული.

კიდევ ერთი საკითხი, სადაც მიმაჩნია, რომ მეტი სიფაქიზე და პირობითობაა შემოსატანი, ეს ჰომოსექსუალების თემაა. ვფიქრობ, ეს ფრთხილი თემაა, რომელზეც საზოგადოების დამოკიდებულება უნდა გადაიხედოს. ცხადია, არ ვამბობ და არც ვგულისხმობ, რომ ეკლესიამ ეს მისაღებად უნდა ჩათვალოს ან მისაბაძად, თუმცა, რეალურად საკითხი საზოგადოებრივ დაპირისპირებებთან გვაქვს, რაც ბევრად უფრო არასასურველსა და კრიზისულს ხდის საზოგადოებრივ პროცესებს.

საზოგადოება შედგება იმ წევრებისგან, რომელიც რეალურად ჰყავს; მათში შევდივართ სხვადასხვა კუთხით და ხარისხით ცოდვილები, რომლებსაც ეკლესია გვიფარებს. ცოდვის სახეობა ბევრია, მრუშობაც, ღალატიც, განკითხვაც, ამპარტავნება და ა.შ. ამდენად, სრულიად ჩვეულებრივია, რომ ჰომოსექსუალობაც ცოდვად იყოს განხილული... მიმაჩნია, რომ ცოდვასთან ბრძოლა არ უნდა გადავიდეს ადამიანებთან ბრძოლაში - ჰომოსექსუალობასთან ბრძოლა კი ჰომოსექსუალების მიმართ ბრძოლაში. ეს საზოგადოებას ჰყოფს, ეს საზოგადოების წევრებს თიშავს ერთმანეთისგან, მით უმეტეს, რომ ვეჭვობ, ამით თუნდაც ცოდვის შემცირება ხდებოდეს. მეტიც, ამგვარი მიუღებლობა ქმნის მეტ „აზარტს“ - საზოგადოება დაშორდეს ეკლესიას. არადა, როგორც ჩემი მოძღვარი მეუბნებოდა, „როგორც ექიმი იმათ უფრო იფარებს, ვისაც რამე ფიზიკურად უჭირთ, ისე ეკლესია უნდა იფარებდეს მათ, ვინც ცოდვაშია“.

ადამიანებმა ერთმანეთი უნდა მივიღოთ ისეთები, როგორებიც ვართ, ოღონდ ვეცადოთ უნდა მუდმივად, ვიყოთ უკეთესები და სხვასაც ხელი შევუწყოთ უკეთესობაში. ეკლესიას კი მთელ ამ პროცესში აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, მან უნდა გვასწავლოს ერთმანეთის მიღებაც და უკეთესობაც, მაშინაც, როდესაც ცოდვილები ვართ და მაშინაც, როდესაც - ნაკლებად ცოდვილები.

ცხადია, აქვე ვგულისხმობ შესაბამის უკუკავშირსაც ეკლესიის მიმართ, რაც არ უნდა იყოს ანტაგონისტური და დისკრედიტაციული ამავე ჯგუფების მხრიდან.

მნიშვნელოვანი საკითხი ქალთა სტატუსსა და საჭიროებას ეხება. დადებით მესიჯად მივიღე ეპისტოლეს ნაწილი, სადაც ქალს არა ბრმა, არამედ ადეკვატური ვალდებულებები გააჩნია ქმრის მიმართ. ეს უთუოდ დადებითი სიგნალია და არ აიძულებს ქალს, მიიღოს ქმარი, თუ ის ფიზიკურად ძალადობს, ტანჯავს ოჯახის წევრებსა და ცოლს და ა.შ. ამ ეპისტოლეს შემდეგ, სასულიერო პირებმაც უნდა გააცნობიერონ, რომ არ „აკურთხონ“ ქალები ოჯახის შენარჩუნებაზე მსგავს შემთხვევებში...

თუმცა, თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ეკლესიის მხრიდან უნდა გადაიხედოს ქალთა და კაცთა როლის შეფასება ოჯახში თუ ოჯახს გარეთ. „ტრადიციული“ ხედვით, ქალი მეტად მოვალეა თვითრეალიზაცია ოჯახში მოახდინოს შვილების გაზრდით, ხოლო მამაკაცმა კი უზრუნველყოს ეს პროცესი გარე მახასიათებლებით, დაფინანსებით თუ სხვა ტიპის პასუხისმგებლობებით. ვფიქრობ, დღეს ეს შეუძლებელი ფუფუნებაცაა და არც ბოლომდე სასურველი მიდგომა ოჯახურ ჰარმონიაში. მიმაჩნია, რომ ერთი მხრივ, მამაკაცების როლი უნდა გაიზარდოს ოჯახის შიგნით, მათ შორის შვილების აღზრდის კუთხით, ხოლო ქალის როლი ასევე უნდა გაიზარდოს გარე მახასიათებლებში თვითრეალიზაციის კუთხით.

უპირველესი მაჩვენებელი ის არის ჩემთვის, რომ მათ შორის ქრისტიანულ ოჯახში როლის გადანაწილება შეთანხმებისა და არჩევანის საგანი იყოს და არა ოჯახური ქცევის ფორმულის.

თანამედროვე გამოწვევებმა ნეგატიურ შედეგებთან ერთად პოზიტიური შედეგებიც გამოიწვია, მათ შორის, ქალისა და მამაკაცის თვითრეალიზაციის კუთხით. მამაკაცებმა საკუთარი თავი აღმოაჩინეს, როგორც მამებმა, და ბოლო თაობებისგან განსხვავებით, დღეს ხშირად ვხედავთ შვილების აღმზრდელ მამებს, რომლებსაც ამაგიცა და სიახლოვეც შვილებთან მეტი აქვთ, ვიდრე წინა თაობებს ჰქონდათ, ხოლო ქალებმა კი საკუთარი თავი ინტელექტუალურ სივრცეში აღმოაჩინეს, ისწავლეს პროფესიულ დონეზე წარმატების მიღწევა, მეტი თვითდაჯერებულობა, შინაგანი რწმენის დონემ კი შინაგან ჰარმონიასაც შეუწყო ხელი, რაც ასევე დადებითად აისახა, როგორც მეუღლესთან ურთიერთობაში, ასევე შვილებთან და ზოგადად, გარემოსთან ურთიერთობაში.

ჩემს მოსაზრებებს არ აქვს ამბიცია იყოს უნივერსალური, ის უფრო იმ მიზანზეა აგებული, რომ გადავხედოთ ყველამ ჩვენს კატეგორიულობას, რასაც პატრიარქი ხშირად აკრიტიკებს და სწორიცაა, ადამიანებს ბევრად მეტი სიფაქიზე გვმართებს ადამიანების და ზოგადად, საზოგადოებრივი ურთიერთობების პროცესში. მეტიც, მოსაზრებები, სავარაუდოდ, მიუღებელი იქნება თეოლოგიური თვალსაზრისით, თუმცა, მე ამ პროცესებს ვხედავ და ვგრძნობ, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციალისტი და ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჰარმონია, ვიდრე საზოგადოებრივი დისჰარმონია. მე ვცდილობ, ვაჩვენო ის, რაც შეიძლება გამართლებული იყოს თეოლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ მოიტანოს საზოგადოებრივი კონფლიქტები. მე კი ეს რისკი მაფრთხობს და არ მსურს.

წერილის დასაწყისში სიმართლეზე ვწერდი, გაგვიგია გამოთქმა, ყველას თავის სიმართლე აქვსო, ამ გამოთქმაზე ყოველთვის მახსენდება ხოლმე დოსტოევსკის პერსონაჟები, სადაც გმირისა და ავტორის პოზიცია ისეა წარმოდგენილი, რომ ავტორი საკუთარ გმირებს თავად უტოვებს სიმართლეს და არ ერევა ხოლმე ამ სიმართლის განცდაში, ერთ-ერთ ლიტერატორს ამის ნიმუშად შექსპირიც მოჰყავდა, ყველანი ლაპარაკობენ თავად, თავიანთ სიმართლეს, ავტორი კი დუმს, ის არ ერევა და არ განსჯის საკუთარ პერსონაჟებსო... შეიძლება ითქვას, ჩვენი რეალობა ამ პროცესს ჰგავს, თუმცა, ტრაგედია ის არის, რომ დღევანდელ პროცესებში პერსონაჟები არ ლაპარაკობენ, არამედ მათი ავტორები პერსონაჟების მარიონეტული რეჟიმით. ეს პერსონაჟები კი თავიანთი „ავტორების“ ბრძანებების შემსრულებლებად ვლინდებიან, რომელთა უახლოესი საზოგადოებრივი პროცესები პატრიარქზე ნადირობაში გამოიხატება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ეპილეფსიით დაავადებულ მცირეწლოვანს სახლიდან ასახლებენ



# სასამართლოს მიერ 5 წლის ასაკში მევალედ აღიარებული გიორგი კახურაშვილი ქუჩაში დარჩენის მოლოდინშია



**my View**

მირიან ბოქოლიშვილი

**გიორგი კახურაშვილი ახლა 8 წლისაა, თუმცა ის ჯერ კიდევ 5 წლის იყო, როდესაც სასამართლომ ოფიციალურ მევალედ სცნო და 7 ათასამდე დოლარის გადახდის პასუხისმგებლობა დააკისრა. ერთი შეხედვით დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მცირეწლოვანს მამის მიერ აღებული ვალის გადახდას სთხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ქუჩაში გამოსახლებით ემუქრებიან. აღსრულების ბიურომ გამოსახლების პროცედურა შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით ჯერჯერობით შეაჩერა, თუმცა არავინ იცის, როდის მიუკაკუნებენ კარს პატარა გიორგის. ამასობაში ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გართულდა. როგორც სახალხო დამცველის რეკომენდაციით ხდება ცნობილი, მას ნერვული სისტემის მოშლა და ეპილეფსიის ნიშნები აღენიშნება. გიორგის დედის, ნანა კახურაშვილის თქმით, ბავშვის მკურნალობა პირად კონტროლზე აქვს აყვანილი ჯანდაცვის მინისტრს, დავით სერგეენკოს.**

2010 წელს მოკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯორჯიან კაპიტალმა“, იმედა კახურაშვილთან დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე აღებული სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთა მისი შვილის, გიორგი კახურაშვილის ( 2005 წელს დაბადებული) საკუთრებაში არსებული, ბაბუისგან მემკვიდრეობით მიღებული საცხოვრებელი სახლი. როგორც კახურაშვილები ამბობენ, ხელშეკრულების დადების მომენტში ნოტარიუსსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის იურისტს მათთვის არ მიუციათ განმარტება იმის თაობაზე, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ბავშვთა უფლებათა საერთაშორისო კონვენციის მიხედვით არ ჰქონდათ მცირეწლოვანი ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების იპოთეკით დატვირთვის უფლება. საბოლოოდ, ზემოაღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, გიორგი კახურაშვილის სახელზე რიცხული ქონება გასხვისდა აუქციონზე. სახლის ამჟამინდელმა მესაკუთრემ აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიმართა თხოვნით „სხვისი მფლობელობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის თაობაზე“ სააღსრულებო წარმოების დაწყების შესახებ. შესაბამისად, კახურაშვილებს უკვე მიეცათ შეტყობინება ხაშურში, მარჯანიშვილის #2-ში მდებარე ქონების ნებაყოფლობით გამოთავისუფლებასთან დაკავშირებით. მართალია შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანებით დროებით შეჩერდა გამოსახლების პროცესი, თუმცა საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ ოჯახმა არაერთხელ მიმართა სასამართლოს, თუმცა სარჩელი მოსამართლემ წარმოებაშიც კი არ მიიღო. ახლა კახურაშვილები კიდევ ერთხელ აპირებენ საქართველოს სასამართლოში სცადონ ბედი. კვლავ უარის შემთხვევაში კი სარჩელს ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოსთვის მოამზადებენ.

**ნანა კახურაშვილი, გიორგის დედა:**

„ჩვენ ვცდილობდით გაბათილებულიყო ეს საქმე, თუმცა სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო. ახლა არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტები მუშაობენ და გვექნება კიდევ ერთი მცდელობა, რომ მივმართოთ სასამართლოს. უარის შემთხვევაში ჩვენ მივმართავთ სტრასბურგის სასამართლოს და საერთაშორისო ორგანიზაციებს. მერწმუნეთ, რომ მათთვის სულ ერთი არ იქნება, როცა გაიგებენ თუ როგორ ეპყრობიან ბავშვებს საქართველოში. ჩემი შვილი, გიორგი კახურაშვილი, 5 წლის ასაკში სასამართლომ აღიარა ოფიციალურ მევალედ და მოპასუხე მხარედ. საქმე ეხება იმას, რომ ჩემმა მეუღლემ ბანკიდან გამოიტანა კრედიტი მეცხოველეობის, კერძოდ მეღორეობის წამოსაწყებად. ეს იყო 2009 -10 წლები. მოგეხსენებათ, რომ მაშინ მთელ საქართველოს მოედო ე.წ. ღორის ჭირი და ჩვენმა ბიზნესმაც ვერ გაამართლა. შესაბამისად გაჭირდა თანხის გადახდა. თუმცა დღეის მდგომარეობით ჩვენ ძირი თანხა მთლიანად დაფარული გვაქვს, საერთო ჯამში 6 750 დოლარზეა საუბარი და დამატებით გადახდილია 1 500 დოლარზე მეტი. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არანაირად არ შევიდა ჩვენს მდგომარეობაში, ჩვენ წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს სასამართლოში. კრედიტის სანაცვლოდ დაიტვირთა ბავშვის ქონება, რაც, როგორც შემდეგ გავარკვიეთ, დაუშვებელი ყოფილა. ეს ბინა ჩემს შვილს კრედიტის აღებამდე აჩუქა ბაბუამისმა. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ თუ მამა, იმედა კახურაშვილი ვერ გადაიხდის ვალს, სესხის დაფარვის უზრუნველყოფა დაევალოს მის შვილს, რომელიც იმ დროისთვის გახლდათ 5 წლის. ამჟამად ბავშვი ნევროლოგიის ცენტრში დაგვყავს. მისი მკურნალობა პირად კონტროლზე აიყვანა დავით სერგეენკომ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მას“.

**ამ საკითხით პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიაც დაინტერესდა. მან რეკომენდაციით მიმართა აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელძღვანელს, მიხეილ სარჯველაძეს:**

„ბატონო მიხეილ, რასაკვირველია, თავდაპირველი ხელშეკრულების ბათილად ცნობის საკითხი სცილდება როგორც კომიტეტის, ასევე თქვენი უწყების კომპეტენციის ფარგლებს და იგი მხოლოდ სასამართლო განხილვის საგანს წარმოადგენს, თუმცა არსებული გარემოებების გათვალისწინებით მოგმართავთ თხოვნით: საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე გამოძებნოთ საკანონმდებლო შესაძლებლობა აღსრულების გადადების შესახებ, რათა მშობლის წარუმატებელი ბიზნესის გამო არ შეილახოს მცირეწლოვანი ბავშვის კანონიერი უფლებები და ინტერესები“, - წერს ეკა ბესელია.



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

აღსრულების ეროვნული ბიურო

აღსრულების პოლიცია (დელეგირებული ფუნქციები)

A12044023-005/003

10.07.2013

მოვალე: გიორგი კახურაშვილი

წარმომადგენელი: იმედა კახურაშვილი

მცხ. ქ. ხაშური მარჯანიშვილის ქ. #22

ბატონო იმედა,

აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს ქ. თბილისის განყოფილების წარმოებაშია მოქალაქე თამარ ფუალიშვილის მიერ 2012 წლის 20 ივლისს წარმოდგენილი №269989 განცხადება თანდართულ მასალებთან ერთად (საქმე A12044023 კრედიტორი - თამარ ფუალიშვილი, მოვალე - გიორგი კახურაშვილი), რომლის თანახმად უძრავი ქონების (მდებარე მისამართზე ქ. ხაშური, მარჯანიშვილის ქ. №22, საცხოვრებელი სახლი და მასთან მდებარე მიწის ნაკვეთი ფართით 1229 კვ.მ. (საკ. კოდი: 69.08.66.023)) მესაკუთრეა თამარ ფუალიშვილი. მან მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონებიდან უკანონოდ მცხოვრები პირების გამოსახლება.



რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო და მიუბრუნდება თუ არა მცირეწლოვანი ბავშვის ქონების საკითხს, ძნელი სათქმელია, თუმცა აშკარაა, რომ კანონი ბავშვის მხარესაა. მკითხველს განვუმარტავთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად „მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს“, ასევე „მშობლებს არ აქვთ შვილების ქონების განკარგვის უფლება, თუნდაც ეს ქონება თვითონ მშობლების მიერ იყოს შეძენილი შვილის საჭიროების დასაკმაყოფილებლად“. ბავშვთა უფლებების საერთაშორისო კონვენციით კი: „ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები პირველ რიგში უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა იმ გადაწყვეტილების მიღებისას და განხორციელებისას, რომლებიც ეხება ბავშვებს ან ბავშვთა ჯგუფებს. არა აქვს მნიშვნელობა ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება - მთავრობამ, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოების ხელმძღვანელობამ თუ თვით ოჯახმა“.

EXCLUSIVE



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „მომხედეთ ქართველებო, ხალხი არა ხართ?!.. მეშინია არ გავგიჟდე“



**my View**
**დეა თავბერიძე**



**„წინა მთავრობამ არ მიმკურნალა და ფეხი მომაჭრა, ამ მთავრობამ მანქანაში ჩამკეტა. ამის შემდეგ კიდევ ამბობენ, ემიგრანტებო ჩამოდით საქართველოშიო“**

**EXCLUSIVE**

## „კახა კალაძესაც დავურეკე. კიევიდან ვიცნობ, მეგონა დამეხმარებოდა“

**ის, კინორეჟისორმა ლევან ანჯაფარიძემ და პროდიუსერმა თამაზ ორაშვილმა აღმოაჩინეს. მოსკოვის პროსპექტზე, მანქანაში ცხოვრობს, ხეიბარია... ეს დაახლოებით ერთი თვის წინ იყო... არაფერი შეცვლილა, შავი ფერის გაზ-21 დღესაც იქ დგას... თანაგრძნობა მხოლოდ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ თამაზ ორაშვილის ესეს მოჰყვა, კომენტარებში გამოიხატა და იქვე დარჩა...**

**ნაწყვეტი ესედან**

„ლევანი მანქანასთან მივიდა... კარები გააღო, გამოელაპარაკა, დარწმუნდა რომ ის იყო ვინც ობიექტივის პირდაპირ ეთერში დაურეკა... წინ საჭესთან დაუჯდა მე კი მოვუარე და ლევანის გვერდზე დავჯექი... მივესალმე მასპინძელს, ისიც მომესალმა, გადავხედე მანქანის სალონს, სუფთა, გაწკრიალებული ჰქონდა ყველაფერი, უკანა სავარძელზე ორი ყავარჯენი იყო მიყუდებული, იქვე სკამზე თეფში იდო ცოტა დარჩენილი წვნიანით, ეტყობა სადილობდა“...

ბადრი გაბრიჩიძე ტყიბულში დაიბადა, თბილისში კი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი დაამთავრა. 1981 წელს, დედის გარდაცვალების შემდეგ, უკრაინაში გაემგზავრა... იქ მეუღლე და 17 წლის გოგონა ჰყავს. 60 წლისას უკრაინის დამსახურებული მშენებლის წოდება მიანიჭეს.

**ბადრი გაბრიჩიძე:** - ძალიან მენატრებოდა ჩემი ქვეყანა, ვიფიქრე, ჩავალ სახლში. ტყიბულში ოროთახიანი ბინა მქონდა. გავარემონტებ და მერე ბავშვსაც ჩამოვიყვან-მეთქი. 2011 წელს ამ მანქანით ჩამოვედი კიდეც. სახლი გაპარტახებული დამხვდა, დავიწყე რაღაცების კეთება... ასაკთან ერთად ავადმყოფობა შემეპარა... შაქარი გამიჩნდა, ვერ ვიყავი კარგად... უცებ ფეხი ლურსმნიან ფიცარს დავაბიჯე და თითი გამეკაწრა, ცოტა ხანში მდგომარეობა გამიუარესდა, ბოლოს დიაგნოზი დასვეს, განგრენა გაქვსო... შველას ვთხოვდი ექიმებს... ოპერაცია გჭირდება, მაგრამ ფული არ გაქვს და ვერ გაგიკეთებთო. რა მექნა?.. თითქმის ერთი წელი მოვუნდი ბინის გაყიდვას, ფეხი კი უფრო და უფრო გამირთულდა. ბოლოს, როცა ფული მივუტანე, ცალი ფეხი მომკვეთეს... მანამდე რომ გაეკეთებინათ ოპერაცია, იქნებ მარტო თითის დაკარგვით გადავრჩენილიყავი... უბრალოდ, დროის მომენტი იყო... ფეხიც დამაკარგვინეს, ბინაც გამაყიდინეს.... მერე ნახევარი ფული ჩემმა დამ წაიღო, ჩემი წილი არისო... მე დავრჩი ასე ამ გაზ-21 ში. ახლა აქ ვცხოვრობ... დღეში ერთხელ უპატრონოთა სასადილოში ვიკვებები. მრცხვენია ასე რომ ვარ და ვწვები ხშირად, რომ არ გამოვჩნდე მანქანიდან, არ დამინახონ.

**- და თბილისში გყავთ?**

- თერჯოლაში არიან, და და დისშვილები დამრჩა, 15 წლის განმავლობაში ვეხმარებოდი. ხელს ვუწყობდი ბავშვების გაზრდაში და განათლებაში... თვეში სულ მცირე 600-დან 900 დოლარამდე ვაგზავნიდი... დაამთავრეს სკოლა, ინსტიტუტი... ახლა ერთი 32 წლის არის, მეორე 31-ის. არც ერთს არ ვახსოვარ... რამდენი ხანია აქ ვაგდივარ და არც კი დაურეკავთ. (ტირის) არადა ვფიქრობდი, მე რომ რამე მომივიდეს ჩემს შვილს დამცველები ეყოლება-მეთქი.

**- ამ სიცივეში როგორ გძინავთ?**



**„ალბათ, გადარჩენის უნარი ყველა ადამიანს აქვს, მეც მაგ რეჟიმში ვარ“**

- როგორ დავიძინებ? რა დამაძინებს ამ სიცივეში. დღე და ღამე რომ ვამუშაო ეს მანქანა ამის ბენზინის ფულს ვინ მომცემს? ალბათ, გადარჩენის უნარი ყველა ადამიანს აქვს და მეც მაგ რეჟიმში ვარ... მეორე ფეხზე პრობლემა მაქვს. მხედველობაზეც. მე რომ ახლა კიევში ჩემს თანამდებობაზე ვიყო, ჯანმრთელად და ასეთი ადამიანი შემხვდეს, როგორც მე ვარ, არ მივატოვებდი, წავიყვანდი, საავადმყოფოში დავაწვენდი და ვუმკურნალებდი.... უკრაინის დამსახურებული მშენებელი ვარ. ბევრი ხალხი მყავს დასაქმებული თუ კი ვინმე ჩამოდიოდა საქართველოდან ყველა ჩემი დასაქმებულია.

**- აქ თქვენთვის დახმარება არავის შემოუთავაზებია?**

- გამგეობიდან იყვნენ... ასე მითხრეს დეკემბერ-იანვარში ვერა, იანვრის ბოლოს დაგეხმარებითო. მერე ეს ზამთარი ერთი თვით ხომ არ არის, როგორ გადავატარო-მეთქი? მათ ერთჯერადად მომიტანეს ბენზინის თანხა, მანქანაში რომ არ გაიყინოო.... ტყიბულის დეპუტატსაც დავურეკე, ელისო ჩაფიძეს. მოვუყევი ჩემი გაჭირვება.... მერე მე რა ვქნა? მე შენ წინაშე რამე დანაშაული ხომ არ მაქვს ჩადენილიო? თუ გინდა მოგცემ სამგორის გამგებლის ტელეფონს და იმას მიმართე, ისინი დაგეხმარებიანო... საპატრიარქოშიც დავრეკე, თავშესაფარი ვითხოვე... გამომკითხეს და მიპასუხეს, თავშესაფარი არ გეკუთვნით, ეს მოხუცებულებზე არის გათვლილიო... უკრაინის საელჩოსაც ვთხოვე შველა....მოვიდნენ საკონსულოდან და როცა გადახედეს ჩემს საბუთებს უარი მითხრეს... ვერ დაგეხმარებით უკრაინის მოქალაქე აღარ ხარო... 2012 წელს საქართველოს მოქალაქეობა ავიღე პენსია დამინიშნეს, 70 ლარი... კახა კალაძესაც დავურეკე. კიევიდან ვიცნობ, მისი ერთ-ერთი მდიდარი მეგობრის ობიექტები ჩემი აშენებულია, მეთქი სხვა ვინ დამეხმარება, თუ არა კახა. მიმღებში მითხრეს გადავცემთო, მერე დამირეკეს, უარს ამბობს შეხვედრაზეო. ალბათ, არ უთხრეს... პავლე კუბლაშვილსაც დავუკავშირდი, ჩემი მეზობელია ტყიბულში... ვერც იმისგან მივიღე პასუხი... უკვე არც ვიცი რა მინდა... იმდენად დავიღალე, რომ აღარაფერი მინდა... საზღვარი როცა გადმოვკვეთე, 2011 წელს... ჩამირტყეს ბეჭედი და მეტი არაფერი მითხრეს... ახლა გაირკვა რომ... მანქანით რომ გადაკვეთავ საზღვარს მას აქვს გარკვეული დრო... დროის გადაცილების შემდეგ დღეში 50 ლარია... მაქსიმუმი გადასახდელი კი 1 500 ლარი... ეს ჯარიმაც ამკიდეს...

**- არაფერი მინდაო ამბობთ, არადა საქართველო გენატრებოდათ.**

- სიგიჟემდე მენატრებოდა ჩემი მიწა. ახლა კი სულ დავკარგე რწმენა საქართველოზე და ზოგადად ადამიანებზე... ერთხელ ისიც გავიფიქრე, საზღვარს როგორც კი გადავკვეთავ ეგრევე დავხევ საქართველოს პასპორტს-მეთქი. ჩემთან 1 500 კაცი მუშაობდა, მათ შორის ქართველებიც, მე მათ ოჯახებს ვკვებავდი, ვეხმარებოდი, ახლა აღარ დავეხმარები... რატომო მკითხავთ, რას ერჩი ამ ქართველებსო?... რას ვერჩი და ამ ქართველებმა აირჩიეს ასეთი მთავრობა, წინა მთავრობამ არ მიმკურნალა და ფეხი მომაჭრა, სახლი გამიყიდა, ამ მთავრობამ კი მანქანაში ჩამკეტა. ამის შემდეგ კიდევ ამბობენ, ემიგრანტებო ჩამოდით საქართველოშიო... ბინა რომ არ გამეყიდა, დღეს ცოცხალი ვიქნებოდი?! სირცხვილი აღარ არის?!.. ესენი ვინ არიან? ჩემზე მეტი პატრიოტები არიან? თბილისში უამრავი სახლი მაქვს აშენებული მათ შორის სკოლაც... აფხაზეთის ომის დროს უკრაინიდან ჩემი დაფინანსებით ასეული იყო გამოგზავნილი. ამათ კი მანქანაში ჩამკეტეს... ახლა აღარც ბენზინი მაქვს და ვიყინები... ეს არის სამართალი? უკვე არ ვიცი რისი უფლება მაქვს საერთოდ. ადამიანს აქვს რაიმეს უფლება ჩვენთან საქართველოში? მაინც გზას ვეძებ მინდა თავი დავაღწიო ამ საგიჟეთს...

**- ალბათ, იქნებიან კეთილი ადამიანებიც, რომლებიც ცოტაოდენ ყურადრებას მაინც გაქცევენ...**

- როგორ არა, პოლიციის თანამშრომელი, ახალგაზრდა ბიჭი, ვახო. გაახარებს ღმერთი, მორიგეობისას შემომივლის ხოლმე. რუსი ცოლ-ქმარიც მოდიოდა ბენზინს მისხამდნენ ხოლმე. აქ მეეზოვეც დადის ერთი, დილის 6 საათზე მოდის. სომეხი ქალია. დედის საფლავს ვფიცავ-არ, ის უფრო მეტად მეხმარება, ვიდრე სახელმწიფო და ნათესავი. ერთი არის კიდევ ღარიბაშვილია გვარად, აქვე ახლოს ქოხი აქვს, გაჭირვებულზე გაჭირვებული, ის მომიკითხავს და რითაც შეუძლია მეხმარება. მეხმარება ფსიქოლოგიც. კიდევ კარგი ის მოდის, თორემ აქამდე თავს ჩამოვიხრჩობდი.... პოლკოვნიკი კაცია აფხაზეთის გმირი, იური გალდავა... ასევე კინორეჟისორი ლევან ანჯაფარიძე და მისი მეგობარი თამაზ ორაშვილი, ბევრჯერ იყვნენ ამოსულები, მითხრეს, გამოგიყვანთ ამ მდგომარეობიდანო, ველოდები.

**- ამ ლოდინში ფიქრები როგორია? იმედი მაინც არის ვატყობ...**

- საქართველო ჩემი სამშობლოა, აქ მინდა დავიმარხო. ცხოვრებაში მათხოვარი არ ვყოფილვარ, პირიქით, ყოველთვის სხვას ვეხმარებოდი. დღეს კი ამ დღეში ვარ... მომხედეთ ქართველებო, ხალხი არა ხართ?!.. მეშინია არ გავგიჟდე.

**თამაზ ორაშვილი:** ყველანაირად ვეძებთ გზებს...ჩვენ რა შეგვიძლია (მე და ლევან ანჯაფარიძეს ვგულისხმობ)ის კინორეჟისორია მე კი კინოპროდიუსერი, ჩვენ ერთი რამ შეგვიძლია გულთან ახლოს მივიტანოთ ამ ადამიანის პრობლემები, ვეცადაოთ ფირზე ავსახოთ და დავანახოთ საზოგადოებას ....დავანახოთ იმ ადამიანთა ჯგუფებს ვისაც ამ პრობლემის გადაწყვეტა ევალებათ... უფლებადამცველებს, არასამთავრობოებს პირველ რიგში კი სოცმუშაკებს... უფრო მეტად უნდა ჩაერთონ ჟურნალისტები.... ერთ ნიუსს რომ გააკეთებენ და ჰგონიათ ამით პრობლემა გადაწყვიტის, ასე არ არის... ბოლომდე უნდა ჩაყვნენ თემას..... იბრძოლონ იქამდე სანამ ადამიანს პრობლემას არ გადაუწყვეტენ... არავინ არ იცის ცხოვრება რას გვიმზადებს!!!





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# არარსებული საფლავის მოსაწყობად გამოყოფილი 6000 ლარი



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

## აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს ფინანსური სკანდალები

**აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს დარღვევებზე ინფორმაცია არაერთხელ გახმაურებულა. მედიის ყურადღების მიღმა არც ეს ისტორია დარჩა, თუმცა ჩვენთვის ცნობილი გახდა ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ჯერ კიდევ 2003 წელსაა ხელმოწერილი, თუმცა ფიგურანტთა უმრავლესობა დღესაც წამყვან თანამდებობებზე აგრძელებს მუშაობას. თავის დროზე ეს თემა კონტროლის პალატის შესწავლის საგანიც გახდა, თუმცა მაკონტროლებელი ორგანოს დასკვნას რაიმე სახის სამართლებრივი გაგრძელება არ მოჰყოლია. საქმის არსი შემდგომში მდგომარეობს: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „27 სექტემბერს ხსოვნისა და იმედის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით სოხუმის მერიის წინადადებების შესახებ" (#702,18.09.2003წ.), რომლის მიხედვითაც დაიგეგმა 10 350 ლარის გამოყოფა ამ დღისთვის დასახულ ღონისძიებებზე, მათ შორის 6 000 ლარი გურამ გაბისკირიას საფლავის მოწყობაზე. მკითხველს შევახსენებ, რომ აფხაზეთის ომის გმირი, სოხუმის ყოფილი მერი გურამ გაბისკირია 1993 წლის სოხუმის დაცემის დღეს აფხაზმა სეპარატისტებმა ჟიული შარტავასთან ერთად დახვრიტეს. წლების განმავლობაში გაბისკირიას არა თუ საფლავის, არამედ ცხედრის მოძიებაც კი ვერ მოხერხდა. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო 2003 წელს აფხაზეთის მთავრობამ 6000 ლარი გამოყო არარსებული საფლავის მოწყობაზე.**

ამ თემით თავის დროზე კონტროლის პალატაც დაინტერესდა. აი, რა დასკვნამდე მივიდა მაკონტროლებელი ორგანო:

„მოპოვებული ინფორმაციის შესწავლით გაირკვა, რომ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს #702-ე დადგენილება შესრულდა ნაწილობრივ. აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროს მიერ მოხდა მხოლოდ 2000 ლარის გადარიცხვა ქ. სოხუმის მერიისთვის, ანუ დაფინანსების მხრივ დადგენილება არ შესრულდა 8350 ლარის ოდენობით. რაც შეეხება გადარიცხულ თანხას, სოხუმის მერიის პირველადი დოკუმენტაციის განადგურების გამო, მათი კონკრეტული მიზნით ხარჯვა ვერ დადგინდა".

ასეთია კონტროლის პალატის დასკვნა დოკუმენტზე, რომელსაც ხელს აწერს მინისტრთა საბჭოს იმდროინდელი თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი რუდიკ ცატავა. თავად ცატავა და, ზოგადად, აფხაზეთის მთავრობა განმარტავს, რომ თანხა არამიზნობრივად არ დახარჯულა. მათი თქმით, გაბისკირიას საფლავის მოსაწყობად მართლაც გამოიყო 6000 ლარი, თუმცა იმის გამო, რომ ცხედრის მოძიება ვერ მოხერხდა, საფლავის მოწყობაც დღის წესრიგიდან მოიხსნა და სოხუმის მერიას მხოლოდ 2000 ლარი გადაერიცხა, თუმცა უკვე გამოყოფილი თანხის ნაწილის შემდგომი მოძრაობა კვლავაც ბუნდოვანია.

„სამწუხაროდ, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ბატონ გაბისკირიას ნეშტი ვერ მოიძებნა. აქედან გამომდინარე, საფლავის მოწყობაც თავისთავად გამოირიცხა, რის გამოც აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული 10 350 ლარიდან სოხუმის მერიას „ხსოვნისა და იმედის" დღის აღსანიშნავად გამოეყო მხოლოდ 2 000 ლარი", – განმარტეს აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობაში.

ეს არ ყოფილა ერთადერთი შემთხვევა, როდესაც აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს მიმართ გაჩნდა კითხვები ფინანსების არამიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით. მაგალითად, უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი წევრის პირადი სატელეფონო დანახარჯი ასი ათას ლარს ასცდა და როდესაც გამოძიება დანახარჯის მიზნობრიობის გარკვევას შეეცადა, აღმოჩნდა, რომ თანხის უდიდესი ნაწილი, დაახლოებით 60 ათასი ლარი, ინტიმტელეფონებზე განხორციელებული ზარებით იყო გამოწვეული.

რამდენიმე წლის წინათ სწორედ ფინანსური მაქინაციების ბრალდებით დააკავეს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ზემოხსენებული რუდიკ ცატავა, რომელიც მოგვიანებით საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გაათავისუფლეს. ითქვა, რომ ცატავას თავისუფლება ნახევარი მილიონი ლარი დაუჯდა. ამ თემაზე „პრაიმტაიმი" ერთხელ უკვე წერდა. ჩვენთან საუბრისას ცატავამ ყველანაირი ბრალდება უარყო. მისი თქმით, მაშინ გამოძიებამ აბსოლუტურად უსამართლოდ დააკავა, რადგან არც ერთი ბრალდება არ დაუდასტურდა.

**რუდიკ ცატავა:**

– აფხაზეთის მთავრობის მიმართ საქმე აღიძრა სისხლის სამართლის ფაქტზე – სახელმწიფო მანქანების ბენზინის გადახარჯვასთან დაკავშირებით. თუმცა არ ყოფილა ასე, არც გადახარჯული იყო და მეტიც, იმდენი საწვავი არ გვქონდა მიღებული, რამდენიც უნდა მიგვეღო.

**– რამდენს გედავებოდნენ?**

– 3 ათას 250 ლარის გადახარჯვას გვედავებოდნენ 7 მანქანაზე მთელი წლის განმავლობაში.

**– როგორც ვიცით, განთავისუფლების სანაცვლოდ 500 ათასი გადაიხადეთ...**

– ტყუილია, არაფერი არ გადამიხდია. მომთხოვეს ნახევარი მილიონი, რატომ დამაკავეს, არ ვიცი, ეს უკანონო დაკავება იყო. სამ თვე-ნახევარი უკანონოდ ვიყავი ციხეში და გამომიშვეს კანონიერად. საერთოდ არ უნდა დავეკავებინე, რადგან დეპუტატი ვიყავი და იმუნიტეტი მიცავდა. მიუხედავად ამისა, მაინც ციხეში აღმოვჩნდი და ამას ჩემთვის ხელი არ შეუშლია, შემდგომშიც დეპუტატად დავრჩენილიყავი. სანამ ცოცხალი ვიქნები, ალბათ, დეპუტატის მანდატსაც ბოლომდე შევინარჩუნებთ.

**– არაფერი არ გადაგიხდიათ?**

– არა, არ გადამიხდია, საპროცესო შეთანხმება შედგა და ჯარიმა გადავიხადე.

**– შეიძლება გვითხრათ, რამდენი გადაიხადეთ?**

– ეს ჩემი ამბავია, თქვენ რაში გაინტერესებთ? ამასთან დაკავშირებით საჩივარი მაქვს შეტანილი. მიმაჩნია, რომ უკანონო იყო დაკავებაც და ჯარიმაც. როცა ეს საქმე განიხილება, ამას თქვენც გაიგებთ.



დანართი №1

აფხაზეთში საომარი მოქმედებების პერიოდში გმირულად დაღუპული ქ. სოხუმის მერის გურამ გაბისკირიას უკვდავსაყოფი, დაღუპულ მეომართა ხსოვნის პატივსაცემის, მათი ოჯახების მორალური და მატერიალური მხარდაჭერის ღონისძიებების შესახებ

ღონისძიებათა ხარჯები

| ღონისძიება | თანხა | შენიშვნა |
|---|---|---|
| გურამ გაბისკირიას საფლავის მოწყობა | 6000 ლარი | |
| დაღუპულ მეომართა არასრულწლოვანი შვილებისათვის დახმარების გაწევა 30 ლარის ოდენობით თითოეულს | 3000 ლარი | რეგიონებში განსახლებულთა ჩათვლით |
| ავტობუსების დაქირავება | 200 ლარი | |
| სპეციალური ღონისძიება | 1000 ლარი | |
| [illegible] დამზადება, სამახსოვრო [illegible] გალაღება, სხვა მცირე ხარჯები | 150 ლარი | |
| სულ | 10350 ლ. | |

საქმეთა მმართველი [illegible] გ. სანაია

# EXCLUSIVE



## რუდიკ ცატავა: „მიმაჩნია, რომ უკანონო იყო დაკავებაც და ჯარიმაც"



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ტრაგედიით დასრულებული ქორწინება

## my View
მირიან ბოქოლიშვილი

**ამ ტრაგიკულ ისტორიას გულგრილი არავინ დაუტოვებია... ინფორმაცია ქორწინების დღეს პატარძლის მოულოდნელი გარდაცვალების შესახებ ელვის სისწრაფით მოედო სოციალურ ქსელებსა და საინფორმაციო საშუალებებს... 34 წლის მარიკა ჩემიამ 17 ნოემბერს იქორწინა. წყვილმა ჯვარი წილკნის ღვთისმშობლის ტაძარში დაიწერეს და მცხეთაში ქორწილიც გადაიხადეს. ქორწინების ღამეს ახლად შეუღლებულები თბილისში, საბურთალოს რაიონში მდებარე ბინაში მივიდნენ. ტრაგედიაც სწორედ ამ ბინაში დატრიალდა. ქორწინების ღამეს ახალგაზრდა ქალი გარდაცვლილი იპოვეს.**

**მარიკა ჩემიას დეიდა: „არ მსურს, ექსპერტიზის შედეგების შესახებ ჟურნალისტებს ვესაუბრო. რაც შეეხება მარიკას მეუღლეს, ის კვლავ სტრესშია და ამ თემაზე არავისთან საუბრობს“**



## რა ჩვენება მისცა მარიკა ჩემიას მეუღლემ სამართალდამცველებს და რა წერია ექსპერტიზის დასკვნაში?

გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო და მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტიზამ მხუთავი აირით მოწამვლის ფაქტი დაადასტურა, სამართალდამცველები თვითმკვლელობამდე მიყვანის ვერსიაზე კვლავაც მუშაობენ. ყოველ შემთხვევაში, საქმე ძიებაში ჯერაც სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით არის, რომელიც სწორედ თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

მარიკა ჩემიას გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით ტექნიკური და სამედიცინო ექსპერტიზა დაახლოებით თვე-ნახევარი მიმდინარეობდა. ექსპერტიზის დასკვნა რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი. ტექნიკურმა ექსპერტიზამ აჩვენა, რომ ბინაში, სადაც მარიკა ჩემია და მისი მეუღლე იმყოფებოდნენ, წყლის გამაცხელებელი და „კარმას“ ტიპის გამათბობელი კუსტარული წესით იყო დამონტაჟებული. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით კი ცნობილი ხდება, რომ მარიკა ჩემიას გარდაცვალება გამოწვეულია მხუთავი აირით (CO) მწვავე ინტოქსიკაციით, რაც მის სისხლში 65,39 პროცენტი კარბოქსიჰემოგლობინის არსებობითა და გვამის გამოკვლევის დროს ნანახი მაკრო და მიკრომორფოლოგიური სურათით დასტურდება. ცნობილია ისიც, რომ ცხედარს გარეგნული დათვალიერების დროს რაიმე ტიპის დაზიანება არ ეტყობოდა.

მსუბუქი ინტოქსიკაცია აღენიშნებოდა გარდაცვლილის მეუღლეს, 35 წლის დავით ბაზუაშვილსაც. „პრაიმტაიმმა“ გაარკვია, რომ ქორწილამდე იმ სახლში, სადაც ჩემია გარდაიცვალა, მეუღლემ ერთი ღამე გაათენა მარტომ. ქორწინების დღეს კი წყვილმა ღამის ორი საათისთვის დატოვეს რესტორანი და სახლში ერთად წავიდნენ. გარდაცვლილის მეუღლე სამართალდამცველებისთვის მიცემულ ჩვენებაში ყვება, რომ სახლში მისულებმა წყალი გადაივლეს – ჯერ დავითმა და შემდეგ მარიკამ, რის შემდეგაც დასაძინებლად დაწვნენ. „პრაიმტაიმმა“ მოიპოვა მცირე ამონარიდი **დავით ბაზუაშვილის** ჩვენებიდან, რომელიც მან სამართალდამცველებს მისცა.

„დილით გავიღვიძე, გვერდზე გადმოვბრუნდი თუ არა, ვნახე, მარიკა გულაღმა იწვა და დუჟი ჰქონდა გადმოსული. სასწრაფოდ ხელოვნური სუნთქვა და გულის მასაჟი ჩავუტარე, თუმცა ხმას არ იღებდა. მერე დავურეკე დედაჩემს, რადგან ექიმია და სასწრაფოდ მოსვლა ვთხოვე“, – ყვება გარდაცვლილის მეუღლე.

მარიკა ჩემიას გარდაცვალების ღამეს მას პირღებინების შეგრძნება ჰქონდა და თავს ცუდად გრძნობდა, თუმცა ეს სიმპტომები მეუღლის მოულოდნელი გარდაცვალებისგან გამოწვეულ სტრესს მიაწერა.

გამოძიებამ დაკითხა ჩემიას დედამთილი, **ნუნუ მიდელაშვილიც.**

„დაახლოებით 2 საათზე წავიდნენ, რესტორნიდან გავაცილეთ. დილით დამირეკა შვილმა და მითხრა, რომ მარიკა გარდაიცვალა. ვერ დავიჯერე, მეგონა, მეხუმრებოდა. მეგონა, პანიკაში იყო. მივედი და ვნახე, რომ მარიკა ცოცხალი აღარ იყო და სასწრაფოში დავრეკე. ერთ კვირაში ეგვიპტეში წასვლას გეგმავდნენ“, – ამბობს მარიკა ჩემიას დედამთილი.

სამართალდამცველებმა ასევე დაკითხეს მათი ქვედა მეზობელი, რომელიც ადასტურებს, რომ ღამის ორ საათზე ისმოდა ნაბიჯების ხმა, თუმცა ეს სწორედ ის დროა, როდესაც წყვილი რესტორნიდან სახლში დაბრუნდა.

გასაგები მიზეზების გამო, ოჯახი მომხდარ ტრაგედიაზე ჟურნალისტებთან არ საუბრობს. მცირე კომენტარი ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებით მარიკა ჩემიას დეიდამ სააგენტო „ტელეგრაფს“ მისცა.

„მარიკა გარდაიცვალა და ოჯახისთვის ახლა სიკვდილის გამომწვევ მიზეზებს მნიშვნელობა აღარ აქვს. ვიცი, რომ ჩვენი ოჯახის ტრაგედია მთელმა საქართველომ მიიტანა გულთან... არ მსურს, ექსპერტიზის შედეგების შესახებ ჟურნალისტებს ვესაუბრო. რაც შეეხება მარიკას მეუღლეს, ის კვლავ სტრესშია და ამ თემაზე არავისთან საუბრობს“, – განაცხადა გარდაცვლილის დეიდამ.

სხვა დეტალებზე გარდაცვლილის ახლობლები არ საუბრობენ. ახლა გამოძიებამ უნდა გასცეს პასუხი მთავარ კითხვას – მომხდარი უკავშირდებოდა მხუთავი აირის გაჟონვას, როგორც ამას ექსპერტიზა ასკვნის, თუ ეს მართლაც თვითმკვლელობამდე მიყვანა იყო, რა მუხლითაც არის საქმე აღძრული.



**დავით ბაზუაშვილის ჩვენებიდან: „დილით გავიღვიძე, გვერდზე გადმოვბრუნდი თუ არა, ვნახე, მარიკა გულაღმა იწვა და დუჟი ჰქონდა გადმოსული. სასწრაფოდ ხელოვნური სუნთქვა და გულის მასაჟი ჩავუტარე, თუმცა ხმას არ იღებდა. მერე დავურეკე დედაჩემს, რადგან ექიმია და სასწრაფოდ მოსვლა ვთხოვე“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კომპანია RMG GOLD-მა შესაძლ



## საყდრისის სკანდალ

ნანა შონია

**„საყდრისი-ყაჩაღიანის საბადო, მითი თუ სამეცნიერო თაღლითობა - რა კავშირი აქვს კულტურის მინისტრის მოადგილეს მარინა მიზანდარს ოქროს მაღაროსთან?“- ამ სათაურით გაზეთმა „პრაიმტაიმმა“ საზოგადოებას, რამდენიმე თვის წინ, ვრცელი მასალა შესთავაზა. ამ პუბლიკაციაში მეცნიერები საფუძლიან ეჭვს გამოთქვამდნენ ათასწლეულების წინ საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს მაღაროს არსებობის შესახებ და ჩადენილ სამეცნიერო თაღლითობაზე საუბრობდნენ. საზოგადოებაში ატეხილი აჟიოტაჟის გამო, მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ამ თემაზე სპეციალური კომისიაც კი შექმნა. კომისიის წარმომადგენელთა მხრიდან დაიდო კონკრეტული დასკვნები. ამ დასკვნების საფუძველზე დადგინდა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის საბადო არ წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და მისთვის ეროვნული კატეგორიის მინიჭება, თავის დროზე, კანონმდებლობის სრული დარღვევით მოხდა. მიუხედავად აღნიშნულისა და სხვადასხვა კვლევების შედეგებისა, რომლის მიხედვითაც კულტურის სამინისტრომ უნდა მისცეს კომპანიას კონკრეტული ნებართვა, რომ მოხდეს ტერიტორიის ათვისება, მისი გაცემა გვიანდება. RMG GOLD-ის წარმომადგენლები უკვე რამდენიმე თვეა უშედეგოდ ელიან საბოლოო დოკუმენტს. ამ დოკუმენტის მიღებამდე კი, ამასობაში, სხვადასხვა ორგანიზაციები გააქტიურდნენ. კომპანიაში აცხადებენ, რომ საყდრისის საბადოზე არსებული რესურსების ათვისების აკრძალვის შემთხვევაში, კომპანია RMG Gold ფუნქციონირებას შეწყვეტს. რა ხდება საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოს ირგვლივ, რა კავშირები აქვს კულტურის მინისტრის მოადგილეს, (მარინა მიზანდარს) თაღლითურ სკანდალთან და რატომ აგვიანებს უწყება პასუხის გაცემას - ამის გარკვევას „პრაიმტაიმი“ შეეცადა.**

**სოსო ცაბაძე, კომპანია RMG GOLD-ის მრჩეველი:**

„პრემიერთან შეხვედრა ეს არ იყო რაღაც რიგითი შეხვედრა, მთავრობას ედო რიგი დოკუმენტებისა, ძეგლის სტატუსის გაუქმება, კატეგორიის გაუქმება, ვერავინ დადო კომისიის დასკვნის საწინააღმდეგო დოკუმენტები. ამიტომაც მოიწვია პრემიერმა ყველა, მათ შორის აკადემიაც, თვითონ ბატონი კვესიტაძე აყენებდა საკითხს, აკადემია უნდა დარწმუნდეს არის თუ არა ისტორიული ძეგლი. ამიტომაც, ჩვენი მეორე შეხვედრაც აკადემიაში შედგა. საბოლოო კვლევებში მონაწილეობა ქალბატონ ირინა ღამბაშიძესაც შევთავაზეთ, მაგრამ მან უარი თქვა. ამ ყველაფრის შემდეგ ჩატარდა ტერიტორიის კვლევა და დაიდო შედეგი, რომლითაც გაირკვა, რომ ტერიტორიზე რაიმე არქეოლოგიური არტეფაქტი არ გამოვლინდა. მთლიანობაში რომ ვთქვათ, დღეისათვის ტერიტორია არქეოლოგიური თვალსაზრისით სტერილურია, მას არ აქვს არც სტატუსი, არც ეროვნული კატეგორია და არც არქეოლოგიური დაცვის ზონა. ეს არის ჩვეულებრივი ტერიტორია. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვრჩება ვალდებულება თუ კი მუშაობის პროცესში იქ რამეს აღმოვაჩენთ, შევაჩეროთ სამუშაოები და ამის თაობაზე ვაცნობოთ სადაც საჭიროა. კვლევების ანგარიში აკადემიაში ცალკე შევიდა და კულტურის მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში ცალკე. ორივემ გასცა დასკვნა, რომ კვლევის მეთოდოლოგია მეთოდოლოგია არის დაცული, შენიშვნები არ გააჩნიათ და მიღებულია, შუალედური და მერე საბოლოო ანგარიში. ყველა ეს დოკუმენტაცია გაგზავნილია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში და სამინისტრო ამის შემდეგ ვალდებულია განიხილოს მისთვის გადაცემული დასკვნები და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ოფიციალურად გასცეს კომპანიაზე თავის გადაწყვეტილება. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში ფუნქციონირებს კომისია, რომელიც აკეთებს დასკვნას ოქმის სახით და შემდეგ ამის საფუძველზე სააგენტოს დირექტორი გამოსცემს ბრძანებას. თუ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო უარს ამბობს დასკვნის გაცემაზე, მაშინ გამოდის, რომ ყველა, მათ შორის ის სახელმწიფო ორგანოები, რომელიც ამ საკითხს იხილავდნენ, არიან არაკომპეტენტურები, რომელთა დასკვნასაც ვერ ენდობი. ან იქ სხედან კორუმპირებული ადამიანები, რომლებიც კომპანიამ მოისყიდა, როგორც მავანთაგან ხშირად ისმის ხოლმე ამ ბოლო დროს. ორივე შემთხვევაში ეს დანაშაულია; მაშინ სხვანაირად უნდა დასვას საკითხი სამინისტრომ და არა გადაწყვეტილების მიღება აჭიანუროს დაუსრულებლად რაღაც ფორმალური მიზეზების გამო.

**- კულტურის სამინისტროდან რა პასუხი მიიღეთ?**

- ერთი აბზაცი მივიღეთ, იმ შუალედურ ანგარიშზე, რომელიც ადრე გვქონდა წარდგენილი. 23 დეკემბერს ვიღებთ პასუხს, რომ თურმე შუალედური ანგარიში კულტურის სამინისტროს განუხილავს. ამ დროისათვის კი სამინისტროს უკვე ყველა ანგარიში და სხვა დოკუმენტი ჰქონდა ხელზე. მთელი წერილი ერთი აბზაცია მხოლოდ და ამით დამთავრდა ყველაფერი. ბუნდოვანი და მოკლე პასუხი, რომელსაც ქალბატონი მარინა მიზანდარი აგზავნის. მინდა გითხრათ, იმ დროს, როდესაც კრიტიკული მომენტებია, რატომღაც ბატონი ოდიშარიას მაგივრად ქალბატონი მიზანდარი გამოდის ხოლმე არენაზე.

**- ადრეც იყო საუბარი ამაზე, რომ შესაძლოა, ქალბატონ მიზანდარს ჰქონოდა პირადი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით, ამაზე გაქვთ ეჭვი?**

- ადრე რა საუბარი იყო არ ვიცი, მაგრამ ერთ მაგალითს მოგახსენებთ. როდესაც ბატონმა თომას შტოლნერმა სახალხო პრეზენტაცია მოაწყო საყდრისში დიდი პომპით, ისე გამოვიდა, რომ ფაქტიურად ამ პრეზენტაციის მოდერატორი იყო ქალბატონი მიზანდარი. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს და მთავრობას იმ დროისათვის ჩემს მიერ ნახსენები გადაწყვეტილებები მიღებული ჰქონდა, ის ამ ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს ეძახდა. და საერთოდ ამ გადაწყვეტილებების და თავისივე სამინისტროს საწინააღმდეგო აზრებს გამოთქვამდა. ეს არავისათვის არაა საიდუმლო და შეგიძლიათ ტელევიზიების მაშინდელ ჩანაწერებში იხილოთ.

**„იმ დროს, როდესაც კრიტიკული მომენტებია, რატომღაც ბატონი ოდიშარიას მაგივრად ქალბატონი მიზანდარი გამოდის ხოლმე არენაზე“**

**- გამოდის რომ, ქალბატონი მიზანდარი თავისივე უწყების დასკვნებს არ იზიარებს?**

- არ იზიარებს??? უფრო მეტიც სჯაროდ არ აღიარებს. მედიაში, სადაც კი გამოსვლები აქვს, ყველგან აფიქსირებს ამ პოზიციას. მინისტრის პირველი მოადგილე სამინისტროს მიერ სტატუს გაუქმებულ ობიექტს ეძახის „ძეგლს“, გაუქმებულ არქეოლოგიურ ზონას „არქეოლოგიურ ზონას“. რა არის ეს თუ არა მიკერძოებული დამოკიდებულება?? მას, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელს ნეიტრალური, სამართლიანი არბიტრის როლი უნდა შეესრულებინა და პოზიციები შეეჯერებინა. ამ დროს მისი ამგვარი ქმედება მხოლოდ საზოგადოებაში დაძაბულობის გაღვივებას და დაპირისპირებას უწყობდა ხელს. ეხლა თქვენ თვითონ განსაჯეთ არის თუ არა ეს პირადი, სუბიექტური დამოკიდებულება სახელმწიფო მოხელის მხრიდან. ჩვენ ვიცით, რომ მას აქტიური კონტაქტები და აქტიური აზრთა გაცვლა-გამოცვლა აქვს იმ მხარესთან, რომელიც მის აზრებს იზიარებს და ამას არც თვითონ მალავს.

**- ადრე საუბარი იყო იმაზე, რომ ამ ყველაფრის უკან ძალიან დიდი ფინანსებია; როგორია თქვენი პოზიცია, რა დგას ამ ყველაფრის უკან?**

- დიდი ფინანსები?? არ მსმენია, გარდა იმისა რაც ბატონმა შტოლნერმა თვითონ გააჟღერა, რომ მილიონ ევრომდეა დახარჯული ამ პროექტზე. აქედან რა შემოვიდა საქართველოში არავინ უწყის და ეს კომპანიისათვის საინტერესოც არაა. ერთი რამ აშკარაა. საფუძველი იმისა ვთქვათ, რომ ქალბატონი მიზანდარი სუბიექტურად უდგება საკითხს, გვაქვს და ეს ფაქტია. ამას თვითონაც აფიქსირებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში. ამ სუბიქტურობის მოტივი რა არის, ღმერთმა უწყის. ეს შეიძლება იყოს მეგობრული დამოკიდებულება, საკითხის ღმად არ ცოდნა, მისი შეხედულებების განსხვავებულობა ან სხვა მიზეზი. ის რომ სუბიექტურია, ეს ერთმნიშვნელოვანია. და საერთოდ ამგვარი დეტალების განხილვა კომპანიის საქმე არაა. ფაქტიები ისაა, რომ ჩვენ მივმართეთ საქართველოს მთავრობას გადაეწყვიტა პრობლემა. საკითხის განხილვა დაევალა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, რომელმაც შექმნა კომისია; კომისიამ იმსჯელა და გამოიტანა თავისი დასკვნა, რომ ამ ტერიტორიას არაკანონიერად მიენიჭა ძეგლის სტატუსი და რომ აქ უძველესი ოქროს მაღაროს არსებობა ვერ დასტურდება; ამ დასკვნის საფუძველზე საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მიიღო რიგი გადაწყვეტილებები ძეგლის სტატუსის და კატეგორიის გაუქმებაზე, არქეოლოგიური ზონის მოხსნაზე და სხვა; კომპანიას დაევალა ტერიტორიის დამატებითი შესწავლა, რის შემდეგაც უნდა მიეღო სალიცენზიო ტერიტორიაზე მუშაობის უფლება; ამ შესწავლის პარალელურად მინისტრის, ბატონ ოდიშარიას ბრძანებით მოგვეცა შესწავლების პარალელურად საყდრისის ფართობზე გარკვეული გეოლოგიური სამუშაოების ჩატარების უფლება. ჩვენ არ გაგვაჩნია არავითარი საფუძველი არ ვენდოთ კომისიის დასკვნებს და არ დავეთანხმოთ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ჩვენ ყველა ჩვენთვის დასმული ამოცანა შევასრულეთ. ახლა ჯერი აღმასრულებელ ხელისუფლებაზეა. რა თქმა უნდა დავემორჩილებით ნებისმიერ გადაწყვეტილებას, თუმცა აქვე დავძენ, რომ ამ გადაწყვეტილებების ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებზე პასუხისმგებლობას ვერ ვიტვირთავთ.

საყდრისი-ყაჩაღიანისსაბადოს ირგვლივ ატეხილ ხმაურში საქართველოს მეცნიერთა ეროვნული აკადემია მას შემდეგ ჩაერთო, რაც პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან გადაწყდა ჩატარებულიყო საყდრისის ფართობის დამატებითი არქეოლოგიური შესწავლა. აკადემიას ამ პროცესის ზედამხედველობა და საკუთარი ანგარიშის წარდგენა დაევალა. აკადემიიდან მართლაც გამოიყო წარმომადგენლები და დაიწყო სიტუაციის ადგილზე შესწავლა. ამ შესწავლის შედეგად, აკადემიის პრეზიდენტმა, გიორგი კვესიტაძემ, 2013 წლის 3 დეკემბერს, პირველი წერილი გაუგზავნა კულტურის მინისტრს, გურამ ოდიშარიას, რომელშიც აკადემიის პოზიცია შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

„RMG GOLD-ის დავალებით 2013 წლის 21 ოქტომბერს სამუშაოებს აწარმოებდა არქეოლოგიური გაერთიანება. დაზვერვითი, გათხრითი კვლევა-ძიება მიმდინარეობდა ბორცვის ნაწილში. ექსპედიციამ ასევე შეისწავლა ბორცვის ჩრდილო და ჩრდილო აღმოსავლეთ კალთებზე დელოვიონით შევსებული კლდის ნაპრალები. გაკეთდა პროფილები, ჭრილები, კლდოვან ქანებამდე ამოიწმინდა დელოვიონით შევსებული კლდის ნაპრალები. აღსანიშნავია, რომ არც ერთ მათგანში კულტურული ფენები არ დადასტურებულა. აქ სამუშაოებს ადრე აწარმოებდა ეროვნული მუზეუმი და მათ ამ უბანთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრება გააჩნიათ. ნაყარი მიწიდან გაიწმინდა XX საუკუნის შტოლნის ფსკერი. არც ამ ნაყარში არქეოლოგიური ნივთი არ აღმოჩენილა. საველე სამუშაოების ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ ბორცვი სრულიად თავისუფალია გადანაყარი ფუჭი ქანებისგან, მაღაროდან გამოტანილი ფუჭი ქანები კი განლაგებულია ბორცვის მხოლოდ ჩრდილო ნაწილში, არც აქ, გადანაყარის ქვეშ არქეოლოგიური ობიექტი არ აღმოჩენილა. ექსპედიციის მიერ შესწავლილ ფართობზე, 15-20 სმ-ს სიღრმეზე, კორდოვანი ფენის ქვეშ ერთგვაროვანი სურათია დაფიქსირებული. ბორცვის ერთი ნაწილი არის მხოლოდ კლდოვანი მასივი, ტექნიკური ვიწრო ბზარებით, რომლებიც გამოიყენება მადნის მოპოვების მიზნით, ექსპედიციის მიერ ჩატარებული დეტალური კვლევებით დასტურდება (აქტი თან ერთვის), უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევი სამუშაოები მხოლოდ ორი თვის მანძილზე მიმდინარეობდა, მიუხედავად ამისა, დასკვნა სრულფასოვნად უნდა ჩაითვალოს“.

იმავე წერილის დასკვნაში ნათქვამია: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ შემნილი კომისია - აკადემიკოსი დ. მუსხელიშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტების: გ. ლორთქიფანიძის, ლ. ჯაფარიძის მონაწილობით ველზე გაეცნო აღნიშნულ არქეოლოგიურ სამუშაოებს. ექსპედიციის მუშაობა არქეოლოგიური გათხრის მეთოდიკის სრული დაცვით არის განხორციელებული. ამჟამად, სამუშაოები წარიმართა მთლიანი ბორცვის ყველა მიმართულებით. ბორცვის ცენტრალურ და სამხრეთის ნაწილის თხემსა და ფერდობებზე გათხრილ იქნა 88 შურფი და ორი გარდიგარდმო ტრანშეა აღმოსავლეთიდან-დასავლეთით. ყველა ამ სამუშაოს დროს 15-20 სმ. სიმაღლეზე, კორდოვანი ფენის ქვეშ ერთგვაროვანი სურათი დაფიქსირდა - ბორცი წარმოადგენს მთლიან კლდოვან მასივს ტექნიკური ვიწრო ბზარებით, რომლის გამოიყენება მადნის მოპოვების მიზნით ექსპედიციის მიერ ჩატარებული დეტალური კვლევის შედეგად არ დასტურდება. ექსპედიციის მიერ ასევე შემოწმებულ იქნა XX საუკუნის შტოლნები, სადაც გერმანული ექსპედიციის ანგარიშში ნახსენებია თიხის ჭურჭლის ფრაგმენტის აღმოჩენა. ჩატარებული სამუშაოების შედეგად ეს ადგილი სტერილური გამოდგა. ყოველივე ზემოაღნიშნული გვიბიძგებს, მოვუწოდოთ შესაბამის სპეციალისტებს, რომ ობიექტთან მიმართებაში არსებული ფაქტობრივი მასალის და არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით ობიექტის ფუნქციისა და თარიღის განსაზღვრას უფრო მეტი მეცნიერული სიფრთხილით და პასუხისმგებლობით მოეკიდონ. კომისია გაეცნო ექსპედიციის საველე დოკუმენტაციას, რაც მაღალ დონეზეა შესრულებული და უმაღლეს შეფასებას იმსახურებს“, - ვკითხულობთ წერილში.

ამ დოკუმენტის გაგზავნიდან ზუსტად 20 დღის შემდეგ, კულტურის მინისტრის სახელზე, აკადემიის პრეზიდენტის ხელმოწერით მეორე წერილი შედის, სადაც ვკითხულობთ:

„არქეოლოგიური კვლევებისთვის გამოყოფილი ორთვიანი პერიოდი, სრულფასოვანი სამეცნიერო დასკვნის დადების საშუალებას არ იძლევა. მეცნიერთა აკადემია რეალისტურად აფასებს იმ უზარმაზარ სხვაობას სამეცნიერო კომპეტენციაში, რომელიც არსებობს ერთი მხრივ, გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტსა და მეორე მხრივ თქვენი - კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიერ შექმნილ 11- კაციან კომისიას შორის. მიგვაჩნია, რომ შედეგი გერმანელ მეცნიერთა სასარგებლოდ იქნება, რამაც არ შეიძლება არ აღძრას უხერხულობის განცდა, იმ მორალური ზიანის გამო, რომელიც ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო პრესტიჟს მიადგება. ვიმედოვნებთ, რომ ქართული მხარე საკითს საქართველოშივე გადაწყვეტს და ეს საქმე ქვეყნის გარეთ განხილვის საგანი არ გახდება“.

რა გახდა საქართველოს მეცნიერთა ეროვნული აკადემიის მხრიდან 20 დღის ინტერვალში მეორე წერილის გაგზავნის მიზეზი, ამის გარკვევა „პრაიმტაიმმა“ აკადემიის პრეზიდენტ გიორგი კვესიტაძესთან სცადა. მოულოდნელად, ჩვენმა ზარმა ბატონი გიორგი გააღიზიანა. საკმაოდ არასასიამოვნო და დაძაბული საუბრის განხმუხტვა საბოლოოდ მაინც შევძელით და კითხვებზე პასუხები მივიღეთ.

გიორგი-ოთარ კვესიტაძე (მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი): - ჩვენ



გიორგი-ოთარ კვესიტაძე

## აკადემიის პრეზიდენტი: „თქვენ სხვა საქმე არ გაქვთ და მე მაქვს მილიონი საქმე“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ოა ფუნქციონირება შეწყვიტოს




## რა ხდება საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოს ირგვლივ, რა კავშირები აქვს კულტურის მინისტრის მოადგილეს გახმაურებულ სკანდალთან და რატომ აგვიანებს უწყება პასუხის გაცემას?!

არ გვაქვს ორი სხვადასხვა წერილი გაგზავნილი კულტურის სამინისტროში, ეს არის ერთი წერილი. ერთში წერია ის, რაც კომისიამ დაასკვნა და მეორეში ჩვენი საბოლოო დასკვნაა წარმოდგენილი. ვიზიარებ იმ აზრს, რომ იქ არანაირი ძიება და მოპოვება არ შეიძლება, ეს არის ისტორიული ძეგლი, რომლითაც ქართველმა ხალხმა უნდა იამაყოს. მე კარგად ვიცნობ ჟურნალისტებს და ნუ მიხსნით ნურაფერს.

**- თუ შეგიძლიათ გასაგებად აგვიხსნათ, რომ ჩვენ რაღაც არასწორად არ დავწეროთ?**

- არავითარ შემთხვევაში, გასაგებად გეუბნებით კიდევ ერთხელ, რომ იქ არაფერი არ უნდა ტარდებოდეს, არაფერი არ უნდა კეთდებოდეს. თქვენ სხვა საქმე არ გაქვთ და მე მაქვს მილიონი საქმე.

**- ეს არის თქვენი დასკვნა, თქვენი რეკომენდაცია და ამაზე პასუხები ხომ უნდა გქონდეთ, ამაზეა საუბარი?**

- მე ოფიციალური პასუხი გავეცი და გავაგზავნე. დანარჩენი ეს არის კომისია, რომელიც იყო შექმნილი ჩემამდე, მანამ მე მივიდოდი იქ. ჩვენ რაც გვეხება იმის ფარგლებში ვაცხადებთ, რომ ეს არის უნიკალური ისტორიული ძეგლი.

**- რის საფუძველზე ამბობთ ამას?**

- მე ვეყრდნობი გერმანიის მუზეუმის მიერ ჩატარებულ კვლევებს, რომლის განხილვაშიც რამდენიმე ჩვენი ადამიანი მონაწილეობდა.

**- ამ ადამიანებზე გეუბნებით?**

- ამდენი ხანია გელაპარაკებით, ვერ გაიგეთ რას გელაპარაკებით, რა გინდა, ვერ გამიგია, არ შეიძლება იქ რამის გაკეთება.

**- გეკითხებით, თქვენი მეცნიერებიც ეთანხმებიან ამ პოზიციას, ის მეცნიერები, რომლებიც თქვენ გააგზავნეთ ადგილზე, მეცნიერებათა აკადემიამ?**

- აბსოლუტურად ეთანხმებიან. ადგილზე ჩვენ კვლევებს ვერ ჩავატარებთ, რაც ჩატარდა იმის საფუძველზე ვაცხადებთ. ჩვენი ზედამხედველობით ტარდებოდა, ახლა დამიგდე ყური და ნუ იზამ ისე, რომ გაგითიშო ტელეფონი. არანაირი კვლევა, არანაირი ძიება, არანაირი ოქროს მოპოვება, ეს არის აკადემიის პოზიცია. რამდენ ჟურნალისტს მოუნდება, რაღაცა დაწეროს, ნუ შემაწუხებთ. ჩვენ პირველ წერილშივე ვწერთ, რომ იმ კონკრეტული მტოლნის გარდა დანარჩენი ადგილი აღმოჩნდა სტერილური. არანაირი ოქროს მოძიება იქ არ შეიძება კეთდებოდეს. ეს არის ეროვნული განძი, რომელსაც უნდა გავუფრთხილდეთ. ეს არის საბოლოო პასუხი.

ზემოთ მოყვანილი განცხადებებიდან გამომდინარე, „პრაიმტაიმი" კულტურის მინისტრის მოადგილეს ქალბატონ მარინა მიზანდარს დაუკავშირდა. ქალბატონი მარინა ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ კომპანია RMG COLD-ის უწყებისგან ოფიციალურ პასუხს 14 იანვრამდე მიიღებს. მიზანდარი არ გამორიცხავს, რომ საყდრისის საბადოსთვის კულტურული მემკვიდრეობის დაბრუნების საკითხი დღის წესრიგში ისევ დადგეს. მისი თქმით, უწყებაში სწორედ მას ეხება ამ საკითხებზე მუშაობა.

**მარინა მიზანდარი, კულტურის მინისტრის მოადგილე:**

- კომპანიაRMG Gold-ი გახლავთ ლიცენზიის მფლობელი, ლიცენზია გაცემულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ. დღესაც ეკონომიკის სამინისტრო გახლავთ ამ ტერიტორიის მესაკუთრე. იმისთვის, რომ ეკონომიკის სამინისტრომ გასცეს ეს ნებართვა, ჩვენმა სამინისტრომ უნდა გასცეს დასკვნა, რომ ეს ტერიტორია, რომელიც მოიცავს არქეოლოგიურ ობიექტს, სამეცნიერო თვალსაზრისით სრულად არის შესწავლილი. ეს დასკვნა ჩვენ ჯერ არ გვაქვს გაცემული, ვადები არ არის დარღვეული. მოთხოვნა ამ დასკვნის მისაღებად ჩვენთან შემოვიდა 28 ნოემბერს და 14 იანვრამდე ჩვენ გვაქვს ვადა ამ პასუხის გასაცემად. მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დასკვნაში მოცემულია, რომ ეს ტერიტორია სრულად არის არქეოლოგიური კუთხით გამოკვლეული, ეკონომიკის სამინისტროს შეეძლებოდა უშუალოდ სამუშაოების წარმოებაზე ნებართვის გაცემა. დღესდღეობით ჩვენგან დასკვნა არ არსებობს, შესაბამისად, სხვა ნებართვაც არ არსებობს და წარმოებული სამუშაოები არის უნებართვო.

**- ანუ თქვენ ამბობთ, რომ საბოლოო გადაწყვეტილება, დასკვნა 14 იანვრამდე ექნება კომპანიას?**

- რა თქმა უნდა. ამ ეტაპზე რთული ვითარებაა, რადგანაც იქ მიმდინარეობს სამუშაოები, მძიმე ტექნიკით და შესაბამისი აღჭურვილობით. 8-ში დილას ჩვენი მონიტორინგის ჯგუფი არ დაუშვეს არქეოლოგიურ ობიექტზე. თუმცა, გარეშე დაკვირვებით, დაზიანებები უკვე ჩანდა. ამ ინფორმაციის საფუძველზე ოფიციალური გაფრთხილება მიეცა საწარმოს. 10-ში კვლავ იყო მონიტორინგის ჯგუფი, ვერ მოახერხეს არქეოლოგიური ობიექტზე შეღწევა. არავის აქვს უფლება კულტურის სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფს აუკრძალოს არქეოლოგიურ ობიექტზე შეღწევა.

**- თქვენ ძეგლზე საუბრობთ, მე მინდა გკითხოთ, ამ ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და ეროვნული კატეგორია ისევ შენარჩუნებული აქვს?**

„მარინა მიზანდარი: „ძეგლის სტატუსი ბათილად იქნა ცნობილი ივლისში, იმიტომ რომ თავის დროზე ძეგლს სტატუსი პროცედურული დარღვევებით ჰქონდა მინიჭებული"

- არა, ძეგლის სტატუსი ბათილად იქნა ცნობილი ივლისში, იმიტომ რომ თავის დროზე ძეგლის სტატუსი ამ არქეოლოგიურ ობიექტს ჰქონდა მინიჭებული პროცედურული დარღვევით. იყო ასეთი გადაწყვეტილება თავის დროზე, მას მიენიჭოს მოძრავი სტატუსი და გვეფიქრა მთლიანად მის გადატანაზე. მას მერე ბევრი დასკვნა მოგვივიდა სამეცნიერო წრიდან, უშუალოდ ისეთი ვიწრო დარგის სპეციალისტებისგან, როგორიც არის მეტალურგია, ინჟინერია, გეოლოგია და ა.შ. რომლებიც ასაბუთებდნენ, რომ ძეგლის გადატანა რთული იქნებოდა, რადგანაც ვერ შენარჩუნდებოდა სრულად. ის, რომ ძეგლის სტატუსი ბათილად იქნა ცნობილი, ეს არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ ეს არ არის ძეგლი. ის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, სრული მონაცემებით, სრული დოკუმენტაციის და პროცედურების დაცვით, ეს სავსებით შესაძლებელია. რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას, ნებისმიერ საწარმოს, ნებისმიერ უწყებას, რომელიც იქ სამუშაოების განხორციელებას გეგმავს, აქვს ვალდებულება, რომ ჯერ სრულად მოხდეს ამ ძეგლის სამეცნიერო შესწავლა.

**- ანუ თქვენ ამბობთ, რომ 14-იანვრამდე შეიძლება სრულად შეიცვალოს დღეს არსებული სურათი და ძეგლის სტატუსიც დაუბრუნდეს ამ ტერიტორიას?**

- არა, 14 იანვრამდე არა. 14 იანვრამდე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მიაწვდის დასკვნას საწარმოს, რამდენად ამომწურავად არის ის შესწავლილი. რაც შეეხება ძეგლის სტატუსის აღდგენას, ეს სხვა პროცედურაა, ამაზე შეიძლება ფიქრი, მუშაობაც მიდის, ეს იქნება უწყებათაშორისი საკითხი. ერთობლივი მსჯელობის საკითხი სხვადასხვა უწყებებისა და მეცნიერების მხრიდან.

**- კომპანია RMG Gold-ის წარმომადგენლები საუბრობენ იმაზე, რომ დღეს არსებული დასკვნების საფუძველზე მათ უნდა მიეცეთ ნებართვა, ლიცენზია, რომ შევიდნენ ტერიტორიაზე. კომპანია ეჭვობს, რომ ამას შეგნებულად აფერხებს კულტურის სამინისტრო და ამის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად სახელდებით თქვენ, ნებართვის გაცემის მაგივრად გამოგზავნილ წერილში საუბარია იმაზე, რომ განიხილავთ ამ ყველაფერს?**

- ჰო, რა თქმა უნდა, აბა, რა უნდა მეთქვა, მაშინ, როდესაც შუალედური ანგარიში მოვიდა. ისინი, ალბათ, ამ წერილს გულისხმობენ. როდესაც შუალედური ანგარიში შემოვიდა, ბოლო არქეოლოგიური ექსპედიციის, რომელსაც მისია ჰქონდა ძეგლის სრულად შეესწავლა, შუალედური ანგარიში შემოვიდა და სანამ ამას შევისწავლიდით შემოვიდა საბოლოო ანგარიში. შუალედურზე გავეცი მე ასეთი პასუხი და საბოლოოზე დასკვნას შევიმუშავებთ-მეთქი. ეს იყო სრულიად ლოგიკური პასუხი. ასე რომ, დასკვნა იქნება 13-ან 14 იანვარს, საწარმო ამ დასკვნას მიიღებს.

**- ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ძალიან ბევრი საუბარი მიდის თქვენს პირად ინტერესებზე, თუმცა კომპანიის წარმომადგენლებისთვის გაუგებარია, კონკრეტულად რა შეძლება იყოს ამის საფუძველი?**

- უკაცრავად, პირად ინტერესში რას გულისხმობენ?

**- მათთვის გაუგებარია, რატომ ბლოკავს ქალბატონი მიზანდარი ამ საკითხს, ამ თემას, რაც უშუალოდ გადაწყვეტილების მიღებასთან არის კავშირში?**

- ჯერ ერთი, ეს არის სამინისტროს პოზიცია და არანაირად არ არის ჩემი პირადი პოზიცია. მე გახლავათ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე, ჩემი ერთ-ერთი საკურატორო თემა გახლავთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა და შენარჩუნება. ეს არის ქართული კულტურის პოლულარიზაცია და საერთაშორისო პროგრამები. აქედან გამომდინარე, ვის უნდა ეხებოდეს ეს საკითხი ჩემზე მეტად? ეს არის სახელმწიფოებრივი ინტერესი. მე მინდა, რომ თქვენ ასახოთ ეს დეტალი. ახლა იმაზე მიდის აქცენტის დასმა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ საწარმომ მოიპოვოს ოქრო, რადგანაც ის ასაქმებს ხალხს.

**- დღეს გავრცელებულ წერილში საუბარია იმაზე, რომ კომპანიამ შეიძლება საერთოდ შეწყვიტოს ფუნქციონირება?**

- არა, ერთი ბორცვის გამო ვინ შეწყვეტს ფუნქციონირებას. თუ ასეა საქმე, რომ ერთი ბორცვი წყვეტს მათ საკითხს, ძალიან მძიმე ვითარება ჰქონიათ, მაშინ, ალბათ, ის ერთი ბორცვიც ველარ უშველის საქმეს. ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებამ გაიგოს, ქვეყნის მდგრადი განვითარება შეუძლებელია მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის განადგურების ხარჯზე. ქვეყნის მდგრადი განვითარება ნიშნავს იმას, რომ

„თუ კულტურის სამინისტრო უარს ამბობს ნებართვის გაცემაზე, გამოდის, რომ საქართველოს ყველა ორგანო, რომელიც ამ საკითხს იხილავს, არაკომპეტენტურია"

ქვეყანა ახერხებს კულტურული მემკვიდრეობისა და ეკონომიკის ინტერესების ისე შეჯერებას, რომ კულტურულ მემკვიდრეობას იყენებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სასიკეთოდ და მემკვიდრეობას ის აქცევს ამოუწურავ რესურსად. თუ კი ჩვენ დღეს გავანადგურებთ ამ ძეგლს იქნება, თუ სხვა შენობას და იმის ხარჯზე ოქროს ამოვიღებთ, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა იქცევა ამოწურვად რესურსად. თუ კი ჩვენ მოვახერხებთ ამ ორი ინტერესის შეჯერებას, მაშინ ეს იქცევა ამოუწურავ რესურსად და იქნება მიზიდულობის წყარო ინვესტიციებისთვის. მაგალითად, ძველ თბილისში მოსულან ინვესტორები და უთხოვიათ, რომ მაინცდამაინც იქ უნდათ ააშენონ სასტუმრო. მე მათთვის მითქვამს, რომ პროექტი კარგია, მაგრამ აქ არ ვარგა, რადგანაც აქ ნარიყალა გვაქვს. ნარიყალასთან რატომ უნდათ იცით, იმიტომ რომ ის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, ის იზიდავს ხალხს, მაგრამ თუ ჩვენ ნარიყალას დავანგრევთ, ის მიზიდულობის წყარო აღარ იქნება. ბოლნისს დღეს მხოლოდ სამრეწველო ცენტრის ფუქცია აქვს შერჩენილი, მოგეხსენებათ ისტორიულად რასაც წარმოადგენს. არადა, ამ ქალაქს აქვს საოცარი პოტენციალი, იქ არის უძველესი მაღარო, ნასახლარები, სადაც ეს ადამიანები ცხოვრობდნენ. მსოფლიოში ასეა აღიარებული, რომ ეს არის უძველესი ოქროს მაღარო. იქ არის დმანისის გათხრები, ბოლნისის სიონი, გერმანული მემკვიდრეობის კვალი, სადაც მუზემის გაკეთებას ვაპირებთ, რომელიც გერმანელების საქართველოში ყოფნას მიეძღვნება. აქ შეიძლება წამყვანი გახდეს ოქროს მაღარო. ოქროს საწმისის ქვეყნის მითი რეალობად იქცევა. იქ, მუზეუმი რომ გაკეთდეს, ეს შეიძლება ძალიან საინტერესო ბრენდი გახდეს. იქვე აქვთ უძველესი მაღაროს მუზეუმი და თანამედროვე ტექნოლოგიებით იღებენ ოქროს. პოლონელებს აქვთ ასე პატარა ქალაქი, სადაც მარილის მაღარო აქვთ. მათ ეს შეინარჩუნეს, მუზემად აქციეს... იქვე არის თანამედრო მარილის მომპოვებელი წარმოება და ხალხის ნაკადი არ წყდება. ქალაქი და ტურმიზი განვითარდა და მიზიდულობის ცენტრი გახდა. ჩემმა თანამშრომელმა მითხრა, რომ ორი საათი მოუწია რიგში ყოფნა, რომ შიგნით შესულიყო . ასეთი კუთხით თუ შევხედავთ, განვითარდეს იქ არქეოლოგიური ობიექტი, როგორც კულტურის, მეცნიერების განათლების კერა. უამრავი ადამიანი ჩავიდოდა და ოქროს კიდევ სხვა მაგიური ძალა აქვს. ამაზე საინტერესო კონცეფციის აგება შეიძლება, ასე ხელაღებით და მსუბუქად ამ საკითხის შეფასება ძალინ რთულია. რაც შეეხება პირად ინტერესებს, ეს საიდუმლოებით მოცულ თემად დავტოვოთ. ასევე გერმანულ-ქართული ურთიერთობების კუთხით ეს არის მნიშვნელოვანი. 9 დეკემბერს ბერლინში იყო მნიშვნელოვანი შეხვედრა, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და კულტურისა და კომუნიკაცის ხელმძღვანელთან. გერმანული მხარისთვისაც მნიშვნელოვანია ამ ძეგლის შენარჩუნება და გაუგებარია მათთვის, რომ ის ვითომდა რაღაცას შეეწიროს. სახელმწიფოებრივი ინტერესი სწორედ ამ მხარესაც არის. გერმანულმა მხარემ გამოთქვა სურვილი, რომ საერთაშორისო კომისია შედგეს და ქართულმა მხარემ ვალდებულება აიღო, ეს ინფორმაცია სათანადო პირებისთვის მიეწოდებინა. ეს არის ძეგლი, რომელიც აღიარებულია მსოფლიოში უძველეს მაღაროდ, არა მხოლოდ გერმანელი და ქართველი მეცნიერების, არამედ ფრანგი, ბრიტანელი და საერთაშორისო მეცნიერების მიერ და ესეც არ არის უგულებელსაყოფი.

ფაქტი ერთია, პრობლემა საკმაოდ მწვავეა და ის დაუყოვნებლივ გადაწყვეტას საჭიროებს. კომპანიის მხრიდან საქმიანობის შეჩერების შემთხვევაში 3000-მდე დასაქმებული ადამიანი სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდება. ქვეყნის ბიუჯეტი და ბოლნისის რაიონი კი მნიშვნელოვან ზარალს მიიღებს.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სეკულარიზებული საზოგადოება თუ „ჩამორჩენილი“ ეკლესია



არქიმანდრიტი ილარიონ ჭიღლაძე

თამარ შენგელია

**მეცნიერულ და რელიგიურ შეხედულებებს შორის რიგ საკითხებში თანხვედრა რომ არ არის, ეს სიახლე არ არის. „დიდი აფეთქების“ თეორიის ავტორები სამყაროს შექმნას შემთხვევითობას მიაწერენ და ადამიანსაც ამ შემთხვევითობის ლოგიკური განვითარების პროდუქტად მოიაზრებენ. 21-ე საუკუნეში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დინამიკამ მრავალი საკამათო თემა წამოჭრა. რელიგია ადამიანს ღვთაებრივი ძალის უზენაეს ქმნილებად მიიჩნევს. ფსალმუნის სიტყვების პერიფრაზი რომ მოვახდინოთ: „დედის წიაღში საიდუმლოდ ხდება სულისა და ხორცის ჩასახვა და შერწყმა“. თანამედროვე მედიცინამ კი შესაძლებელი გახადა, ადამიანი ადამიანებმა შექმნან, ხელოვნურად, ლაბორატორიებში. სუროგაცია, ინ-ვიტრო ფერტილიზაცია, ხელოვნური განაყოფიერება – ეს ტერმინები დღეს ძალზე აქტუალურია. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 2014 წლის საშობაო ეპისტოლეს აზრთა სხვადასხვაობის მორიგი ტალღა მოჰყვა. „პრაიმტაიმი“ შეეცადა, ეს თემა გაეშალა და, შეძლებისდაგვარად, ყველა მხარის მოსაზრებების მიმოხილვას გთავაზობთ.**

„ნეოკლინიკისა“ და „მედიჰელპის“ მეან-გინეკოლოგ ნონა ჯაფარიძეს შვილის ყოლის ალტერნატიული მეთოდების განმარტება ვთხოვეთ. ხელოვნური განაყოფიერება, იგივე ინ-ვიტრო ფერტილიზაცია, ორგანიზმის გარეთ განაყოფიერებას გულისხმობს. არიან წყვილები, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ ნაყოფი საკუთარი კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის შერწყმის შედეგად, მაგრამ საშვილოსნოს, ჰორმონული დისბალანსის, ვირუსული ინფექციებისა თუ სხვა მთელი რიგი პათოლოგიების გამო, არ აქვს უნარი, მიიღოს განაყოფიერებული კვერცხუჯრედი. ასეთ დროს, კვერცხუჯრედის განაყოფიერება ხელოვნურ პირობებში ხდება და ზიგოტა სამედიცინო ჩარევით გადაიტანება საშვილოსნოში. ამ შემთხვევაში დონორი არ არის საჭირო, რადგან მშობლები ფერტილურები, ანუ განაყოფიერების უნარის მქონენი, არიან. ბავშვიც ბიოლოგიურად მშობლებისაა. სუროგაციის დროსაც, სუროგატი (შემცვლელი) დედა იღებს სხვის განაყოფიერებულ კვერცხუჯრედს და საკუთარ ორგანიზმში ავითარებს სხვის ნაყოფს. სუროგატი ამ დროს, უხეშად რომ ვთქვათ, ინკუბატორის ფუნქციას ასრულებს.

ინ-ვიტრო ფერტილიზაციის გზით დაორსულების ალბათობა მთელ მსოფლიოში 30-40%-ია. საქართველოში ამ სფეროში მაღალი სამედიცინო სტანდარტია. არათუ ხელოვნური, არამედ ბუნებრივი განაყოფიერების შემთხვევაშიც კი არ დგება ორსულობა ასიდან ას შემთხვევაში. შესაძლოა, პირველივე ჯერზე საშვილოსნოში კვერცხუჯრედის მიგრაცია არ მოხდეს. ზედმეტი ხარჯებისა და სამედიცინო პროცედურების თავიდან აცილების მიზნით, ხშირად ხდება მიღებული ემბრიონების გაყინვა და მათი შემდგომში გამოყენება, თუ პირველი ცდით არ დგება სასურველი შედეგი.

სუროგაციისა და ხელოვნური განაყოფიერების შედეგად ინცესტის საშიშროება არ დგება, რადგან ბავშვს სუროგატ დედასთან მემკვიდრული კავშირი არ აქვს. საფრთხე არსებობს დონორობის შემთხვევაში. ეს ყველაფერი სამართლებრივად უნდა იყოს დარეგულირებული და კანონმდებლობით გარანტირებული, რათა არ მოხდეს სისხლის აღრევა, მუტაცია, გენური პრობლემები და სხვა პათოლოგიური გამოვლინებები.

„ნიუ ლაიფი“ რამდენიმე წელია, რაც შვილის ყოლის მსურველ ქალებს სუროგატობის მსურველ ქალებთან აკავშირებს. 45 წლის ქეთი ერთ-ერთია, რომელმაც ამ სერვისით ისარგებლა. დღეს უკვე 7 თვის შვილი ჰყავს, რომელიც სუროგატმა დედამ გაუჩინა. ქეთის მისი შვილის ინტერესების დაცვისთვის ანონიმურად დარჩენა სურს. ამბობს, რომ ძალიან ბედნიერია და მიიჩნევს, რომ შვილის ყოლის სიხარულის განცდისთვის ქალმა ყველა გზა უნდა სცადოს.

**ქეთი, 45 წლის:** „8 წელია, ვცდილობ დაორსულებას. სხვა მეთოდებმა არ გაამართლა. სააგენტომ სუროგატ დედებთან შემახვედრა. რამდენიმე მათგანი გავიცანი, გავესაუბრე. ექიმებმა ჩემი შვილის სუროგატი დედის ჯანმრთელობის მდგომარეობა დეტალურად შეისწავლეს. ბავშვი ბიოლოგიურად ჩემია, უბრალოდ, ნაყოფი სხვის ორგანიზმში მომწიფდა. ამ მეთოდში ვერაფერ ცუდს ვერ ვხედავ. მე ორსულობის ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობა არ მქონდა და ამაში სხვა ადამიანი დამეხმარა. მან ჩემი ბიოლოგიური შვილი გააჩინა. ჩვენ ურთიერთობას ვაგრძელებთ. მირეკავს, ბავშვის მდგომარეობით ინტერესდება.

სუროგაციის მსურველი საქართველოში ბევრია, მაგრამ ეკონომიური პირობებიდან გამომდინარე, ამ მეთოდით შვილის ყოლა ბევრისთვის შეუძლებელია. პირადად ჩვენ $20 000-ზე მეტის გადახდა დაგვჭირდა. დიდი ნერვიულობა გადავიტანეთ, მაგრამ ყველაფერი ღირდა ამ შედეგისთვის. ჩემს საქციელს არარელიგიურად არ მივიჩნევ. მისასალმებელია, რომ მედიცინამ მიაღწია იმ დონეს, რომ შეგვიძლია ამ მეთოდით შვილები გვყავდეს. ყველას თავისუფალი ნება აქვს და შეუძლია, თავისი შეხედულების შესაბამისად იმოქმედოს“.

**მაია სიგუას 15 წელია, შვილი არ ჰყავს, თუმცა თვლის, რომ არაბუნებრივი გზებისთვის მიმართვა მიზანშეწონილი არ არის:** „შვილის ყოლა უდიდესი ბედნიერებაა, მაგრამ ადამიანმა ყველაფერი ღვთის კურთხევით უნდა გააკეთოს. ჩემთვის მიუღებელია, როცა ვაჭრობის საგანი ბავშვი ხდება. მიუსაფარი ბავშვის გაზრდა დიდი მადლია, მაგრამ შვილის ყიდვა ჩემთვის არაეთიკურია. ამ ქვეყნად ყველას ჩვენი ჯვარი გვეძლევა და მიმაჩნია, რომ ადამიანმა ეს ჯვარი ღირსეულად უნდა ზიდოს. სხვა ადამიანებიც უნდა მოვარიდოთ ცოდვაში ჩავარდნას“.



მაია სიგუა

> **„ჩემთვის მიუღებელია, როცა ვაჭრობის საგანი ბავშვი ხდება“**

პატრიარქის საშობაო ეპისტოლეც თანამედროვე სამედიცინო მეთოდების მორალურ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას: „განა შეიძლება, ბედნიერი იყოს ის ოჯახი, სადაც აბორტი კეთდება და უსუსური პატარა არსებების ულვთოდ დაჩეხილი სხეულების აჩრდილები დადიან? და როგორი საშინელებაა იმის წარმოდგენაც კი, რომ ყოველ წელს, არაოფიციალური მონაცემებით, მილიონამდე აბორტი კეთდება საქართველოში და ამის შემჩერებელი ჯერჯერობით არავინ არის. შეიძლება ოჯახი იყოს ბედნიერი, სადაც სუროგატი დედის მიერ დაბადებული ბავშვი იზრდება? ეს პატარა ხომ თავიდანვე განწირეს უსიყვარულობისთვის, მიუსაფრობისა და მარტოობისთვის. ის კეთილდღეობაშიც რომ გაიზარდოს, მუცლადყოფნის პერიოდის ამ სიმძიმეს ვერაფერი შეცვლის და ეს აუცილებლად იჩენს თავს ზრდასრულ ასაკში“. ეპისტოლეს ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟზე კომენტარის გაკეთება ვაკის სამების ტაძრის წინამძღვარს, მამა დანიელ ლობჟანიძეს ვთხოვეთ.

**არქიმანდრიტი ილარიონ ჭიღლაძე, დავით გარეჯის ლავრის წინამძღვარი:** „ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში მოდური გახდა ეკლესიის წინააღმდეგ გამოსვლა და სასულიერო პირების გაკრიტიკება. მგონი, არავის არ უნდა უკვირდეს, რომ ეკლესია ვერასოდეს გაამართლებს აბორტს, კლონირებას, ერთსქესიანთა ქორწინებას. მავანნი ხშირად გვიკიჟინებენ, რომ ეკლესია თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევებს ფეხს ვერ უწყობს და წინააღმდეგობაში მოდის პროგრესთან. ყველა დროში ცალსახა იყო, რა არის სწორი და რა არასწორი. დღეს ხდება იმის პროპაგანდა, რომ ყველას ცხოვრების წესს ანგარიში უნდა გაეწიოს. როგორც პატრიარქი ამბობს, დღეს თუ ადამიანთა ჯგუფი იტყვის, რომ ნაძვი მარადყვითელი მცენარეა, განა ჩვენ არ უნდა გავაგებინოთ ამ ადამიანებს, რომ ცდებიან? განა ეკლესიამ არ უნდა მიუთითოს მის სულიერ შვილებს, რომელია სწორი გზა? პატრიარქისთვის ყველა ადამიანი სულიერი შვილია. ქართველები, აფხაზები, ოსები, იეზიდნი, სომხები, აზერბაიჯანელები – ის ყველას ულოცავს შობას. ვინც საპატრიარქოსთან აქციებს მართავს, მათ პატრიარქზე მეტად უყვართ სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვები? ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ პატრიარქმა ისაუბრა სამედიცინო მეთოდების მავნებლობაზე და არამც და არამც არ დაუკნინებია ამ მეთოდების შედეგად გაჩენილი ბავშვები. ისინი ინათლებიან, ეკლესიის შვილები ხდებიან და ზუსტად ისეთივე ძვირფასები არიან ეკლესიისთვის, როგორ ბიოლოგიური გზით დაბადებული ბავშვები. სასულიერო პირების მოვალეობაა, ერს ჭეშმარიტება დაანახონ, მაგრამ მართლმადიდებლური ეკლესია ყველას უტოვებს არჩევანის ნებას. არჩევანის თავისუფლება ხომ ადამიანის ყველაზე დიდი ნიჭია“.

დაპირისპირება რელიგიურ და მეცნიერულ საკითხებს შორის, ალბათ, მარადიული თემაა. რომელ თეორიას ემხრობა, ამას თავისუფალი ადამიანი საკუთარი მორალური მრწამსის, გონებრივი განსჯის შედეგად წყვეტს და ნაბიჯებსაც ამის საფუძველზე დგამს. კანონის წინაშე რომ ყველა თანასწორია, ამაზე საზოგადოებაში კონსენსუსია, მაგრამ სად გადის ზღვარი კანონსა და ზნეობას შორის? როდის დგება მორალი კანონზე წინ? ალბათ, ესეც ინდივიდუალურია და სწორედ ეს ინდივიდუალიზმი იწვევს ხშირად საზოგადოებაში ანტაგონისტურ განწყობებს. ჩვენ ყველა მხარე დაგანახეთ. რომელი მოსაზრებაა მართებული და რომელი მცდარი – ამის არჩევა თქვენი თავისუფალი ნებისთვის მიგვინდია.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მთავარმა მოწმემ გამოძიებას სკანდალური ჩვენება მისცა

**მარიამ ნადირაძე**

## რა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა დაკარგული 19 წლის გოგონა თურქეთის სასტუმროში?

**ამბის ფაბულა ასეთია: 2010 წლის ოქტომბერში 19 წლის ნათია გიორგიძე ქუთაისში ქუჩის სათვალთვალო კამერამ ბოლოს პუშკინის ქუჩაზე დააფიქსირა. ის მდინარის სანაპიროსკენ მიემართებოდა. მას შემდეგ ნათია სახლში აღარ გამოჩენილა. გამოძიება ამდენი ხნის განმავლობაში გოგონას რიონში ეძებდა და მისი დაკარგვის ვერსიადაც უბედურ შემთხვევას, ან თვითმკვლელობას განიხილავდა.**

შემთხვევიდან 2 წლის შემდეგ ნათიას დედამ სამარშრუტო ტაქსით მგზავრობისას შემთხვევით მოჰკრა ყური მგზავრების საუბარს, რომლებიც ამბობდნენ, რომ იმერეთის ერთ-ერთ რაიონში მცხოვრებ ოჯახში ტრაგედია დატრიალდა: გარდაიცვალა ოჯახის დედა, რომელიც თურქეთის გავლით საბერძნეთში უნდა გამგზავრებულიყო. მან მეუღლეს თურქეთის ერთ-ერთი სასტუმროდან დაურეკა და შეატყობინა, რომ იქ მიყვანილი ჰყავდათ 19 წლის გოგონა, გვარად გიორგიძე, რომლის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრებოდა და მეუღლეს მისი შველა სთხოვა. ამ სატელეფონო ზარის განხორციელებიდან რამდენიმე დღეში ეს ქალბატონი საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა.

ბუნებრივია, ნათიას დედამ მოძებნა გარდაცვლილის მეუღლე, რომელმაც რატომღაც ვერ გაიხსენა იმ გოგონას სახელი და გვარი, რომლის შესახებაც ცოლმა შეატყობინა.

გიორგიძეების ოჯახმა შვილის ძებნა ახალი ენერგიით დაიწყო. ადვოკატიც აიყვანეს, რომელმაც ამ საქმის გამოძიებაში პროფესიონალთა ჯგუფი ჩართო.

**დღეს „პრაიმტაიმი" ადვოკატ ლედი ტუკვაძესთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ, რომელიც იმ სკანდალური ისტორიის დეტალებს გვიმხელს, რომელიც ხსენებულმა ჯგუფმა გამოიძია (ჩვენ ვერ ვასახელებთ მთავარი მოწმის ვინაობას და მის საცხოვრებელ ქალაქს მისივე უსაფრთხოების გამო. – მ.ნ.):**

– ჩვენი ჯგუფი ერთი თვის წინ შეხვდა იმ ბატონს, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში ვერ იხსენებდა იმ გოგონას ვინაობას, რომლის დახმარებაც მეუღლემ გარდაცვალების წინ სთხოვა. ჩვენთან საუბრისას მან ამხილა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, რომლებმაც მისი ცოლი საზღვარგარეთ გაიყვანეს.

**– ასახელებდა პირებს?**

– დიახ. უფრო მეტიც, მან 2012-ში ეს პირები პოლიციაშიც დაასახელა თურმე. ლოგიკურად, მათ მიმართ თაღლითობის მუხლით მაინც უნდა დაწყებულიყო გამოძიება. მე მისმა ნაამბობმა შოკში ჩამაგდო, რადგან იმ დროს, როდესაც ელემენტარულ, უმნიშვნელო ფაქტზე იწყებოდა გამოძიება, ადამიანი მივიდა პოლიციაში და განაცხადა უმძიმეს დანაშაულზე. ამას მოწმეებიც ადასტურებდნენ, მაგრამ მას ყურადღება არავინ მიაქცია. მან გვიამბო, როგორ დაურეკა მისმა მეუღლემ, მის დარეკვამდე კი – ვინმე ქეთინომ, რომელიც იყო ერთ-ერთი გადამყვანი და ახლდა ამ ჯგუფს. მისი ზარიც თურქეთიდან განხორციელდა. სწორედ ამ ქალბატონმა უთხრა, რომ ჯგუფი, რომელმაც თქვენი მეუღლე წაიყვანა, მას ვერ დაეხმარება, რადგან მათ აქვთ პრობლემები 19 წლის გოგოს გადაყვანის გამო, რომელსაც ინტერპოლი ეძებსო. ამიტომაც თქვენ ამ ჯგუფს თანხა მოსთხოვეთ ქურდების დახმარებით და ასე დაიბრუნეთ თქვენი ფულიო.



**– ამ ვინმე ქეთინომ დაუსახელა ჯგუფის წევრების ვინაობა?**

– რა თქმა უნდა, თუმცა ისინი არც ამ კაცისთვის იყვნენ უცხოები. მას ხომ მათთვის ფული გადახდილი ჰქონდა? ამ ზარის შემდეგ რამდენიმე წუთში რეკავს უკვე ამ კაცის ატირებული მეუღლე, ვინ ყოფილა ეს ხალხი, 19 წლის გოგონა ჰყავთ მოყვანილი და დანაწევრებას უპირებენო. როგორღაც მოეხმარე, პოლიციაში განაცხადეო. ქმარს მოესმა, რომ ცოლს ამ ტექსტის გამო ვიღაც ეჩხუბებოდა. მერე წაართვეს ყურმილი და კავშირიც შეწყდა. ამ სატელეფონო ზარიდან 2-3 დღის შემდეგ ოჯახი იგებს, რომ ეს ქალბატონი უკვე კონსტანტინოპოლში იყო წაყვანილი. თუმცა რამდენიმე საათში მათ აცნობეს, რომ ქალბატონი უგონო მდგომარეობაში საავადმყოფოში იმყოფებოდა. ის იქვე გარდაიცვალა და სიკვდილის მიზეზად მოწამვლა დაუდგინდა. ვერსია თვითმკვლელობა იყო. ოჯახიც არ იზიარებს ამ ვერსიას, რადგან მას ძალიან უნდოდა საბერძნეთში წასვლა და თუ მან ამას მიაღწია, რა უნდა ყოფილიყო თვითმკვლელობის მიზეზი? ლოგიკურად ჩნდება ეჭვი, რომ ეს ქალბატონი მნიშვნელოვანი ამბის მოწმე გახდა. ამ ბატონმა განგვიმარტა, თუ რა ზეწოლები ხორციელდებოდა ოჯახის მისამართით, რა თანხას იხდიდნენ გადამყვანები დუმილის სანაცვლოდ.

**– რა თანხას იხდიდნენ?**

– 25 ათას ევროს.

**– აიღო ოჯახმა ეს ფული?**

– ოჯახის უფროსმა უარი თქვა ამ ფულის აღებაზე და იქვე უთხრეს, სჯობს მიიღო ფული, თორემ ეს საქმე მაინც ჩაიფარცხება, რადგან ჩვენ საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირი გვმფარველობსო.

**– ცნობილია ამ პირის ვინაობა?**

– გარკვეული ინფორმაციები გვაქვს, მაგრამ ამ ეტაპზე თავს შევიკავებ მისი დასახელებისგან. თუმცა, საბოლოო ჯამში, ირკვევა, რომ შეთავაზებული თანხა ვიღაცამ აიღო...

**– ვინ იყო ეს ადამიანი?**

– მოდი, ამასაც არ გავშიფრავ ახლა. მე რამდენჯერმე ვთხოვე ამ ბატონს, იქნებ აღედგინა იმ 19 წლის გოგონას სახელი და გვარი, თავადაც ვკითხე, ნათია გიორგიძე ხომ არ უხსენებია-მეთქი. მან კატეგორიულად უარყო. ვეხვეწებოდი, გამოეჩინა ადამიანობა, მით უმეტეს, რომ ნათია გიორგიძის დედის უმძიმესი მდგომარეობა მთელმა საქართველომ იცის. თანაც უკვე შეცვლილი იყო ხელისუფლება, არც ის ადამიანი იყო თანამდებობაზე, რომელიც დანაშაულებრივ ჯგუფს მფარველობდა. შევთავაზე უფასო მომსახურება, რათა ამ კაცს თავი მარტო არ ეგრძნო და სიმართლე ეთქვა. ამ შეხვედრიდან გარკვეული დროის შემდეგ, ღამის სამ საათზე ჩემს ტელეფონზე დარეკა უცნობმა ქალმა, რომელიც ამ ოჯახის ერთ-ერთი წევრი აღმოჩნდა. მან დაწვრილებით მიამბო ყველაფერი და მითხრა, რომ 2012 წელს თურქეთიდან განხორციელებული ზარის დროს იმ 19 წლის გოგონას ვინაობად სწორედ ნათია გიორგიძე დასახელდა. მეტიც, ოჯახის უფროსი ადგილობრივ პოლიციაშიც წასულა. იქ უარი უთხრეს საქმის წარმოებაზე და ურჩიეს, სამინისტროს მიაკითხე, იქ დაგეხმარებიანო. ამ კეთილი ადამიანის ზარიდან მეორე დღეს იგივე ოჯახის სხვა წევრმა დამირეკა და ძალიან კატეგორიულად მესაუბრა. მირჩია, ამ საქმეს ჩამოვშორებოდი და არ ჩავრეულიყავი. იყო ძალიან აგრესიული და დამემუქრა კიდეც. ძალიან ვთხოვე, თქვენც ხომ დედა ხართ და იქნებ, პირიქით, დაეხმაროთ მის ოჯახს-მეთქი. ამ თხოვნაზე ისევ მუქარით მიპასუხა, ჭკუას გასწავლით, ვინ ხარ, ერთი უბრალო ადვოკატი ხარო. დავეთანხმე, რომ ვიყავი უბრალო ადვოკატი და ჩემი უბრალოებით შევეცდებოდი, ყველაფერი გამეკეთებინა ამ საქმის ბოლომდე მისაყვანად.

**– საბერძნეთში დაკარგული ქალბატონის მეუღლემ გამოძიებას ჯერაც არ მისცა ჩვენება?**

– გუშინ მისცა ჩვენება და, ბოლოს და ბოლოს, განაცხადა, რომ მისმა მეუღლემ სწორედ ნათია გიორგიძე დაუსახელა, რომელიც 2010 წელს დაიკარგა და 2012-ში თურქეთის ერთ-ერთ სასტუმროში დანაწევრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

**– ნათია გიორგიძის შესახებ ინფორმაციის კვალი აქ წყდება, თუ კიდევ გაქვთ სხვა ინფორმაციები მისი შესაძლო ადგილსამყოფელის შესახებ?**

– დადგენილი გვაქვს სასტუმრო, სადაც ამ ინციდენტს ჰქონდა ადგილი. მე ვთხოვ შინაგან საქმეთა მინისტრს, განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანოს ეს საქმე, ვინაიდან ჩემთვის ცნობილია, რატომ არ დაიწყო ამ საქმის ობიექტურად გამოძიება. ნუთუ, არავის აინტერესებს, რეალურად რა მოხდა ჩვენი მოქალაქეების თავს თურქეთის იმ სასტუმროში? მართლა თავი მოიკლა თუ მოკლეს ეს ქალბატონი? თუ ეს მის შვილებს არ აინტერესებს, მე მაინტერესებს, სულ მცირე, ნათია გიორგიძის გამო მაინც. ბოლოს და ბოლოს, ათასობით პასუხგაუცემელი კითხვაა ამ საქმის ირგვლივ. ნუთუ, ის მაინც არ აინტერესებს სამინისტროს, რატომ არ დაინტერესდა პოლიცია 19 წლის ქართველი გოგონას ბედით 2012 წელს, რომელიც შველას ითხოვდა. შვილები არ ჰყავთ? შეიძლება რაღაცას აუარო გვერდი იმის გამო, რომ არ გცალია, ბევრი საქმე გაქვს, მაგრამ, როცა საქმე ბავშვის სიცოცხლეს ეხება, შენი ქვეყნის მოქალაქის, ასეთი იგნორირება შეიძლება?



EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ცოტა რამ წარსულზე...

# მაგრამ მაინც - მომავალზე...

ნინო ქუთათელაძე

**ცოტა არ იყოს გამიკვირდა როსტომ ჩხეიძის მხატვრულ-დოკუმენტური წიგნის სათაური– „ორშაბათიც შაბათია“ (დაიწერა და გამოიცა 2004 წელს!), რადგანაც ეს ფრაზა უგემოვნებო ბესტსელერივით ყველას ყურადღებას იპყრობდა, გამიკვირდა, იმიტომაც, რომ სად როსტომ ჩხეიძე და სად აღნიშნული სიმღერის ტაეპი?! მწერალი მხოლოდ 230-ე გვერდზე გვიმხელს, თუ რატომ დაასათაურა თავისი წიგნი ასე. თუმცა, როცა წიგნს შევყევი და, უნდა ითქვას, ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე, იმთავითვე ცხადი გახდა, რამდენად ტრაგიკული იყო ავტორისთვის, ორშაბათიც შაბათად რომ ქცეულიყო, თითქოს ყველაფერი სულერთი გამხდარიყო და ცხოვრებაც უაზროდ მიედინებოდა.**

პუბლიცისტიკა ოპერატიულობის ხელოვნებაც არის და მაპატიეთ, თუ დროზე ვერ ვთქვი სათქმელი. თუმცა არც ახლაა გვიან, რადგან ჩვენი ყოფილი პრეზიდენტი აცხადებდა: - მე ტელევიზია არ დამიხურიაო (სწორია– დამიხურავს). ეტყობა, თვალში ნაცარს გვაყრიდა. ჩამოვთვალოთ? – ჯერ საზოგადოებრივი მაუწყებლის ლიკვიდაცია გამოაცხადებინეთ და 1000-ზე მეტი პროფესიონალი გაწირეთ; მერე – ტელეკომპანია „იბერიას“ დაესხით თავს და მაუწყებლობა შეაჩერეთ; „იმედის“ ამბავი ხომ ყველამ ერთად ვიხილეთ პირდაპირ ეთერში; რამდენიმე დღით ტელეკომპანია „კავკასიაც“ გაქრა ეკრანიდან; რა დღე აყარეთ „მაესტროს“, ესეც ყველამ ვიცით! – მთელი ქვეყანა მიუსიეთ, დამფუძნებლიდან დაწყებული მიკროფონიანი „მეეზოვით“ დამთავრებული. პირადად მე ვერავინ დამაჯერებს, რომ ყალბი აქციზური მარკების (არარსებულის!) გამო დახურეთ „ომეგა ჯგუფის“ სტამბა და თამბაქოს ფაბრიკა. ყველაფერი სულ სხვაგვარად იყო – ფაბრიკა თქვენი ბიჭების სახეიროდ გააჩერეთ, ხოლო ტელეკომპანია – სიმართლის მისაჩქმალად, ჟურნალ-გაზეთები და წიგნები კი ისე გძულთ, არც წაგიკითხავთ და არც წაიკითხავთ.

მორჩა! მე ამაზე ლაპარაკით თავს აღარ შეგაწყენთ, მხოლოდ როსტომ ჩხეიძის ამ წიგნზე გესაუბრებით.

წიგნი კი ჩვენი ბედკრული ქვეყნის ისტორიის ერთი შესანიშნავი ფურცელია, ტრაგიკული ფურცელი, დიდი ემოციითა და ინტელექტით გაჯერებული. და იმ მხრივაა მნიშვნელოვანი, რომ პირველად „ომეგა ჯგუფის“ საწარმოების დარბევისას გამოიჩინა ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ გზით მოსულმა ხელისუფლებამ თავისი ნამდვილი სახე – არადემოკრატიულობა, ანტიხალხურობა, სამართლიანობისა და კანონის ფეხქვეშ გათელვა, ძალადობა, სიყალბის გავრცელება...

ჯერ აქ მოხდა ის, რაც შემდგომ და თანდათან მთელ საქართველოს დაატყდა თავს.

ამ წიგნის მაგალითზე ძალდაუტანებლად შეიძლება განზოგადდეს ყველა ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესი, რამაც ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა.

ავტორი მემატიანის სიზუსტით გადმოგვცემს არსებულ ვითარებას, არ არის გამორჩენილი არცერთი დეტალი, არცერთი წერილი ჩვენს პრესაში, არცერთი გამოსვლა ტელევიზიით, აღნიშნულ თემას რომ შეეხება. ყველაფერი მწკრივშია დალაგებული და ერთი მიზნისკენ მიმართული. სიმართლე გითხრათ, შემეხარბა კიდეც ის ჟინი და თავდადება საქმისადმი, რასაც ავტორი იჩენს. წიგნში იმდენი მწერლური ფრაზაა, რომ გგონია ჩვეულებრივი პუბლიცისტი ამას ვერც დაწერდა. აი, მაგალითად, სიტყვათშეთანხმება „არამასობრივი ადამიანები“... „არაცნობადი სახეები“ (არ მესმის, საიდან არის მოთრეული ეს ტერმინი), არამედ „არამასობრივი ადამიანები“, ანუ ხალხი, რომელთაც საზოგადოება იცნობს.

წინა აბზაცში ვიხმარე ფრაზა – ინტელექტით გაჯერებული... აბა, ვის, თუ არა მწერალს, მოუვიდოდა აზრად დაეკავშირებინა „ომეგა ჯგუფის“ დაყაჩაღება, დიახ, სწორედაც დაყაჩაღება, და ფრანც კაფკას დაუმთავრებელი რომანი „პროცესი“?!. გახსოვთ, ალბათ, ამ ნაწარმოების დასასრული, როცა რომანის გმირი მიფრინავს ამ სამყაროდან, სამყაროდან, სადაც წაშლილია ადამიანობა, თანაგრძნობა, სიყვარული და სამართლიანობა. და აქვე: „სადღაც შორს ვიღაცის ხელი გაიელვებს, თითქოს შუქი გამომკრთალიყოს – კეთილი ადამიანის? თანამგრძნობელის? იქნებ თვითონაც გარიყულისა და იოზეფის კ-ს ბედში მოქცეულის?..“ ან იქნებ უფლის, რომელიც ყველგან არის, მით უმეტეს, როცა ამქვეყნიურ სამართალს ეძებ?!




ბატონი როსტომი მრავალი ავტორის ნაწარმოებთან ავლებს პარალელს, მაგრამ აბსოლუტურად გამაოგნებელია იმჟამად არსებული ყოფის პარალელი მიხეილ ჯავახიშვილის „დამპატიჟესთან“. ის აღნიშნავს, რომ „დამპატიჟე ჯაყოს თავისებური სახესხვაობაა და სხვა არაფერი“. მაგრამ... ჩემი აზრით, ის უკეთ გამოხატავს არსს იმისას, რაც მწერალს სურს, რომ გადმოგვცეს. როსტომ ჩხეიძე ასეთი ეპითეტებით ახასიათებს დამპატიჟეს – „კმაყოფილება“ და „არხეინობა“, მე კი ვიტყოდი, ჩვეულებრივი პარაზიტი, რევოლუციის შვილობილი, შვილზე უფრო შვილი. საინტერესოა წიგნის ამ მონაკვეთის მწერლისეული დასკვნაც: „თვითონ რევოლუციაა მუნიც და ყოველგვარი მანკიერების სათავეც, ველური ინსტინქტების გამღვივებელი და უპირველესად მაინც მორალური კანონების თავდაყირა დამყენებელი“. მისი იდეოლოგია „ცრუ“ და „ყალბია“ – ესეც მწერლის ტერმინებია – და მწერლობა ხშირად მის პარტუჯრედად იქცევა ხოლმე. სიტყვა „პარტუჯრედს“ წიგნში ორჯერ იყენებს ბატონი როსტომი. მეორედ – ის ყბადაღებულ ე. წ. „თავისუფლების ინსტიტუტს“ ეხება. აი, ეს გახლავთ ყალბ მორალურ პრინციპებზე აგებული საშინელება, ბომბი, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება აფეთქდეს. „თავისუფლებას“ ქართულ ენაში სულ სხვა სემანტიკური მნიშვნელობა აქვს და ეს შესანიშნავადაც არის ასახული ამ წიგნში.

ამ „დეტექტიურ ცდაში“, ასე უწოდებს წიგნს მწერალი, „დამპატიჟეს“ შემფასებელთა და ინტერპრეტატორთა მთელი არმიაა მოხმობილი, მოკლედ მიმოხილული. მე კი ყველაფერმა ამან მიხეილ ჯავახიშვილის კიდევ ერთი გმირი გამახსენა, „არსენა მარაბდელისეული“ სულერთია. სულერთია მეტსახელია გმირისა, მაგრამ შესანიშნავად გადმოგვცემს ქართველი კაცის ხასიათს. და აქვე მინდა მოვიხმო ანდაზა: სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირიო. ეს მომენტიც კარგად ჩანს ნაწარმოებში. რამდენმა უგანა, რამდენმა აირიდა ის უბედურება, რაც ქართული სალიტერატურო პრესის თავს ტრიალებდა, რაც ქართულ ჟურნალისტიკას ასამარებდა. ზოგმა კი დაცემულს წიხლიც მიაყოლა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, წიგნში მრავალ საგაზეთო წერილსა და სტატიაზეა საუბარი, ყველა თავისებურად გახლავთ მიმოხილული. მარტო ამ წერილების ავტორთა ჩამოთვლაც კმარა: თამაზ ჩხენკელი, ვახუშტი კოტეტიშვილი, ტარიელ ჭანტურია, თემურ მეტრეველი, ნაირა გელაშვილი, მაკა ჯოხაძე, გივი ალხაზიშვილი, ვანო ჩხიკვაძე, თეიმურაზ დოიაშვილი, ლევან ბრეგაძე, გიორგი ლობჟანიძე და ვინ მოთვლის, კიდევ ვინ... მაგრამ განსაკუთრებით მინდა გამოვყო დიდი მწერლისა და მოაზროვნის ოთარ ჩხეიძის შესანიშნავი წერილი „ხალხო და ჯამაათნო. უარესიდან უარესისკენ“. საოცარია წერილის რიტმი, ემოციურობა და, რაც მთავარია, მასში სიძულვილის ერთი ნამცეცეიც არ იგრძნობა. ეს უფრო მამაშვილური დარიგებაა ახალი თაობის მიმართ: „შურისძიებისათვის ყოველთვის მზად არის გაუბედურებული ხალხი. წერას ატანილი. იმადდაკარგული ხალხი. ნუ წააქეზებთ და ნურც წაქეზდებით. ნურც ისარგებლებთ ხალხის სახელითა. ნაცადი ხერხია. ახალი არ არის. ნათელია, გამჭვირვალეა, მაინცა სჭრის, სჭრიდა ყოველთვისა. მარჯვედა სჭრის დღესაც ასევე“.



მართლაც და, სიახლეა ეს ჩვენთვის? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ როგორ საკრალურად ჟღერს მხცოვანი მწერლის ბაგეთაგან. ამ თავის დასასრულს, რომელშიც ბატონი ოთარის წერილზეა საუბარი, როსტომ ჩხეიძე გვეუბნება, საჭიროა, რომ „ვიღაც მუდამ მოაგონებდეს ხელისუფლებას თავის მოვალეობას – დაიცვას მოღვაწეები, ხოლო ვინც მოღვაწეებს თვითონვე წიხლავს და ნაღვაწს– ძარცვავს, თუნდაც რევოლუციის სახელით, არ მიუგნია თავისი ჭეშმარიტი მოვალეობისა თუ მოწოდებისთვის“.

საერთოდ, „ორშაბათიც შაბათია“ მაგალითია იმისა, თუ რას უნდა ემსახურებოდეს პუბლიცისტიკა. თვითონ მწერალი, მართალია, მას „დეტექტიურ ცდას“ უწოდებს, მაგრამ ეს მატიანეა იმ მოვლენებისა, რაც ქვეყანაში თავიდან, „ვარდების რევოლუციისთანავე“ ხდებოდა, ხოლო რაც შემდეგ და შემდეგ მოხდა, გაგრძელება იყო იმ უგუნურებისა, ყოველდღიურად რომ ვაწყდებოდით. ბატონი როსტომი სვამს კითხვას: „რა აუცილებელი გახლდათ შინაგანი ჯარის ფეხმოუცვლელად დგომა და საწარმოთა უმოქმედობა?“ და შემდეგ თვითონვე პასუხობს: „დოკუმენტაციის ამოღებას ერთი, ერთადერთი გამომძიებელიც იოლად შეძლებდა...“ შემდეგი აბზაცი კი მხოლოდ ამოძახილია: „ეჰ, ეს როდესაც ლოგიკურად მსჯელობ...“ მართლაც და, ულოგიკო ქვეყანაში ლოგიკა რა საკითხავია?!

და მაინც... რატომ „დეტექტიური ცდა“? იმიტომ, რომ აქ კვლევაც არის, გამოწვლილვითი გამოძიებაც უდანაშაულო დანაშაულისა. თქვენ აქ იხილავთ უამრავ დოკუმენტს თავისი ღერბითა და ნუმერაციით, ხელმოწერითა და ადრესატის მითითებით. ყველაფერი ეს სწორედ რომ დეტექტივის იერს ანიჭებს წიგნს.

თვალსაჩინოა ყოველი თავის სათაურიც. წიგნიც რომ არ წაიკითხო, სარჩევით მიხვდები, რაზეა საუბარი: „დოჩანაშვილი? არა, ოქრუაშვილი“, „დამპატიჟე სახელმწიფო“, „ერთ ბედქვეშ არც ვართ, ბასმაჩ, მე და შენ!“ „აღმართ-დაღმართ“, და ა.შ. ჰო, გამახსენდა ირაკლი ოქრუაშვილის მოგვიანო, ეს უკვე ნაციონალების გასტუმრების შემდგომი გამოსვლა ტელევიზიით, მხოლოდ ორ რამეზე მწყდება გულიო... ერთი გასაგებია – რომ ნაციონალების გვერდით იდგა, და მეორე, ალბათ ის უნდა იყოს, გურამ დოჩანაშვილი თუ არ დაწერს, მე დავწერო რომ დაიჩემა... ისეთი რამ არ უნდა თქვა ადამიანმა, რაც შემდეგ ცხვირიდან ძმრად დაგდინდება. თუმცა, ვინ იცის, ის მეორე მისთვის რა არის?

კიდევ ერთ მომენტზე მინდა გავამახვილო ყურადღება. როცა როსტომ ჩხეიძე ბოლშევიკებსა და ნაციონალებს აიგივებდა, არცერთი მნიშვნელოვანი იდეოლოგიური საყრდენი არ გამორჩენია, მაგრამ ყველაზე საინტერესო სახე მაინც პავლიკ მოროზოვი გახლდათ. მინდა დავეთანხმო ავტორს, ამ გმირის გვარ-სახელი მართლაც ყველა რევოლუციის ემბლემაა. „ნეობოლშევიზმისათვის მახლობელი და სასიცოცხლო აღმოჩნდებოდა ამ ოდიოზური ისტორიული პერსონაჟის გამოხმობაც და დასმენა მოქალაქეობრივ მოვალეობად გამოცხადდებოდა“ – წერს ბატონი როსტომი.

არ ვიცი, აქ კიდევ იმდენი რამ არის გადაჯაჭვული, რომ ყველაფერზე საუბარს ალბათ ვერ შევძლებ, მაგრამ თანამედროვე პოლიტიკურ მოღვაწეთა უმეცრებაზე კი აუცილებლად უნდა ვთქვა ორიოდ სიტყვა. მოძალადე და პარაზიტი რატომღაც ყოველთვის უმეცარია, გაუნათლებელი. შეუძლია ანა კალანდაძეს უკანასკნელი ცისფერყაწწელი უწოდოს, ან „ვეფხისტყაოსანი“ და „დავითიანი“ ერთმანეთში აერიოს, ანდა ლიპარიტ ბაღვაშს იპოლიტ ბაღვაში დაარქვას... ამ უკანასკნელმა ძლიერ გააკვირვა მწერალი, მაგრამ შემდეგ და შემდეგ რაც ითქვა და დაიწერა, ეს მხოლოდ ბავშვურ ლუღლუღად მოგეჩვენებათ ალბათ.

ჰო, სტილი... უნდა გითხრათ, რომ როსტომ ჩხეიძეს წერის გამორჩეული სტილი აქვს და მის ნაწერს ყველასგან გამოარჩევ. ნაწარმოების ბოლო თავებში ის ხშირად მიმართავს ირონიასა და სარკაზმს... აბა, რაღა დარჩენია? – თუ როსტომ ჩხეიძემ უნდა იშიმშილოს და უნდა – არა, თუ მალე ირაკლი ოქრუაშვილი დაწერს რომანებს გურამ დოჩანაშვილის ნაცვლად, თუ იარლიყები– კონტრრევოლუციონერი და ხალხის მტერი – ისევ ძალაში შევა?!.

„მწერლობა – ახირებული ხელობა“– ასე დაარქვა ერთ-ერთ ბოლო თავს ბატონმა როსტომმა. მართლაც, კალთებს არავინ გაგლეჯს და მაინც წერ, რადგან სხვაგვარად არ შეგიძლია. ამ წიგნის ავტორისა არ იყოს, „ხელისუფლების მიერ შექმნილი პარტიულ-ნომენკლატურული მწერლობა“ ვერ შეენაცვლება ჭეშმარიტ ლიტერატურას. ეს ცხადზე ცხადი ხდება, როცა ამ ნაწარმოებს კითხულობ.

ფინალში ისევ და ისევ რწმუნდები, რომ ეს წიგნი ჩვენი ქვეყნის ისტორიის სამსხვერპლოზე მიტანილი კიდევ ერთი სხივია, მაგრამ მისი მონაწილენი ჩვენა ვართ, ჩვენი თაობის ქედზე გადაიარა ყველა რუსულმა ჩექმამ და ამერიკული საბრძოლო მანქანების ყველა ბორბალმა თუ მუხლუხმა. მთავარია, გავუძლოთ!

„და ისევ დაყუდებული შიო მღვიმელივით დაელოდებოდა თეიმურაზ ხევისთავი“– აღმოხდება ბოლოს მიხეილ ჯავახიშვილით შთაგონებულ როსტომ ჩხეიძეს. „რას ელით, ვის ელით?!“– იკითხავს ვაჟა-ფშაველა და თვითონვე პასუხობს: „რაღაცას. დიაღ, რაღაცას. ეს რაღაცაა უნახავის დანახვა. ნახეს და გაათავეს, რასაც იმათი თვალი და გული მისწვდებოდა. სხვა ახალი მოსწყურებია იმათ თვალსა და გულსა“.

ნეტავ უარესი აღარასოდეს იქნებოდეს! ნეტავ კეთილის მოლოდინი სიკეთედ მოგვბრუნებოდეს!



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

bazarr



თამარ გონგაძე

# კახი კალაძის მესამე ვაჟი მილანში დაიბადა





ენერგეტიკის მინისტრი იანვრის პირველ რიცხვებში მესამე ვაჟის მამა გახდა. პატარა, ისევე როგორც მისი უფროსი ძმები - ლევანი და კახა, საკეისრო კვეთის შედეგად მოევლინა ქვეყნიერებას. მშობლებმა შვილს ვაჩე დაარქვეს. ის მილანში დაიბადა. როგორც გავიგეთ, კახი დაესწრო თავისი ვაჟის დაბადებას. პირველმა მან აუწყა ინტერნეტსამყაროს შვილის დაბადება და თავისი „ფეისბუქის "ოფიციალურ გვერზე ახალშობილის ფოტო გამოაქვეყნა.

ანუკა 25 დეკემბერს ჩავიდა მილანში და თებერვლის შუა რიცხვებამდე შვილებთან ერთად იქ დარჩება.

# გეგა ფალავანდიშვილი ქალიშვილის მამა გახდა





**10 იანვარს „რუსთავი 2"-ის პროგრამებისა და მარკეტინგის მენეჯერი გეგა ფალავანდიშვილი მამა გახდა. გოგონა საკეისრო კვეთით გაჩნდა და მას მიკა დაარქვეს. დედაზე პირველად გეგას უნახავს თავისი ქალიშვილი. პატარა ოჯახის სხვა წევრებმაც პირველივე დღეს მოინახულეს, მათ შორის ბაბუამ - მამუკა გამყრელიძემ. როგორც დედა ამბობს, გოგონა სტანდარტული წონის გაჩნდა. „ჩემი ვაჟები მთელი ცხრა თვე, ძალიან ელოდებოდნენ დაიკოს დაბადებას". რუსოს პირველ ქორწინებიდან ორი ვაჟი ჰყავს. ეს გეგასთვისაც მეორე ქორწინებაა, თუმცა ის პირველად გახდა მამა. სამი წელია ერთად არიან. რუსო განათლებით ეკონომისტია. ახლა მამის კომპანია „GMG"-ში მუშაობს, პროდიუსერია.**

**- რუსო, გეგამ „ფეისბუქზე" დაგიწერა - მიყვარხარო.**

- ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ასეა. ეჭვი მაქვს, რომ ვუყვარვარ.:)

# ნინო არაზაშვილს შობას მარიამი ეყოლა







„რუსთავი 2"-ის დილის წამყვანსა და პროდიუსერს, ნინო არაზაშვილს, შობას, 7 იანვარს, ქალიშვილი შეეძინა. პატარას მარიამი დაარქვა. გოგოს ფოტო, მამამ, სანდრო ონოფრიშვილმა „ფეისბუქზე" გამოაქვეყნა. დილის პროგრამამ კი სოციალურ ქსელში მიულოცა თანამშრომელს ეს ბედნიერი დღე. „ნინო არაზაშვილი მესამე შვილის დედა გახდა !!!! პატარა მარიამ ონოფრიშვილი, შობის დღესასწაულზე, გამთენიისას მოევლინა ქვეყანას. მთელი ჩვენი გუნდი ულოცავს ნინოს პატარა მარიამის დაბადებას".

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ახალი ეტაპი ნინი ბადუ

**my View**
**თამარ გონგაძე**

**მედიაში გასული წლის ყველაზე პოპულარული რესპონდენტი ნინი ბადურაშვილი წინა კვირას ისევ იქცა განსჯის საგნად. ნინიმ „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე დაპოსტა: „ნუ „სტრანნობთ" და „სვეცკობთ" რა, რელიგიურ თემებზე! გასაგებია, რომ რაღაცები არ მოგწონთ, მაგრამ ძალიან გაუტიეთ და დაწყნარდით.**

მოდაში შემოვიდა ათეიზმი, თუ რა ხდება ვერ გავიგე და ეკლესიის მიმართ ცინიზმი?! შეიძლება რაღაცებს ეთანხმებოდე, ან არ ეთანხმებოდე, მაგრამ ვითომ, ცოტა გაოცებულები, რომ არიან... ეკლესიის მიმართ, ასეთი არასწორი და უპატივცემულო დამოკიდებულება მაგიჟებს!"... პოსტს თავის გვერდზე გამოეხმაურა თეა თუთბერიძე. „ეუფ :))))))))) თქვენთან უკაცრავად და ერთი ამას ვიღა ტყ...ს? წავიდეს იმღეროს, თუ შეუძლია ეგეც". თეას საჯარო განხილვის და მიმოწერის მოყვარულები აჰყვნენ. „არც შენ გაწყენდა დაწყნარება", „ცენზორის როლში ხარ", „შენი სვეტსკაობა გაიხსენე", „თვითნებურად მათრახს რატომ ირტყავ", „ნინი, წიგნები თავად რომ წაგეკითხა არ გაწყენდა. მაშინ ამ პატარა სტატუსში ამდენ უაზრობას არ დაწერდი", „თუთბერიძეს პასუხი რატომ არ გაეცი". ამას მოჰყვა სააგენტო „ჩიტის" ლინკი დამცინავი სათაურით - „10 წიგნი, რომლის წაკითხვასაც ნინი ბადურაშვილი გირჩევთ. გახსნით თუ არა ლინკს მხოლოდ ნუმერაციაა, წიგნების ჩამონათვალის გარეშე. ამას დაერთო ნინის მიერ „ფეისბუქის" გაუქმება. ესეც მაშინვე განიუსდა. მომღერალი მის გარშემო ატეხილ შემოტევას ჩვენი ფურცლებით ეხმიანება.

**ნინი ბადურაშვილი:** „თეა თუთბერიძე ტრაგიკომიკური არსებაა, რომლის უხამს გამონათქვამზე პასუხის გაცემა ჩემი თავის შეურაცხყოფა იქნება. გინებით და გაუგებარი აზროვნებით თავის დამკვიდრებას ცდილობს. ამ პოსტის დადება არ მინანია, ასჯერ დავწერ. რასაც ვაკეთებ, იმაზე არასდროს ვნანობ. ვპასუხობ ყველას, ვინც ამ თემაზე დაპოსტა, მე ჩემი პოზიცია მაქვს, ეკლესია დავიცავი. ამის გამო მათრახს რატომ ვირტყამ? უხეშობა არ მჩვევია, თუმცა ვიღაცებს უხეშადაც დაველაპარაკე. ყელში ამოვიდა. სიტყვები, რომელზეც გამომეკიდნენ - „სტრანნი" და „სვეტსკი" სპეციალურად დავწერე. თუ ეკლესიას გააქილიკებენ, რატომღაც კარგ ტონად ითვლება. ნორმის ფარგლებს არ იცავენ. რაც შეეხება ლინკს 10 წიგნზე. ბავშვობიდან ვკითხულობ წიგნებს და ძალიან განათლებულ ოჯახში ვარ გაზრდილი. ვისაც აინტერესებს, დამირეკონ და 10 წიგნს ჩამოვუთვლი, რაც უნდა წაიკითხონ. სჯობს მართლა წიგნები იკითხონ და ცოტა დრო დახარჯონ „ფეისბუქზე" ლანძღვა-გინებაში. „ფეისბუქი" კი გავაუქმე იმიტომ, რომ მედიის შემოტევამ დამღალა, საერთოდ ვერაფერს ვერ ვწერ, მაშინვე ნიუსდება. ამ განხილვებით დავიღალე".

**28 წლის**

ნინი 27 დეკემბერს 28 წლის გახდა. იუბილე მეგობრებთან ერთად რესტორანში აღნიშნა, მერე კლუბში გადაინაცვლეს... ამბობს, რომ ეს დაბადების დღე გამორჩეული არაფრით ყოფილა, არც განსხვავებული და დასამახსოვრებელი საჩუქარი მიუღია. თუმცა დედის ამპლუაში პირველად იყო იუბილარი და ეს ახარებს. „განსაკუთრებული და ორიგინალური საჩუქარი არ მიმიღია. ასეთ საჩუქარს ისეთი ადამიანი გჩუქნის, ვისაც უყვარხარ. რადგან არ მყავს, არც მიმიღია. თუმცა დიდად გული არც მწყდება" ,- ამბობს მომღერალი. 25 დეკემბერს ნინის დიდი ბებია - შურა 100 წლის გახდა. მომღერალი საუკუნის ასაკის ბებიის რჩევებს ითვალისწინებს. „ბოღმა არ უნდა იყოო, ბებია ამბობს. არც ეწეოდა, არც სვამდა. მე მაინც მგონია, ღმერთის ნება და გენეტიკაა რა ასაკამდეც იცხოვრებ". ახალ წელს მანქანაში საცობში შეხვდა, ერთი კონცერტიდან მეორეზე მიმავალი. სურვილის ჩაფიქრება დაბადების დღეზე მოახერხა. „ასრულდება თუ არა ჩემზეა დამოკიდებული. არ არის ადვილად ასახდენი, თუმცა მაინც მგონია, რომ ახდება". გასულ წელს პრესის ფურცლებიდან და სააგენტოების გვერდებიდან არ ჩამოსულა. მისი ყოველი ნაბიჯი შუქდებოდა. კარიერაში რა უნდა გაეკეთებინა ისეთი, რომ მისი პირადი ცხოვრება გადაეწონა. დაქორწინდა, განქორწინდა თუ იმშობიარა - სულ თემა იყო. პოლიტიკურ მოვლენებსაც გადაასწრო რეიტინგულობით. როგორც ამბობს, ვერც კი წარმოიდგენდა განქორწინებით ასეთ საოცარ ინტერესს თუ გამოიწვევდა. იწერებოდა ნიუსები - „ნინი ბადურაშვილი სამშობიაროში გადაიყვანეს", „ნინიმ ქალიშვილს დაქალის სახელი დაარქვა", „აძლევს თუ არა გვარს ირაკლი კუტალაძე თავის შვილს", „ნინიმ ელენეს ფოტოები გამოაქვეყნა", „ნინი და სოფო ნიჟარაძე დამეგობრდნენ", „ბადურაშვილმა ფეისბუქი გააუქმა"... ამბობს, რომ ამგვარ შუშის სახლში ცხოვრებამ დაღალა, თუმცა არც უამისობა შეუძლია. ახლად გამომცხვარი დედა პრესისგანაც დიდი ხანი შორს იჭერდა თავს. მერე გააქტიურდა, ამღერდა, სოციალური აქტივობები დაიწყო. „ცეკვავენ ვარსკვლავების" პროდიუსინგში ჩაერთო. ეთერითაც გამოჩნდა... და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ნინიმ „პრაიმტაიმს" ინტერვიუ მისცა.

**დეპრესიული მდგომარეობა და სამსახური**

**ნინი ბადურაშვილი:** „28 წლის ასაკში მეტად გამოცდილი ხარ, ვიდრე 16 წლის ასაკში, მეტად დაჭკვიანებული, რაღაც საკითხებს სხვანაირად უყურებ. შვილის გაჩენას ხომ სხვა შეხედულებები და ფასეულობები მოაქვს. ფასეულობები გადავაფასე და რაღაცებს სულ სხვანაირად დავუწყე აღქმა. ხასიათი არ შემცვლია. 17 წლის რაც ვიყავი ტიპაჟურად, იგივე ვრჩები.

**- გქონდა მშობიარობის შემდგომი დეპრესიული მდგომარეობა?**

- ნელ-ნელა გამდის ეს დეპრესიული მდგომარეობა. მთლად დეპრესიასაც ვერ დავარქმევ. ტვინში დიდი ცვლილება ხდება. რომ აჩენ, თავიდან ვერც აცნობიერებ, რომ შენი შვილია. მერე დღითი დღე აცნობიერებ. რომ ვიმშობიარე, სტრესი და შოკი მქონდა, ბავშვი ვერ აღვიქვი. დილით რომ მომიყვანეს და დავხედე, მივხვდი, რომ ჩემი ყველაზე ახლობელი, ჩემი ნაწილი იყო. ბუნებრივად რომ იმშობიარებ, ღამე არ გძინავს, ნერვიული ხდები. სტრესია. ყველას ერთნაირი ბუნება არ აქვს. მე მყარი ფსიქიკა მაქვს. ვინც გააჩინა და სახლშია, მათგან გამიგია, რომ მეტად დასტრესილები არიან. მე სამსახურმა მიშველა.

**- ამის ასაცილებლად დაიწყე მუშაობა?**

- ძალიან აქტიური და საქმიანი ტიპი ვარ. აქედან გამომდინარე, დიდხანს უსაქმოდ და ერთ ადგილას ვერ ვჩერდები. მინდოდა მემუშავა. ბავშვი ბუნებრივ კვებაზე რომ მყოლოდა, ვერ დავიწყებდი მუშაობას. „ცეკვავენ ვარსკვლავები" რომ დაიწყო, პროდიუსინგში კონსულტანტად ჩავერთე. ბევრი რამის გაკეთება მომიხდა, მათ შორის დიზაინერებთან ერთად დავიწყე ნანკას იმიჯზე მუშაობა. მის რამდენიმე კაბაზე - ოქროსფერ, ლურჯ და შავ კაბებზე ვიმუშავე. მომეწონა შიდა სამზარეულოში მუშაობა. საინტერესო და რთული ყოფილა კარგ პროექტზე მუშაობა. ნოე სულაბერიძეს უნდოდა მეცეკვა, მაგრამ სამი თვის წინ ნამშობიარევი ქალისთვის ცეკვა არ იქნებოდა მთლად ნორმალური. არც მე მქონია ამის სურვილი.

**- მეოთხე სეზონში იცეკვებ?**

- ვფიქრობ, ალბათ, უფრო ვიცეკვებ. ბებოს დავყავდი ცეკვაზე, ბალეტზე ერთი წელი ვიარე, ქართულ ცეკვებზე დავდიოდი. მოყვარულის დონეზე ვცეკვავ.

**- რატომ გინდა მონაწილეობის მიღება? ეს ახალი ეტაპი და გამოწვევაა?**

- ჩემ თავთან გამოწვევა იქნება. მაქვს პლასტიკა და მაინტერესებს რამდენად მოვახერხებ ფართო აუდიტორიის წინაშე ცეკვას. მოგების ინტერესი და ამბიცია ნამდვილად მაქვს. თუ რაიმეს ვკიდებ ხელს, თავს ვდებ და ვიხარჯები.

**ელენე**

ელენე ექვსი თვის ხდება. მის ფოტოებზე დიდი ნადირობა ჰქონდათ სააგენტოების ჟურნალისტებს. მერე ატყდა ბჭობა - ვის ჰგავს? ამასობაში პატარა მოინათლა და მისი ნათლიები თაკო გაჩეჩილაძე, ქეთა თოფურია, სალომე გოგიაშვილი, კატია სამსონაძე, მამა მიქაელი გახლავთ, მათი ოჯახის მოძღვარი.

„ბავშვები ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ ახლა გამძაფრებულად. მათხოვარ ბავშვს რომ ვხედავ, ძალიან ცუდად ვხდები. როცა ვიგებ ავად არიან და პრობლემა აქვთ, მძაფრად მოქმედებს. ეს განცდები დედობამ მოიტანა.









**„ადამიანი თავისი თავის მკურნალიც არის და მტერიც. შენ თავს შეგიძლია ავნო და დეპრესია აჰკიდო და შეიძლება პირიქით - გამოიყვანო მდგომარეობიდან"**

**„ვთვლი, რომ ჩემი გათხოვება შეცდომა არ ყოფილა, იმიტომ რომ მყავს ელენე, რომელიც ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია"**

**„ბავშვობიდან ვკითხულობ წიგნებს და ძალიან განათლებულ ოჯახში ვარ გაზრდილი. ვისაც აინტერესებს, დამირეკონ და 10 წიგნს ჩამოვუთვლი, რაც უნდა წაიკითხონ. სჯობს მართლა წიგნები იკითხონ და ცოტა დრო დახარჯონ „ფეისბუქზე" ლანძღვა-გინებაში"**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რაშვილის ცხოვრებაში





## „ბავშვის გაჩენის შემდეგ ბევრად საინტერესო ეტაპი დაიწყო და მე ეს მომწონს. ახლა ვფიქრობ, ელენემდე რა აზრი ჰქონდა ცხოვრებას-მეთქი?“

EXCLUSIVE



ელენე აქტიური და ხვანცალა ბავშვია. მე დინჯი და წყნარი ვყოფილვარ, ჩემი დისშვილი მგავს. დიდი ხანია გადაბმულად არ მიძინია, 2-2 საათით მძინავს. საჭმელს ვუმზადებ. 2 თვის შემდეგ ბუნებრივ კვებაზე არ მყოლია. ფეხებს ისე ახვანცალებს, საბანს იხდის. მინდა რაღაც შევუკერო, რომ არ ამოძვრეს. მგონია, რომ იმღერებს. მელოდიას რომ გაიგებს, შეშდება და მოსმენას იწყებს. მერე ყვება ხოლმე. ორსულობის დროს ვმღეროდი, „საქართველოს ვარსკვლავის“ ჟიურიში ვიჯექი. რაც მე სიმღერები მოვისმინე, როგორ შეიძლება მუსიკა არ უყვარდეს და არ იხვანცალოს. ორსულობისას მოსკოვში კლუბში მქონდა რამდენიმე გამოსვლა. ჩემს საყვარელ სიმღერებს ვასმენინებდი. ამიტომ არის ასეთი აქტიური, ალბათ. ბგერებს გამოსცემს. მე რომ ვჩერდები, თვითონ იწყებს სიმღერას. ამიტომ მგონია, რომ იმღერებს. მონდომებულია და ძალიან არ მინდა „უსმენო მონდომებული“ იყოს. დედაჩემი და მაია ჯაბუა ამბობენ, თვეების იყავი რომ გიმღეროდით და ზუსტად იგივე ბგერებს იმეორებდიო. ამიტომ დიდი შანსია ელენეც ჩემს კვალს გამოჰყვეს. მინდა სპორტზე შევიყვანო. თუ ვერ იმღერებს, სხვა რამით დავაკავებ“.

### „ლურჯი ფრინველი“

ეს მიუზიკლი შობას გავიდა ეთერში და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ბევრს მოეწონა, ბევრს - არა. ლამაზი კადრებით სავსე ფილმი ზღაპარია. ბავშვობის ოცნებებში გძირავს. ნინის უდაბნოს მზის სხივის როლი აქვს.

„მე ძალიან მომეწონა ფილმი. ძალიან ლამაზი სანახავია, კარგი გადაღებულია. საიდან აქვს დოის ამდენი ფანტაზია-მეთქი, ყურებისას ვფიქრობდი. ჩემი სცენები დუბაის უდაბნოშია გადაღებული, ორ დღეში გადავიღეთ. დილის ოთხ საათზე მზის ამოსვლას ველოდით. ამ დროს ცივია ქვიშა და მზის ამოსვლისთანავე თბება. ანანო მოსიძის სამმეტრიანი შლეიფიანი კაბა მეცვა და ქვიშაში რთული იყო მოძრაობა. მას შემდეგ ორ ფილმზე მქონდა შემოთავაზება, თუ დამირეკეს, გამიხარდება... კასტინგებზე იშვიათად დავდივარ. კასტინგზე ვერ იხსნები და არ მიყვარს. ვნახოთ რა შემოთავაზება მექნება...“

### საინტერესო ეტაპი

**- ნინი, ახლა რა ეტაპია შენს ცხოვრებაში?**

- ჩემს ცხოვრებაში ბავშვის გაჩენის შემდეგ ბევრად საინტერესო ეტაპი დაიწყო და მე ეს მომწონს. ახლა ვფიქრობ, ელენემდე რა აზრი ჰქონდა ცხოვრებას-მეთქი? მივხვდი, რომ ცხოვრების მთავარი აზრი შვილი ყოფილა. მასზე მაქვს საზრუნავი. ვფიქრობ, კარიერაშიც სიახლეები მელოდება. მეტად მოტივირებული ვარ. 2014 წლიდან ბევრ კარგს ველოდები. იმედია, ამისრულდება. საშინლად ოპტიმისტი ვარ. თუმცა ჩემი ზოდიაქოს ნიშანს, თხის რქას მელანქოლიური შემოტევები ახასიათებს ხოლმე. ხარის წელში ვარ დაბადებული. წარმოიდგინეთ, როგორი რქიანი ვარ.

**- გამოდის, რქებით „აწვები“?**

- ეგრე გამოდის. ხომ ხედავთ, რა დღეში მაგდებენ და სხვანაირად აბა, როგორ მოვიქცე?!:)

**- მახსოვს, დეპრესიული მომენტები გქონია. ამ დროს როგორ ერევი თავს?**

- ადამიანი თავისი თავის მკურნალიც არის და მტერიც. შენ თავს შეგიძლია ავნო და დეპრესია აჰკიდო და შეგიძლება პირიქით - გამოიყვანო მდგომარეობიდან. რაც არ უნდა ფსიქოლოგმა გელაპარაკოს, შენ თავს თვითონ თუ არ შემოუძახე და შთააგონე, რომ არაფერიც არ გჭირს და მოგონილ მდგომარეობაში ხარ, არაფერი გამოვა. ბევრი მეკითხება, როგორ უძლებ ამდენ რამესო? მართლა რთულია. მაგრამ თუ მღერი და პრეტენზია გაქვს პოპულარობაზე, კეთილი ინებე და გაუძელი.

### შუშის სახლში

**- რენტგენის ქვეშ და შუშის სახლში ცხოვრება გიჭირს?**

- მიჭირს, ძალიან რენტგენში მაშუქებენ. გადავწყვიტე, რომ „ფეისბუქის“ გაუქმებით ექსპერიმენტი ჩამეტარებინა. მაინტერესებდა თუ მოასწრებდნენ განიუსებას. ათ წუთში განიუსდა. ბევრ დროს მართმევს „ფეისბუქი“, ნეგატივი მოდის, მთრგუნავს, დამღალა. სტატუსს დავწერ თუ არა, მაშინვე ნიუსდება. მშია-მეთქი რომ დავწერო, უცებ რომელიღაც სააგენტოზე სათაურს ვნახავ - რატომ შია ნინი ბადურაშვილს? „ნინი ბადურაშვილმა ორი გოჭი შეაბრაწინაო“, სადღაც წავიკითხე. სამშობიაროში წუთების მისული ვიყავი ახლობლები რომ მირეკავდნენ, როგორ ხარ, იმშობიარეო? საიდან იცით-მეთქი და ინტერნეტში წავიკითხეთო. მერე ეწერათ, რომ ირაკლი არ ჩამოსულა, არ უნახავს შვილიო და ამის დასამტკიცებლად ფოტოები გადავუღო და დავდო, თუ რა გავაკეთო? ყველაფერს ხომ არ გამოვაქვეყნებ?

**- ამ ყველაფრის მერე არ გინატრია, რომ არ იყო ცნობილი?**

- მინატრია, მაგრამ ამ ყველაფერს უკვე იმდენად ვარ შეჩვეული, რომ ამის გარეშე შეიძლება ვერც გავძლო. ასე არიან ცნობილი ადამიანები, იმალებიან, მაგრამ მერე მაინც უნდათ ხალხის ყურადღება. მარტო ნეგატივი ხომ არ მოდის, კარგის მსურველიც ბევრია. პატარა ქვეყანაში რომ ვცხოვრობთ, ყველასთვის ხელმისაწვდომი ხდები.

**- მაინც რას ფიქრობ, რა უნდა გაგეკეთებინა ისეთი, რომ შენი პირადი ცხოვრებით გამოწვეული კატასტროფული ინტერესი გადაეწონა?**

- არ ვიცი, მონსერატ კაბალიესავით უნდა მემღერა? ვერც დავუშვებდი, ვერასდროს წარმოვიდგენდი ჩემი ოჯახის დანგრევას ასეთი აჟიოტაჟი თუ მოჰყვებოდა. ქმარს გაშორება კი არა, თბილისში ისეთებს აკეთებს ხალხი, ეგ რომ დაიწეროს, ერთმანეთს დაჭამენ. სკანდალური რომ ვიყო და ძალით ვიგორებდე ჭორებს და სკანდალებს, კიდევ ჰო, მაგრამ არ ვარ ეგეთი. მუდმივად გაუგებარ სკანდალებში ვარ, ვიღაც მერჩის მუდმივად. რა ვქნა, არა უშავს.

**- რაიმეს ნანობ? თვლი, რომ შეცდომა დაუშვი?**

- რაღაცებს ვნანობ. შეცდომები დაშვებული მაქვს. უშეცდომო არავინაა.

**- შენი გათხოვება შეცდომა იყო?**

- არა, ვთვლი, რომ ჩემი გათხოვება შეცდომა არ ყოფილა, იმიტომ რომ მყავს ჩემი ელენე, რომელიც ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია. უნდა ისწავლო შეცდომებზე, მაგრამ ადამიანი ხარ და შეიძლება მეორედ იგივე შეცდომა დაუშვა. დაზღვეული არავინ არაფრისგან არ არის. ადამიანების განსჯა არ მიყვარს. მქონდა შემთხვევა, ორჯერ განვსაჯე და მერე იგივე სიტუაციაში აღმოვჩნდი. ვისაც როგორ უნდა, ისე იცხოვროს, ჩემი განსასჯელი არავინაა. ნურც მე განმსჯიან. შეცდომებიც მოგვდის, ადამიანები ვართ.

**- მეორედ გათხოვებაზე როდის იფიქრებ?**

- ხომ ხედავთ, რა უცებ ვიღებ გადაწყვეტილებას?:) რა ვიცი, როგორ გითხრათ... ეს ხუმრობით. გათხოვებაზე ჯერ ნამდვილად არ ვფიქრობ, დიდად სურვილი არ მაქვს. ეს ეტაპი რომ დადგება, აუცილებლად ვიფიქრებ. ჯერ შვილი და საქმე. თავს მარტო არაჩვეულებრივად ვგრძნობ, კარგად ვარ.

**„გათხოვებაზე ჯერ ნამდვილად არ ვფიქრობ, დიდად სურვილი არ მაქვს. თავს მარტო არაჩვეულებრივად ვგრძნობ“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# შოუების იღბლიანი



**my View**
**დეა თავზერიძე**




**„ვერასოდეს წარმოვიდგენდი თუ 40 000 ასე დამეცემოდა თავზე“**

**ელენე კალანდაძე:** - ერთ მშვენიერ დღეს უცხო ნომრიდან შემოდის ზარი. „ჯიდიესი“-დან გირეკავთ ახალ პროექტს ვიწყებთ და გვინდა მონაწილეობა მიიღოო. ამ პროექტის გონზეც არ ვიყავი, არც ვიცოდი რა იყო. ამიტომ ვუთხარი, მოვიფიქრებ-მეთქი. ეს ფიქრი სადღაც ორ კვირამდე გაიწელა, მანამდე დრო დავუთმე იმას, რომ მენახა, გამეცნო რა ხდებოდა და როგორ, მერე ვიფიქრე - უკან არ დავიხევ, ვიბრძოლებ აქაც და ძალიან დიდ გამოცდილებას მივიღებ-მეთქი. ასე მივეცი თანხმობა.

მართლაც ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე, ჩემ გარშემო პროფესიონალი და ძალიან მაგარი ადამიანები ტრიალებდნენ და ძალიან დიდ დროს გვითმობდნენ. ჩვენი ვოკალის პედაგოგი ამერიკიდან იყო, ქორეოგრაფი - საფრანგეთიდან, ყოველდღიურ ცხოვრებაში ყველას ამის საშუალება არა აქვს, რომ ასეთ ადამიანებთან ერთად გაიარონ მასტერკლასები.

**- გამოცდილების გარდა გაიმარჯვე კიდეც და თავიდანვე გქონდა ეს შინაგანად, რომ ამ პირველ ადგილს მიიღებდი?**

- თავიდანვე მქონდა ის შეგრძნება და ისე ვიყავი განწყობილი, რომ ფინალში აუცილებლად მოვხვდებოდი. პირველ ადგილს არ ვეხებოდი, რადგან კონკურენცია იყო. კონკურენტებიც საკმაოდ ძლიერები, მაგრამ ზუსტად ვიცოდი, რომ ფინალში მოვხვდებოდი, ჩემი ძალების მჯეროდა. ასეც მოხდა. თუმცა, პირველმა ადგილმა, მართალი გითხრათ, ძალიან გამაკვირვა. ყველაზე სასიამოვნო ის არის, რომ ხალხის რჩეული ვარ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ხალხის სიყვარულს ფულით ვერ იყიდი და ნამდვილად ძალიან ბედნიერი ვიყავი, რომ მთელი საქართველო გვერდში დამიდგა, ყველას მადლობა თითოეული სმს-ისთვის.





**ელენე კალანდაძე: „ჩაფიქრებული მაქვს და მინდა ეს შანსი საზღვარგარეთ სწავლისთვის გამოვიყენო“**

**- როგორც ვიცი, 40 000-ის მფლობელი გახდი, მიიღე თუ არა უკვე ეს თანხა და როგორ გამოიყენებ ამ ფულს?**

- ჯერ ფული არ ამიღია, ველოდები. არ ვიყავი ამისთვის მზად, ვერ წარმოვიდგენდი თუ ასე დამეცემოდა 40 000 თავზე. ზუსტად ვიცი, რომ ამ თანხას სულელურად არ გამოვიყენებ, ჩაფიქრებული მაქვს და მინდა ეს შანსი საზღვარგარეთ სწავლისთვის გამოვიყენო.

**- ამგვარი ბედნიერი წუთები თუ გქონია როდესმე?**

- არა. ახლაც, როცა ვიხსენებ, მაჟრიალებს. თავიდან გაუგებრობა იყო. პირველი დათო დასახელდა. მართლა გულით მივედი, ჩავეხუტე და მივულოცე. ამ დროს კი დათო მეუბნება - ელენე, მე კი არა შენ გაიმარჯვეო. როცა მოვტრიალდი და მონიტორებს შევხედე, ნამდვილად მე გავასწარი პროცენტულად. ვერ მივხვდი უცებ, ვერ დავიჯერე ბოლომდე. ბოლოს კი, მახსოვს, სიხარულისგან ჩავიკეცე და ცრემლები მომდიოდა. მართლა ყველაზე ბედნიერი ვიყავი. მე ყველას ვუსურვებ, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც შეიგრძნოს ასეთი ბედნიერება. ეს ყოველივე ხალხის დამსახურებაა და კიდევ ერთხელ და უამრავჯერ ძალიან დიდი მადლობა მათ...





**„შეიძლება ჩვენ თვითონვე გავათამაშოთ ეს ბინა“**

**კალისტრატე ცინცაძე:** - ლოდინისგან და ნერვიულობისგან ძალიან დაძაბულები ვიყავით. ამ გამარჯვებას ნამდვილად არ ველოდით. მაგრამ იმედი, ალბათ, თითოეულ ჩვენგანს მაინც ჰქონდა. ღმერთის წყალობით და ხალხის დახმარებით, განსაკუთრებით, ალბათ, აჭარის თანადგომით, ეს ბედნიერებაც მოხდა. სიმართლე გითხრათ, იმ წუთში წამიერი იყო ეს ყველაფერი, ადრენალინი სწრაფად მოვიდა და გავაცნობიერეთ, რომ „ნიჭიერები“ გავხდით ეს ყველაფერი სიმშვიდისკენ წავიდა.

**- რა შეცვალა ამ გამარჯვებამ ბენდის ცხოვრებაში?**

- ძალიან ბევრი რამ. სერიოზული იმედი ჩაგვესახა ყველას. მარტო ჩვენი სითი ბენდის ხვალინდელი დღე კი არა, მომავალ თაობას ვინც ჩვენთან ერთად ამ ყველაფერში იყო დაკავებული, იმათაც დიდი იმედი ჩაუსახა. ახლა სერიოზული რეპერტუარის გაკეთებას ვაპირებთ, იცით, რომ ძირითადად ქავერებით ვართ დაკავებული, ჩაფიქრებული გვაქვს, ორსაათიანი განსხვავებული საკონცერტო პროგრამა გავაკეთოთ, ამ თემაზე დავიწყეთ უკვე მუშაობა და ვაპირებთ ჯერ მთელი საქართველო მოვიცვათ, მერე კი საზღვარგარეთ გავიდეთ. გვინდა ჩვენი საკუთარი სიმღერები გვქონდეს. უკვე მიდის მოლაპარაკება რამდენიმე კომპოზიტორთან, რომელიც ჩვენი ჟანრის მიხედვით შექმნის სიმღერებს. არა მარტო




**კალისტრატე ცინცაძე: „ჩაფიქრებული გვაქვს, რომ ორსაათიანი განსხვავებული საკონცერტო პროგრამა გავაკეთოთ, ვაპირებთ ჯერ მთელი საქართველო მოვიცვათ, მერე კი საზღვარგარეთ გავიდეთ“**







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გამარჯვებულები




# EXCLUSIVE

**2013 წელს საქართველოს ტელეარხებზე ბევრი საინტერესო, გრანდიოზული და მოულოდნელობებით სავსე შოუ ჩატარდა. გამარჯვებულებს თითქმის მთელი საქართველო ელოდა. ისინი დღეს „პრაიმტაიმის“ სტუმრები არიან. „ნიჭიერის“ მორიგი სეზონის გამარჯვებული მუსიკალური ჯგუფი „სითი ბენდი“ გახდა. ჯგუფს საჩუქრად ბინა გადაეცა. „ერთი-ერთში“-ს გამარჯვებულ ელენე კალანდაძეს 40 000 ლარი ერგო, ხოლო „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ გამარჯვება ქეთი ხატიაშვილს ხვდა წილად. მას ბინას ამ კვირაში გადასცემენ**





**ქეთი ხატიაშვილი: „ამ პროექტმა ჩემი ცხოვრება თავიდან ბოლომდე შეცვალა. ჩვეულებრივი ადამიანი ვიყავი, ახლა უკვე მთელი თბილისი მიცნობს, მილოცავს ყველა“**

უცხოური, არამედ გვინდა ჩვენი ქართულიც ჩვენს სტილში ავაჟღეროთ. სტუდია ახალი გვაქვს უკვე. „ნიჭიერის“ წყალობით ბათუმში ძალიან პოპულარულები გავხდით და ყველაფრისთვის ძალიან დიდი მადლობა ამ პროექტს.

**- როგორც ვიცი, პრიზად ბინა მიიღეთ, როგორ უნდა გაიყოთ, ათმა კაცმა ეს პრიზი?**

- ჩვენ მივიღეთ საჩუქრად ბინა და ერთკვირიანი საგზური საირმეში, ასევე უკაბელო ინტერნეტი გადმოგვცეს ყველა მონაწილეს. რაც შეეხება ბინას, ჯერ არაფერი გადაგვიწყვეტია. ვფიქრობთ, როგორ მოვიქცეთ, რა გავაკეთოთ. შეიძლება ისე მოხდეს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენ თვითონვე გავათამაშოთ ეს ბინა პროექტის მიხედვით, რაღაცები გვაქვს დაგეგმილი. ყოველ შემთხვევაში გაყიდვას არ ვაპირებთ. ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო, არის ამგვარი ნათქვამი, ჯერ ბინა მაინც შენების პროცესშია, დაველოდებით ბინის ჩაბარებას და მერე გვიჩვენებს ცხოვრება რა მიმართულებით წავიდეთ და როგორ მოვიქცეთ. ამ წამს არანაირი გადაწყვეტილება არა გვაქვს მიღებული.

**- „ნიჭიერში“ როგორ მოხვდით?**

- „ნიჭიერში“ მოხვედრა სითი ბენდის ერთ-ერთი წევრის დაჟინებული მოთხოვნა იყო. ეს ჩვენი საქსაფონისტი და თან მომღერალი დავით ანანიძეა, რომელმაც ტვინი ამოგვიღო ყველას. თუმცა, ჩვენი დრამერი კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ამბობდა, რა დროს ჩვენი „ნიჭიერია“ დავბერდით ხალხიო, მაგრამ მაინც გაჭრა დავით ანანიძის მოთხოვნამ, მივიღეთ მონაწილეობა და გავიმარჯვეთ კიდეც.

**მაგდა გიორგაძე, სოლისტი:** - არასოდეს გავსულვარ კონკურსზე თან ბენდთან ერთად, ამიტომ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო „ნიჭიერში“ მონაწილეობა. მით უმეტეს ასეთი ნიჭიერი ადამიანების გვერდით. ძალიან გახარებული და ბედნიერი ვარ. „სითი ბენდში“ წელიწადი და სამი თვის მისული ვარ, ამ ჯგუფში ჩემმა მეგობარმა მომღერალმა მაგდა ვასაძემ მიმიყვანა. ძალიან მოეწონათ ჩემი სიმღერა და ბენდში სოლისტად ამიყვანეს. ქუჩაში გვცნობენ, გვილოცავენ, მადლობას გვიხდიან, მთელი ბათუმის სახელით და ძალიან გვეფერებიან. ხალხის ამგვარი დამოკიდებულება კი ძალიან დიდი ბედნიერებაა.

### „თუ ყველაფერი კარგად დამთავრდება ხალხი ყოველდღე მიხილავს“

**ქეთი ხატიაშვილი:** „თავიდან ყველაფერი ისე დაიწყო და იმდენად ძლიერი კონკურსანტები იყვნენ ამ სეზონში, რომ გამარჯვებაზე არც ვფიქრობდი. მაგრამ მერე და მერე ჩვენც გავიზარდეთ, როგორც წყვილი, ვითარებაც შეიცვალა, სამწუხაროდ სოფომ დატოვა პროექტი და მივხვდი, რომ ჩვენ რეალური მოგების შანსი გვაქვს. მაგრამ მაინც ბოლომდე ვცდილობდი ამაზე არ მეფიქრა. უბრალოდ, შემდეგ გადადგმულ ნაბიჯებზე ვფიქრობდი და ლაივ შოუებზე, რომ არ ჩამეგდო შოუ და ჩემი ცეკვა ყოველთვის უკეთესი და უკეთესი ყოფილიყო.

**- რას ფიქრობდი, მაშინ როცა გამარჯვებული გახდი?**



- შეგრძნება ისეთი იყო, რომ ვერ აღვწერ. ძალიან რთული იყო 31 დეკემბერი ჩემთვის, შეიძლება ითქვას, რომ წლის ყველაზე რთული დღე, თუმცა სასიკეთოდ დამთავრდა. ვერც გადმოგცემთ რა ემოციებსა და რა მდგომარეობაში ვიყავი, როგორ ვცდილობდი, რომ თავი მომეთოკა და გამეკონტროლებინა, მაგრამ როცა ჩემი სახელი გამარჯვებულის სტატუსით გავიგე, არაბუნებრივი სიხარული ვიგრძენი.

**- როგორც ვიცი, მეუღლე ძალიან გგულშემატკივრობდა.**

- სულ ჩემთან ერთად იყო, ერთი შოუც არ გამოუტოვებია და ლევანსაც ძალიან გაუხარდა ჩემი გამარჯვება. თუმცა, რომც არ ყოფილიყო ეს გამარჯვება, ნახევარფინალიდან ფინალში როდესაც გადავედით, ორივე მოგებულები ვიყავით უკვე...

**- მეცამეტე ნომერი იყავი, იღბლიანი გამოდგა ეს რიცხვი შენთვის.**

-13 რიცხვთან, არანაირი პრობლემა არ მქონია. არასოდეს მიფიქრია, რომ მეშინია, ვერიდები, არ მინდა, ბოლოს კი ჩემთვის არა მარტო უბრალო, იღბლიანიც გამოდგა.

**- რა შეცვალა შენს ცხოვრებაში ამ პროექტში მონაწილეობამ?**

- ამ პროექტმა ჩემი ცხოვრება თავიდან ბოლომდე შეცვალა. ჩვეულებრივი ადამიანი ვიყავი, ახლა უკვე მთელი თბილისი მიცნობს, მილოცავს ყველა. ეს დიდი პასუხისმგებლობაა და ჩემთვის მიუჩვეველი ამპლუა. პროექტის შემდეგ ძალიან ბევრი შემოთავაზებაც მივიღე,





ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება და თუ ყველაფერი კარგად დამთავრდება, ხალხი ყოველდღე მიხილავს. ასე რომ, თავიდან ბოლომდე შემცვალა.

**- ე.ი. ტელევიზიაში გიხილავთ წამყვანად?**

- ვნახოთ. ჯერ არ მინდა წინასწარ ვთქვა.

**- ბინა უკვე აირჩიე?**

- ჯერ არა, ამ კვირის ბოლოს ავირჩევ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ათი თვის შემდეგ ჯემალ ჭკუასელ



„ვინც „ერისიონზე“ მოღალატეაო ყვიროდა, თვითონ შეიტანოს კრემლის ეზოში საქართველოს დროშა, რა დღეში ჩააგდებენ, ნახოს. ჩვენ კი ჩვენი დროშა სულ თვალწინ სცენაზე ვუტრიალეთ, „მტერო დამჩაგრე, არ ვტირი“ ვუმღერეთ. ვაჩვენეთ, რომ ფეხზე ვდგავართ და ვცოცხლობთ, არ გავტეხილვართ!“



**my View**

**თამარ გონგაძე**

ანსამბლი „ერისიონი“ გასულ წელს კრემლის საკონცერტო დარბაზში ჩატარებული კონცერტების გამო საზოგადოების ერთმა ნაწილმა ერის მოღალატედ შერაცხა. საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა 2013 წლის 9 და10 მარტს კრემლის სამთავრობო სასახლეში ორი კონცერტი გამართა. აღებული ჰონორარი, როგორც მაშინ აღნიშნეს, 12 ათასი დოლარია. „ხუთწლიანი შესვენების შემდეგ ქვეყნის მთავარ სცენაზე უნიკალური ქართული ანსამბლის „ერისიონის“ ორი გამოსვლა შედგა. მსოფლიოში ცნობილ ეთნოშოუში „საქართველოს საგანძურში“ გაერთიანებულია მრავალხმიანი სიმღერა, ცეკვაში ასახული სიუჟეტები ქვეყნის ისტორიიდან, ეროვნული ტანისამოსი და სინათლის შოუ. ეს ყველაფერი კი ქართველებისთვის დამახასიათებელი ცეცხლოვანი და ტემპერამენტიანი შესრულებით“, - ასე ეხმაურებოდა რუსული პრესა მოსკოვში სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ვიზიტს. ორსაათიან კონცერტზე რუსი, ქართველი, ებრაელი მაყურებელი ემოციას ვერ თოკავდა და ქართულ ცეცხლოვან საგანძურს ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს. როგორც ანსამბლის ხელმძღვანელი - ჯემალ ჭკუასელი ამბობს, 6 ათასკაციან დარბაზში ორივე დღეს ათასი სკამის დამატება დასჭირდა ხელმძღვანელობას. „კრემლის დარბაზში „ერისიონის“ კონცერტია დაგეგმილი, იცით, რა ხდება მოსკოვში ამასთან დაკავშირებით? ბილეთს ვერ იშოვით. რა უნდა ვქნათ „ერიოსიონი“ უნდა დავხვრიტოთ და არ დავაბრუნოთ საქართველოში იქ კონცერტის გამართვისთვის? მე ყოველთვის ვამბობდი, რისთვისაც მაკრიტიკებდნენ, საქართველოში შოუ-ბიზნესის განვითარებისთვის რუსეთის ბაზარი აუცილებელია-მეთქი“, – მაშინ კომენტარი დავით ოქიტაშვილმა გააკეთა. ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი კი ასეთ პოზიციაზე იყო: „მოსკოვის სცენაზე ქართული ცეკვა აგვისტოს ომში დაღუპული ბიჭების საფლავებზე ცეკვის ტოლფასია“. პრესაში დაიწერა: „ბატონო ჯემალ, როგორ იცეკვებთ „ხორუმს“ ქართული ეროვნული სამოსით კრემლში, სადაც იმ ბიჭების ამოხოცვა დაიგეგმა, რომელთა დედებს მათი ცხედრები არ უნახავთ და საფლავზეც ვერ მიდიან, რომ იქ ტირილით გული მოიოხონო. ბევრისთვის გაუგებარი დარჩა, აგვისტოს ომის შემდეგ როგორ იცეკვეს მტრის ბუდეში ქართველებმა. ამის საპასუხოდ კი ბატონი ჯემალი აღშფოთებას ვერ მალავს, თუ „როგორ იმხიარულეს 2008 წლის 12 აგვისტოს რუსთაველის გამზირზე „გამარჯვების “ ნიშნად, მაშინ, როდესაც ცხინვალში ჩვენი ახალგაზრდების გვამები უპატრონოდ ეყარა“. დეკემბერში „ერისიონს“ ფილარმონიაში ჰქონდა კონცერტი. ვერ დავესწარი. ხალხის განწყობის და დამოკიდებულების დანახვა კი ძალიან მინდოდა. ანსამბლის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ეს კონცერტი ქართველთა გაერთიანების კონცერტი იყო. ანსამბლის ნაწილი გასულ წელს მეორედაც სტუმრობდა მოსკოვს. „ღალატიდან“ ათი თვე გავიდა... დავინტერესდი, როგორია „ერისიონის“ ახლანდელი მაჯისცემა, განწყობა ჩავლილ უსიამოვნო მოვლენასთან დაკავშირებით. ჯემალ ჭკუასელი 78 წლისაა, არ დაბერდეო, ერთმა სვანმა უთხრა ქუჩაში და ცდილობს შეასრულოს. ნაბახუსევზე საწოლიდან წამოხტომით თუ ვერ ვდგები, მწყინსო, ამბობს.

„ქართულ ხალხურ სიმღერას თუ ვკარგავთ, სამშობლოს ვკარგავთ. ამიტომ ჩვენს მთავრობას ვთხოვ, მხარი დაუჭირონ და პრიორიტეტული გახადონ ქართული ხალხური სიმღერა და ცეკვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დავკარგავთ“




**ჯემალ ჭკუასელი:** - „ერისიონისთვის“ ნაყოფიერი იყო გასული წელი. ბევრი გასტროლი გვქონდა, ლანძღვა-გინებაც ბევრი იყო...

**- ამდენი თვის შემდეგ როგორ აფასებთ „ერის მოღალაატეებად“ შერაცხვას?**

- ახლაც იგივე შეფასებას ვაკეთებ, როგორსაც მაშინ ვაკეთებდი. ერთი წუთითაც არ მიფიქრია, წავსულიყავით თუ - არა. კონცერტის ჩატარება ომის დროს რომ შემოეთავაზებინათ, რას მკადრებთ-მეთქი, ვეტყოდი. მეზობელს ვერ შევცვლით. რეალობას დიდი ანგარიში უნდა გავუწიოთ. მოღალატედ გამოგვაცხადეს, ეგ არაფერია, ველოდი ასეთ რეაქციას. მე ხომ ვიცი, რომ რასაც ვაკეთებ, სწორად ვაკეთებ. მტკივნეული ის იყო, რომ არსებობენ ქართველები, რომლებმაც მოღალატეებად ჩათვალეს „ერისიონის“ კრემლში გამოსვლა და იციან, რომ არ არიან მართალნი. ჩემი ხნის კაცს ვინ ასწავლის რუსეთს, მაგრამ რეალობას უნდა შეხედო. მოსკოვიდან რომ ჩამოვედით, უწმინდესმა დაგვიბარა და ვეახლეთ. თქვენ გააკეთეთ ის (პაუზის დროს ვფიქრობდი, ნეტა რა უნდა გვითხრასმეთქი), რაც უნდა გაგვეკეთებინათო. ყველამ მაპატიოს, მაგრამ მე მეტ შეფასებას არც ვისურვებდი... ჩემი ღრმა რწმენით, უწმინდესი მოსიარულე ღმერთია. უბრძენესი მოხუცია. მუსლიმანური სამყარო უჩოქებს. ჩემი თვალით მაქვს ნანახი. მეც ხომ ვიცი, რომ მოღალატე არ ვარ. ვინც „ერისიონზე“ მოღალატეაო ყვიროდა, თვითონ შეიტანოს კრემლის ეზოში საქართველოს დროშა, რა დღეში ჩააგდებენ, ნახოს. ჩვენ კი ჩვენი დროშა სულ თვალწინ სცენაზე ვუტრიალეთ, „მტერო დამჩაგრე, არ ვტირი“ ვუმღერეთ. ჩვენი დიდი ხელოვნება ვაჩვენეთ. ვაჩვენეთ, რომ ფეხზე ვდგავართ და ვცოცხლობთ, არ გავტეხილვართ! „ფეისბუქზე“ ერთი წერდა, ოცი ქართველი ერთად ვისხედით და კრემლის საკონცერტო დარბაზის ჭერი ჩამოინგრაო. იმ კაცს რომ არ დაეწერა, მანამდეც ვიცოდი, რომ კარგად მიგვიღებდნენ. ფეხზე დამდგარი მაყურებელი მეორე განყოფილებაში არ დამჯდარა. როგორც მითხრეს, ბევრი სამხედრო პირი დაესწრო კონცერტს, მაგრამ არც ერთს ფორმა არ ეცვა.



„მოსკოვიდან რომ ჩამოვედით, უწმინდესმა დაგვიბარა და ვეახლეთ. თქვენ გააკეთეთ ის, რაც უნდა გაგვეკეთებინათო. ყველამ მაპატიოს, მაგრამ მე მეტ შეფასებას არც ვისურვებდი...“





ბადრი ვადაჭკორია



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ი „ერის მოღალატე“ „ერისიონზე“



EXCLUSIVE







**„ადამიანი თავისი ბუნებით ეგოისტია. რატომ ამტკივდა ფეხი-მეთქი, ვფიქრობ. რატომ და ჩაიხედე პასპორტში და მიხვდები-მეთქი, თავს ვეუბნები. მოღუშული სახით არ უნდა დადიოდე. არასასიამოვნო რამ რომ შემემთხვევა, მძიმე წუთებისას ვიწყებ ანეკდოტების მოყოლას“**










ალბათ, რაიმე უსიამოვნო რომ არ გამოეწვიათ. მითხრეს, პოლიტიკოსებიც იყვნენო. ჩვენ ჩავედით რუს, ებრაელ და ქართველ მაყურებელთან, რომელიც ჩვენი კულტურის მოთაყვანეა. ერები ხომ არ მტრობენ ერთმანეთს, მთავრობები მტრობენ. ჩვენ რუს მსახიობებს, მუსიკოსებს, მაღალ საზოგადოებას ვეცით პატივი. 6 ათასკაციან დარბაზში ათასი სკამი დაამატეს. ვერ გაივლიდი, გადაჭედილი იყო. არხმა „კულტურამ“ გადაიღო და აჩვენა. თბილისში ქუჩაში ქართველი არ შემხვედრია, რომ არ ეთქვა, რა კარგი ქენით იქ რომ ჩაატარეთ კონცერტიო. ხომ ვაჩვენეთ იმათ, ვინც ვართო. პატარა კახს რატომ ეხურა ჩალმა, სპარსეთისკენ მიილტვოდა? აჭარლებმა მჭადზე ქვევიდან რატომ დასვეს ჯვარი? ქვეყანა რომ შეენახათ იმიტომ. დიმიტრი თავდადებული ლოთი იყო, რას არ აკეთებდა და გახდა თუ არა წმინდანი? რატომ? იმიტომ რომ თავი ქვეყნისთვის დადო. და ვინც ჩვენ გვლანძღა, რომელმა დადო ქვეყნისთვის თავი? მტერს კი არ უნდა დაუჩოქო და იტირო, არამედ „ჩაკრული“ უნდა დაუჭექო და ფეხზე ვდგავარო უთხრა.

მარტში ჩრდილო კავკასიიდან ვიწყებთ ტურნეს. შეგნებულად ვიქცევით ასე. შარშან სტავროპოლში კონცერტი რომ გვქონდა, ოსები, ჩერქეზები, აფხაზები, კაზაკები და რუსები ერთად ისხდნენ და კონცერტის მერე სცენაზე ამოვიდნენ. მათი ერთობლიობა და განწყობა რომ მენახა ბანკეტზე წასვლას დავთანხმდი, როცა ასეთ რამეს გასტროლის დროს არ ვაკეთებთ. ქართველებთან გადახვეულნი იყვნენ, ძმობას გვეფიცებოდნენ. კრემლში ჩატარებული კონცერტის მერე რუსეთთან დაკავშირებული ქალაქები ნაწყენი დაგვრჩა, ჩვენ არ გვკადრულობენო. ამიტომ როსტოვიდან, ორჯონიკიძიდან მივყვებით ნელ-ნელა.

**- ამ ყველაფრის შემდეგ როგორ შეგხვდათ ქართული პუბლიკა დეკემბრის კონცერტზე?**

- 18 დეკემბერს გვქონდა კონცერტი. ეს მხოლოდ კონცერტი არ იყო, ქართველების გაერთიანება იყო. მაგრად მიგვიღეს. კმაყოფილი არასდროს ვარ. ხელოვნება ჰორიზონტივითაა, უახლოვდები და მიდის. ვის დაუპყრია ხელოვნების მწვერვალი? დღეს შეიძლება ვიღაცას ჯობდე, მაგრამ ამით არ სრულდება. დრო მსახვრალია, გაგთელავს ყური თუ არ დაუგდე. დროს პატივი უნდა სცე, მაგრამ არსებულ ნიადაგზე. ასეთი მუსიკალური აზროვნების ხალხს მინდა ჩემი გულისტკივილი გაგიზიაროთ. „ხასანბეგურას“ და „ლილეს“ პატრონს ძლიერი ესტრადა რომ არ გვაქვს, ეს უცოდინარობის ბრალია. ქართველმა კომპოზიტორმა ქართული ხალხური სიმღერა კარგად უნდა იცოდეს, რომ თვითმყოფადი კომპოზიტორი იყოს. დამშვიდებული ქართველი ერი ოქროს ხანაშიც არ ყოფილა, მაგრამ პლანეტაზე უანალოგო ქართული სიმღერა და ცეკვა შევქმენით. მსოფლიომ ქართული ხალხური სიმღერა მუსიკალური აზროვნების შედევრად აღიარა. მომღერლების ქვეყანას მომღერლები გვყავს და არც გვყავს. ადრე ქუთაისელებს გავუჯავრდი, სიმღერა დაგვიწყებიათ-მეთქი. რაფერ ლაპარაკობ, ჯემალი, შენ მაგას, აქანე შალვა ნუცუბიძე და გალაკტიონი დეიარებოდაო. გასაგებია, მაგრამ მათ საქართველო დაამთავრეს? აღარ გავაგრძელოთ? გიტარას აყვნენ და გენიალური იმერული სიმღერები დაავიწყდათ. ზოგი გურულებმა წაიღეს, ზოგი - მეგრელებმა. ნუ გამაცინებთ და იტყვით, რომ იაპონელმა რა კარგად იმღერა „ხასანბეგურაო“. კარგად კი არ იმღერა, როგორ მოსწონებია, რომ უსწავლიაო, ასე თქვით. იმიტომ ვიღუპებით ფრენკ სინატრას და ბიონსეს რომ ვმღერით საქართველოში. რამდენი კაციც გვყავს, იმდენი „ხასანბეგურასა“ და „ოდოიას“ სიმღერა შეგვიძლია. ოზურგეთში ორი კაცი მღერის ნამდვილ ხალხურ სიმღერას, სამეგრელოში ერთი, სვანეთში შედარებით არა უშავს სიტუაციას. საოცრებები გვაქვს და გვგონია, რომ ამ საოცრებებს ყოველთვის ვიმღერებთ. მაგრამ ასე არ არის, მიხედვა უნდა. ფოლკლორი უკვდავი არ არის, თუ შენ არ გახადე უკვდავი, რადგან იგი ცოცხალი ორგანიზმია. თუ თელავში გრძელი „მრავალჟამიერი“ არ იმღერეს, გორში „მეტივური“ და ზუგდიდში „ოდოია“, ისე სუროგატი კაპელა შეგვრჩება ხელში. ხვალინდელი დღისთვის ერთი პატარა უბრალო ხალხური სიმღერა სჯობს მთელ წარმატებულ „ერისიონს“. „ერისიონს“ ფესვები თუ არ ექნა, საიდან უნდა იკვებებოდეს? „იუნესკომ“ ქართული ხალხური სიმღერა მსოფლიო მუსიკალური აზროვნების შედევრად აღიარა, სტრავინსკიმ კი მასზე ბრძანა, ყველა დროის ყველაზე თანამედროვე სიმღერააო. მეტი რა გინდა? თბილისში ქართულ ხალხურ სიმღერებს ახალგაზრდები შესანიშნავად მღერიან, კიდევ კარგი ასეა. მაგრამ ერთი გლეხი რომ წაიღიღინებს, მთლად ჯობია ამ ყველაფერს, რადგანაც ეს სიმღერა მისი პერანგია, მისი ბუნება და სიმდიდრეა. ქართულ ხალხურ სიმღერას თუ ვკარგავთ, სამშობლოს ვკარგავთ. ამიტომ ჩვენს მთავრობას ვთხოვ, მხარი დაუჭირონ და პრიორიტეტული გახადონ ქართული ხალხური სიმღერა და ცეკვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დავკარგავთ. როცა ადამიანი ამბობს, ქართული საცეკვაო მელოდიების ნაკლებობააო, იმან არაფერი იცის ამ სფეროში. არ იცი და იმიტომ არ აქვს. გამოდის და სულელურ მალაყებს აკეთებს. გურულს ჰკითხეს, ვიოლონჩელოზე დაკვრა თუ იციო, მეცოდინება ალბათო. ასეთი მიდგომა აქვთ. ასეთ კაცს რბილი მათრახი კი სჭირდება. ყველაფერი როგორ შეიძლება იცოდე? მით უმეტეს მაშინ, როცა ჩვენი ფოლკლორი ამოუწურავია.

**რეცეპტი ხანგრძლივად რომ ვიცხოვროთ**

„ადამიანი თავისი ბუნებით ეგოისტია. რატომ ამტკივდა ფეხი-მეთქი, ვფიქრობ. რატომ და ჩაიხედე პასპორტში და მიხვდები-მეთქი, თავს ვეუბნები. მხნედ რომ გამოიყურები, უპირველეს ყოვლისა, გენი და ჯიშია, მაგრამ ძალიან ბევრია ადამიანის შინაგან განწყობაზე დამოკიდებული. მოღუშული სახით არ უნდა დადიოდე. არასასიამოვნო რამ რომ შემემთხვევა, მძიმე წუთებისას, ანეკდოტების მოყოლას ვიწყებ, რომ გუნება გამოვიკეთო და სხვასაც გამოვუკეთო. ამას, ალბათ, ყველა ვერ შეძლებს, მტკიცე ხასიათი სჭირდება. ამ ხნის კაცი წამოხტომით ვდგები, რას ჰქვია, როგორ ვერ უნდა ავდგე წამოხტომით-მეთქი. გული არ ბერდება. ლამაზი ქალი რომ ჩაივლის, თვალს თუ არ გავაყოლებ, გული მომდის - რამ მჭირს-მეთქი. ქალზე მშვენიერი ბუნებას არ შეუქმნია. ის რომ არ გადაინტერესებს, აი, მაშინ უკვე ჭაკადაა საქმე. ანსამბლში გოგონებს რომ ვარჩევთ, ეს ხასიათში მაქვს გადასული. გოგოს რომ ვხედავ, წარმოვიდგენ, რა ცეკვაში იქნება კარგი, ჩიხტი მოუხდება თუ არა... ამას წინათ სტუდენტობის მეგობარი ქალბატონი შემხვდა. კარგად გამოიყურები, მაგრამ სიგარეტის მოწევა დაგიწყია-მეთქი, ვუთხარი. რა იციო - გაოცდა. სახესა და ხმაზე გეტყობა-მეთქი. 27 წლის ასაკში დავანებე თავი მოწევას, მეშვიდე კლასიდან ვეწეოდი. ქალზე ძალიან მოქმედეს სიგარეტი, სახესა და ხმაზე აესახებათ. ამერიკელების დამოკიდებულება თავისუფლებასთან მიმართებაში სასაცილოდ მიმაჩნია, მაგრამ სტატისტიკა კარგად იციან. ორი ხე დარგეს კოლბაში, ერთი მათგანი სიგარეტის კვამლიან გარემოში იზრდებოდა, მეორე ჩვეულებრივ სუფთა ჰაერზე. სუფთა ჰაერზე გაზრდილმა მეორეს ერთ წელიწადში ერთი მეტრით გაასწრო ზრდაში. წარმოიდგინეთ, ადამიანის ორგანიზმს რას უშვება. 1977 წელს ვიყავით ამერიკაში, ყველა ეწეოდა, უმცროს კლასელებიც. მერე შვიდწლიანი პაუზის მერე ჩავედით. აღარავინ ეწეოდა. კი არავის აუკრძალავს, მწეველობა სირცხვილად და უხერხულად ჩაითვალა. თუ ეწევი და ამერიკელს ესაუბრები, კვამლს დემონსტრაციულად გაფანტავს. ამით ხაზს უსვმას, რომ არ სიამოვნებს შენთან ურთიერთობა.

**- ქართველებს როგორ მიმართავდით?**

- ქართველებო, ახალ წელს მოგილოცავთ, იცოდეთ, რომ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ ხმლით ხელში. აუცილებლად შეგვიშლიან ხელს, რომ კარგად ვიყოთ. ამიტომ უნდა ვიფხიზლოთ - ჩემი ხმალი ქართული სიმღერაა, რობიკო სტურუასი - თეატრია, სხვას თავისი ხმალი აქვს, რომ ჩვენი ქვეყანა ვამზეგრძელოთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time
N1 (251) ორშაბათი, 13 იანვარი, 2013 წ.
ყოველკვირეული გაზეთი
ფასი 2 ლარი
www.ptpress.ge




## ცოტა რამ EXCLUSIVE წარსულზე...მაგრამ მაინც მომავალზე...



## EXCLUSIVE

**ნინი ბადურაშვილი:** „ბავშვობიდან ვკითხულობ წიგნებს და ძალიან განათლებულ ოჯახში ვარ გაზრდილი. ვისაც აინტერესებს, დამირეკონ და 10 წიგნს ჩამოვუთვლი, რაც უნდა წაიკითხონ. სჯობს მართლა წიგნები იკითხონ და ცოტა დრო დახარჯონ „ფეისბუქზე“ ლანძღვა-გინებაში“

## ათი თვის შემდეგ ჯემალ ჭკუასელი „ერის მოღალატე“ „ერისიონზე“




EXCLUSIVE



EXCLUSIVE

## გამარჯვებულები

ISSN 1987-7404
9 771987 740005


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება